სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების ფაკულტეტი
პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

დალი ფუტკარაძე

# ინკლუზიური განათლება სკოლამდელ დაწესებულებაში

სპეციალობა - პედაგოგიკის თეორია და ისტორია

დისერტაცია
წარმოდგენილია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

*გული შერვაშიძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორი*

*იაგორ ბალანჩივაძე - განათლების აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

ბათუმი

**2018**

## შინაარსი


შესავალი ---------------------------------------------------------------------------- 3
თავიI: ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
§1.1 ინკლუზიური განათლების არსი, ღირებულებები, მიზანი, პრინციპები საკანონმდებლო ბაზა ---------------------------------------------------- 11
§1.2 ინკლუზიური განათლების საჭიროებები, ფორმები და ხელშემწყობი გარემო-------------------------------------------------------------------------20
§1.3 ადრეული ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომელთა როლი --------------------------------- 31
§1.4 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება აჭარაში და ინკლუზიური განათლების ამჟამინდელი მდგომარობა -------------- 36
§1.5 სკოლამდელი განათლება, როგორც აღსაზრდელთა სკოლისათვის მომზადების საშუალება ----------------------------------------------- 47
თავი: II ადრეული განვითარება, განვითარების დარღვევები და ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები სკოლამდელ დაწესებულებებში
§2.1 ადრეული განვითარების თავისებურებები -------------------------------- 54
§ 2.2 გონებრივი განვითარების დარღვევებისა და ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვები, მუშაობის სტრატეგიები. ------------------------------------ 67
§ 2.3 ყურადღების დეფიციტის, ჰიპერაქტიურობისა და დაუნის სინდრომების, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები, მუშაობის სტრატეგიები ----------- 73
თავი: III განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან ინდვიდუალური მუშაობა
§ 3.1 ინდივიდუალური მიდგომის მეთოდები და გარემოს მოწყობის მეთოდები ------------------------------------------------------------------------------------ 87
§ 3.2 მონაცემების შეგროვება და ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიკაცია სკოლამდელ დაწესებულებებში -------------------------- 99
§ 3.3 ბაღში არსებული პროგრამის მოდელირება და ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის შედგენა-განხორციელება ------------- 126
§ 3.4 კვლევა და ანალიზი ---------------------------------------------------- 142
დასკვნები და რეკომენდაციები ---------------------------------------------- 163
გამოყენებული ლიტერატურა ---------------------------------------------- 170
დანართები ------------------------------------------------------------------ 176

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

**თემის აქტუალობა.** ადრეული და სკოლამდელი აღზრდა-განათლების თანამედროვე დაწესებულების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება საღმზრდელო პროცესის ეფექტურობის ამაღლება და ბავშვის განვითარებაში წარუმატებლობის დაძლევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა გულისხმობს საღმზრდელო პროცესის ორგანიზების მეთოდებისა და ფორმების სრულყოფას, განვითარების ფორმების უფრო ეფექტური გზების ძიებას, რათა გათვალისწინებულ იქნეს აღსაზრდელთა რეალური შესაძლებლობები, რის გარეშეც შეუძლებელია სააღმზრდელო-განმავითარებელი პროცესის სწორად წარმართვა.

ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონის-ძიებებით - საერთაშორისო თუ ადგილობრივი საკანონმდებლო აქტებით, ადმი-ნისტრაციული კანონმდებლობითა და მათი აღსრულებით.

ბევრი ბავშვი განიცდის შემეცნებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ბავშვის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. მუდმივად იზრდება იმ აღსაზრდელთა რაოდენობა, რომლებიც განსაზღვრულ დროში განსაზღვრული მოცულობის სასწავლო-განმავითარებელი პროგრამის ათვისებას სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებენ. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში შესვლის საწყის ეტაპზე განცდილი წარუმატებლობა ბავშვის განვითარებაში გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. ეს, პირველ რიგში, იმაში გამოიხატება, რომ თავიდანვე თუ ვერ აითვისეს რაიმე, არ განუვითარდათ სკოლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები - დაწყებით კლასებსა და მომდევნო ეტაპზე ცოდნის მზარდ მოცულობას ვერ დაძლევენ. სიძნელეებს დროულად უნდა შევებრძოლოდ, თორემ შემდგომში ძნელი დასაძლევი გახდება და ბავშვი სასწავლო პრაქტიკიდან ამოვარდება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარუმატებლობის მიზეზებში დროულად და სწორად გარკვევაა აუცილებელი, რათა ბავშვს შესაძლებლობის მიხედვით გავუწიოთ ქმედითი დახმარება, რაც მის შედეგებზე უთუოდ დადებითად აისახება.

სწორედ ინკლუზიური განათლება გვაძლევს შესაძლებელობას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და მოხდეს მათი სოციალური ინტეგრაცია.

საქართველოში ინკლუზიური განათლების საკითხები 2005 წლიდან რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

1. საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ (2001 წ. მუხლები 17–18);

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (2006 წ. მუხლი 20)
3. საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ (2015 წ. მუხლი 23).

**„ინკლუზია“** ინგლისური სიტყვაა და მისი პირდაპირი თარგმანი ქართულად ,,ჩართვას" ნიშნავს. ეს ცნება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების უფლების დაცვის საკითხებს დაუკავშირდა. დღეისთვის ინკლუზიამ ბევრად ფართო მნიშვნელობა შეიძინა და იგი ასახავს იმ მიდგომებსა და საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს, რომლებიც ეფუძნება შემდეგ ჰუმანისტურ ფასეულობებს: მიმღებლობა, თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა. ამასთან ერთად იგი განხორციელების კონკრეტულ მექანიზმებს გვთავაზობს.

მეცნიერული კვლევით დადგინდა, რომ 2008 წლიდან სხვადასხვა ქართულ პოპულაციაში საუბარია იმაზე, თუ რა არის ინკლუზიური განათლება. მისი ფორმულირება ასეა ჩამოყალიბებული: „ინკლუზიური განათლების მოდელი ეფუძნება რწმენას, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს განათლება და თავის თანატოლებთან საკუთარი პოტენციალი მაქსიმალურად გამოავლინოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ყველა მოსწავლე სრულად მონაწილეობს საკლასო და სასკოლო აქტივობებში, ურთიერთანამშრომლობით, მასწავლებლისა და სპეციალისტის დახმარებით“ (გაგოშიძე . . . 2008:28). ინკლუზიური განათლების მასწავლებლის გზამკვლევში ვკითხულობთ: „ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის **ჩართვას** სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და/ან სირთულეებისა სწავლის პროცესში“ (ლაღაძე . . . 2009:10). ეს ცნება შემდგომ წლებში ცოტა შეიცვალა: „ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად, მისი მიზანია, ყველა ბავშვს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს“ (პაჭკორია . . . 2011:5). წიგნში ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები, ეს განმარტება კიდევ უფრო დაიხვეწა: **„ინკლუზიური განათლება (Inclusive education)** არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს **ყველა** ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ“ (ინკლუზიური . . . 2011:15). წლების განმავლობაში ინკლუზიურ განათლებაში მდიდარი გამოცდილება გროვდებოდა, რამაც კიდევ უფრო სრულყო ცნების განმარტება: „დღესდღეობით ინკლუზიური განათლება

გულისხმობს ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ განათლებას, როდესაც ყველა მოსწავლე ჩართულია სასწავლო პროცესში და აქვს თვითრეალიზაციის საშუალება, მთავარი პრინციპი - რომელიც სასწავლო პროცესს ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის, არის ინდივიდზე ფოკუსირებული და დიფერენცირებულ ინტსრუქციებზე აგებული მიდგომები - გარემო მხოლოდ ამ შემთხვევაშია ინკლუზიური“ (ბაგრატიონი . . . 2014:4). კვლევებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ცნებები ძირითადად უკავშირდება სასკოლო ინკლუზიურ განათლებას. სკოლამდელ დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი ინფორმაცია მოვიპოვეთ. ეს თემის აქტუალობას კიდევ უფრო ზრდის: „ინკლუზიური განათლება საგანმანათლებლო სივრცეში ყველა ბავშვის თანამონაწილეობას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიური განათლება შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებთან ასოცირდება, იგი ასევე მოიცავს ბავშვებს, რომელთაც ეზღუდებათ თავისი ქვეყნის ან თემის ტიპიური საგანმანათლებლო შესაძლებლობები. ესენია, ბავშვები ისეთი მოწყვლადი ჯგუფებიდან, როგორიცაა სიღარიბე, ენობრივი ან ეთნიკური უმცირესობა, რელიგიური უმცირესობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქრონიკული პრობლემები, ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობლების შვილები“ (დოლიძე . . . 2015:186).

დისერტაციაზე მუშაობისას ჩვენი დასაყრდენი იყო საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. მასში ინკლუზიური განათლება ასეა განმარტებული: „ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვების ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა“ (საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 2016:2).

ინკლუზიური განათლების მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის განათლებასა და განვითარებაზე სრული ხელმისაწვდომობისა და სოციალური ინტეგრაციის გარემოს შექმნა. ინკლუზიური განათლების გამოცდილების მქონე ქვეყნებში (ნორვეგია, გერმანია, ფინეთი, დანია, ამერიკის შეერთებული შტატები) ჩატარებული კვლევების მიხედვით, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული საბავშვო ბაღის გარემო მათ განვითარებისა და სხვადასხვა სფეროში წარმატების მიღწევის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, ასეთ გარემოს ინკლუზიური განათლების ხარისხიან დაგეგმვა-განხორციელებაში განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ინკლუზიური განათლების დროს საჭირო ხდება აღსაზრდელის ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის ცვლილება (მოდიფიკაცია). ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის გამარტივება. ამ შემთხვევაში აღმზრდელი ან სპეციალური განათლების პედაგოგი ამარტივებს საგანმანათლებლო პროგრამას და შესაბამის დავალებებს: შემცირებულია დავალებათა რაოდენობა, გამარტივებული და დაკონკრეტებულია სავარჯიშოთა პირობები. აღმზრდელი და/ან სპეციალური პედაგოგი მიმართავს დამატებით სასწავლო მეთოდებს და პროგრამის მი-საწვდომობის უზრუნველყოფისთვის იყენებს თვალსაჩინო მასალას. ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი წარმმართველია ინდივიდუალიზაცია. „ინდივიდუალი-ზაცია ეს არის ადრეული განათლების სპეციალისტის, ბაღის აღმზრდელის ბუნებრივი კონცეფცია, რადგან არცერთი ბავშვის განვითარება, და ერთი ბავშვის არცერთი სფერო არ არის თანაბრად განვითარებადი - ყველას აქვს რაღაც ძლიერი მხარე და ნიჭი, რაზეც შეიძლება დაეყრდნო და შედარებით სუსტი მხარეები" (დოლიძე . . . 2015:190).

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება უზრუნ-ველყოფს ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით ბავშვის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვას; სხვადასხვა მახასიათებლების მიუხედავად, სკოლამდელი დაწესებულება ვალდებულია, გააგრძელოს ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვისთვის განათლების მიწოდება თუ, ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებიდან გამომდინარე, ასაკის მიუხედავად ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა, რის შესახებაც, აღმზრდელ-პედაგოგებთან და შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. აქედან კიდევ უფრო ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდია სკოლამდელი განათლების როლი.

2015 წლისთვის ბათუმის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღზრდა-განვითარებას 7 111 ბავშვი იღებდა, მათ შორის 69 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ხოლო აჭარაში 11 914 ბავშვი, რომელთაგან 118 შშმ იყო. სკოლამდელი დაწესებულების უმეტესობა ნაწილობრივ, მცირე ნაწილი კი საერთოდ არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე. სრულად ადაპტირებული მხოლოდ რამდენიმე ბაღია. კერძოდ, ბათუმის 30 საჯარო ბაღიდან ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია 18.

ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლამდე ბაღების თითქმის 60 საერთოდ არ ადგენდა ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზდელო გეგმას. ისინი შემოიფარგლებოდნენ დამხმარე სპეციალისტების (ლოგეპედი და ფსიქოლოგი) დამატებითი მუშაობით, რასაც, რა თქმა უნდა, სასურველი შედეგი არ მოჰქონდა. დანარჩენ ბაღებში, გარკვეული ფორმებით ხდებოდა ასეთი ბავშვების სასწავლო-

საალმზრდელო პროცესში ჩართვა. ჩვენს მიერ შედგენილი და განხორციელებული ინდივიდუალური სასწავლო-საალმზრდელო გეგმები საჯარო ბაღებს საშუალებას მისცემს, ინკლუზიურ განათლებაში უფრო აქტიურად ჩაერთონ.

მეცნიერები დიდი ინტერესით სწავლობენ, თუ რა გავლენას ახდენს სისტემატიური მიდგომა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სკოლამდელი ასაკის ბავშვების შემეცნებით პროცესებზე და განვითარების სფეროებზე. თემის აქტუალობას განაპირობებს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულობის აუცილებლობა, რათა უზრუნველვყოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური განვითარება, მით უმეტეს, რომ ინკლუზიურ განათლებას საქართველოში არც ისე დიდი წარსული აქვს.

მშობლებისგან განსხვავებით, ფსიქოლოგები და ექსპერტები ბავშვის შეფერხებას მრავალი ფაქტორით ხსნიან. კერძოდ:

- სოციალური ფაქტორი, რაც გულისხმობს ბავშვის უცხო გარემოში ადაპტაციის უნარს. მას ისევე უნდა შეეძლოს უცხო გარემოში ინტერაქცია, როგორც საკუთარ მშობლებთან.
- ფსიქო-ემოციური ფაქტორი. - იგი რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. 1. განსხვავება „უნდასა“ და „მინდას“ შორის, ანუ უნდა შეეძლოს ვალდებულებებისა და სურვილების ერთმანეთისაგან განსხვავება; 2. ინტერაქციული თამაში - ბავშვს უნდა შეეძლოს ჯგუფთან ერთად თამაში და სხვებისთვის სათამაშოებისა და თავისი ნივთების გაზიარება; 3. თავისი და სხვისი ემოციის გაგება. რადგან ბავშვი ჯგუფის წევრია, განწყობების არა მხოლოდ ვერბალურად, ემოციურად გაგებაც უნდა შეეძლოს;
- ნატიფი მოტორიკა. უნდა განუვითარდეს თვალისა და ხელის კოორდინაცია, თითების სწრაფი და მოქნილი მოძრაობა.
- ინტელექტუალური განვითარება. აქ ერთიანდება შემდეგი უნარები: აზროვნება, მეხსიერება, მიმართებების დამყარება, ახალ სიტუაციებში პრობლემის გადაწყვეტის უნარი.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების აუცილებლობის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, აღნიშნული საკითხი ჩვენთან სათანადოდ მოგვარებული დღესაც არ არის. ეს იმაში გამოიხატება, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში არ ხდება აღსაზრდელების სათანადო შესწავლა, მათზე სისტემატიური დაკვირვება და ინფორმაციის შეგროვება, მათი უნარების შეფასება. უამისოდ ძნელია სასწავლო-საალმზრდელო პროგრამაში მათი საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებების შეტანა, ბავშვის განვითარებასა და სასკოლოდ მზაობაზე ხელშეწყობა. რაც მთავარია, მშობლები არ არიან სრულად ინფორმირებულები, რაც, ხშირ შემთხვევაში, ხელს უშლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვას.

**კვლევის მიზანი:** სკოლამდელ დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მდგომარეობის შესწავლა, მისი ეფექტურად განხორციელების მეთოდური გზების, საშუალებების შემუშავება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელება.

**კვლევის ამოცანები:**

1. ბათუმსა და, საერთოდ, აჭარაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების არსებული მდგომარეობის შესწავლა;
2. იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად ხდება სკოლამდელი ასაკის ბავშვის შეფერხების შესწავლა, მათზე დაკვირვება და საჭირო მონაცემების შეგროვება;
3. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში შშმ ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გამოვლენა;
4. ბავშვის საჭიროებების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის მოდიფიცირება;
5. ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება

**კვლევის ობიექტი:** აჭარის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები.

**კვლევის საგანი:** სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში სკოლამდელი ასაკის ბავშვების უნარ-ჩვევების შესწავლა და საჭიროებების დადგენა. იმ პედაგოგიური ხერხებისა და მეთოდების გამოვლენა, რომლებიც ბავშვის გარკვეული შეფერხების დროულად გამოსწორებაში დაგვეხმარება.

**კვლევის ჰიპოთეზა:** თუ ერთიანი ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და მეთოდური ხერხების შეჯერებით შედგენილი ინდივიდუალური განმავითარებელი პროგრამა აღსაზრდელის არსებულ შეფერხებებს შეამსუბუქებს, გააუმჯობესებს ბავშვის განვითარებასა და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, მაშინ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განვითარების დაწესებულებებში გაიზარდოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინკლუზიურ განათლებაში ჩართვის მაჩვენებელი.

**კვლევის მეთოდები:**

- საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის/წყაროების ანალიზი;
- საბავშვო ბაგა-ბაღების სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების ანალიზი;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვების შეფასება - განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დღეს მოქმედი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმის გამოყენებით;
- აქტივობებზე დაკვირვება (სსსმ ბავშვის აქტივობაში ჩართვის მიზნით);

- ჩაღრმავებული ინერტვიუ აღმზრდელებთან და მშობლებთან;
- ინტერნეტრესურსების მოძიება, დახარისხება და გამოყენება;

**კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა; ქ. ბათუმის საჯარო ბაღების ბიბლიოთეკები; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა; ინტერნეტრესურსები; სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მასალები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე:** საქართველოში პირველად მუშავდება მეცნიერული მიდგომა სკოლამდელი ასაკის ბავშვის შეფერხების გამოვლენისა და მისი დროული გამოსწორებისათვის საჭირო განმავითარებელი პროგრამის შედგენაზე.

ჩვენს მიერ თეორიულად და ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და განვითარების დაწესებულებებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ბავშვების განვითარებაში შეფერხებების დროულ გამოვლენას და მათთვის ისეთი გეგმის შედგენას, რომელიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სათანადოდ განვითარებას და სწავლის შედგომ საფეხურზე პრობლემებს შეამცირებს.

ნაშრომში ნაჩვენებია პედაგოგიური მიდგომები (მეთოდები, სტრატეგიები და საშუალებები), რომლებიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეფერხების გამოსწორებას; მოძიებულია ინდივიდუალური მიდგომის გზები და საშუალებები, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს სხვადასხვა უნარების ათვისებასა და, ზოგადად, შემეცნებითი უნარების განვითარებაში დაეხმარება.

**კვლევის თეორიული ღირებულება:** ნაშრომში მიმოხილულია ადრეული და სკოლამდელი ასაკის სწავლისა და განვითარების დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, მეთოდური ლიტერატურა და აუცილებელი ნორმატიული აქტები, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის ახლებურად გააზრებას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. კარგად არის გააზრებული მის განხორციელებაში შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომლების როლი. სისტემაშია მოყვანილი ინკლუზიური განათლების ადრეული დაგეგმვა-განხორციელების გზები და მეთოდები.

**კვლევის პრაქტიკული ღირებულება:**

- კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინდივი-დუალური თავისებურებების გამოვლენას და მათი გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას;

- ადრეული და სკოლამდელი ასაკის სწავლისა და განვითარების დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის პროცესში დაინერგება მთელი რიგი მეთოდური სიახლეები;
- კვლევის შედეგები გამოიყენება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფერხების გამოსავლენად, საჭიროებების დასადგენად და გამოსასწორებელი გზების შესა-მუშავებლად, რაც ბავშვის განვითარებას შეუწყობს ხელს;
- ცხრილების, დიაგრამების, დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით წარმო-დგენილი კვლევის შედეგები ზრდის მათი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს;
- კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;
- ნაშრომში წარმოდგენილი მასალები დაეხმარება, აგრეთვე, უმაღლესი სასწავ-ლებლების განათლების ფაკულტეტის სტუდენტებს (მომავალ მასწავლებლებს), მშობლებს და, საერთოდ, სკოლამდელი განათლების სფეროთი დაინტერესებულ პირებს.

**აპრობაცია:** დისერტაცია მომზადდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე. დასრულებული ნაშრომის საბოლოო განხილვა მოხდა პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სხდომაზე (2017 წლის 19 ივლისი). დისერტაციაში განხილულ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე (სულ 4 მოხსენება), საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების სახით გამოქვეყნებულია 9 ნაშრომი.

**ნაშრომის სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის (12 პარაგრაფის), დასკვნებისა და რეკომენდაციების, ბიბლიოგრაფიისა და და-ნართებისგან.

შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდები, ნაშრომის მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულებები.

# თავი I: ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში

## §1.1 ინკლუზიური განათლების არსი, ღირებულებები, მიზანი, პრინციპები, საკანონმდებლო ბაზა

ბოლო ხანებში საქართველოში ფართოდ გავრცელდა ინკლუზიური განათლების იდეა, რასაც განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა შეუწყო ხელი. საგანმანათლებლო რეფორმების ამოსავალი წერტილი ბავშვი და მისი მოთხოვნილებებია. შესაბამისად, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი ისე იგეგმება, რომ განსხვავებული შესაძლებლობებისა და უნარების მქონე ბავშვთა საჭიროებები დააკმაყოფილოს. შემუშავდა შესაბამისი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს რეგიონებში უკვე ხორციელდება. საგრძნობი პროგრესია მიღწეული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მიმართებით - გაიზარდა როგორც სკოლამდელი, ასევე დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების ხელმისაწვდომობა.

ცნება ,,ინკლუზია", განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების უფლების დაცვის კონტექსტში, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. დღეისთვის ინკლუზიამ ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და იგი ასახავს იმ მიდგომებსა და საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს, რომლებიც ეფუძნება ჰუმანისტურ ფასეულობებს - მიმღებლობას, თანასწორუფლებიანობას და სამართლიანობას და, ამასთან ერთად, განხორციელების კონკრეტულ მექანიზმებს გვთავაზობს.

ინკლუზია, როგორც მოდელი, გულისხმობს:

- ბავშვები, მოზარდები და მოზრდილები განსაკუთრებული საჭიროებებით და განსაკუთრებული საჭიროებების გარეშე განიხილება თანასწორუფლებიანობის სიბრტყეში.
- ერთად თამაშის, სწავლის, მუშაობის და ცხოვრებისეულ სიტუაციებს.
- პროფესიულ დახმარებას – პედაგოგიური, ფსიქოლოგიური... დახმარების და მხარდაჭერის გარე სისტემებს.

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარი ფართო აღიარება მარტო თეორიულ საფუძველს არ ემყარება, მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით - საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში.

ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით.

სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება შეექმნათ ნიჭიერსაც და ქუჩის და მომუშავე ბავშვებსაც, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებსაც. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებაა, ყველა ბავშვს მისცეს თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა (პაჭკორია . . . 2011:5). ეს ხაზს უსვამს ინკლუზიური განათლების იდეის და ღირებულებების დანერგვის მნიშვნელობას.

**ინკლუზიური განათლების ძირითადი ღირებულებებია:**

- ბავშვების სოციალური ინტეგრაცია;
- თანადგომისა და ურთიერთდახმარების გარემოს შექმნა;
- განსხვავებულობის აღიარება და პატივისცემა;
- ყურადღების გამახვილება არა შეზღუდვასა და სისუსტეებზე, არამედ ძლიერ მხარეებზე;
- ყველა ბავშვისთვის ეფექტიანი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო პირობების შექმნა;
- ბავშვებში თანასწორობის სოციალური ღირებულების დანერგვა (აფთარაშვილი . . . 2011:64).

ინკლუზიური განათლება გულისხმობს, საგანმანათლებლო პროცესში, თანატოლებთან ერთად, ყველა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ჩართვას.

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას სკოლამდელ თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ (ინკლუზიური განათლება 2011:64).

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს, თანატოლებთან ერთად, განვითარების, სწავლისა და სათანადო განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა მისცეს. დღეისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ ყველაზე სრულ საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ანსამბლეის მიერ 2006 წლის 13 დეკემბერს მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია''; ამ კონვენციის 24-ე მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ საცხოვრებელ ადგილზე და სხვებთან თანასწორ პირობებში, მიუწვდებოდეთ ხელი ინკლუზიურ, ხარისხიან და უფასო

განათლებაზე“ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია 2006:18).

ინკლუზიის იდეა ეფუძნება რწმენას, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს განათლება და თანატოლებთან მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი, განურჩევლად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ტრადიციულ სტანდარტებს. ამავე დროს ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ბავშვის უბრალოდ ჯგუფში მოთავსება და თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარება, სოციალური ინტეგრაციის, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, აქტიური თანამონაწილეობის გარეშე არ წარმოადგენს ინკლუზიის არსს და მეტად საეჭვოა, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელისა და ჯგუფის სხვა წევრებისთვის ეს შედეგიანი იყოს. ინკლუზიური განათლების მოდელის მიხედვით განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი ჯგუფის სრულუფლებიანი წევრია. აღმზრდელი ვალდებულია, მშობელთან და ბაღის პერსონალთან თანამშრომლობის (ადმინისტრაცია, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, აღმზრდელის თანაშემწე და ა.შ.) საფუძველზე, სწავლა-აღზრდის პროცესში გაითვალისწინოს თითოეული ბავშვის მოთხოვნილებები და საჭიროებები.

ინკლუზიური განათლება მოითხოვს აღმზრდელების, ბაღის ადმინისტრაციის და ინკლუზიური განათლების კოორდინატორის დაუღალავ შრომას, რათა გააძლიეროს და განავითაროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მისი განვითარების პროცესი, დაეხმაროს სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, აღსაზრდელი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოამზადოს და აქტიურად შეუწყოს ხელი საზოგადოების სრულფასოვან წევრად მის ჩამოყალიბებას.

განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საჭიროების მქონე ბავშვების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობასა და მათ ინდივიდუალობას. ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება, ერთის მხრივ, არაპროფესიონალური მიდგომაა, მეორე მხრივ კი ყველა მოსწავლის ერთნაირ სასწავლო შედეგს არ უზრუნველყოფს. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში ყველა აღსაზრდელს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა ეძლევა. სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში აღწევენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები პროგრესს განათლებასა და სოციალურ ინტეგრაციაში (პაჭკორია . . . 2011:5-6).

**ინკლუზიური განათლების პრინციპებია:**

- ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა.

- ბავშვები ყველაზე უკეთ აღიქვამენ, შეისწავლიან და იმახსოვრებენ მაშინ, როდესაც თანატოლებთან ერთად არიან ჩართული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.
- განვითარების პროგრესი დამოკიდებულია ბავშვის ძლიერი მხარეების გამოყე-ნებაზე და არა აღქმული დეფიციტების ხაზგასმაზე.
- ბავშვებს აქვთ უფლება, ჩაერთონ საზოგადოების და ქვეყნის ჩვეულ ცხოვრებაში (მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის - ინკლუზიური განათლება. 2014:5).

**განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ დაწესებულებებში.** ინკლუზიური განათლება, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საგანმანათლებლო სივრცეში ყველა ბავშვის თანამონაწილეობას ნიშნავს. გარდა იმისა, რომ ინკლუზიური განათლება შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებთან ასოცირდება, იგი მოიცავს აგრეთვე ბავშვებს, რომელთაც ეზღუდებათ თავისი ქვეყნის ან თემის ტიპიური საგანმანათლებლო შესაძლებლობები. ესენი არიან ბავშვები ისეთი მოწყვლადი ჯგუფებიდან, როგორიცაა სიღარიბე, ენობრივი, ეთნიკური, რელიგიური უმცირესობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქრონიკული პრობლემები, ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობლების შვილები. ის, თუ ვინ გაერთიანდება სპეციალურ სამიზნე ჯგუფებში, ქვეყანაზე, კულტურასა და ცალკეულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

ზოგადად, მშვიდობიანი, სამართლიანი და კარგად ფუნქციონირებადი საზო-გადოება რომ ჩამოყალიბდეს, განათლებაზე ხელი ყველა ბავშვს უნდა მიუწვდებოდეს. რაც განაპირობებს მათი სრული პოტენციის ამუშავებას და ამოქმედებას. ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად ყველა ბავშვის მთავარი უფლება განათლებაა. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები მზად არიან, ხელი შეუწყონ ბავშვების განათლებას და განვითარებას. ინკლუზია გარანტიაა იმისა, რომ ყველას კონტრიბუცია და თანამონაწილეობა აღიარებული და წახალისებულია.

სკოლამდელ დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების **გადამწყვეტი ფაქტორებია** (დოლიძე . . . 2015:184):

- **უნივერსალური დიზაინის კონცეფცია, როგორც ინკლუზიური განათლების საფუძველი**
- **საბავშვო ბაგა-ბაღის დიზაინი.** გარემო (იგულისხმება როგორც შიგა, ისე გარე სივრცე), სადაც გათვალისწინებულია ხელმისაწვდომობის ყველა საკითხი, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური.
- **მასალების მრავალფეროვნება.** მასალები ისეა შერჩეული, რომ ბავშვებმა შეძლონ მათი თავისუფლად გამოყენება. გათვალისწინებულია ზომა, ფორმა და ფერი.

- ინკლუზიური გარემოსთვის ასევე არსებითია, თუ რამდენად **ღია, მიმღებლურ და კეთილმოსურნე გარემოს** ქმნიან აღმზრდელ-პედაგოგები და ადმინისტრაცია ყველა ბავშვისა და მათი მათი ოჯახების წევრებისთვის.
- **აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგი.** სპეცილისტთა ტრენინგი მხარს უნდა უჭერდეს ინკლუზიური განათლების ღირებულებებს, ფილოსოფიას და პრაქტიკას.
- **დამატებითი პერსონალის არსებობა.** აქ იგულისხმება ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეციალური მასწავლებელი და ისიც, თუ როგორ ხდება მათი გამოყენება
- **ინდივიდუალიზაცია, ყველასთან ინდივიდუალური მიდგომა.** აღმზრდელ-პედაგოგები და დამატებითი პერსონალი მხარს უნდა უჭერდნენ თითოეული ბავშვის ძლიერ მხარეებს და საჭიროებებს.
- გარემოს, მასალის, აღჭურვილობის თუ პრაქტიკის **ადაპტაციის** ზუსტი განსა-ზღვრა და თანმიმდევრულად მიყოლა. ასევე ადაპტაციის რეგულარული შეფა-სება.

შევეცდებით, თითოეულ ფაქტორზე უფრო ვრცლად ვისაუბროთ:

**აქტივობების უნივერსალური დიზაინი - კურიკულუმი ყველასათვის.**

უნივერსალური დიზაინი მნიშვნელოვნად უკავშირდება კარგ სკოლამდელ პრაქ-ტიკას, რადგანაც ბავშვის განვითარება ინტეგრირებული პროცესია (ანუ, ამ პერიოდში არცერთი უნარი არ არის მარტო კოგნიტური, სოციალური, ან მოტორული). შესაბამისად, კარგი საგანმანათლებლო აქტივობები ისე უნდა იყოს მოფიქრებული, რომ განვითარების ყველა სფეროსთან იყოს ინტეგრირებული. უნივერსალური დიზაინის თანახმად აღმზრდელ-პედაგოგებს მოეთხოვებათ, გაითვალისწინონ დასწავლის სხვადასხვა სტილი (მაგ., უფრო ადვილად სწავლობს, იმასხსოვრებს და გადაამუშავებს ინფორმაციას ვიზუალურად, სმენით, ტაქტიკურად თუ მოძრაობით და ა.შ.) და მოიფიქრონ აქტივობები, სადაც ყველა ეს სტრატეგია ბავშვის საჭიროების მიხედვით იქნება გამოყენებული. უნივერსალური დიზაინით მუშაობისას აღმზრდელ-პედაგოგი არ იყენებს მხოლოდ ერთ გზას. მაგალითად, კითხვა მხოლოდ წაკითხვას არ გულისხმობს, ის ასევე მოიცავს ნახატების ჩვენებას, საუბარს - თუ რას ფიქრობენ წაკითხულზე, შეიძლება რომელიმე სცენის გათამაშებაც და წაკითხულის დახატვაც. უნივერსალური დიზაინი აღმზრდელ-პედაგოგს ავალდებულებს, იფიქროს იმაზე, თუ რამდენადაა მასალები ხელმისაწვდომი ყველასთვის, კერძოდ ოთახის დიზაინი, მეთოდები და ა.შ. ასევე, მთელი კურიკულუმი.

**სივრცის უნივერსალური დიზაინი.** ინკლუზიური განათლების ეფექტური სივრცე გულისხმობს უსაფრთხო მოძრაობისთვის საკმარის სივრცეს, როდესაც თვალსაჩინოა ფიზიკური საჭიროებებისათვის გარკვეული მოტორული შეზღუდვები. სივრცე უნდა იძლეოდეს ეტლით გადაადგილების, მობრუნების, მოძრაობის და ოთახის ყველა კუთხეში მისვლის შესაძლებლობას. ვიწრო

გასასვლელის ან არასაკმარისი სივრცის გამო ბავშვს არ უნდა ეზღუდებოდეს ცენტრებში მისვლა. მხედველობის დეფიციტის შემთხვევაში ეფექტური სივრცე მაღალი კონტრასტის მკაფიო მაჩვენებლებს ითვალისწინებს, ანუ, სივრცე, კიბეები, გადასასვლელები უნდა მოინიშნოს მკაფიო კონტრასტის ადვილად აღქმადი მაჩვენებლებით. ეფექტური სივრცე ასევე გულისხმობს აკუსტიკური, სმენითი საკითხების გათვალისწინებასაც, რაც მნიშვნელოვანია სმენითი დარღვევის დროს. სივრცის უნივერსალურ დიზაინში მოიაზრება აგრეთვე ავეჯის და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობაც.

**მასალა.** მასალების უნივერსალური დიზაინი გულისხმობს მათ მრავალ-ფეროვნებასა და ხელმისაწვდომობას. მასალა უნდა იყოს სხვადასხვა ზომისა და ფორმის, მკვეთრი და კონტრასტული ფერების, რათა ვიზუალურადაც ადვილი ხელმისაწვდომი იყოს. მასალების უნივერსალური დიზაინი მათ ტაქტილურ (შეხებით) მინიშნებებსაც გულისხმობს.

**სოციალური გარემოს უზრუნველყოფა.** სოციალური გარემო ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია. განსხვავებულობის აღიარება და მისი მიმღებლობა, პოზიტიური ემოციური კლიმატის შექმნა ინკლუზიური განათლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

აღმზრდელ-პედაგოგებისთვის ეს პროცესი  საკუთარი დამოკიდებულებების გააზრებას, გაცნობიერებას გულისხმობს, რათა აქტივობებზე ყველა ბავშვის შესაძლებლობები გარანტირებულად იყოს გათვალისწინებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია დედისა და ოჯახის წევრებისთვის. ისინი დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ბავშვებს, რომლებიც  კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ, შესაძლებლობა ექნებათ, სხვადასხვა თემისა თუ აქტივობის დროს, გამოხატონ თავიანთი თავი, პატივი სცენ საკუთარ ტრადიციებს.

მრავალფეროვანი ტრადიციების და მიდრეკილებების მიმართ აღმზრდელ-პედაგოგის ღია და კეთილმოსურნე დამოკიდებულება კარგი საფუძველია მშობლებთან თანამშრომლობისა, ბავშვებს კი სხვა ადამიანის მიმართ პატივისცემის გრძნობას უნერგავს. ამით ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოიყენონ და ისწავლონ სხვისი კულტურა, გაიგონ სხვისი ენა. ზოგადად სააღმზრდელო და სასწავლო გარემო იმას მიგვანიშნებს, რომ აქ ყველას პატივს სცემენ და ბავშვებს კითხვების ღიად დასმის და კვლევის საშუალება ეძლევათ.

კეთილმოსურნე გარემო მნიშვნელოვან  პირობას ქმნის იმისათვის, რომ ოჯახებმა შვილებთან მიმართებაში  თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გააზიარონ. **მშობლებთან და ოჯახებთან თანამშრომლობა ადრეული საგანმანათლებლო პრაქტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ინდიკატორია.**

**პერსონალური დახმარება.** ზოგიერთ სიტუაციაში, შეიძლება, საჭირო გახდეს დამატებითი დახმარების გამოყენება. მაგალითად, კვების ან ტუალეტის დროს. ინკლუზია გულისხმობს, რომ ბავშვი იღებს დახმარებას იმ დროს, როცა ეს საჭიროა

და იგი არ არის მხოლოდ „ამ ბავშვისთვის“. პერსონალური დახმარება ფრთხილად უნდა ხდებოდეს და თანდათანობით მცირდებოდეს, როგორც კი ეს უნარი დაიწყებს გაუმჯობესებას. პერსონალური დახმარება შეიძლება გამოვიყენოთ ენობრივი და კულტურული თვალსაზრისითაც.

**ინდივიდუალური მიდგომა.** ინდივიდუალიზაცია არის ადრეული განათლების სპეციალისტის, ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის ბუნებრივი კონცეფცია, რადგანაც არც ერთი ბავშვის განვითარება და მისი არცერთი სფერო არ არის თანაბრად განვითარებადი - ყველას აქვს რაღაც ძლიერი მხარე და ნიჭი, რასაც შეიძლება დაეყრდნო. ასევე არც შედარებით სუსტი მხარეები უნდა გამოგვრჩეს.

ინდივიდუალიზაცია მოიცავს როგორც ნებისმიერი სახის ადაპტაციას და ტექნოლოგიების დახმარებას, ასევე ბავშვის საჭიროებებზე სასწავლო-სააღმზრდელო სტრატეგიების მორგებასაც. ეს იმის იდენტიფიცირებასაც გულისხმობს, თუ რომელი სპეციალისტის დახმარებაა საჭირო და იგი როგორ იქნება უზრუნველყოფილი. ამ პროცესებში მთელი გუნდი უნდა იყოს ჩართული, მათ შორის მშობელიც. არსებითია, თუ როგორ განხორციელდება ეს ჩვეულებრივ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. მაგ.: ბავშვს განსხვავებული ენა თუ აქვს, ჯგუფში აქტივობების დროს უნდა გავითვალისწინოთ მისი ენა და კულტურა და იგი დაკვირვების სამიზნედ არ ვაქციოთ.

სხვადასხვა სამედიცინო საჭიროების ბავშვებისთვის ინდივიდუალიზაცია შეიძლება გულისხმობდეს პერსონალის მხრიდან იმის ცოდნას, თუ რა აუცილებელი ქცევა უნდა განახორციელონ ჯგუფში, რა არის მთავარი, რასაც უნდა მიაქციონ ყურადღება ბავშვის ჯანმრთელობასთან მიმართებაში, რათა მისი კეთილდღეობა გარანტირებული იყოს.

**ადაპტირების შეფასება.** ყველა ინდივიდუალური ადაპტაცია მოითხოვს რეგულარულ შეფასებას, რადგან ბავშვების საჭიროებები და უნარები ცვლადია. მაგალითად, თუ ბავშვი კომუნიკაციისთვის ბარათების დაფას იყენებს, ეს დაფა შეიძლება საჭიროებდეს განახლებას ან საერთოდ აღარ იყოს საჭირო. თანმიმდევრული დაკვირვება და რეგულარული შეფასება კარგი და წარმატებული ადრეული ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

**საკანონმდებლო აქტები.** მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და აღმასრულებელი სფეროების კონკრეტული ღონისძიებებით.

დღესდღეობით საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკაში აღიარებულია ინკლუზიური განათლების დანერგვის აუცილებლობა. ამას მრავალი დოკუმენტი ადასტურებს, მათ შორის, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2007-2009 წლებისთვის”, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011

წლებისთვის" (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო USAID –ისა და Save the Children–ის მხარდაჭერით; თბილისი, 2008 წ.).

ზემოაღნიშნული დოკუმენტები მკაფიო ვალდებულებას და პასუხისმგებლობას აკისრებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს. მათში ასახული ღონისძიებების მიზანია, უზრუნველყოს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, სამართლიანობა და ინკლუზიურობა. ამ დოკუმენტებში, ასევე, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ქვეყნის განათლების სისტემაში ადრეული ინკლუზიური განათლების დანერგვის მნიშვნელობა და აუცილებლობა (აფრაშვილი 2011:65).

ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების აუცილებლობას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი წესდებაც ითვალისწინებს (თბილისი, მთავრობის 2009 წლის დადგენილება, მუხლი 2. პუნქტი 2.2).

სადღეისოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ ყველაზე სრულ საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2006 წლის 13 დეკემბერს მიღებული "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია".

კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებად ითვლებიან ადამიანები, რომელთა ხანგრძლივმა ფიზიკურმა, მენტალურმა, ინტელექტუალურმა და სენსორულმა დარღვევებმა, დამატებით ბარიერებთან ურთიერთქმედებაში, შესაძლოა, შეაფერხოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობა.

კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა. საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს შორის არ შეიძლება არ შევეხოთ სალამანკას დეკლარაციას, რომელიც შემუშავდა 1994 წლის 7-10 ივნისს სალამანკაში (ესპანეთი). ამ კონფერენციაზე 92 ქვეყნის მთავრობისა და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის 300-მა წარმომადგენელმა მიიღო *განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების სწავლების პრინციპების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ* განცხადება და ე. წ. სამოქმედო გეგმა.

სალამანკას განცხადებაში ნათქვამია:

- ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება;
- ყველა ბავშვს აქვს უნიკალური თვისებები, ინტერესები, უნარები და სწავლების საჭიროებები;
- საგანმანათლებლო სისტემამ მხედველობაში უნდა მიიღოს ეს მრავალფეროვანი თვისებები და საჭიროებები;

- სპეციალური განათლების საჭიროების მქონე ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საგან-მანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების საშუალება;
- ინკლუზიური კულტურის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებები დისკრიმინაციულ განწყობებთან და ბავშვების სეგრეგაციასთან (იზოლაციიასთან, განცალკევებასთან) ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა (გაგოშიძე . . . 2008:16).

სალამანკას კონფერენციაზე შემუშავებული პრინციპების საფუძველზე: „ინკლუზიურმა სასწავლო დაწესებულებებმა უნდა შეძლონ ბავშვთა განსხვავებული საჭიროებების იდენტიფიკაცია, გამოიყენონ სწავლების განსხვავებული სტილი და ტემპი. ადეკვატური სასწავლო პროგრამების, ორგანიზაციული ღონისძიებების, სასწავლო სტრატეგიებისა და რესურსების გამოყენებით ყველასათვის ხარისხიანი განათლება უზრუნველყონ. ეს ხელს შეუწყობს მისაწვდომობის პრინციპის განხორციელებას, მნიშვნელოვნად გაზრდის სწავლის ეფექტურობას" (სალამანკას დეკლარაცია, იუნესკო, 1994).

სალამანკას სხვადასხვა ქვეყნის მთავრობას მიმართავს განცხადებით. პრიორიტეტად აღიარონ განათლების სისტემის ინკლუზიურობის პრინციპი. ჩვენი მთავრობა ამ მიმართვას 2005 წლიდან შეუერთდა, შემუშავდა ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისი კანონმდებლობა და საგანმანათლებლო პოლიტიკა. ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა რაიონის საჯარო სკოლებში ხორციელდება ინკლუზიური განათლება და მათ უერთდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები. ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულება (განსაკუთრებით დიდ ქალაქებში) უკვე ჩაერთო სწავლების ამ სისტემაში, მათ უკვე ჰყავთ ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი და ინკლუზიური განათლების კოორდინატორები. გადამზადდნენ აღმზრდელები, მეთოდისტები, შესაბამისად, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს უდგენენ ადეკვატური ინდივიდუალური განვითარების პროგრამებს და საკმაო შედეგებსაც აღწევენ. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ დღეს ბევრი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება ცდილობს მათ რიგებს შეუერთდეს.

## § 1.2 ინკლუზიური განათლების საჭიროებები, ფორმები და ხელშემწყობი გარემო

ვიდრე ინკლუზიური განათლების ფორმებზე ვისაუბრებდეთ, ჯერ შევჩერდეთ აუცილებლობებზე; კერძოდ, ვის სჭირდება ინკლუზიური განათლება, გავარკვიოთ რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობა, როგორ ხდება სტატუსის მინიჭება და რა იგულისხმება განსაკუთრებულ საჭიროებაში. ხშირ შემთხვევაში ძალიან ბევრ ბავშვს აღენიშნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა, რაც ორგანიზმის ამა თუ სისტემის დაზიანებით არის გამოწვეული და ამა თუ იმ სფეროში აქვეითებს ადამიანის ნორმალურ ფუნქციონირებას. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას მისი სამედიცინო დიაგნოზი ასახავს. არის შემთხვევა, როდესაც პათოლოგია ქრონიკულად მიმდინარეობს.

სამედიცინო დიაგნოზი ავტომატურად არ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს. ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული დიაგნოზის მქონე ბავშვები (მაგალითად, ეპილეფსია და სხვა) საკმაოდ კარგად არიან ადაპტირებულნი როგორც სასწავლო გარემოში, ასევე სოციუმში. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 18 წლამდე ასაკის პირთათვის, ,,შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის“ კატეგორიის მინიჭების შესახებ დასკვნა, დადგენილი წესით, გამოაქვს შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ატარებს სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზას (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N62/ნ, 17.03. 2003 წ.)

საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციით შეზღუდული შესაძლებლობა არის დაზიანების/დარღვევის შედეგად გამოწვეული უნარის დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა - ფიზიკურ ან ფსიქიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე.

საგულისხმოა, რომ ორი ერთნაირი დაზიანების და/ან სამედიცინო დიაგნოზის მქონე ბავშვს, შესაძლებელია, განსხვავებული შეზღუდვები ჰქონდეს და თავისი ასაკისთვის დამახასიათებელ ყოველდღიურ საქმიანობებს განსხვავებულად უმკლავდებოდეს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის მინიჭება რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი შესაბამისი პროფესიონალების ჩართვით ხორციელდება და, ერთის მხრივ, ბავშვის სამედიცინო დიაგნოზს, ხოლო მეორეს მხრივ, მისი ფუნქციონირების დონის დეტალურ ანალიზს ეფუძნება (პაჭკორია . . . 2011:7).

შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებად ითვლებიან ბავშვები, რომელთაც ასაკის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისას მნიშვნელოვანი სირთულეები ექმნებათ და ამ პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას საჭიროებენ.

ტერმინის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, განმარტებისას გამოყოფენ ბავშვების შემდეგ ძირითად კატეგორიებს:

- გონებრივი განვითარების დარღვევა;
- მეტყველების განვითარების დარღვევა;

- მხედველობის დაზიანება/სიბრმავე;
- ორთოპედიული დაზიანებები;
- ემოციური დარღვევები;
- აუტიზმი;
- თავის ტვინის დაზიანება;
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.

მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 10% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, ანუ მსოფლიოში 650 მილიონზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ცხოვრობს. მეცნიერები დღემდე ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რა ტერმინი უნდა იქნას გამოყენებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ და როგორი შეიძლება იყოს ამ ტერმინების განმარტება. ის, თუ როგორ გვესმის ჩვენ შეზღუდული შესაძლებლობა, ჩვენს ლექსიკაზეც ახდენს გავლენას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩვენს დამოკიდებულებაზეც.

ამრიგად, როდესაც გვესმის გამოთქმა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, ხშირად ვფიქრობთ აშკარად გამოხატულ ფორმაზე - მოძრაობის შეზღუდულობაზე, რომელიც გადასაადგილებლად მოითხოვს ეტლს ან, შესაძლოა, ვიფიქროთ სმენის ან მხედველობის პრობლემებზე. შეზღუდული შესაძლებლობები შეიძლება იყოს როგორც ხილული, ასევე ძნელად შესამჩნევი და ფარული (კერძოდ, ეპილეფსია, დიაბეტი). პრობლემების თვალსაჩინოების მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორ მთავარ ჯგუფს გამოყოფენ:

- **თვალსაჩინოა შეზღუდვა**, როცა გამოხატული ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი ხელს უშლის ან ზღუდავს ადამიანის ყოველდღიურ აქტივობას, სწავლას, შრომას და სხვ. მასში შედიან მოტორული შეზღუდული შესაძლებლობის პირები, მხედველობის, სმენის პრობლემების, გენეტიკური დარღვევებისა და გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირები.
- **არათვალსაჩინოა შეზღუდვა,** როცა მოქმედებაში ცხადად არ ჩანს ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობა. პრობლემამ შეიძლება თავი იჩინოს მხოლოდ გარკვეულ სიტუაციაში ან განვითარების რომელიმე ეტაპზე. მასში იგულისხმებიან მოტორული განვითარების შეფერხების, სწავლის უნარის დაქვეითების, ქცევის დარღვევების, ემოციური აშლილობების და სხვა პრობლემების მქონე ბავშვები (გაგოშიძე . . . 2008:16).

**არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობის ნიშნები**

**ყურადღების დეფიციტი.** ბავშვს უჭირს ყურადღების ერთ რამეზე კონცენტრირება, დავალების ბოლომდე შესრულება; ვერ ამჩნევს დეტალებს; ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ ისმენს; ერთი აქტივობა დამთავრებული არ აქვს და გადადის მეორეზე; რეაგირებს უმნიშვნელო სტიმულებზე (მაგ: ქუჩაში სიგნალზე); უჭირს ერთი აქტივობიდან მეორეზე ყურადღების მიზანმიმართული გადანაცვლება, ინსტრუქციის შესრულება, სამუშაოს ორგანიზება.

**ჰიპერაქტივობა.** ბავშვი ბევრს მოძრაობს, შფოთავს, წუხს, უმიზეზოდ ამოძრავებს ხელებს და ფეხებს, დაუკითხავად ტოვებს მერხს.

**იმპულსურობა.** მოქმედებს დაუფიქრებლად; არ შეუძლია მოცდა, ჯერის დალოდება; ეჩრება სხვის საუბარში; პასუხს იძლევა კითხვის დამთავრებამდე.

**მოტორული პრობლემები.** არ უყვარს სპორტული თამაშები; მოუხერხებელია; ხშირად ეჯახება ბავშვებსა და საგნებს; იშვიათად დგას გამართული: ეყრდნობა კედელს ან რაიმე სიმაგრეს; გამართულად არ ზის, ხშირად წვება მაგიდაზე ან ცურდება სკამიდან; არ უყვარს ხატვა; მოუხერხებლად უჭირავს ფანქარი; უჭირს ღილების, თასმის შეკვრა.

**ემოციური პრობლემები.** ადვილად ბრაზდება, ხშირად გაღიზიანებულია; აგრესიული და უხეშია თანატოლების მიმართ; მალ-მალე ეცვლება გუნება-განწყობა; ძირითადად მოწყენილია; ხშირად იბუტება.

**სწავლის პრობლემები.** ამორჩევით სწავლობს საგნებს; ამჟღავნებს არათანაბრად განვითარებულ უნარებს;

**კომუნიკაცია.** თავს არიდებს ბავშვებთან ურთიერთობას; გარიყულია; უპირატესობას ანიჭებს მასზე პატარა ან უფროსი ასაკის ბავშვებთან თამაშს; კონფლიქტურია; მისი რეპლიკები ხშირად არაადეკვატურია, არ შეესაბამება სიტუაციას.

**მეტყველება.** თავს არიდებს საუბარს; კითხვებზე იძლევა მოკლე პასუხებს; მისი მეტყველება ძირითადად გაუგებარია; უშვებს გრამატიკულ შეცდომებს; ლაპარაკობს სტერეოტიპული ფრაზებით; აღენიშნება ექოლალიები: იმეორებს სხვის ნათქვამს; უჭირს ორაზროვანი ფრაზების, ხუმრობის, გადატანითი მნიშვნელობის სიტყვების გაგება; უჭირს მოყოლა, ამბის თანმიმდევრული გადმოცემა; ლაპარაკობს ძალიან სწრაფად ან ძალიან ნელა; ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ გისმენს; უჭირს ინსტრუქციის, განსაკუთრებით მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციის გაგება, შესაბამისი შესრულება.

**ფიზიკური პრობლემები.** ხშირად იტკიებს მუცელს, თავს; მალე იღლება; ავადმყოფობს. სუსტად აქვს განვითარებული როგორც მსხვილი, ასევე წვრილი მოტორიკა. ნაკლები ინტერესი აქვს ხატვისა და ძერწვის მიმართ და ა. შ.

ტერმინი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი/პირი ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი – მიუთითებს არა ბავშვის რომელიმე თვისებაზე, არამედ აღწერით ხასიათს ატარებს. ის აღნიშნავს, რომ ბავშვი სწავლა-აღზრდის პროცესში, შესაძლოა, საჭიროებდეს დამატებით მომსახურებას, სწავლების მეთოდის მოდიფიკაციას, ინდივიდუალურ განმავითარებელ პროგრამას და ა.შ. (აფთარაშვილი . . . 2011:66).

ტერმინი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება/განსაკუთრებული საჭიროება - გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას,

რომელსაც აწყდება ბავშვი განვითარებისა და სწავლის პროცესში და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს ექმნება სირთულეები და სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში:

- ინფორმაციის გადამუშავება
- საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება;
- სხვადასხვა დავალების შესრულება;
- ქცევა;
- თანატოლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობა;
- მოწესრიგებულობა;
- სხვადასხვა სენსორული და ფიზიკური დეფიციტი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე;
- გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა;
- სოციალური დაუცველობა;
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვის საშიშროება; (პაჭკორია . . . 2011:8).

ტერმინი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება მას შემდეგ დამკვიდრდა, როცა სპეციალისტებმა აღიარეს, რომ განვითარებისა და სწავლის პროცესში სირთულეები მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არ ახასიათებთ. იმის მიუხედავად, რომ ბევრ აღსაზრდელს თვალსაჩინო დაზიანება თუ განვითარების დარღვევა არ აღენიშნება, ისინი მაინც წარუმატებელნი არიან. შესაბამისად, იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა ბავშვს განსაკუთრებული საჭიროება, მარტო სამედიცინო დიაგნოზსა ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ სირთულეებზეც სწავლის პროცესში.

2004 წლამდე საქართველოს განათლების სისტემა არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და, შესაბამისად, ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლების ერთადერთ ალტერნატივას სპეციალიზებული სკოლა წარმოადგენდა.

ბავშვებს, რომელთაც უყურადღებობისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომები, დისლექსია, კითხვის, წერისა თუ მეტყველების სპეციფიკური დარღვევები აღენიშნებათ, შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსი არა აქვთ, თუმცა განათლების მხრივ სერიოზულ საჭიროებებს მოითხოვენ. სამედიცინო დიაგნოზის თუ შეზღუდული შესაძლებლობის არარსებობის გამო კი მათი სწავლისა და ქცევის თავისებურებები არასწორადაა ინტერპრეტირებული.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეუსაბამო ქცევა ხშირად სიზარმაცედ ფასდება. ეს, თავის მხრივ, სასწავლო-განმავითარებელი პროცესის არასწორ დაგეგმვას, ჩარევის მცდარი სტრატეგიებისა და არაეფექტიანი

ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა სწავლების დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა გამოვლენას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ეს თავიდან აგვაცილებს ბავშვის ქცევის თავისებურების არასწორ ინტერპრეტაციას და განსაკუთრებული საჭიროების სტატუსის არასწორად მინიჭებას.

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროების მქონე ბავშვების ყოველდღიური სწავლება და განვითარება თანატოლებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური განათლება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და იგი განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვების განვითარებასა და განათლებას სხვადასხვა ფორმას აერთიანებს. ესენია სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.

**სრული ინკლუზია** იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი სრულად არის ჩართული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, უკლებლივ ესწრება ყველა აქტივობას და თავისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად, შედგენილი აქვს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამა.

**ნაწილობრივი ინკლუზია** გულისხმობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის არჩევით აქტივობებში ჩართვას. ბავშვის შესაძლებლობებიდან და საჭიროებ-ებიდან გამომდინარე მისთვის იქმნება ინდივიდუალური განრიგი და ესწრება მხოლოდ იმ აქტივობებს, რომელთაც ეს განრიგი ითვალისწინებს. ნაწილობრივი ინკლუზია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის განათლების ძალიან მოქნილი ფორმაა. იგი ემსახურება:

- ბავშვის ეტაპობრივ ჩართვას სასწავლო-განმავითარებელ პროცესში
- განმავითარებელ გარემოსთან ბავშვის შეგუებასა და თანდათანობით ადაპტირებას;
- თანატოლების გასაცნობად და არაფორმალურ გარემოში ურთიერთობისათვის ბავშვის საკმარისი დროითა და სივრცით უზრუნველყოფას.

ნაწილობრივი ინკლუზიის შემთხვევაში უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური განმავითარებელი პროგრამა (იგპ), რომელიც დეტალურად აღწერს ბავშვის საგანმა-ნათლებლო მიზნებს და განსაზღვრავს შესაბამის აქტივობებს - როგორც აქტივობებზე დასწრების, ისე დაუსწრებლობის შემთხვევაში.

**ინტეგრირებული სწავლებისას** განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ერთ ჯგუფში არიან გაერთიანებული და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით. ინტეგრირებული ჯგუფის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა დგება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებისა და სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. ამ ჯგუფის ბავშვები ჩართული არიან ყველა სხვა აქტივობაში (ექსკურსია, ზეიმი, გამოფენა და

სხვა). ინტეგრირებული სწავლება ხშირად ხდება წარმატებული სრული ინკლუზიის საფუძველი და, ამდენად, საკმაოდ ღირებული ფორმაა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა განათლებისთვის (პაჭკორია . . . 2011:10).

ინკლუზიური განათლების შესაძლო ფორმებზე საუბრისას განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რესურსოთახის როლი და ფუნქცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების საქმეში.

რესურსოთახი სკოლამდელ დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილი ოთახია, რომელიც აღჭურვილია განათლების ხელშეწყობისთვის აუცილებელი ყველა თვალსაჩინოებით და ტექნიკური საშუალებით. ესაა ადაპტირებული ავეჯი, მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდიო-ვიდეო აპარატურა. შესაძლოა, რესურსოთახს ემსახურებოდეს სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილე ყველა მასწავლებელი. რესურსოთახში ყოფნა და დამატებითი მეცადინეობა ბავშვთა დღის განრიგის შემადგენელი ნაწილია. აქ მათ შესაძლებლობა ეძლევათ, დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმეცადინონ. ბავშვის რესურსოთახში ყოფნის სიხშირესა და ხანგრძლივობას მისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს (გაგოშიძე . . . 2008:23).

რესურსოთახში ბავშვის ყოფნა დამხმარე საშუალებაა და არა მისი სწავლების ფორმა. სწავლება და სწავლა მიმდინარეობს ყველასთან ერთად, ხოლო რესურსოთახს იყენებენ უკვე გაგებულის და ათვისებულის განმტკიცებისა და გავარჯიშებისთვის. იგი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა დასვენებისა და ჯგუფელებთან ერთად კლასგარეშე აქტივობებისთვის.

ინკლუზიური განათლების აღნიშნული სამივე ფორმა მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, იგი დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. აღმზრდელ-პედაგოგს შეუძლია, ბავშვის შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით გამოიყენოს შესაბამისი ფორმა და მას იმ სასწავლო უნარ-ჩვევების უკეთესად ათვისებაში დაეხმაროს, რომლებიც სკოლაში შესასვლელად არის აუცილებელი, ასევე პატარებმა შეძლონ, აქტიურად ჩაერთონ სასწავლო-განმავითარებელ აქტივობებში და ა.შ.

ინკლუზიური განათლება წარმატებით რომ განვახორციელოთ, რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო. ესენია ბავშვებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, ბავშვების ინდივიდუალური განსხვავებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება, ყველა ბავშვისთვის განვითარებისა და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და მთლიან სააღმზრდელო საქმიანობაში თანამონაწილეობა.

ბავშვებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სკოლამდელი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების უმთავრესი ამოცანაა. როდესაც აღსაზრდელთა

აკადემიური, ქცევითი და სოციალური წარმატებები საბავშვო ბაღის მთავარი ღირებულებაა, მაშინ ყველა, ვინც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში არის ჩართული - აღმზრდელები, აღსაზრდელები, ადმინისტრაცია და მშობლები, ყურადღებას ამ მიზნის მიღწევისაკენ მიმართავენ და, შესაბამისად, თანამშრომლობის, ურთიერთგაგების და პატივისცემის გარემო იქმნება. ინკლუზიური განათლება თავისი არსით სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხმობს და აღიარებს, რომ სწავლის და ბავშვის მიმართ ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, კეთილგანწყობილი გარემო განათლების აუცილებელი პირობაა (პაჭკორია . . . 2011:11).

ყველა აღმზრდელის მიზანი და ამოცანა ბავშვის მიღწევებსა და წარმატებებზე ორიენტირებაა, მაგრამ მოლოდინი და ბავშვისთვის დასახული მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ნებისმიერი დავალება, რომელსაც ბავშვს ვაძლევთ, მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს. ბავშვებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს მათი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ყველასთვის ერთნაირად არის მნიშვნელოვანი. უპირველესად, ეს არის აღსაზრდელის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

სკოლამდელ დაწესებულებაში დანერგვისთანავე ინკლუზიური განათლება მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. სკოლამდელ დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესი მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და, პირიქით. შესაბამისად, საბავშვო ბაღის ფარგლებში საგანმანათლებლო და ინკლუზიური განათლების პროცესები მისი მართვის ერთიან კონტექსტში განიხილება. საბავშვო ბაღი კარგად დაგეგმილ მართვის პროცესში ყველა აუცილებელ პირობას ქმნის, რათა თითოეული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს და ყველა აღსაზრდელს სწავლის და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეს შექმნილი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევებში მიიღწევა, როდესაც საბავშვო ბაღი ერთი მიზნის გარშემოა გაერთიანებული, ანუ ბაღის ადმინისტრაცია, აღმზრდელები, მშობლები და ბავშვები – ამ საერთო მიზნის მიღწევაში არიან ჩართულნი. ინკლუზიური განათლებისთვის საერთო მიზანი და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც კარგ ორგანიზებულობას და მართვას მოითხოვს.

- სკოლამდელი განათლების და აღზრდის დაწესებულების მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას უზრუნველყოფს.

აღნიშნული პრინციპებია:

- სკოლამდელი დაწესებულება უზრუნველყოფს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის განვითარებისა და განათლების მიღების უფლებას. ბავშვების მიღებისას არავითარ დისკრიმინაციას არ უშვებს და არ ამბობს უარს სხვადასხვა სირთულეების მქონე ბავშვის მიღებაზე;
- თითოეული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაცია და აღმზრდელები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას. ამისთვის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს:

  ა) კვალიფიციური სპეციალისტების მიერ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ფსიქიკური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების შეფასება;

  ბ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების გამოკვეთა;

  გ) შეფასების შედეგებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე დაყრდნობით, ბავშვის მშობელთან და აღმზრდელებთან ერთად, ბავშვისთვის ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის (ისგ) შემუშავება;
- სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაცია ბაღისათვის გამოყოფს ინკლუზიური განათლების კოორდინატორს. იგი შეიძლება იყოს ადმინისტრაციის წევრი, აღმზრდელი ან მშობელი. სასურველია. თუ იგი იქნება დამხმარე სპეციალისტი (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეციალური მასწავლებელი ან ექთანი). კოორდინატორის ფუნქციაა, თვალ-ყური ადევნოს ინკლუზიური განათლების მიმდინარეობას, ბავშვთა დასწრებას, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესსა და სხვადასხვა აქტივობებში აღსაზრდელთა ჩართულობის ხარისხს. კოორდინატორმა საბჭოს წინაშე უნდა დააყენოს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და საბჭოს წევრებთან ერთად პრობლემების მოგვარების ეფექტური გზები ეძიოს. მათთან ერთად დაგეგმოს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოძიების ღონისძიებები. კვირის განმავლობაში კოორდინატორთან შეხვედრის დღეები წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი, რათა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებს შეეძლოთ, ისაუბრონ შესაძლო პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე;
- სკოლამდელი დაწესებულება, რომელსაც ჰყავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი, ვალდებულია, არსებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის პრინციპებზე დაყრდნობით, წარმოადგინოს: განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების ხელშემწყობი მექანიზმები, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული საგანმანათლებლო გეგმები, განსაკუთრებული სააღმზრდელო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები, განსაკუთრებული

საჭიროების მქონე ბავშვთათვის შექმნან მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღუდველი სასწავლო გარემო (მაგალითად, მეცადინეობა და/ან დასვენება რესურსოთახში, შემეცნებითი ექსკურსიები, დამოუკიდებელი ცხოვრების გაკვეთილები და სხვა);

- სკოლამდელი დაწესებულება ადგილობრივ თემთან ერთად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, რათა ხელი შეუწყოს განსაკუთ-რებული საჭიროების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას. მაგ., აწყობს ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას, საქველმოქმედო კონცერტებს, რომელთა შემოსავლებითაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები, მეგობრებთან ერთად, დაეხმარებიან მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პატარებს და სხვა (პაჭკორია . . . 2011:12-13).
- ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები მონაწი-ლეობენ სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას, მშობლები აღმზრდელებთან ერთად ჩართული არიან ბავშვთა განათლების პროცესში და საბავშვო ბაღში ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო სუფევს.

სკოლამდელი განათლების და აღზრდის დაწესებულება წარმოადგენს აქტიური ცხოვრების, თამაშის, სწავლის და მუშაობის გარემოს. ის უნდა ითვალისწინებდეს, ასტიმულირებდეს და ხელს უწყობდეს ბავშვთა ჰარმონიულ განვითარებას.

2-დან 6 წლამდე ასაკში ბავშვის სხვადასხვა უნარი განსაკუთრებულად სწრაფად ვითარდება. მაგალითად, მეტყველება ასოციალურიდან ლოგიკურისაკენ ვითარდება, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ბავშვის გონებრივ და ფიზიკურ ზრდასთან, მოძრაობების განვითარებასა და ძალის მატებასთან (ქავთარაძე, 2010:6).

გარემო უნდა ახდენდეს ბავშვის ზომიერ სტიმულირებას და ორიენტირებას, არ უნდა იყოს გადატვირთული და არ უნდა აბნევდეს ბავშვს.

სტრუქტურირებული და დაგეგმილი გარემო ბავშვს სხვადასხვა მინიშნებებსა და ორიენტირებს აწვდის. ამდენად, აღმზრდელის მიერ ოთახის სივრცის მოწყობა თითოეული კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებს, პედაგოგიურ მიზნებს და ბავშვის თავისებურებებს უნდა ეყრდნობოდეს.

ბავშვის განკუთვნილი სივრცე შეიძლება, ზოგადად, რამდენიმე ნაწილად დაიყოს:

- შესასვლელი ზონა - ადგილი, საიდანაც ბავშვი პირველად შედის ბაღის შენობაში, იცვლის ფეხზე ან იხდის ქუჩის ზედა ტანისამოსს.
- ძირითადი ოთახი, სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, შეიძლება საჭმელსაც კი მიირთმევენ და უმეტეს დროს ატარებენ.
- სანიტარული და სამზარეულო ზონები.

- მასწავლებლისა და ადმინისტრაციის ოთახი.
- დასაძინებელი ოთახი (ქავთარძე 2010:7).

ინკლუზიური განათლებისადმი კეთილგანწყობილ გარემოში ბავშვები ხდებიან მეტად თავდაჯერებულები, უვითარდებათ მაღალი თვითშეფასება, სწავლობენ დამოუკიდებლობას და ა.შ. ასევე კეთილგანწყობილი გარემო ასწავლის ბავშვებს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს, გამორიცხავს ბავშვებზე ძალადობას, ფიზიკურ დასჯას (კაპანაძე . . . 2008:101).

მონტესორი მიგვითითებს, რომ განმავითარებელი ოთახი ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული. ავეჯი უნდა იყოს მსუბუქი და მოსახერხებელი, რათა ბავშვმა შეძლოს მისი ადვილად გადაადგილება. სურათები ეკიდოს ისეთ დონეზე, რომ ბავშვმა კომფორტულად შეხედოს მათ. ეს პრინციპი უნდა გავრცელდეს გარემოში არსებულ ყველა ნივთზე. ავეჯი, რომელსაც ბავშვი მოიხმარს, ადვილად უნდა ირეცხებოდეს. მონტესორის აზრით, ამას, გარდა იმისა, რომ ჰიგიენური თვალსაზრისიც უდევს საფუძვლად, ბავშვებს პასუხისმგებლობისა და საკუთარი მოხმარების ნივთებზე ზრუნვის ჩვევასაც უვითარებს.

სამუშაო, სათამაშო, სახატავი და საძერწი მაგიდების და სკამების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მათი სიმაღლე, ბავშვების ასაკთან მიმართებით (ქავთარაძე 2010:9).

კვლევის დროს დავინტერესდით შეგვესწავლა, თუ რა მდგომარეობა იყო ბათუმის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში. საამისოდ შევარჩიეთ რამდენიმე ბაღი:

*ბათუმის N 1 ბაღი.* ბაღის შენობა ორსართულიანია და მასში 150 აღსაზრდელია. 3-4, 4-5 და 5-6 წლის აღსაზრდელებისათვის გამოყოფილია ასაკობრივი ჯგუფები.

ჯგუფის ოთახი დაყოფილია აქტივობების მიხედვით: მათემატიკის ცენტრი, ბუნების ცენტრი და ა. შ. თითოეულ ცენტრში წარმოდგენილია არაერთი ვიზუალური მინიშნება, რის გაკეთება შეუძლია იქ ბავშვს - რიცხვების სწავლა, კუბებით თამაში თუ სხვა. თვალსაჩინო მასალები ბავშვებს აწვდის ინფორმაციას, არსებული წელიწადის დროის, თვის, კვირის დღეების შესახებ. კედელზე გაკრულია ოთახში ქცევის წესები. დიდი ყურადღება ექცევა ხატვას და სხვა შემოქმედებით უნარებს.

გამოყოფილია სპეციალური ოთახი, სადაც ბავშვები იძინებენ. სამზარეულო და სველი წერტილიც კარგ მდგომარეობაშია. მკაცრად კონტროლდება სანიტარული ნორმები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელებზე ბაღი არ არის მორგებული და შესაბამისად აღჭურვილი.

სათამაშო მოედანი გარეთ არის მოწყობილი, ცუდ ამინდში კი ბავშვები შენობაში რჩებიან და ფოიეში თამაშობენ, სადაც საამისოდ სპეციალური კუთხეა გამოყოფილი.

*ბათუმის მეექვსე ბაღი.* ეს დაწესებულებაც ორი სართულისაგან შედგება და აქ 200 ბავშვს უვლიან. ისინი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით არიან დაყოფილი - 3-4, 4-5 და 5-6 წლის.

ბაგა-ბაღს აქვს ლამაზი და მოწესრიგებული ეზო. კედლები მოხატულია სხვადასხვა ცხოველების ფიგურებით. ეზოში არის სხვადასხვა სათამაშო ნივთი, რომლებითაც აღსაზრდელები ერთობიან.

შენობის შესასვლელში განლაგებულ კარადებში აღსაზრდელები იცვლიან ტანსაცმელს და შედიან მათთვის განკუთვნილ ოთახებში. პატარებს აღმზრდელ-პედაგოგი ასწავლის ათამაშებს და ა.შ. ოთახის კედლებზე გაკრულია ნახატები, ბავშვების მიერ გამოჭრილი ფიგურები... ოთახები დაყოფილია აქტივობების მიხედვით. შესასვლელში გამოკრულია აღსაზრდელთა კვების განრიგი.

სამზარეულო და სველი წერტილებიც კარგ მდგომარეობაშია. მკაცრად კონ-ტროლდება სანიტარული ნორმები. ბაღს ჰყავს დაცვა, რომელიც ბაღის ტერიტორიას ფხიზლად აკონტროლებს. ბაღში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელებიც არიან. მათ, მასწავლებლებთან ერთად, სპეციალური პედაგოგიც ასწავლის.

ყველა აღმზრდელის მიზანი და ამოცანა ბავშვის მიღწევებსა და წარმატებებზე ორიენტირებაა, მაგრამ მოლოდინი და მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ნებისმიერი დავალება, რომელსაც აღსაზრდელს ვაძლევთ, მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ყველასთვის ერთნაირად არის მნიშვნელოვანი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბავშვის თვითშეფასების უზრუნველყოფა, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და მოტივაციის ამაღლება.

## §1.3 ადრეული ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომელთა როლი

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განათლების სისტემა სულ უფრო მზარდ ყურადღებას უთმობს ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვას რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან. კარგი იქნება, თუ ეს პროცესი დაიწყება სკოლამდელ დაწესებულებაში, რადგან ბავშვის განვითარებაში პრობლემების დროული იდენტიფიკაცია და მის საჭიროებებზე მორგებული აღზრდა-განათლება:

- ხელს უწყობს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის უნარების განვითარების სტიმულირებას და სკოლისათვის მის მზაობას;
- ეხმარება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის ოჯახებს;
- ამცირებს სოციალურ დახმარებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს.

მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ რაც უფრო მცირე ასაკიდან იწყება ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაში პრობლემების იდენტიფიკაცია და დროული ჩარევა, მომავალში მით უკეთესი შედეგები ექნება სწავლასა და განვითარებაში (სმიტი, 2004:27).

ინკლუზიური განათლების გამოცდილების მქონე ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული საბავშვო ბაღის გარემო, მათი განვითარების სხვადასხვა სფეროში წარმატების მიღწევის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. თანატოლებთან, უფროსებთან და, მთლიანად, გარემოსთან ურთიერთობის გზით საგრძნობლად უმჯობესდება კომუნიკაციის/მეტყველების უნარ-ჩვევები, იზრდება თვითშეფასება, დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხი - თვითმომსახურების უნარები, სოციალური ურთიერთობები, მოტორული თუ კოგნიტური (გონებრივი) შესაძლებლობები, რეგულირდება ქცევა. გარდა ამისა, ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ ბაღის ორგანიზებულ ჯგუფურ აქტივობებსა და თავისუფალ თამაშებში წარმატების განცდა საგრძნობლად ზრდის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის მოტივაციას და ჯგუფში მისი ჩართულობის შესაძლებლობებს.

ინკლუზიურ განათლებაზე საუბრისას სპეციალისტები (ფლეჩერი და ფურმანი) განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მის სოციალურ ასპექტს და აღნიშნავენ, რომ ინკლუზიურ გარემოში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვმა, შესაძლებელია, თანატოლებთან სხვადასხვა დამოკიდებულების ჩამოყალიბება შეძლოს. მაგალითად, თამაშის გზით კონტაქტი, მეგობრული ურთიერთობა, დახმარებისა და მხარდაჭერის მიღება, მათზე დაკვირვებით და მიბაძვით სწავლა, კომუნიკაციის უნარის და მეტყველების განვითარების სტიმულირება და სხვა. ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ განვითარების მასტიმულირებელი და კარგად მოწყობილი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო გადამწყვეტ როლს ასრულებს მსუბუქი ხარისხის შეფერხების მქონე ბავშვების განვითარების ნორმალიზაციაში (სმიტი, 2014:29). აღსაზრდელთა საჭიროებებზე მორგებული ადრეული აღზრდა-განათლება ხელს უწყობს ასეთი ბავშვების განვითარების სტიმულირებას და სკოლაში შესვლამდე პრობლემების დაძლევას. ამგვარად, ადრეული ინკლუზია უზრუნველყოფს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელის მეტ-ნაკლებად მზაობას სკოლისათვის.

**განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ოჯახი.** ბაღის ადმინისტრაციისა და მთლიანად მომსახურე პერსონალის პოზიტიური დამოკიდებულება დიდად

ეხმარება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელის მშობლებს. მათ შესაძლებლობა ეძლევათ, იოლად გადაჭრან ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები. გარდა ამისა, ოჯახის წევრები ხედავენ, რომ ბავშვი ისეთივე გარემოში იზრდება და სწავლობს, როგორშიც მას შემდგომშიც მოუხდება ცხოვრება. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში ადრეული ჩართვა მასში გარემოსთან ადაპტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ადრეული ინკლუზია ასეთი ბავშვის ოჯახს შვილის საზოგადოებისაგან გარიყვის და იზოლაციის შიშით განპირობებული სტრესის დაძლევაში ეხმარება.

ადრეული ინკლუზია ზოგავს სახელმწიფოს მიერ სოციალურ დახმარებაზე გაწეულ ხარჯებს. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური გამოთვლებით დადგინდა, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში მოხდება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა, მით ნაკლებია სარეაბილიტაციო დანახარჯები სკოლის ასაკში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემდგომში სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების რეაბილიტაციასა და დახმარებაზე მნიშვნელოვან თანხებს დაზოგავს (აფთარიშვილი . . . 2011:69).

**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ხელმძღვანელის როლი ინკლუზიურ განათლებაში.** ბაღში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა და მისი წარმატებით განხორციელება დირექტორის სწორ ინფორმირებულობასა და ხედვაზეა დამოკიდებული. ბაღის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ინკლუზია რთული და ხანგრძლივი პროცესია და ცვლილებების გატარებას და სიახლეების დანერგვას მუდმივად საჭიროებს.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის ბაღში ჩართვისა და მისი სრულფასოვანი მომსახურებისთვის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ჯგუფის აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; მათი ტრენინგებით, სემინარებით, თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- ჯგუფის აღმზრდელის დასახმარებლად და მხარდასაჭერად ბაღში ინკლუზიური განათლების კოორდინატორის გამოყოფა, რომელიც შეიძლება იყოს ჯგუფის მასწავლებელი, მეთოდისტი, ფსიქოლოგი, ან ბაღში მომუშავე ნებისმიერი სხვა სპეციალისტი;
- ინკლუზიური განათლების მიმართ საბავშვო ბაღში პოზიტიური განწყობის შექმნა.

სკოლამდელ დაწესებულებაში ინკლუზიური განათლება წარმატებით რომ დაინერგოს, აუცილებელია, ბაღის დირექტორმა ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების მსოფლმხედველობისადმი პერსონალის დადებითი განწყობის შექმნას. იგი ასევე ვალდებულია, ყველა აღსაზრდელის მშობელს ბაღში დაგეგმილი და მიმდინარე პროცესების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია. ამისთვის შეუძლია

გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, საინფორმაციო პლაკატები, საინფორმაციო ბუკლეტები და ა. შ.

**ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და მისი როლი.** განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელებს ხშირად სხვადასხვა სპეციალისტის მომსახურება სჭირდებათ. შესაბამისად, ინკლუზიური განათლების მოდელი გუნდური მუშაობის პრინციპზეა აგებული. ჯგუფის აღმზრდელთან ერთად ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტებმაც უნდა გაიზიარონ განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელებზე ზრუნვა და მათ განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. ბაღის თანამშრომელთა გუნდმა ერთად უნდა დასახოს კონკრეტული ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო მიზნები და მისი შესრულება უზრუნველყოს.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა მომსახურებისთვის საჭირო რესურსების გამოყენების და გუნდის ორგანიზებული მუშაობის კოორდინაციისთვის მიზანშეწონილია, ბაღში გამოიყოს ერთი სპეციალისტი, რომელსაც ეცოდინება ინკლუზიური განათლების პრინციპები და დირექციასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე შეძლებს, სისტემატიურად უზრუნველყოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელისთვის ადეკვატური სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

აღმზრდელ-პედაგოგი, ბავშვის განვითარებაში არსებულ სირთულეებს პირველად რომ დააფიქსირებს, ცვლის სწავლების სტრატეგიას და მიდგომას. თუ ეს მცდელობა საკმარისი არ აღმოჩნდა, დახმარებისთვის მიმართავს ინკლუზიური განათლების კოორდინატორს, რომელიც ვალდებულია, კონკრეტულ ბავშვზე შეაგროვოს სხვადასხვა ინფორმაცია და მის საფუძველზე აღმზრდელთან და მშობელთან ერთად იმსჯელონ ბავშვის საჭიროებებზე. ერთად გადაჭრან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელის მომსახურებასთან დაკავშირებული შემდგომი ნაბიჯები.

აღსაზრდელის განსაკუთრებული საჭიროებების განსაზღვრისა და მისთვის ადეკვატური სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვის მიზნით კოორდინატორი ბაღში ქმნის სპეციალისტთა გუნდს, რომელშიც შედიან: ჯგუფის აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მშობელი, ექთანი და, ბაღს თუ ჰყავს, დამხმარე სპეციალისტი (მეთოდისტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი და ა.შ). კოორდინატორის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე სპეციალისტთა გუნდი თანხმდება იმ საერთო სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებზე, რომელიც კონკრეტული ბავშვის განვითარებაში გარკვეული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს.

კერძოდ, გუნდური შეხვედრები ეხმარება სპეციალისტებს:

- სხვადასხვა გარემოში (ჯგუფში, ეზოში, სახლში) ბავშვის ქცევისა და სწავლა-აღზრდის თავისებურებების შესახებ დაკვირვებებისა და ინფორმაციის მოგროვებაში;

- ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრაში;
- ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო მიზნების/პრიორიტეტების გამოყოფაში;
- მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობების, მეთოდების და სტრატეგიების შემუშავებაში;
- ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფასა და მათი სამუშაო გრაფიკის/ცხრილის განსაზღვრაში;
- აღსაზრდელის განვითარებაში მოპოვებული მიღწევების მონიტორინგის და მისი პროგრესის შესახებ ანგარიშგებაში (აფთარიშვილი . . . 2011:77).

კოორდინატორის ძირითადი ამოცანა გუნდის შეხვედრების ორგანიზება, წარმართვა, განხილული ინფორმაციის თავმოყრა და მისი ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამაში ასახვაა. ინკლუზიური განათლების კოორდინატორი აგრეთვე ვალდებულია:

- დაამყაროს კონტაქტები და ითანამშრომლოს ბაღის გარეთ დამხმარე სპეციალისტებსა და ორგანიზაციებთან;
- მოახდინოს დოკუმენტაციის წარმოების კოორდინაცია და უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება.

იმ შემთხვევაში, თუ ბაღს საკუთარი რესურსებით არ შეუძლია ბავშვის შეფასება და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიკაცია, კოორდინატორი დირექციასთან ერთად წყვეტს ბავშვის მულტიდისციპლინური შეფასების აუცილებლობას. ამისთვის ადმინისტრაციას შეუძლია ბაღში მოიწვიოს საჭირო სპეციალისტი, ან ურჩიოს მშობელს, შვილის შეფასებისა და კონსულტაციებისთვის, მიმართოს სადიაგნოსტიკო ცენტრს.

**ჯგუფის აღმზრდელის როლი ინკლუზიურ განათლებაში.** ჯგუფის აღმზრდელი ინკლუზიურ განათლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის აღსაზრდელთა სასწავლო-სააღმზრდელო მიზნების მიღწევაში მთავარი პასუხისმგებელი პირია. მას დღის განმავლობაში ხანგრძლივი კონტაქტი აქვს აღსაზრდელებთან და, შესაბამისად, თითოეული ბავშვის სოციალური, მოტორული, კოგნიტური განვითარებისა და ყოველდღიური საჭიროების შესახებ ინფორმაციას ყველაზე უკეთ ფლობს. აღმზრდელი, მშობელთან და სპეციალისტებთან შეთანხმებით, პრიორიტეტების მიხედვით აღსაზრდელისთვის განსაზღვრავს გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებს, ქმნის და ნერგავს სათამაშო/სასწავლო და ყოველდღიურ აქტივობებს, დასახული მიზნებისა და პროგრამების განსახორციელებლად იძიებს რესურსებს, გუნდთან სხვა სპეციალისტებთან ერთად და აფასებს მათ მუშაობას.

გარკვეულწილად სწორედ აღმზრდელზეა დამოკიდებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელის ჯგუფში წარმატებული ჩართვა. ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის მიდგომაზე, სწორ სტრატეგიასა და ასევე

აქტივობებზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად შეძლებს იგი, მოემზადოს თავად და მოამზადოს ჯგუფი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების მისაღებად (იონსენი).

ჯგუფში განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელთან მუშაობის პროცესში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმზრდელის თანაშემწეს, რომელიც, მშობელთან და სპეციალისტებთან კონსულტაციის გზით, ეხმარება მასწავლებელს აღსაზრდელის თვითმოვლის – კვებისა და ტუალეტის უნარ-ჩვევების ათვისებაში, ძილის და დასვენების ორგანიზებაში. საჭიროების შემთხვევაში მის სათამაშო/სასწავლო აქტივობებში მონაწილეობასაც უზრუნველყოფს.

**განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის მშობელი.** საბავშვო ბაღში მშობლის თანამონაწილეობას ინკლუზიის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მშობლებს შეუძლიათ ბაღის პერსონალს მიაწოდონ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია თავიანთი შვილების შესაძლებლობებისა და საჭიროების შესახებ. ისინი მუდმივად ესწრებიან ბაღის ინკლუზიური განათლების კოორდინატორის მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ შეხვედრებს, რომლებზეც აცნობენ მათი შვილების შეფასების შედეგებს და პროგრამასთან დაკავშირებით სპეციალისტებს უზიარებენ საკუთარ მოლოდინებს და პრიორიტეტებს.

მშობელი აუცილებლად ჩართული უნდა იყოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, აღმზრდელებთან ერთად იზიარებდეს პასუხისმგებლობას აღსაზრდელის მიზნების მიღწევაზე. ასეთ შემთხვევაში მშობლები იღებენ მეტ ინფორმაციას საკუთარი შვილის შესახებ განვითარების სხვადასხვა სფეროში და სწავლობენ სახლში იმ სტრატეგიების გამოყენებას, რომელსაც ბაღში მასწავლებელი იყენებს.

ამრიგად, ვფიქრობთ, საკმაოდ ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ბავშვის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა. ეს კიდევ უფრო მეტ შედეგს მისი სკოლაში სწავლის დროს მოგვცემს. სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლები თავიანთ როლს კარგად თუ გააცნობიერებენ, შეთანხმებულად ითანამშრომლებენ და ამ პროცესში მშობელიც აქტიურად ჩაერთვება, ნამდვილად საუკეთესო შედეგს მივაღწევთ.

## § 1.4. სკოლამდელი აღზრდის სისტემის განვითარება აჭარაში და ინკლუზიური განათლების ამჟამინდელი მდგომარეობა

ბავშვის აღზრდა და პიროვნებად ფორმირება ძირითადად ხდება ოჯახში, აგრეთვე სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, რომლებსაც არსებობის არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვთ.

პირველი ასეთი დაწესებულება 1837 წელს დააარსა ცნობილმა გერმანელმა პედაგოგმა, სკოლამდელი აღზრდის დიდმა თეორიტიკოსმა ფრიდრიხ ფრებელმა. ბავშვს იგი ადარებდა მცენარეს. სწორედ აქედან წარმოსდგება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სახელი ,,საბავშვო ბაღი" (პედაგოგიური ენციკლოპედია, 1 ტ. 1966:976).

აჭარაში საბავშვო ბაღები და სკოლამდელი დაწესებულებები მოგვიანებით, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ამოქმედდა. ასე, რომ თითქმის საუკუნოვან ისტორიას ითვლის. XX საუკუნის 20-იან წლებში, შეიქმნა სკოლამდელი აღზრდის სისტემა და ბავშვთა საზოგადოებრივ აღზრდაზე შეუნელებელი ზრუნვა დაიწყო.

1921 წლის 20 მაისს ბათუმში გაიხსნა აჭარაში პირველი საბავშვო ბაღი (სურმანიძე 1972:43). მას ოფიცერთა სახლის შენობა დაეთმო და ,,წითელი ვარსკვლავი" ეწოდა. ეს იყო ცენტრალური საბავშვო ბაღი და ბათუმის მუშა-მოსამსახურეთა 300-მდე ბავშვის გამოსაკვებ პუნქტს წარმოადგენდა. 1923 წელს საბავშვო ბაღს ადრინდელი უფლებები ჩამოერთვა და მასში აღსაზრდელთა რიცხვი 80-მდე შემცირდა. იმავე პერიოდში ამუშავდა ორი საბავშვო მოედანი, სადაც გაერთიანებული იყო 260 ბავშვი.

საბავშვო ბაღები ეტაპობრივად იხსნებოდა ბათუმის პირველი საფეხურის სკოლებთან და კლუბებთან. სკოლებთან არსებულს სასკოლო საბავშვო ბაღები ეწოდებოდა და საბავშვო ბაღის გარეშე დარჩენილ 6-7 წლის მოზარდებს აერთიანებდნენ. აქ, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ბავშვებს სკოლისათვის ამზადებდნენ.

1923 წლის იანვრისათვის აჭარაში, ცენტრალური საბავშვო ბაღის გარდა, 3 საბავშვო სახლი ფუნქციონირებდა. მათგან ერთი მახინჯაურში იყო განთავსებული, ერთი ბათუმთან ახლოს, პატარა ქალაქის ტიპის დასახლებაში, ე.წ „გოროდოკში" და ერთიც ბათუმში. მათში ღებულობდნენ 4-დან 14 წლამდე ბავშვებს. ამ სახლებს საბავშვო ბაღის და სკოლის ფუნქციები ჰქონდათ შეთავსებული (ბაბილოძე, 1958:82).

გარდა ამისა, მწვანე კონცხზე უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის გაიხსნა ბავშვთა შრომის დაწესებულება და საბავშვო კლუბი ,,წითელი ვარსკვლავი". კლუბთან ჰქონდა ბიბლიოთეკა, მოქმედებდა ლიტერატურული, მხატვრული და დრამატული წრეები, გამოიცემოდა ჟურნალი სახელწოდებით ,,წითელი ვარსკვლავი".

ზემოაღნიშნულ საბავშვო დაწესებულებებში ტარდებოდა აღმზრდელობითი მუშაობა. კერძოდ, ინდივიდუალური საუბრები მშობლებთან, მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა მშობელთა კომიტეტებთან, მშობელთა შორის პედაგოგიური იდეების პროპაგანდა და ა. შ.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სკოლამდელ აღზრდას განაგებდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური აღზრდის სამმართველო და მას სასკოლო განყოფილება ერქვა. 1923 წლის სექტემბრიდან იგი სოციალური აღზრდის სამმართველოდ გარდაიქმნა. მასში შედიოდა სასკოლო განყოფილება, სკოლამდელი აღზრდის განყოფილება და მცირეწლოვან ბრალდე-

ბულთა კომისია, რომელსაც ზოგჯერ მცირეწლოვანთა სოციალური უფლებების დაცვის განყოფილებას უწოდებდნენ.

საბავშვო ბაღები იხსნებოდა და ისევ იხურებოდა. ამის მიზეზი იყო ფინანსური სახსრებისა და სათანადო მატერიალური ბაზების უქონლობა. ამავე მიზეზით 1924 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა ბათუმის ცენტრალურმა საბავშვო ბაღმა და მისი აღდგენა მხოლოდ 1925 წლის დასაწყისში მოხერხდა. სწორედ ამ წლიდან იწყება სკოლამდელი აღზრდის ქსელის გაფართოება-გაძლიერება და უკვე მომდევნო, 1926 წელს აჭარაში საბავშვო ბაღების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა, აღსაზრდელთა კონტიგენტი კი 450-ს აღწევდა. ამ დროისთვის ცენტრალურ საბავშვო ბაღში მოქმედებდა 4 ჯგუფი – 2 ქართული, თითო კი რუსული და სომხური (ბაბილოძე 1958:83).

1926 წელს ცენტრალურმა ბაღმა ,,აჭარელ ქალთა კლუბთან" დამატებით გახსნა 2 ჯგუფი აჭარელი ბავშვებისათვის. 1929 წლისთვის ბაღს ჰყავდა 9 ჯგუფი - როგორც ქართული, ისევე რუსული, სომხური და შერეული.

1928 წლიდან ცენტრალური საბავშვო ბაღი განთავსდა ინტერნაციონალისა და მარქსის ქუჩების კუთხეში ( დღევანდელი ვაჟა-ფშაველას ქუჩა, საჯარო ბიბლიოთეკის შენობა) არსებულ შენობაში, რომლის ნაწილი ეჭირა საქალაქო ბიბლიოთეკას. აქ არ იყო საკმარისი ოთახები და ბავშვებს ვერ აძინებდნენ.

ამავე პერიოდში სკოლამდელი აღზრდის პირველი საფეხურის – საბავშვო ბაგა-ბაღების შესაქმნელად დაიწყო ზრუნვა. აჭარაში პირველი საბავშვო ბაგა 1928 წელს ჩაქვის მეურნეობაში აქ მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის გაიხსნა. ბაგაში 6 თვიდან 4 წლამდე ასაკის 30 ბავშვი ჰყავდათ. იგი დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე მუშაობდა და მას ზედამხედველობას ადგილობრივი საავადმყოფოს გამგე-ექიმი უწევდა.

1932 წლისთვის აჭარაში უკვე 11 საბავშვო ბაგა იყო. არსებობდა აგრეთვე ჩვილ ბავშვთა სახლი, სადაც ათავსებდნენ ობოლ ან ავადმყოფი და მარტოხელა დედების ძუძუმწოვარა ბავშვებს.

1930 წლიდან საბავშვო ბაგა-ბაღები სოფლებშიც იხსნება. უკვე 1938 წლისთვის 96 ბაგა-ბაღში 8 100 აღსაზრდელია, რომელთაც 310 აღმზრდელ-მასწავლებელი ემსახურება.

ბათუმში ზაფხულობით ქალაქში დარჩენილი ბავშვებისთვის ეწყობოდა ე.წ. საბავშვო მოედნები. როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი ასეთი მოედანი გაიხსნა 1921 წელს. 1929 წლისთვის ბათუმში უკვე 10 საბავშვო მოედანი მოქმედებდა და მათი მუშაობის ფორმები ისეთივე იყო, რაც საბავშვო ბაღებისა (იქვე, გვ. 147). ამით ხელისუფლება ცდილობდა, ხელი შეეწყო საწარმოებსა და მეურნეობებში მომუშავე დედებისათვის, იმავდროულად, ეს მომავალ თაობაზე სახელმწიფოს ზრუნვის გამოხატულება იყო.

მასალების შესწავლით გაირკვა, რომ მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, სკოლამდელი აღზრდა ბათუმში და, ზოგადად, აჭარაში, სათანადო მატერიალუ-

რი ბაზის უქონლობის გამო დაბალ დონეზე იდგა. ამას ისიც ემატებოდა, რომ სკოლამდელი აღზრდის მუშაკებს არ ჰქონდათ სახელმძღვანელო დოკუმენტი. მაშინ ბევრი რამ სადავო და დაუდგენელი იყო. არ იყო განსაზღვრული, რა ადგილი უნდა დათმობოდა საბავშვო ბაღში წერა-კითხვის სწავლებას, ბუნებაში მუშაობას, ხატვას, დიდაქტიკური მასალების გამოყენებას და ა. შ (აბდუშელაშვილი, 1971:3).

საბავშვო ბაღების ნაყოფიერ მუშაობას აფერხებდა აგრეთვე კვალიფიციური აღმზრდელ-მასწავლებლების სიმცირე. ეს საკითხი თავიდანვე იდგა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის ყურადღების ცენტრში და მდგომარეობის გამოსასწორებლად პერიოდულად ბავშვთა სახლებისა და საბავშვო ბაღების აღმზრდელ-მასწავლებელთათვის ეწყობოდა კურსები, რომელზეც მოწვეული სპეციალისტები კითხულობდნენ ლექცია-მოხსენებებს, სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე იმართებოდა საუბრები.

საბავშვო ბაღების ქსელი თანდათანობით იზრდებოდა. 1932 წელს აჭარაში იყო 11 მუდმივმოქმედი საბავშვო ბაგა, 1938 წელს ფუნქციონირებდა 35 საბავშვო ბაღი, მათ შორის, 13 სოფლად. 1933 წლიდან კი, ჩაის კრეფის სეზონთან დაკავშირებით, სუბტროპიკული რაიონების სოფლებში იხსნებოდა სეზონური საკოლმეურნეო საბავშვო ბაგები. 1938 წელს აჭარაში 18 ასეთი სეზონური ბაგა იყო - 600 საწოლით.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან აჭარაში იმატა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობამ, განმტკიცდა მატერიალური ბაზები. დაიწყო ბაგა-ბაღების მშენებლობა. აიგო ტიპიური კეთილმოწყობილი შენობები, საბავშვო ბაღები საკუთარი ძალებით ამზადებდნენ დიდაქტიკურ მასალებს, ბაღების ეზოებში აწყობდნენ ბოსტნებს და ყვავილების გაზონებს. ქალაქის ცენტრალური საბავშვო ბაღი დახმარებას უწევდა სასოფლო ბაღებს. ამ დროისათვის ცენტრალური საბავშვო ბაღის გამგე იყო სკოლამდელი აღზრდის გამოცდილი მუშაკი ზექიე სანიკიძე, აღმზრდელებად კი ქეთევან თავბერიძე, მარი ფარცხალაძე, ნინა კაზაჩენკო, დარეჯან ჩხაიძე, ლიდა იგუმენოვა და სხვები მუშაობდნენ.

გაუმჯობესდა კადრების მომზადების საქმეც, რასაც, უწინარესად, ხელი შეუწყო 1935 წელს ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელთან შესაბამისი განყოფილების გახსნამ. ამავე წელს ბათუმის განათლების განყოფილებასთან გაიხსნა სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტი, რომლის დაარსების ინიციატორი იყო სკოლამდელი აღზრდის გამოჩენილი მუშაკი პლატონ ასათიანი (ობოლაძე, 1961:93).

ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად, დიდი სამამულო ომის უმძიმეს - წლებშიც კი, შენარჩუნდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ევაკუაციის შედეგად ჩამოსული ბავშვებისათვის გაიხსნა ჯგუფები, სადაც აღმზრდელ-მასწავლებლებად ევაკუირებული ქალები მუშაობდნენ.

1945 წლიდან აჭარაში ბავშვთა ბაღების რაოდენობამ 43-ს მიაღწია. აქედან ბათუმში 22 იყო, ბათუმის რაიონში – 3, ქობულეთის რაიონში – 15, ქედის რაიონში – 2,

ხულოს რაიონში – 1. ბათუმის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები ზაფხულობით იგზავნებოდნენ აგარაკებზე ქვიშხეთში, სურამსა და ქობულეთში.




ბაღების რაოდენობა აჭარაში 1945 წელს

1947 წლისთვის აჭარაში საბავშვო ბაღების რაოდენობამ 54-ს მიაღწია. აქედან 15 ბაღი განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა, 39 კი საუწყებო იყო. ომის შემდგომ წლებში გაიზარდა სკოლამდელი დაწესებულებების ბიუჯეტიც, აღმზრდელ-მასწავლებელთა ხელფასებიც, შეძენილი იქნა ინვენტარი, ჭურჭელი, სათამაშოები.

წარსული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული თანდათან უფრო გაიზარდა სკოლამდელი დაწესებულებების როლი და მნიშვნელობა. თუ ადრე საბავშვო ბაღი მხოლოდ ქალთა წარმოებაში ჩაბმის საშუალებად ითვლებოდა, სადღეისოდ იგი საზოგადოებრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საფეხურია, ამიტომაც უკვე XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში აჭარაში ბავშვთა ბაგა-ბაღების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ქალაქ ბათუმში მოქმედებდა 40-მდე საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი; ქობულეთის რაიონში პატარების აღზრდას 43, ხელვაჩაურის რაიონში 27, ქედისა და შუახევის რაიონებში სამ-სამი, ხულოს რაიონში კი ორი სკოლამდელი დაწესებულება ემსახურებოდა (ბასილაძე 1981:50).



ბაღების რაოდენობა აჭარაში XX საუკუნის ბოლოს

ჩვენ გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა, აჭარაში როგორ განვითარდა სკოლამდელი განათლება და როგორია ინკლუზიური განათლების ამჟამინდელი მდგომარეობა. ამ მიზნით შევიმუშავეთ ანკეტა (იხ. დანართი №1).

ჩავატარეთ კვლევა. კვლევის ობიქტები - აჭარის რესპუბლიკის საჯარო საბავშვო ბაღები. კვლევის მეთოდები: დაკვირვება და ანკეტირება.

გაგაცნობთ კვლევის შედეგებს :

2000 წელს საბავშვო ბაღები ექვემდებარებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ამ დროისათვის ბათუმში იყო 42 ბაღი, ქობულეთში - 5, ხელვაჩაურში - 4, ქედაში - 2, შუახევსა და ხულოში კი - თითო, ანუ სულ აჭარაში 55.




ბაღების რაოდენობა აჭარაში 2000 წელს

2007 წელს ქალაქებში ბაღები მერიებს, ხოლო რაიონებში გამგეობებს დაექვემდებარა, მათი რაოდენობა კი 44-მდე შემცირდა, ანუ ბათუმში - 22, ქობულეთში - 9; ხელვაჩაურში - 4; ქედაში - 7, შუახევსა და ხულოში კი თითო ბაღი მოქმედებდა.




ბაღების რაოდენობა აჭარაში 2007 წელს

2015 წლისთვის აჭარაში 81 ბაღი მოქმედებდა - 30 ბათუმში, 19 ქობულეთში, 12 ქედაში, 8 ხულოში, 7- ხელვაჩაურში და 5- შუახევში.




ბაღების რაოდენობა აჭარაში 2015 წელს

ბაღებში ბავშვთა რაოდენობა წლების მიხედვით ასეთია:

2000 წელი - ბათუმი - 4 060; ხელვაჩაური - 430; ქობულეთი - 228; ხულო - 63; ქედა - 55; შუახევი - 37;




ბავშვების რაოდენობა ბაღებში 2000 წელს

2007 წელი - ბათუმი - 2 390; ხელვაჩაური - 525; ქობულეთი - 316; ქედა - 205; ხულო - 77; შუახევი - 47;




ბავშვების რაოდენობა ბაღებში 2007 წელს

2015 წელი - ბათუმი - 7 111; ქობულეთი - 1 934; ქედა - 542; ხელვაჩაური - 819; ხულო - 305; შუახევი - 203.




ბავშვების რაოდენობა ბაღებში 2015 წელს

ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რაოდენობა აღმოჩნდა - ბათუმში - 69; ხელვაჩაურში - 26; ქობულეთში - 15; ქედაში - 9; შუახევში - 5; ხულოში - 2.




ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რაოდენობა

კვლევამ დაადგინა, რომ ბავშვებში ძირითადად ჭარბობს გონებრივი ჩამორჩენა, ცერებრული დამბლა, დაუნისა და აუტიზმის სინდრომები, მცირე რაოდენობით მხედველობისა და სმენის პრობლემები.

სკოლამდელი დაწესებულების უმეტესობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ნაწილობრივ არის ადაპტირებული, მცირე ნაწილს საერთოდ ადაპტაცია საერთოდ არ აქვს. ამ მხრივ მხოლოდ ერთეული ბაღებია სრულყოფილი.

აღმზრდელთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ სკოლამდელი დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იქნეს აღსაზრდელის განსაკუთრებული საჭიროება, ბავშვის შესაძლებლობებს უნდა შეესაბამებოდეს აქტივობები, რათა აღსაზრდელი თავს არ გრძნობდეს გარიყულად. საამისოდ საჭიროა დამატებითი რესურსები და ბავშვის ინტერესების გათვალისწინება.

ინკლუზიური განათლების განხორციელებას ძირითადად მოუწყობელი ინფრასტრუქტურა უშლის ხელს. ბევრი ბაღის აღმზრდელი ინკლუზიურ განათლებაში არ არის გადამზადებული, ანუ კადრი მოუმზადებელია. არის შემთხვევები, როდესაც შშმ ბავშვის მშობლებს არ აქვთ სურვილი, მათი შვილები ჩაერთონ ინკლუზიურ განათლებაში, ხშირად ამას სხვა ბავშვების მშობლები ეწინააღმდეგებიან.

ძალიან მცირე სკოლამდელ დაწესებულებაშია მოწყობილი რესურსოთახი, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ბაღის ხელმძღვანელებს არ ესმით მისი დანიშნულება. რესურს- ოთახები სხვადასხვა აქტივობებში შეძენილი ცოდნის განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს.

ადრეული განათლების სპეციალისტის, ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სწავლება ინკლუზიური განათლებისა და პედაგოგიკის საკითხებსაც უნდა მოიცავდეს. ასევე მნიშვნელოვანია დამხმარე სპეციალისტების როლიც, რომლებიც ძირითად აღმზრდელებთან ერთდ მუშაობენ. კერძოდ, ასეთია სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი და ფიზიკური თერაპევტი. მათი ეფექტური გუნდური მუშაობა წარმატებული ინკლუზიური განათლების საფუძველია. ინფორმაცია არ არის ცალმხრივი, მუშაობა არ მიდის მხოლოდ ერთი მიმართულებით და აღმზრდელს ცალმხრივად არ უტარდება ინსტრუქციები, თუ რა უნდა გააკეთოს ერთ რომელიმე კონკრეტულ ბავშვთან. სწორი გადაწყვეტილეების მისაღებად სპეციალისტებმა აღმზრდელებთან ბუნებრივ სააღმზრდელო გარემოში უნდა ითანამშრომლონ. ბავშვის „სპეციალურ ადგილას“ გაყვანა კი არა, ჯგუფში მუშაობა ინკლუზიური განათლების საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.

გუნდური მუშაობა ბავშვის მშობლის ჩართულობასაც გულისხმობს. ეს იმის საფუძველს ქმნის, რომ განათლების სპეციალისტები და ოჯახი, გაზიარებული მიზნების მიღწევას ემსახურებიან და წარმატებასაც ერთად აფასებენ.

უმეტეს სკოლამდელ დაწესებულებას ჰყავს დამხმარე სპეციალისტები. ერთეულებს, შეიძლება, რომელიმე სპეციალისტი აკლდეს. არის ისეთი სკოლამდელი დაწესებულება, რომელთაც არცერთი სპეციალისტი არ ჰყავს: მაგალითად, ქობულეთში - ოთხი, შუახევში - ორი, ხოლო ხულოში რვავე.

საერთო მონაცემები ასეთია:

| # | ქალაქი | ფსიქო-ლოგი | ლოგოპედი | სპეციალური მასწავლებელი | ინკლ. განათლ. კოორდინატ. | არცერთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბათუმი | 28 | 28 | 1 | 1 | 0 |
| 2. | ქობულეთი | 0 | 14 | 1 | 0 | 4 |
| 3. | ხელვაჩაური | 7 | 7 | 7 | 0 | 0 |
| 4. | ქედა | 3 | 7 | 0 | 0 | 0 |
| 5. | შუახევი | 2 | 2 | 1 | 0 | 2 |
| 6. | ხულო | 0 | 0 | 0 | 0 | 8 |

ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა ასე განაწილდა: ბათუმი - 18, ქობულეთი - 16, ქედა - 9, ხელვაჩაური - 6, შუახევი - 4, ხულო - 0.




ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა

კვლევამ აჩვენა, რომ ინკლუზიური განათლების განხორციელებაში ჩართულია მშობელთა უმეტესობა. ისინი მონაწილეობენ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში, აქტიურად თანამშრომლობენ აღმზრდელთან, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი მშობლებისა არ თანამშრომლობენ და საერთოდ არ აინტერესებთ შვილის ამჟამინდელი მდგომარეობა.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ინკლუზიური განათლების მხრივ აჭარაში სასურველი მდგომარეობა არ არის. რიგ ბაღებში ჯერ კიდევ არ შეუდგენიათ ინდი- ვიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა, სსსმ ბავშვები სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ნაკლებად ჰყავთ ჩართული. ჩვენი მოვალეობაა, დავეხმაროთ ი.ს.პ.-ს შედ- გენასა და განხორციელებაში.

## § 1.5. სკოლამდელი განათლება, როგორც აღსაზრდელთა სკოლისათვის მომზადების საშუალება

სკოლამდელი ასაკი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ბავშვის განვითარებაში. ამ დროს ყალიბდება ყველა ძირითადი უნარი, რომელსაც შემდგომ ბავშვი იყენებს სკოლასა თუ, ზოგადად, მთელი ცხოვრების განმავლობაში.

საქართველოში სკოლამდელი განათლების ახალი მოდელის ორგანიზება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, ხელი შეუწყონ ბავშვების მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას. ადრეულ ასაკში მიღებული ხარისხიანი განათლება აღსაზრდელებს დაეხმარება, განათლების შემდეგ ეტაპებზე (იქნება ეს სკოლა, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებელი თუ სხვა) იყვნენ უფრო წარმატებულები.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებას საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჯერაც ბავშვის ,,დასატოვებელ“ ადგილად აღიქვამს, რასაც მშობლებისთვის გამოთავისუფლებული დროის საუკეთესო საშუალებად თვლის. ანუ მომუშავეთა ოჯახებისათვის ან მშობლებისთვის, რომელთაც, უბრალოდ, მეტი თავისუფალი დრო სჭირდებათ, ეს არის სოციალური დახმარების ერთ-ერთი ფორმა. ჩვენი მოვალეობაა, დავამსხვრიოთ ეს სტერეოტიპი.

იუნისეფის წარმომადგენელი, განათლების პროგრამების ხელმძღვანელი **მაკო ყუფარაძე** მიიჩნევს, რომ სწორედ ,,ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდა არის საფუძველი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს განათლების შემდგომი ეტაპი’’.

საქართველოში იუნისეფის ხელმძღვანელ **საშა გრაუმანის** აზრით, ბავშვთა ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდა ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა: ,,კვლევები, რომლებიც დღეს არსებობს, თუნდაც თავის ტვინის განვითარების შესახებ, ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რასაც სკოლამდელ ასაკში აგროვებენ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელ ცხოვრებაზე“. ამ სიტყვებს თუ კარგად ჩავუღრმავდებით, უფრო გავიაზრებთ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მნიშვნელობას. სწორედ ეს უნდა მივიტანოთ მშობლებამდე, რათა არ შეექმნათ მცდარი წარმოდგენა, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ბავშვის განვითარება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელზეც მრავალი გენეტიკური და გარემო ფაქტორი ახდენს გავლენას. თეორიების უმრავლესობა განვითარებას განიხილავს ეტაპობრივ პროცესად, რომელიც წინასწარ განსაზღვრული საფეხურების მიხედვით მიმდინარეობს. ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა დამოკიდებულია შესაბამისი უნარების ათვისებაზე მისი წინმსწრები საფეხურისთვის (ჭინჭარაული . . . 2010:8).

ადრეულ ასაკში ბავშვის მრავალმხრივი განვითარება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის

ხელშეწყობა, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ადრეულ ასაკში ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და ემოციური განვითარება  მის შემდგომ აკადემიურ წარმატებას, პროფესიულ და ცხოვრებისეულ წინსვლას განაპირობებს.

შესაბამისად, საზოგადოების და ქვეყნის ყურადღება მიმართული უნდა იყოს ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარებაზე, მათთვის ხარისხიანი სასწავლო- სააღმზრდელო მომსახურების უზრუნველყოფაზე (სკოლამდელი . . .  2013:8).

სკოლამდელი განათლების მომსახურება საქართველოს გრძელვადიან განვითარებაში უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას წარმოადგენს. საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ კარგად ორგანიზებული სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვების მოსწრების გრძელვადიან გაუმჯობესებას სკოლებში, მათ შორის, უფრო მაღალი ნიშნების მიღებას, კლასში ჩარჩენილი ბავშვების რაოდენობის კლებას და უკეთეს საგანმანათლებლო მიღწევებს.

სკოლამდელი განათლება ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტიციაა, რომელიც შეიძლება ქვეყანამ განახორციელოს. სკოლამდელი განათლება ადამიანის ცხოვრების საგულისხმო ეტაპია, რომელიც დიდად განსაზღვრავს მის სამომავლო განვითარებას და წარმატებას. ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოს და პირობების შექმნა შესაძლებელია ერთობლივად - მშობლების, ოჯახის, სასწავლო დაწესებულებების, სახელმწიფოს და სრულიად საზოგადოების თანამონაწილეობით. ამიტომ არის აუცილებელი ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლებისა და განვითარების ხელშეწყობაზე ზრუნვა. ამის მიუხედავად, საქართველოში სკოლამდელ განათლებაში ჩართულია ბავშვების 70%-ზე ნაკლები. განსაკუთრებით ეს ეხებათ სოციალურად დაუცველ ბავშვებს, რომელთათვისაც სკოლამდელი განათლება მეტად მნიშვნელოვანია.

საქართველოს მთავარ პრობლემას წარმოადგენს სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა - უღარიბესი ოჯახების შვილებისა და  საზოგა-დოებისაგან იზოლირებული სხვა ბავშვებისათვის, მათ შორის, უმცირესობის წარმომადგენელ და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარებისათვის. იუნისეფი აქტიურად უჭერს მხარს სკოლამდელი სისტემის რეფორმას საქართველოში, განსაკუთრებით კი სკოლამდელი განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიების ჩამოყალიბებას, მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროგრამის შემუშავებას.

საქართველოს ასამდე საბავშვო ბაღში დაინერგა სკოლამდელი განათლების საერთაშორისო პროგრამა ,,ნაბიჯ-ნაბიჯ'' და შესაბამისი მომზადება გაიარა 500-მა მასწავლებელმა (საინფორმაციო ბიულეტინი იუნისეფი საქართველოში - განათლება ყველასათვის, 2010:4).

ამის მიუხედავად, სკოლამდელი აღზრდის სისტემაში პრობლემები კვლავაც არის, პედაგოგები მაინც არ არიან მზად, რომ მიიღონ სსსმ აღსაზრდელები და

უზრუნველყონ მათი განათლება. არ იციან ის მიდგომები და სტრატეგიები, რომლებითაც შეიძლება ასწავლონ აღსაზრდელს, ასევე ხშირ შემთხვევაში ვერ აცნობიერებენ, თუ რა დახმარება სჭირდება ბავშვს.

საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესე-ბულებების 98%-ს არ აქვს შესაბამისი გარემო და არ ჰყავს კვალიფიციური კადრი, რომ ასწავლოს და მიიღოს სსსმ აღსაზრდელები. ეს მდგომარეობა, ძირითადად, რაიონებისა და სოფლების ბაღებში აღინიშნება, თუმცა, ქალაქების ბაღები გამონაკლისია.

საქართველოში დღეისათვის ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის პროგრამა. სასკოლო მზაობის პროგრამა **„თ ა მ ა შ ი“,** თითოეული ბავშვის უნიკალურობის გათ-ვალისწინებით, ხელს უწყობს ადრეული ასაკის ბავშვთა სწავლისა და განვითარების სტანდარტებით განსაზღვრულ ხუთივე სფეროში (ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, სწავლისადმი მიდგომა, სოციალურ-ემოციური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სამეტყველო განვითარება) მაღალი შედეგების მიღწევას. სასკოლო მზაობის პროგრამა ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, იმოქმედონ საკუთარი ინტერესების მიხედვით, ისწავლონ ხალისით, გაერთონ და გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს. პროგრამა ხელს უწყობს აზროვნებისა და თანამშრომლობის უნარის, ურთიერთპატივისცემის გრძნობის განვითარებას, აგრეთვე სხვებისა თუ საკუთარი თავის, კულტურის და გარემოს მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას. პროგრამა თითოეულ ბავშვს ეხმარება, მაქსიმალურად განივითაროს საკუთარი პოტენციალი. სასკოლო მზაობის პროგრამა ხორციელდება ჯგუფში, სადაც ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა 25-ს შეადგენს. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს უძღვებიან აღმზრდელი და მისი თანაშემწე.

***სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზნებია:***

- ბავშვს განუვითარდეს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- საუკეთესო არჩევანის გასაკეთებლად და ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად განუვითარდეს სიღრმისეული, მოქნილი და შემოქმედებითი აზროვნება;
- ფიზიკური და ემოციური სიჯანსაღის შესანარჩუნებლად საჭირო უნარების განვითარებაში შეუწყოს ხელი;
- ბავშვი სათანადოდ მოამზადოს პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- ერთი წლის განმავლობაში ბავშვს ჰქონდეს ხალისიან გარემოში სწავლის და განვითარების შესაძლებლობა (სასკოლო მზაობის პროგრამა 2015:3).

ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ირგვლივ არსებული სამყაროს შემეცნების სურვილი ის ძალაა, რომელიც ბავშვებს უბიძგებს  იკვლიონ, გამოსცადონ, მოსინჯონ სიახლეები, მოირგონ სხვადასხვა როლი - კატის თუ პოლიციელის. ამ პროცესში ისინი იზრდებიან, სწავლობენ და ვითარდებიან. სწორედ ამიტომ, თამაში, განსაკუთრებით კი როლური თამაში,  ადრეული ასაკის ბავშვებისთვის წამყვანი საქმიანობაა (სეიფერი . . . .  2015:11).

თამაში ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია **სოციალური და ემოციური განვითარებისთვის.** თამაში იძლევა საშუალებას, ბავშვმა გაიაზროს და უსაფრთხოდ გამოხატოს ძლიერი ემოციები. ერთ-ობლივ წარმოსახვით თამაშს შეუძლია, ბავშვებს შორის განსაკუთრებულად ძლიერი კავშირის დამყარებას შეუწყოს ხელი. მასში განსაკუთრებით კარგად ერთვებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები.

აღსაზრდელები ხშირად გაითამაშებენ ისეთ სიტუაციებს, რომლებმაც მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შეიძლება იყოს „ექიმობანა" - ექიმთან ვიზიტის შემდეგ. ყველაზე ხშირად „სახლობანას" თამაშობენ, რომლის დროს გადმოსცემენ ახლობლებთან ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან გამოცდილებას, განსაკუთრ-ებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები. ამავდროულად ისინი ასახიერებენ უფრო „ძლიერი" ზრდასრულის როლს. მათ ხშირად უხდებათ სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობა, შესაბამისად, კარგად გამოსდით ექიმის, მედდის ან სხვა სამედიცინო პერსონალის როლის გათამაშება. „სახლობანა" იმიტომაა ხშირი, რომ მისი თემა, გამოცდილებისა და ურთიერთობებიდან გამომდინარე, ყველაზე ნაცნობია ბავშვებისთვის და, შესაბამისად, სათამაშოდ მრავალფეროვან საშუალებას იძლევა. ამ თამაშის დროს ძალიან  კარგად ჩანს, როგორი ოჯახის წევრები სურთ სსსმ ბავშვებს.

თამაშის დროს ბავშვებს ბუნებრივად უვითარდებათ **მსხვილი და ნატიფი მოტო-რიკა.** სირბილის, გაძრომის, ხტუნვის დროს მაგრდება მათი მსხვილი კუნთები. ჩაიდნიდან  წყლის ჭიქებში ჩამოსხმის, კუბურებით ქალაქის ან ცხოველების, სახლების აშენების და, ვითომ-ვითომ, წერის დროს ვითარდება ნატიფი მოტორიკა და კოორდინაცია.

თამაში ხელს უწყობს ბავშვის **კოგნიტურ განვითარებას.** მაგალითად, „მაღაზი-ობანას" თამაშის დროს  წონიან, ზომავენ, ანგარიშობენ, ახარისხებენ სხვადასხვა „საგნებს" ან „პროდუქტებს". ამ დროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები სხვებთან ერთად უპრობლემოდ ერთვებიან ინტერაქციაში. ფოსტის ან საავადმყოფოს თამაშის დროს - გამოცდიან თავიანთ წარმოდგენებს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, ავარჯიშებენ მეხსიერებას, სააზროვნო და პრობლემის გადაჭრის უნარებს.

თამაში ავითარებს **მეტყველების და კომუნიკაციის** უნარებს. იმისთვის, რომ როლური თამაში დაიწყონ, ბავშვები ერთმანეთს აცნობენ სიუჟეტს და ინაწილებენ

როლებს. თამაშის დროს ნელ-ნელა სწავლობენ ყოველდღიურ მეტყველებაში ნაკლებად გამოყენებად უფრო დახვეწილ, რთულ სიტყვებს და ფრაზებს. ვითომ-ვითომ ექიმი „სინჯავს“ ავადმყოფს, უკეთებს „ნემსს“, წერს „დანიშნულებას“. ექთანი სინჯავს სიცხეს „თერმომეტრით“. პაციენტი ითხოვს ექიმთან „ვიზიტისთვის ჩაწერას“, მიმღები კი ეუბნება შესაძლო დროებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ამ თამაშებში კარგად ერთვებიან და პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე პროფესიულ კითხვებს სვამენ ან პროფესიონალის მსგავსად პასუხობენ.

ბავშვის განვითარებისთვის თამაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია. ის სასიამოვნო პროცესია და ბავშვებს თავისუფლების და სიხარულის განცდას ანიჭებს. **ბავშვობისას თამაშში გატარებული დრო - კარგად დახარჯული დროა.**

სასკოლო მზაობის ჯგუფში ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოების შეგრძნება, რასაც, პირველ რიგში, ახალი ჯგუფისადმი მიკუთვნების გრძნობა განსაზღვრავს. ეს ბავშვს უჩენს საკუთარი თავისადმი პატივისცემის შეგრძნებას, რაც მეტად აუცილებელია მისი საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსავლენად და განსავითარებლად.

ჯგუფთან მიკუთვნების გრძნობა ბავშვს უჩნდება მაშინ, როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი აქტიურად უწყობს ხელს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას და თანამშრომლობის მრავალფეროვან გზებს სთავაზობს. სხვაგვარად ინკლუზიური განათლება ვერ განხორციელდება. როგორც მისაბაძ როლურ მოდელს, აღმზრდელ-პედაგოგი, თავისი ქცევით, ტონით და საუბრით, ქმნის მზრუნველობითა და ურთიერთპატივისცემით გამსჭვალულ გარემოს. ასეთ გარემოში ბავშვები გრძნობენ, რომ მათ აფასებენ, როგორც განსაკუთრებულ პიროვნებას და ჯგუფის წევრს. როგორც ჯგუფის წევრები, ბავშვები ერთმანეთთან პოზიტიურ ურთიერთობებს ამყარებენ და ეხმარებიან ერთმანეთს. ისინი გულისხმიერნი არიან და ითვალისწინებენ თანაჯგუფელების გრძნობებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს.

ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბება ქცევითი პრობლემების პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა. ბავშვები თავს თუ იზოლირებულად გრძნობენ, ან ჯგუფიდან განცალკევებული არიან, ყურადღების მისაქცევად „არასასურველ“ ქცევას მიმართავენ. ამით ყურადღების მიპყრობა უფრო მარტივია, ვიდრე პოზიტიური ქცევით. როდესაც ბავშვები თავს ჯგუფის ნაწილად აღიქვამენ და გრძნობენ, რომ დაფასებული არიან, დაუკმაყოფილებელ ემოციურ საჭიროებებზე ყურადღებას აღარ ამახვილებენ და ჯგუფში მიმდინარე საქმიანობებსა და თანატოლებთან ერთად პროდუქტიულ თამაშებში ადვილად ერთვებიან.

ჯგუფის ერთობა რომ უზრუნველვყოთ, თითოეულმა ბავშვმა უნდა იცოდეს (გრძნობდეს), რომ ისიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სხვები, არც მეტად და არც ნაკლებად. შეიძლება, ზოგიერთი ბავშვი თავს პრივილეგირებულად თვლიდეს,

ზოგიერთი კი - დაუცველად. ნაკლებად „პოპულარულ“ ან რაიმე ნიშნით გამორჩეულ ბავშვებს (მათ შორის - ასაკით შედარებით უმცროსებს ან უფროსებს), შესაძლოა, სხვები ცუდად მოექცნენ ან ნაკლებ მნიშვნელოვნად აგრძნობინონ თავი. სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელ-პედაგოგმა უნდა შეძლოს, რომ ჯგუფში თანასწორობის პრინციპიც იყოს დაცული და ურთიერთპატივისცემითა და ერთმანეთზე ზრუნვით გამსჭვალული გარემოც შექმნას (სეიფერი . . . 2015:18).

***როგორ ქმნიან აღმზრდელ-პედაგოგები ჯგუფის ერთობას?***

- **ხელს უწყობენ თანამშრომლობას;**
- **ქმნიან პოზიტიურ კომუნიკაციას;**
- **აყალიბებენ ბავშვებს შორის ურთიერთგაგებას და ერთმანეთის დაფასებას;**
- **ბავშვებს პატივს სცემენ და ეხმარებიან მათ, პატივი სცენ ერთმანეთს და ნივთებს;**
- **უვითარებენ ბავშვებს ემპათიის გრძნობას;**
- **ეხმარებიან ბავშვებს ბრაზის მართვაში;**
- **ასწავლიან ბავშვებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას;**
- **იყენებენ ჯგუფის პოზიტიური მართვის და ქცევის პოზიტიური გაძღოლის სტრატეგიებს;**

პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე შესაბამისობაში მოიაზრება თითოეული ბავშვის ინდივიდუალური, ასევე მთლიანი ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინება და, შესაბამისად, მათზე მორგება. შესაბამისობა გულისხმობს პროგ-რამის ყველა ასპექტის (პროცესის დაგეგმვა, ფიზიკური გარემოს მოწყობა, აქტივობების და რესურსების შერჩევა, აქტივობების განხორციელება, აღმზრდელის ქცევა და ა. შ.) მორგებას თითოეული ბავშვის თავისებურებებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე. იმის მიუხედავად, რომ არსებობს ზოგადი შეხედულება წინა სასკოლო ასაკის ბავშვების ცოდნის, შესაძლებლობების, სურვილების, საჭიროებების და ინტერესების შესახებ, სასკოლო მზაობის ჯგუფში ისინი ერთმანეთისგან მაინც მრავალი ნიშნით განსხვავდებიან. მაგალითად, ზოგიერთს მეტყველების უნარი სხვებზე ადრე/გვიან უვითარდება. ეს განსხვავებები, შეიძლება, თანდაყოლილმა თავისებურებებმაც განაპირობოს და ოჯახისა და კულტურის ზეგავლენამაც.

პროგრამა თითოეულ ბავშვს რომ მოერგოს, აღმზრდელ-პედაგოგი სხვადასხვა გარემოში ყურადღებით აკვირდება აღსაზრდელებს. მაგალითად, ბავშვი შეიძლება ბაღში უფროსებს არ ესაუბრებოდეს, მაგრამ ბევრს საუბრობდეს სახლში ან თანატოლებთან. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია და მათგან ინფორმაციის მიღება. აღმზრდელი რეგულარულად ესაუბრება მშობლებს და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს. ხშირად, ოჯახის წევრებს საკუთარი მოლოდინების, ბავშვების ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების,

საჭიროებების, პიროვნული მახასიათებლების და სწავლის უნარების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ (სეიფერი . . . 2015:34).

განვითარების ყველა სფეროში ბავშვმა სრული პოტენციალი რომ გამოავლინოს, უნდა უზრუნველვყოთ მისი საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობებისადმი მორგებული გარემო და სასწავლო პრაქტიკა, რაც მის ოჯახურ, კულტურულ და ინდივიდუალურ თავისებურებებსაც ითვალისწინებს. აღმზრდელ-პედაგოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, ეფექტურად შეუწყოს ხელი ბავშვების სწავლა-განვითარებას, მოტივაციას და ჩართულობას, თუ მოერგება მათ ინდივიდუალურ განსხვავებებს. ამისათვის არსებობს ორი ძირითადი სტრატეგია: „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპების დანერგვა და ინდივიდუალური მიდგომა, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ჩვენს მიერ შედგენილი ინდივიდუალური განვითარების პროგრამები დიდად შეუწყობს ხელს ბავშვების სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას.

## თავი II: ბავშვის ადრეული განვითარება, განვითარების დარღვევები და მათთან მუშაობის სტრატეგიები სკოლამდელ დაწესებულებებში

### § 2.1. ბავშვის ადრეული განვითარების თავისებურებები

ბავშვის განვითარების თავისებურებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულების თანამშრომლებისათვის. ამ ნაწილში გავეცნობით განვითარების თეორიების იმ მახასიათებლებს, რომლებიც აუცილებელია მათთვის, როგორც პროფესიონალებისათვის. განვითარების თეორიების შესწავლა ბავშვებთან, მათ მშობლებთან და კოლეგებთან მუშაობის დროს დაგვეხმარება.

ბავშვის განვითარება **განვითარების ფსიქოლოგიის** სახელით ცნობილი უფრო ფართო დისციპლინის, ინტერდისციპლინარული გაგებით კი - **ადამიანის განვითარების** ნაწილია, რომელიც ჩვენს სიცოცხლეში მომხდარ ყველა ცვლილებას მოიცავს. ყველა მკვლევარს თითქმის ერთნაირი მიზანი აქვს: განსაზღვროს და აღწეროს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების პირველი ოცი წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებზე. განვითარების შესახებ კვლევებისთვის ასევე სტიმული გახდა სოციალური მოთხოვნა - უკეთესი გაგვეხადა ბავშვების ცხოვრება.

ადამიანის განვითარებას ხშირად ყოფენ სამ ფართო სფეროდ: ფიზიკურ, კოგნიტურ (შემეცნებით) და ემოციურ-სოციალურ განვითარებად.

**ფიზიკური განვითარების სფერო** მოიცავს სხეულის ზომის, პროპორციების, გარეგნობის, სხეულის სისტემების მუშაობის, პერცეპტული და მოტორული შესაძლებლობებისა და ფიზიკური ჯანმრთელობის ცვლილებებს.

**კოგნიტური განვითარების სფეროში** შედის ინტელექტუალური შესაძლებლობების ცვლილებები, ყურადღება, მეხსიერება, ზოგადი და ყოველდღიური ცოდნა, პრობლემების გადაჭრის, წარმოსახვის, შემოქმედების, ასევე ენისა და მეტყველების უნარები.

**ემოციური და სოციალური განვითარება** მოიცავს ცვლილებებს ემოციურ ურთიერთობებში, თვითშემეცნებაში, სხვა ადამიანთა შესახებ ცოდნაში. იგი ასევე მოიცავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, მორალურ მსჯელობას და ქცევას.

განვითარების სამივე სფერო განცალკევებული არ არის, ისინი ერთმანეთს გადაფარავენ და ურთიერთქმედებენ.

განვითარების შესახებ მსჯელობისას, ამ სამი სფეროს ჯერ გამოყოფისა და შემდეგ გაერთიანების გარდა, სხვა დილემაც ჩნდება - როგორ დავყოთ ადამიანის განვითარების დროის ჯაჭვი რაციონალურ, ადვილად მართვად ნაწილებად.

მკვლევარები, ჩვეულებრივ, ბავშვის განვითარებას ყოფენ ხუთ პერიოდად, რომელთაგან თითოეულს ახალი შესაძლებლობები და მოლოდინები მოაქვს და თეორიათა უმრავლესობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და გარდატეხების სახით წარმოგვიდგება.

*მუცლადყოფნის პერიოდი* - ჩასახვიდან დაბადებამდე. ამ ცხრათვიან პერიოდში ყველაზე სწრაფი ცვლილებები აღინიშნება.

*ჩვილობა და ფეხის ადგმა* - დაბადებიდან 2 წლამდე პერიოდი. ამ დროს სხეულსა და ტვინში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რომლებიც ბევრი მოტორული, აღქმითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენას უწყობს ხელს; საფუძველი ეყრება მეტყველებას, პირველ ინტიმურ ურთიერთობებს.

ჩვილობა მოიცავს სიცოცხლის პირველ წელიწადს, „ფეხის ადგმის პერიოდი" კი, პირობითად, ცხოვრების მეორე წელიწადია, რომლის განმავლობაშიც ბავშვი პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს და უფრო დიდი ავტონომიისათვის ცვლილებებს მოინიშნავს.

*ადრეული ბავშვობა* - 2-დან 6 წლამდე პერიოდი. სხეული იზრდება და იხვეწება, მოტორული უნარ-ჩვევები უმჯობესდება. ბავშვი სწავლობს საკუთარი თავის კონტროლს და დამოუკიდებლობას. ვითარდება წარმოსახვითი თამაშები, რაც ხელს უწყობს ფსიქოლოგიური განვითარების ყველა ასპექტს. გასაოცარი სისწრაფით ვითარდება აზროვნება და მეტყველება, აშკარა ხდება ზნეობრივი გრძნობების არსებობა, ბავშვი ურთიერთობებს ამყარებს თანატოლებთან.

*შუა ბავშვობა* - 6-დან 11 წლამდე პერიოდი. ბავშვები გარე სამყაროს და იმ პასუხისმგებლობებს ეცნობიან, რომლებსაც მოზარდობაშიც შეასრულებენ. გაუმჯობესებული ფიზიკური შესაძლებლობები, გარკვეული წესებით ორგანიზებულ თამაშებში მონაწილეობა, უფრო ლოგიკური აზროვნება, წერა-კითხვის საფუძვლებში გაწაფვა, წინ გადადგმული ნაბიჯები თვითშემეცნებაში, ზნეობრიობასა და მეგობრობაში ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნებია.

*მოზარდობა* გრძელდება 11-დან 18 წლამდე. ეს არის ზრდასრულობაში გარდამავალი პერიოდი. სქესობრივი მომწიფება ხელს უწყობს სხეულის ზომის ზრდასრულის ზომასთან დაახლოებას. აზროვნება აბსტრაქტული და იდეალისტური, ხოლო სწავლა უმაღლესი განათლების მისაღებად მომზადებასა და სამუშაოს მოძებნაზე ორიენტირებული ხდება. ახალგაზრდები ცდილობენ ოჯახისაგან დამოუკიდებლობის მიღწევას და პიროვნული ფასეულობებისა და მიზნების განსაზღვრას.

**ფსიქო-სოციალური განვითარების თეორიები.** ფსიქოლოგი ერიკ ერიკსონი თვლიდა, რომ საკუთარი თავის და სხვა პიროვნებების შესახებ ადამიანთა შეხე-დულებები მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლება. ერიკსონის ადამიანის განვითარების კლასიკური თეორია მოიცავს რვა ფსიქო-სოციალურ სტადიას (ბერკი, 1თ. 2010:28), რომლებსაც ადამიანები თავიანთი ცხოვრების

მანძილზე გაივლიან. თითოეული სტადია მოიცავს განვითარების ამოცანას ანუ კრიზისს, რომელიც ადამიანმა უნდა გადაჭრას. პიროვნების განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად გადალახავს იგი თითოეულ კრიზისს. რაც უფრო წარმატებით გაუმკლავდება თითოეულ ამოცანას, იგი ფსიქოლოგიურად მით უფრო ჯანსაღი იქნება.

ერიკსონის მიერ შემოთავაზებული რვავე ფსიქო–სოციალური სტადიის ყოველი საფეხური მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო ვრცლად განვიხილავთ იმ საფეხურებს, რომლებიც სკოლამდელ ასაკში ყველაზე მეტად გამოიყენება:

**ავტონომია სირცხვილისა და ეჭვის წინააღმდეგ (1-3 წელი).** ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი კუნთების კოორდინაცია და მობილურობის (მოძრაობის) უნარი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ზოგიერთი მოთხოვნილება თვითონვე დაიკმაყოფილოს. იწყებს დამოუკიდებლად ჭამას, დაბანას, ჩაცმას და საპირფარეშოს გამოყენებას. „თუ ბავშვის აღმზრდელები ამხნევებენ მის დამოუკიდებელ მოქმედებას, ბავშვს უვითარდება ავტონომიის განცდა, შეგრძნება იმისა, რომ მას შეუძლია ბევრ ამოცანას და პრობლემას თავად გაუმკლავდეს. ხოლო თუ აღმზრდელები არ აძლევენ ისეთი ამოცანების შესრულების უფლებას, რაც მას უკვე შეუძლია, და დასცინიან მის მცდელობებს, იყოს დამოუკიდებელი, ბავშვს უყალიბდება სირცხვილის და ეჭვის გრძნობა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ" (ჯანაშია . . . 2008:145). აღმზრდელ-პედაგოგებმა მაქსიმალურად უნდა ეცადონ, სსსმ ბავშვებს განუვითარდეს დამოუკიდებლობა.

**ინიციატივა დანაშაულის გრძნობის წინააღმდეგ (3-5 წლის ასაკი).** სკოლამდელი ასაკის ბავშვებს დამოუკიდებლად თანდათანობით უფრო მეტი ამოცანის შესრულება შეუძლიათ. ზოგჯერ ისეთ საქმიანობას ჰკიდებენ ხელს, რომელთა შესრულებაც მათ ადვილად შეუძლიათ. მაგრამ ზოგჯერ იმასაც ცდილობენ, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება, ან რომლებიც ხელს უშლის სხვა ადამიანების გეგმებს და საქმიანობებს. მშობლები და ბაღის აღმზრდელები ბავშვების მცდელობებს თუ ახალისებენ და, ამავე დროს, მათ რეალისტური და შესაფერისი არჩევანის გაკეთებაში ეხმარებიან, ბავშვებს უვითარდებათ ინიციატივის გრძნობა - საქმიანობების დამოუკიდებლად დაგეგმვის და შესრულების უნარი. ამდენად, ეს კარგად უნდა გავითავისოთ სსსმ ბავშვებთან ურთიერთობისას. მოზრდილები ბავშვებს იმის უფლებას თუ არ აძლევენ, რომ ამოცანებს თვითონვე გაუმკლავდნენ და თვლიან, რომ დამოუკიდებლობისკენ მათი სწრაფვა სასაცილო და მომაბეზრებელია, მაშინ ბავშვებს საკუთარი მოთხოვნილებების და სურვილების მიმართ დანაშაულის გრძნობა უჩნდებათ, რაც არასასურველ შედეგს მოგვიტანს.

**კოგნიტური განვითარების თეორია.** სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანი ბავშვის კოგნიტური განვითარების ხელშეწყობაა. ეს მცნება გულისხმობს ბავშვის აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯის უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებ-

ლობების განვითარებას. **კოგნიტური განვითარების თეორიის** თანახმად ბავშვები ცოდნას სამყაროში ქმედებებისა და კვლევის გზით აგროვებენ.

პიაჟეს თეორიის მიხედვით ტვინის განვითარებასა და გამოცდილების გამდიდრებასთან ერთად ბავშვები გაივლიან განვითარების ოთხ ვრცელ საფეხურს, რომელიც ხარისხობრივად განსხვავებული აზროვნებით ხასიათდება.

უფრო სრულად განვიხილოთ რამდენიმე სტადია:

**პრეოპერაციული სტადია (2–დან 7 წლამდე).** „პრეოპერაციულ სტადიაში ბავშვთა ენობრივი უნარები საოცარი სისწრაფით ვითარდება, რაც მათ საშუალებას აძლევს, გონებაში წარმოსახონ და, სიმბოლოების საშუალებით, იფიქრონ მრავალფეროვან საგნებზე და მოვლენებზე" (ჯანაშია . . . 2008:23), ბავშვებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი აზრები და ენის საშუალებით მიიღონ ინფორმაცია, რაც ადრე მათთვის შეუძლებელი იყო. ამის მიუხედავად, პრეოპერაციულ სტადიაში ბავშვთა აზროვნების უნარი საოცრად პრიმიტიული რჩება. პიაჟეს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ის იყო, რომ პატარა ბავშვებს არ ესმით კონსერვაციის (შენარჩუნების) პრინციპები.

მაგალითი: 5 წლის ქეთის ვაჩვენეთ ორი ერთნაირი, განიერი და დაბალი ჭიქა, რომლებშიც ერთი და იგივე რაოდენობის წყალი ესხა. როცა ვკითხეთ, ორივე ჭიქაში ერთი და იმავე რაოდენობის წყალი თუ არის, დარწმუნებით გვიპასუხა, რომ კი. ეს მართლაც ასეა. შემდეგ მეორე ჭიქიდან წყალი მესამე, უფრო მაღალ და ვიწრო ჭიქაში გადავასხით. ამჯერად ქეთიმ ჩათვალა, რომ მესამე ჭიქაში უფრო მეტი წყალი იყო ჩასხმული. ქეთის პასუხიდან ჩანს, რომ მას კონსერვაციის პრინციპები არ ესმის - იგი ვერ ხვდება, რომ, რადგან წყალი არც დაგვიმატებია და არც მოგვიკლია, მისი რაოდენობა პირველ და მესამე ჭიქაში თანაბარი უნდა იყოს. ქეთი ყურადღებას აქცევს მხოლოდ ერთ ასპექტს (ჭიქის სიმაღლეს) და ყველაფერს სხვას (მაგალითად, იმ ფაქტს, რომ წყალი არც დაგვიმატებია და არც მოგვიკლია) იგნორირებას უკეთებს. პრეოპერაციულ სტადიაში მყოფ ბავშვს სჯერა, რომ მთლიანი ნამცხვარი უფრო მეტია, ვიდრე 8 ნაჭრად დაჭრილი იმავე ზომისა.

პრეოპერაციული აზროვნება ხასიათდება რამდენიმე თავისებურებით, რითაც შეგვიძლია ავხსნათ, თუ რატომ უშვებენ ბავშვები მსგავს შეცდომებს.

პირველი დამახასიათებელი თვისებაა **ცენტრაცია** - ყურადღების გამახვილება სიტუაციის მხოლოდ ერთ, ყველაზე ნათელ და ადვილად აღსაქმელ ასპექტზე და სხვა დანარჩენი ასპექტების იგნორირება. ჭიქის სიმაღლე წყლის ყველაზე ადვილად აღსაქმელი თავისებურებაა, ამიტომაც ბავშვები ასკვნიან, რომ მაღალ, ვიწრო ჭიქაში უფრო მეტი წყალი ასხია.

მეორე თავისებურება ის არის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არა აქვთ **ტრანსფორმაციის გაგების** ანუ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის პროცესის გონებაში ასახვის და აღბეჭდვის უნარი. მათ არ შეუძლიათ, გონებაში აღბეჭდონ მეორე ჭიქიდან მესამეში გადასხმის პროცესი; ისინი მესამე ჭიქას აღიქვამენ, როგორც სრულიად ახალს და განსხვავებულს.

მესამე თავისებურება ის არის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არა აქვთ უნარი, შეასრულონ **შექცევადი** ოპერაციები, ანუ გონებრივი წარმოსახვები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ არ შეუძლიათ, თავიანთი ფიქრის მიმართულება შეცვალონ ისე, რომ საწყის პოზიციას დაუბრუნდნენ. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება იცოდეს, რომ 2 + 4 = 6, მაგრამ არ ესმოდეს, რომ საწინააღმდეგო მოქმედება, 6 – 4 = 2, სწორია. პრეოპერციული სტადიის ბავშვებს გონებაში წყლის გადასხმის პროცესის საწინააღმდეგო მიმართულებით წარმოდგენის უნარი რომ ჰქონდეთ, ისინი მიხვდებოდნენ, რომ როცა წყალს ისევ უკან, დაბალ ჭიქაში გადაასხამ, მისი რაოდენობა არ შეიცვლება.

პრეოპერაციული სტადია ასევე ხასიათდება **ეგოცენტრული** აზროვნებით: სიტუაციების სხვა ადამიანის პოზიციიდან/მხედველობის არედან დანახვის უნარის ნაკლებობით. ამ სტადიაზე მყოფი ბავშვი ფიქრობს, რომ ყველა მისნაირად ხედავს სამყაროს.

ქვემოთ მოცემულია ეგოცენტრული აზროვნების 2 მაგალითი.

სატელეფონო საუბარი 4 წლის დანიელსა და მის მამას შორის:

მამა ეკითხება „დედა სახლშია?“ დანიელი თანხმობის ნიშნად თავს აქნევს, ან კიდევ 3,5 წლის ბაია ბებოს ესაუბრება ტელეფონით: „ბებო, ნახე, დედამ რა ლამაზი თოჯინა მიყიდა!“, თან თოჯინას ზემოთ წევს და თითქოს აჩვენებს.

დანიელის და ბაიას პასუხი ეგოცენტრულია. ისინი ვერ ხედავენ სიტუაციას მამის და, შესაბამისად, ბებიის მხედველობის არედან და ვერ ხვდებიან, რომ მამას (ბებიას) არ შეუძლია დაინახოს, თუ როგორ დაუქნია დანიელმა თავი, ან კიდევ ბაიამ აჩვენა თოჯინა.

ეს არ არის დარღვევა, შესაბამისად აღმზრდელ-პედაგოგს არ უნდა შეეშალოს და არ ჩათვალოს პრობლემად. ეს ყველაფერი ასაკის მიხედვით დაძლევადია. ზემოთ მოცემული მაგალითები სწორედ იმიტომ განვიხილეთ, რომ მათ ბავშვის მიმართ სწორ მიდგომაში დავეხმაროთ.

პრეოპერაციული სტადიის ბოლოსკენ ბავშვები მოწიფული ლოგიკური აზროვნების ნიშნების გამომჟღავნებას იწყებენ. მაგალითად, მათ ხანდახან შეუძლიათ, სწორად გადაჭრან პრობლემები, რომლებიც საგანთა სხვადასხვა კატეგორიებში ჩართვას მოითხოვს (თუნდაც, მძივის მარცვლების პრობლემა) და ამოცანები, რომლებიც კონსერვაციის პრინციპების გაგებას მოითხოვს (კერძოდ, წყლის ჭიქების პრობლემა). ამ დროს ბავშვების აზროვნება გუმანსა და ინტუიციაზეა დაყრდნობილი და არა ძირითადი ლოგიკური პრინციპების შეგნებულ ცოდნაზე, ამიტომაც არ შეუძლიათ ახსნან, თუ რატომ არის მათი დასკვნები და პასუხები სწორი.

**ბიჰევიორიზმის** თანახმად შესწავლის ფოკუსი არის უშუალოდ დასაკვირვებელი მოვლენები - სტიმულები და რეაქციები. ჩრდილო ამერიკულ ბიჰევიორიზმს საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგ ჯონ უოტსონის შრომებმა.

უოტსონი შთააგონა რუსი ფიზიოლოგის ივენ პავლოვის ცხოველთა შესახებ სწავლებამ, რომელმაც ცხოველებზე ჩატარებული კვლევის შედეგად შენიშნა, რომ თუ საკვების მიცემამდე დარეკავდნენ ზარს, შემდეგ მისცემდნენ საკვებს და ამას რამდენიმეჯერ გაიმეორებდნენ, სულ მალე მხოლოდ ზარის დარეკვა (საჭმლის მიცემის გარეშე) იწვევდა ძაღლში ნერწყვის გამოყოფას. საჭმლის პირში მოხვედრისას ნერწყვის გამოყოფა ბუნებრივი ფაქტია, მაგრამ ზარის ხმაზე ნერწყვის გამოყოფა იყო სიახლე, რომელიც პავლოვმა ცდების შედეგად მიიღო. პავლოვის პირობითი რეფლექსების თეორიას მოგვიანებით უწოდეს კლასიკური განპირობებულობა. განპირობებულობა არის დასწავლის ტიპი, როდესაც კავშირი მყარდება სტიმულსა და რეაქციას შორის. მაგ., აღმზრდელ-პედაგოგის სიტყვები: „გამოდი, ავაწყოთ პირამიდა" არის სტიმული, რომელზეც აღსაზრდელის მხრიდან საპასუხო რეაქცია ის არის, რომ გამოდის პირამიდის ასაწყობად. პირობითი რეფლექსები ადამიანებს ჩვენი ცხოვრების განმავლობაში უხვად გვაქვს შეძენილი და იგი სწავლის ერთ-ერთ უმარტივეს სახეობას წარმოადგენს.

უოტსონს სურდა გაეგო, შესაძლებელი იყო თუ არა კლასიკური განპირობებულობის გამოყენება ბავშვის ქცევასთან მიმართებაში. თავის ისტორიულ ექსპერიმენტში მან 11 თვის ალბერტს ასწავლა ნეიტრალური სტიმულის - რბილი თეთრი ვირთხის შიში, რომლის გამოჩენას თან მკვეთრი, მჭახე ხმა სდევდა. ეს ხმა ბუნებრივად აშინებდა პატარას. თუ დასაწყისში პატარა ფუმფულა ვირთხისაკენ ხელს იწვდიდა, შემდეგ მისი დანახვისთანავე თავს აბრუნებდა და ტირილს იწყებდა. **უოტსონმა დაასკვნა**, რომ განვითარებაში მთავარ როლს გარემო ასრულებს (ზერკი თ. 1. 2010:27).

განვიხილოთ სიტუაცია: დანიელი ცხრაბავშვიან ოჯახში მეექვსე შვილია. მას ბევრი რამ უყვარს, მაგალითად, როკ-მუსიკა, ფეხბურთის თამაში და მარწყვის ნაყინი. მაგრამ ყველაზე მეტად ყურადღება უყვარს. დანიელმა კარგად იცის, როგორ მიიპყროს სხვა ადამიანების ყურადღება. იგი აღმზრდელ-მასწავლებლის ყურადღების მისაქცევად პასუხებს ხმამაღლა წამოიძახებს ხოლმე, აღმზრდელის მიმართულებით ქაღალდებს და საშლელებს ისვრის და უარს ამბობს მიცემული დავალების შესრულებაზე. იმისათვის, რომ თანატოლების ყურადღება მიიქციოს, მათ აჯავრებს, ხელს კრავს და ზოგჯერ უწმაწურ სიტყვებს ამბობს. დანიელი ყურადღების ცენტრში ექცევა: აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე მას მასხრობისა და სხვა ცუდი საქციელისთვის ხშირად ბაღის მენეჯერის კაბინეტში აგზავნიან. მართალია, ყურადღება, რომელსაც დანიელი იღებს, ხშირად აღმზრდელისგან დატუქსვაში, თანტოლების გაბრაზებაში, მენეჯერის დარიგებასა და გაფრთხილებაში გამოიხატება, მაგრამ მისთვის ასეთი ყურადღებაც მნიშვნელოვანია.

როგორ ფიქრობთ, ადამიანების ყურადღების მისაპყრობად რატომ ირჩევს დანიელი ცუდ ქცევას? კონკრეტულად რა ისწავლა დანიელმა თავისი გამოცდილებიდან? შეგიძლიათ მისი ყურადღების მისაქცევი მოქმედებიდან სწავლის

პრინციპი შეიმუშავოთ? მოცემული სიტუაცია გვიჩვენებს ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპის მაგალითს: ადამიანები სწავლობენ და ამჟღავნებენ ისეთ ქცევებს, რომლებსაც, მათი აზრით, სასურველი შედეგი მოაქვს.

ადამიანთა ქცევა ხშირად მათ გარემოში არსებული სტიმულების საპასუხოდაა მიმართული. ბიჰევიორისტები თვლიან, რომ დაბადებისას ადამიანი “ტაბულა რასას” ანუ სუფთა დაფას წარმოადგენს - არ არის მიდრეკილი კონკრეტული ქცევისკენ. დროთა განმავლობაში გარემო ხელს უწყობს ადამიანის ხასიათის და ქცევის თავისებურებების ჩამოყალიბებას. აღმზრდელ-მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვის წარსული და აწმყო, მისი გარემო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის ქცევაზე. აღმზრდელ-მასწავლებლებს შეუძლიათ ამ ძირითადი პრინციპის ბავშვის სასარგებლოდ გამოყენება -სასწავლო-განმავითარებელი გარემო მოსწავლეთა ქცევაზე ზემოქმედებს.

ბიჰევიორისტების განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ პრემაკის (დევიდ პრემაკი, ამერიკელი ფსიქოლოგი) პრინციპს. აღმზრდელს შეუძლია, წაახალისოს აღსაზრდელების ნაკლებად სასურველი ქცევა, თუ ბავშვები მას უფრო სასურველ ქცევებს დაუკავშირებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღმზრდელი მხოლოდ მაშინ ხდის სასურველ ქცევას ხელმისაწვდომს, როცა აღსაზრდელები ნაკლებად სასურველ მოქმედებას შეასრულებენ. მაგალითად, როცა აღმზრდელ-მასწავლებელი აღსაზრდ-ელებს ეუბნება: „როგორც კი მორჩებით ამ აქტივობას, შეგიძლიათ გარეთ გახვიდეთ”, ან „ჯერ აალაგეთ თქვენი ფანქრები და ფერადი ფურცლები და მერე ზღაპარს წაგიკითხავთ”, იგი პრემაკის  პრინციპს იყენებს. აღმზრდელებს შეუძლიათ, პრემაკის პრინციპის გათვალისწინებით, აქტივობა ისე დაგეგმონ, რომ ნაკლებად სასურველ დავალებებს უფრო სახალისო დავალებები მოსდევდეს. აგრეთვე, შეიძლება სახალისო საქმიანობებში მონაწილეობა დამოკიდებული გახადონ ნაკლებად სასიამოვნო დავალებების წარმატებით შესრულებაზე (ჯანაშია . . . 2008:74).

**სოციალური დასწავლის თეორია** თავდაპირველად ბიჰევიორიზმზე იყო დაფუძნებული. ეს თეორია ბიჰევიორიზმის ძირითად პრინციპებს ეთანხმება, მაგრამ აქცენტს უფრო მეტად  გონებრივ პროცესებზე აკეთებს. იგი ხაზს უსვამს აზროვნების გავლენას ქცევაზე და ქცევის გავლენას აზროვნებაზე.

სოციალური სწავლების თეორია რამდენიმე სახეობისაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კანადელი ფსიქოლოგის ალბერტ ბანდურას თეორიაა, რომელიც მოდელირებას უსვამს ხაზს და იმიტაციის, ანუ დაკვირვებადი სწავლის, როგორც განვითარების მძლავრი წყაროს, სახელწოდებით არის ცნობილი. ბავშვი, რომელიც დედის მიბაძვით ტაშს უკრავს, თანატოლს ისეთივე ბრაზით არტყამს ხელს, როგორც თავად ის დასაჯეს სახლში; ბავშვი, რომელსაც თანატოლების მსგავსი ტანსაცმელი და ვარცხნილობა აქვს, დაკვირვებადი სწავლის მაგალითებია. ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანებზე, ანუ მოდელებზე დაკვირვების საშუალებით. მაგალითად,

აღსაზრდელს აღმზრდელზე დაკვირვებით, შეუძლია ისწავლოს სიტყვების სწორად წარმოთქმა, რაიმე დავლების შესრულება, დაჯგუფება და ა. შ..

პიროვნების ქმედება გარკვეულ მიზნებზეა მიმართული. სოციალური დასწავლის თეორიის თანახმად, ადამიანები ისახავენ მიზნებს და, შესაბამისად, თავიანთ ქმედებებს ამ მიზნების მისაღწევად მიმართავენ და საამისოდ არიან მოტივირებულნი. აღსაზრდელებს სხვადასხვაგვარი მიზანი შეიძლება ჰქონდეთ, მაგალითად, კარგი შექება, თანატოლებს შორის პოპულარულობა, ჯგუფის გამრთობის რეპუტაცია ან სპორტში წარმატება.

ქცევა თანდათანობით თვითრეგულირებული ხდება. პატარა ბავშვების ქცევას მნიშვნელოვნად აკონტროლებენ და მართავენ სხვა ადამიანები: მშობლები, უფროსი დები და ძმები, ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები და ა.შ. ზრდასთან ერთად იზრდება ბავშვის პასუხისმგებლობაც, რომელსაც იგი საკუთარ ქცევაზე იღებს. მიზნების მისაღწევად მოზრდილი ბავშვები თვითონ წარმართავენ და აკონტროლებენ თავიანთ ქცევას და აზროვნების პროცესებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი თვითრეგულაციის უნარი თანდათანობით იზრდება. 1950-იანი წლებისთვის სოციალური დასწავლის თეორია ბავშვის განვითარების შესწავლაში წამყვანი გახდა.

ბანდურას შეხედულებით ბავშვები თანდათან უფრო ყურადღებიანი ხდებიან იმის მიმართ, რის იმიტაციასაც ახდენენ. საკუთარი თავის მაქებარ ან გამკიცხავ ადამიანებზე დაკვირვებით და ამ დაკვირვების საკუთარ ქმედებასთან დაკავშირებით ქცევის პერსონალურ სტანდარტებს და საკუთარი თავის რწმენას გამოიმუშავებენ. ეს ცოდნა კონკრეტულ სიტუაციებში რეაქციებს წარმართავს (ბანდურა, 1999, 2001). მაგალითად, წარმოვიდგინოთ მშობელი, რომელიც ხშირად აღნიშნავს - "იმის მიუხედავად, რომ რთული იყო, ბედნიერი ვარ, რომ ეს საქმე გავაკეთე". ის დაჟინების, მონდომების მნიშვნელობას ხსნის და ამ თვისებას წაახალისებს კიდეც: - "ვიცი, რომ საშინაო დავალებად მოცემულ ლექსს კარგად ისწავლი!" მალე ბავშვი საკუთარ თავს შრომისმოყვარე და მიზანდასახულ ადამიანად აღიქვამს და სამაგალითოდ ამ თვისებების მქონე ადამიანებს ირჩევს. ამგვარად, რაკი, ბავშვები საკუთარ დამოკი-დებულებებს, ფასეულობებსა და შეხედულებებს იძენენ, საკუთარ ქცევას და სწავლას არეგულირებენ (ჯანაშია . . . 2008:95).

**ვიგოტსკის სოციოკულტურული თეორია.** ბავშვის განვითარების სფეროში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ბავშვის ცხოვრების კულტურული გარემოს კვლევებს. მეცნიერები განვითარებაში კულტურულ განსხვავებებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მაგალითად, ერთი კულტურის წარმომადგენელ ბავშვებს მეტი მიღწევები ჰქონდათ მოტორულ განვითარებაში, ან უკეთ ასრულებდნენ ინტელექტუალურ ამოცანებს, ვიდრე მეორე კულტურის წარმომადგენლები. ამ თვალსაზრისს, შესაძლებელია, განვითარებაში ერთი კულტურის უპირატესი და მეორე კულტურის შეზღუდული როლის შესახებ მცდარი დასკვნები განეპირობებინა.

დღეს კვლევათა დიდი ნაწილი სპეციფიკური კულტურული გამოცდილებისა და განვითარების ურთიერთობას სწავლობს. ამ მიმართულებაში წამყვანი როლი რუსმა ფსიქოლოგმა ლევ ვიგოტსკიმ შეასრულა. მის პერსპექტივას **სოციოკულტურული თეორია** ეწოდება. ის იკვლევს, მომდევნო თაობებს როგორ გადაეცემა კულტურა – სოციალური ჯგუფის ფასეულობები, რწმენა, ტრადიციები და ჩვევები. ვიგოტსკის აზრით, სოციალური ურთიერთქმედება, კერძოდ, ბავშვებსა და საზოგადოების უფრო მცოდნე წევრებს შორის მეგობრული დიალოგი, ბავშვებისათვის აუცილებელია თემის კულტურისათვის დამახასიათებელი აზროვნებისა და ქცევის გასაცნობად. ვიგოტსკის თეორია განსაკუთრებულ გავლენას ბავშვის შემეცნების შესწავლაზე ახდენს.

ვიგოტსკი თვლიდა, რომ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. მისი შეხედულებით, ბავშვების აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ისინი იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შეძენასაც დამოუკიდებლად ვერ შესძლებდნენ. ვიგოტსკის აზრით ბავშვები სწავლობენ მოქმედებაში, ანუ როცა ისინი უფრო მცოდნე ადამიანებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული რაიმე მნიშვნელოვან საქმიანობაში. ასეთ დროს გარშემო მყოფ ადამიანებთან ადვილად ერთვებიან დიალოგში. ამით იცვლება იდეები და ბავშვის განვითარებაც წინ იწევს.

**განვითარების უახლოესი ზონა**. „განვითარების უახლოესი ზონა გულისხმობს იმ ამოცანათა და მოქმედებათა მრავალფეროვნებას, რომელთა შესრულება ბავშვს არ შეუძლია დამოუკიდებლად, მაგრამ შეუძლია მოზრდილი ადამიანების, ან უფრო კომპეტენტური თანატოლების დახმარებით“ (ჯანაშია . . . 2008:57). ვიგოტსკი განასხვავებს ბავშვის განვითარების არსებულ და პოტენციური განვითარების დონეებს. არსებული დონე გულისხმობს იმ ამოცანების ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად, სხვების დაუხმარებლად შეუძლია. განვითარების პოტენციურ დონეში კი იგულისხმება იმ ამოცანათა/მოქმედებათა ზედა ზღვარი, რომელთა შესრულება ბავშვს უფრო კომპეტენტური ადამიანის დახმარებით შეუძლია. განვითარების უახლოესი ზონა არის მანძილი ბავშვის რეალური განვითარების დონესა (ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი - „მე თვითონ“) და პოტენციური განვითარების დონეს (ამოცანების სხვების დახმარებით გადაჭრის უნარი) შორის. ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა მოიცავს სწავლის და პრობლემების გადაჭრის უნარებს, რომლებიც მხოლოდ ახლა იწყებს აღმოცენებას და განვითარებას. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ყოველი ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა იცვლება; ბავშვი გარკვეულ ამოცანებს/მოქმედებებს ეუფლება და უფრო რთული დავალებების შესასრულებლად არის მზად.



სქემა 1. განვითარების უახლოესი ზონა

ვიგოტსკის თეორიამ და შემდგომმა კვლევებმა ცხადყო, რომ ნებისმიერ კულტურაში ბავშვები უნიკალურ ღირსებებს და ძალებს ივითარებენ. ამით იმის მიუხედავად, რომ მემკვიდრეობასა და ტვინის ზრდის მნიშვნელობას აღიარებდა, მან უარყო განვითარების ბიოლოგიური მხარე. ცოდნის ოფიციალური გზით გადაცემის ხაზგასმა ნიშნავდა, რომ ვიგოტსკი ბავშვის მიერ საკუთარ განვითარებაზე ზემოქმედების უნარს შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგ., პატარა გოგონა ბებიის ხელმძღვანელობით სვიტერის ვერტიკალურ ქსოვას სწავლობს. ვიგოტსკის სოციოკულტურული თეორიის თანახმად, ბავშვებსა და გამოცდილ უფროსებს შორის სოციალური ურთიერთობები ბავშვებს მოცემულ კულტურაში წარმატების მოსაპოვებლად არსებით აზროვნებას და ქცევას ასწავლის (ბერკი, 2010:35).

**გარემოსა და გენეტიკის გავლენა განვითარებაზე.** ბავშვის ადრეული განვითარება არის საფუძველი, რომელზეც შემდეგ საზოგადოებისთვის ჯანსაღი პიროვნება იზრდება. უსუსურობიდან შემოქმედ პიროვნებად ჩამოყალიბებამდე ადამიანზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. ბავშვი არის ბიოლოგიური არსება, რომლის პიროვნებაც განსაზღვრულია გენეტიკური მოცემულობით, მაგრამ, ამავე დროს, იგი კონკრეტული სოციალური გარემოს ნაწილია. მეცნიერები დიდხანს დავობდნენ იმაზე, თუ რა განსაზღვრავს ბავშვის განვითარებას - გენეტიკა თუ გარემო. ერთნი ადასტურებდნენ, რომ ადამიანის ყველა უნარი და შესაძლებლობა გენეტიკურად არის ფიქსირებული, მეორენი კი უპირატესობას გარემოს წამყვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ. საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ბავშვი გენეტიკურის და სოციალური გარემოს კომბინირებული გავლენის შედეგად ვითარდება.

განვითარება მიუთითებს იმ ცვლილებებზე, რომლებიც დროთა განმავლობაში ადამიანის სხეულის აგებულებაში, აზროვნებასა და ქცევაში ვლინდება. ამ ცვლილებებს ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების და გარემოს ზეგავლენის შედეგად ვღებულობთ.

განვითარების ზოგიერთი პროცესი (მაგალითად, მუცლად ყოფნა) უფრო მეტად ბიოლოგიურ ხასიათს ატარებს, სხვა პროცესები კი, უფრო მეტად, გარემოს ზეგავლენას (მაგალითად, ბავშვის მიერ ოჯახის წევრების მეტყველების მანერის და

არტიკულაციის ათვისება) განიცდის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის განვითარებას ბიოლოგიური და გარემო ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს.

განვითარების ბიოლოგიური პროცესებია: **მომწიფება, ზრდა და დაბერება.**

**მომწიფება** მიმდინარეობს გენეტიკური გეგმის შესაბამისად. სხეულის სხვადასხვა ორგანოს და უნარის მომწიფება მიმდინარეობს სხვადასხვა ტემპით. ყველა ორგანოს და უნარს, ჩვეულებრივ, აქვს ოპტიმალური მომწიფების დონე.

**ზრდა** არის რაოდენობრივი ცვლილებების პროცესი, რომლის დროსაც ხდება ამა თუ იმ ორგანოს და ფსიქიკური პროცესის სრულყოფა.

**დაბერებაში** კი იგულისხმება მომწიფების ოპტიმალური დონის მიღწევის შემდეგ მიმდინარე ცვლილებები.

გენეტიკასთან ერთად ადამიანის განვითარებაზე გარემოც ახდენს გავლენას. გარემო ფაქტორებმა შეიძლება შეაფერხოს ან ხელი შეუწყოს ორგანიზმის ზრდას და ფუნქციონირებას. ადამიანის განვითარებაზე გარემოს ზეგავლენა ხდება 2 მიმართულებით - სწავლით და სოციალიზაციით.

სწავლა არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც გამოცდილება გარკვეულწილად მუდმივ ცვლილებებს იწვევს ცოდნაში ან ქცევაში. იგი გამოცდილებითაა გამოწვეული (გარემო) და არ არის დაკავშირებული დაღლასთან, ტრავმასთან, ავადმყოფობასთან და ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ ცვლილებებთან.

სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის საფუძველზეც ადამიანი ხდება სოციალური ჯგუფის წევრი (ოჯახი, თემი, საზოგადოება). იგი გულისხმობს კონკრეტული სოციალური ჯგუფის ღირებულებების, მოლოდინების, განწყობების, ჩვეულებების, როლების ათვისებას. ეს პროცესი ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება.

მეცნიერები ხშირად სვამენ შემდეგ კითხვას: განვითარების პროცესში რა წილი მიუძღვის მომწიფებას და რა სწავლას?

ბავშვი თავიდან ჯდომას სწავლობს, შემდეგ ფეხზე დგომას და ბოლოს სიარულს. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მომწიფების პროცესს, თუმცა, აღნიშნული პროცესი შეიძლება შეაფერხოს მედიკამენტებმა, ცუდმა კვებამ, ავადმყოფობამ, აკრძალვებმა ან ემოციურმა დაძაბულობამ. ზოგიერთი ჩვევის ჩამოყალიბებისთვის (მაგალითად, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა) უფრო მნიშვნელოვანია ვარჯიში და შეძენილი გამოცდილება. ზოგიერთი ქცევის ჩამოსაყალიბებლად კი რთულია, უპირატესობა მიანიჭო მომწიფებას ან სწავლას. მაგალითად, ბავშვებს აქვთ მეტყველების თანდაყოლილი უნარი, მაგრამ მან მეტყველება რომ შეძლოს, ენა უნდა ისწავლოს. ბავშვები უნებურად გამოხატავენ ემოციებს (ბრაზი, სევდა, სიხარული, შიში), მაგრამ მათ კულტურაში მიღებული ნორმების შესაბამისად უნდა ისწავლონ საკუთარი ემოციების მართვა.

ამრიგად, ადამიანის ქცევა არის მომწიფების და სწავლის ერთობლივი პროდუქტი.

ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები ყალიბდება მემკვიდრეობისა და გარეგანი ზემოქმედებით შეძენილი მონაცემების საფუძველზე. პიროვნების ფორმირებისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია ორივე ფაქტორი. ინტელექტის, ტემპერამენტის, ვერბალური შესაძლებლობის, კომუნიკაბელურობისა და სხვა მახასიათებლების ჩამოსაყალიბებლად უფრო მეტი მნიშვნელობა გენეტიკურ ფაქტორს აქვს, ხოლო გარემო ფაქტორები - ღირებულების, იდეალებისა თუ მრწამსის ფორმირებას განაპირობებენ.

დიდი ხნის განმავლობაში ფსიქოლოგები პიროვნების გენეტიკურ საფუძველს არ აღიარებდნენ. დაკვირვების საფუძველზე დაგროვდა მასალა, რომელიც მიუთითებს გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე. მაგალითად, ზოგიერთი ბავშვი აქტიური, გაბედული და უშიშარია, ზოგიერთი კი მორიდებული და ფრთხილი. ეს დაკავშირებულია ტემპერამენტის გამოვლინებასთან. აღნიშნული ინდივიდუალური თავისებურებები თავს იჩენს ადრეულ ასაკში, დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნდება და ნაკლებად არის დაკავშირებული დასწავლაზე, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი პიროვნების გენეტიკურ და განსაზღვრულ, თანდაყოლილ მახასიათებლებს მიეკუთვნება.

ამ ვარაუდს ერთნაირ და სხვადასხვა გარემოში გაზრდილი იდენტური (ერთ კვერცხუჯრედიანი) ტყუპების პიროვნული ნიშანთვისებების კვლევა ადასტურებს. ცალსახად დასტურდება, რომ, იმის მიუხედავად, თუ სად აღიზარდნენ, იდენტური წყვილები ერთმანეთის მსგავსნი არიან.

კვლევები და დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ორივე ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ფორმირებაში. „საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი გარემოს ფაქტორზე მემკვიდრეობის გარეშე და მემკვიდრეობაზე - გარემოს გარეშე. ეს ფაქტორები ერთმანეთს გულისხმობენ და განაპირობებენ" (აბაშიძე, 2011:174). მაგალითად, წყნარი, მოსიყვარულე ჩვილი მშობლებში საგრძნობლად განსხვავებულ რეაქციას იწვევს, ვიდრე ფიცხი ან გულჩათხრობილი. ასევე, ჩუმ და პასიურ ბავშვზე ოჯახი, ბაღი და სკოლა სრულიად განსხვავებულად რეაგირებს და, მაშასადამე, სხვადასხვა გარემოს უქმნის.

კითხვაზე, რომელი უფრო მნიშვნელოვანია, გენეტიკა თუ გარემო? შეგვიძლია ვუპასუხოთ - დღეს მკვლევართა უმრავლესობა მემკვიდრეობას და გარემოს განიხილავს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, სადაც ერთი მეორის პოტენციალზე მოქმედებს და სახეს უცვლის ადამიანის თავისებურებებს და შესაძლებლობებს. მემკვიდრეობა ადგენს პიროვნული თვისების განვითარების დიაპაზონს, რომლის ფარგლებშიც თვისების ფორმირებას გარემო განსაზღვრავს, ანუ განამტკიცებს, განავითარებს ან, პირიქით, შეიძლება დათრგუნოს, სრულად მოსპოს. მაგალითად, მემკვიდრეობა შემოსაზღვრავს ინდივიდის მუსიკალური ან მათემატიკური უნარების ფარგლებს, ხოლო გარემო ამ უნართა განვითარებას განაპირობებს.

ზოგადი კანონზომიერება ასეთია: თანდაყოლილი მიდრეკილება რაც უფრო ძლიერი და გამოკვეთილია, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება განვითარებაზე გარემოს ზემოქმედებას. პირიქით - თუ ბავშვს არ აქვს არცერთი თანდაყოლილი ძლიერ გამოკვეთილი მიდრეკილება, მაშინ მის განვითარებაში გარემოს ზეგავლენა გადამწყვეტი იქნება და ის გარემოს შესაბამის ადამიანად ჩამოყალიბდება.

ამდენად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თანამშრომლებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ ბავშვის განვითარების თავისებურებები, რათა სწორად განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. განვითარების თავისებურებებისა და თეორიების ცოდნა აღმზრდელ-პედაგოგს დაეხმარება, სწორად დაგეგმოს და განახორციელოს აქტივობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან. განვითარების ხსენებული თავისებურებები მათ შეაძლებინებს, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ბავშვის საჭიროებებს სწორად მოარგოს.

ქვემოთ ჩვენ საუბარი გვექნება იმ დარღვევებზე, რომლებსაც კვლევის დროს შევხვდით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში. კვლევამ დაადგინა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვებში ძირითადად ჭარბობს გონებრივი ჩამორჩენა და ცერებრალური დამბლა, ნაკლები რაოდენობით იყო დაუნის, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომები, აუტიზმის სპექტრი. ამ შეზღუდვების დასახასიათებლად და მასთან მუშაობის სტრატეგიების გასაცნობად წყაროდ გამოვიყენეთ შემდეგი ნაშრომები - თამარ გაგოშიძის „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები" (2007) და ანა ლაღიძის, მაია ბაგრატიონის, თათია პაჭკორიას „ინკლუზიური განათლება" (გზამკვლევი მასწავლებელისთვის, 2009).

## § 2.2. გონებრივი განვითარების დარღვევისა და ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვები, მუშაობის სტრატეგიები

**გონებრივი განვითარების დარღვევა** (გონებრივი ჩამორჩენა) ფსიქიკური განვითარების დარღვევის ერთ-ერთი ფორმაა. ეს მდგომარეობა აღმოცენდება ადამიანის სიცოცხლის ადრეულ ასაკში და მთელი ცხოვრების განმავლობაში უარყოფით გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ განვითარებასა და ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ის ხასიათდება ინტელექტის ნორმაზე დაბალი მაჩვენებლით და ყოველდღიური უნარ-ჩვევების შეზღუდვით. გონებრივი ჩამორჩენილობა განისაზღვრება 2 კრიტერიუმით: **პიროვნების ინტელექტის დონე და ადაპტაციური ფუნქციონირების ხარისხის მაჩვენებელი.**

**პიროვნების ინტელექტის დონე** პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების ციფრობრივ მაჩვენებელ - IQ კოეფიციენტს იძლევა; ნორმალური IQ 90-110-ის ფარგლებშია; 80-89 - ნორმის ქვედა ზღვარია, 70-79 - მოსაზღვრე მდგომარეობა. ჩამორჩენილობის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც IQ - 70-ზე დაბალია.

**ადაპტაციური ფუნქციონირების ხარისხის მაჩვენებლით** განისაზღვრება, თუ რამდენად შეუძლია პიროვნებას, შეასრულოს ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო მოქმედებები - კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სოციალური უნარ-ჩვევები, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა.

გონებრივი ჩამორჩენილობა სხვადასხვა ხარისხისაა. იგი დამოკიდებულია განვითარების დარღვევის დონეზე, რაც ასაკობრივ ნორმასთან შედარებით შემეცნებითი, ემოციური და ნებელობითი სფეროს განვითარების დონეში ვლინდება:

მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა: IQ - 50-70 ქულა;

საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა: IQ - 35-50 ქულა;

მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა: IQ - 20-35 ქულა;

ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა: IQ - 20-ზე ნაკლები ქულა;

გონებრივი ჩამორჩენილობის დასახასიათებლად უნდა გავითვალისწინოთ, შემდეგი მონაცემები: შემეცნების, მეტყველებისა და კომუნიკაციის, უხეში და ნატიფი მოტორული უნარები, სოციალურ-ემოციური განვითარება.

**შემეცნებითი უნარები -** აზროვნების კონკრეტულობა, განზოგადების სიძნელეები: ბავშვს ერთ კონკრეტულ სიტუაციაში მიღებული ცოდნის ან ათვისებული ჩვევის სხვა სიტუაციაში გამოყენება უძნელდება;

აბსტრაქტული აზროვნების პრობლემები: ბავშვებს უჭირთ მიმართებების გაგება, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების წვდომა, შინაარსიდან აზრის გამოტანა და სხვა;

ყურადღების პრობლემები: ყურადღების მიზანმიმართულად წარმართვის სიძნელე;

დასწავლის ნელი ტემპი: ახალი ინფორმაციის მისაღებად სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი და ხშირი გამეორება.

**მეტყველების განვითარების დარღვევები:** აღსაზრდელს უჭირს სიტყვების გამოთქმა, აქვს დაბალი ლექსიკური მარაგი, ამზის მოყოლისას აქვს პრობლემები.

**უხეში (მსხვილი) და ნატიფი მოტორული უნარები:** ბავშვი მსხვილი მოტორული უნარების განვითარებაში ჩამორჩება - გვიან სწავლობს ჯდომას, დგომას, სიარულს. პრობლემები აქვს ნატიფი მოტორული უნარების განვითარებაშიც - უძნელდება ხელებით, თითებით მოქნილი მოძრაობა, შესაბამისად, უჭირს ხელით სხვადასვა ნივთით მანიპულირება, მაგალითად, ფანქრის ხმარება, მაკრატლით გამოჭრა და ა. შ. თანმიმდევრული და შეთანხმებული მოძრაობების განხორციელებაში აქვთ პრობლემები. შესაბამისად, უჭირს თვითმომსახურების ჩვევების ათვისება. მათ შესაძენად ხანგრძლივი ვარჯიში სჭირდება.

**სოციალურ-ემოციური განვითარება:** ბავშვებს სოციალურ ადაპტაციასთან დაკავშირებით აქვთ პრობლემები: ძნელად და გვიან ითვისებენ სოციალურ ჩვევებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ოჯახში, ბაღში, საზოგადოებაში.

ემოციური მოუმწიფებლობა, პრობლემები ემოციურ რეგულაციაში: ბავშვებს უჭირთ ემოციების კონტროლი და არიან იმპულსურები.

უნდა აღინიშნოს, რომ გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მათ მიმართ სხვების დამოკიდებულება. სითბოს, სიყვარულს და კეთილგანწყობას თუ ვერ გრძნობენ, ამაზე ისინი ძალიან მწვავედ რეაგირებენ.

გონებრივი ჩამორჩენილობა მთელი ცხოვრების განმავლობაში ახლავს თან ადამიანს. ეს დაავადება კი არა, განვითარების დარღვევაა, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით არის გამოწვეული. ამდენად, საბოლოო და სრული გამოჯანმრთელება შეუძლებელია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპეციალური მკურნალობით ბავშვის მდგომარეობის შეცვლა შეუძლებელია. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვს, მედიკამენტურ მკურნალობასთან ერთად, ესაჭიროება ქცევითი, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სამკურნალო-პედაგოგიური ღონისძიებები. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვს სჭირდება სპეციალური ინდივიდუალური პროგრამით სწავლება.

ბავშვი უკეთ სწავლობს და ითვისებს ჩვევებს, თუ:

- პრაქტიკულად, მოქმედებაში აჩვენებს აღმზრდელ-პედაგოგი, რას ითხოვს მისგან. ბავშვმა უნდა უყუროს, რას აკეთებს და როგორ. ყოველ მის მოქმედებას თან უნდა ახლდეს მშვიდი ტონით და მკაფიოდ გამოთქმული სიტყვიერი განმარტება.
- მოქმედება დაჰყოს პატარ-პატარა, თანმიმდევრულ ნაბიჯებად. მაგ., პერანგის ჩაცმა ბევრი მოქმედებისაგან შედგება: გაარჩიო, რომელია წინა და უკანა, იპოვო თავის ადგილი, ჩამოიცვა, ჩამოიწიო, მერე იპოვო სახელო და გაუყარო ხელი, შემდეგ იპოვო მეორე სახელო და გაუყარო ხელი და ა.შ. პირველად აღმზრდელ-პედაგოგი ამ მოქმედებებს ბავშვთან ერთად

ახორციელებს და ასწავლის ცალ-ცალკე, რასაც ყოველთვის თან ახლავს სიტყვიერი მითითება, თუ რას აკეთებს. ყოველი მოქმედების წარმატებული განხორციელება ან დამოუკიდებელი მცდელობა, სიტყვიერად (მაგ., "კარგია", "ყოჩაღ") თუ ჟესტით (მაგ., მხარზე, ზურგზე ხელის მოთათუნება, ღიმილი) უნდა წახალისდეს. ასეთი წესით ბავშვი ადვილად აითვისებს ჩაცმას, ჭამას, ტუალეტს, დაბანას.

- აღმზრდელ-პედაგოგი უნდა ეცადოს, აამაღლოს ბავშვის ინტერესი და მოტივაცია. ბავშვი ბევრად უფრო კარგად ითვისებს ცოდნას, თუ ეს მის ინტერესს იწვევს, მოსწონს. როცა რაიმეს კარგად აკეთებს, პატარა აუცილებლად უნდა წახალისდეს. თუ რამე ვერ შესძლო, წარუმატებლობა არ უნდა ვაგრძნობინოთ, სასურველია, წავახალისოთ მოქმედების გასამეორებლად: „მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთ", „აბა, კიდევ, ვიცი, ახლა გამოგივა" და ა. შ.
- გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვს ათვისებული ჩვევების და გარკვეული ცოდნის შეძენის შემთხვევაშიც ესაჭიროება შეხსენება და მიმართულების მიცემა. სასურველია სტიმული და კარნახი. შეხსენება ზოგადი ხასიათის არ უნდა იყოს, როგორც ეს სხვა ბავშვებთან ხდება. მაგ., „აალაგე საწოლი". მითითება უფრო დაწვრილებით ინფორმაციას უნდა შეიცავდეს. მაგ., „დროა, საწოლი აალაგო. ჯერ გადმოიღე საბანი, მერე ახსენი ზეწარი". . . „მერე რას ვაკეთებთ?" და ა. შ.
- გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვის სწავლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გამეორებას, მაგრამ ეს ძალით არ უნდა ხდებოდეს. ბავშვს უნდა აინტერესებდეს, რას აკეთებს და უხაროდეს, რომ რაღაც წარმატებას მიაღწია.

აღმზრდელ-პედაგოგი უნდა ეცადოს, საკითხის გარშემო რაც შეიძლება ბევრი ინფორმაცია მიიღოს. ბავშვის გონებრივი ჩამორჩენილობის შესახებ რაც უფრო მეტი ეცოდინება, მით უფრო კარგად გაუგებს აღსაზრდელს და საკუთარ თავსაც და პრობლემებსაც კარგად გაუმკლავდება.

**ცერებრალური დამბლა.** ამ დაავადებას თავის ტვინის დაზიანება იწვევს, რომელიც ადრეულ ასაკში ვლინდება და ახასიათებს მოძრაობების შეზღუდვა - დამბლა, კუნთების სისუსტე, კოორდინაციის დარღვევა, უნებლიე მოძრაობები. ცერებრალური დამბლის დროს თავის ტვინში არსებული დაზიანებები აისახება კიდურების, თავის, კისრის ან კუნთების ნორმალური აქტიურობის დარღვევაში.

სიმპტომების გამოვლენა დამოკიდებულია თავის ტვინის დაზიანების ხარისხზე და მერყეობს სუსტ, მცირედ გამოხატულიდან ძალიან მძიმე მდგომარეობამდე. ცერებრალურ დამბლას შეიძლება თან ახლდეს ეპილეპსიური გულყრები, ინტელექტუალური განვითარების და მეტყველების დარღვევები, ხანდახან მხედველობის და სმენის დაქვეითება.

ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები ხშირად ტოვებენ ინტელექტუალურად შეზღუდულის შთაბეჭდილებას, რაც სინამდვილეს ყოველთვის არ შეესაბამება. დაავადება არ გადადის მემკვიდრეობით, არ პროგრესირებს და არის სტატიური. ცერებრალური დამბლა არ არის პაციენტის გარდაცვალების ძირითადი მიზეზი, მაგრამ მოქმედებს ცხოვრების ხანგრძლივობაზე. მკურნალობის სპეციფიური თერაპია არ არსებობს.

*ცერებრალური დამბლის გამომწვევი მიზეზები.* ცერებრალური დამბლის მსგავსი მდგომარეობა, ინფექციური დაავადებების, ინსულტის ან თავის ქალის ტრავმის შემთხვევაში, შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ასაკში. როგორც ვქვით, ბავშვებში ცერებრალური დამბლა გამოწვეულია თავის ტვინის დაზიანებით ან ტრამვით მუცლად ყოფნის დროს, მშობიარობის ან დაბადებისთანავე. ხშირ შემთხვევაში ზუსტი მიზეზი დადგენა მეტად ძნელია.

ძირითად ფაქტორად რჩება ნაყოფის თავის ტვინის დაზიანება პრენატალურ პერიოდში, ინფექციები, ტოქსიკოზი, დედის და ახალშობილის სისხლის ჯგუფის და რეზუსის შეუთავსებლობა.

ხშირ შემთხვევაში ცერებრალური დამბლა შეიძლება გამოიწვიოს ნაადრევმა მშობიარობამ, ახალშობილის ასფიქსიამ და სამშობიარო ტრავმამ. ახალშობილის ძალიან მცირე წონის (დღენაკლულობა) დროს დაავადების განვითარების საშიშროება დიდია. მშობიარობის შემდგომ თავის ტვინის დაზიანების მიზეზი შეიძლება იყოს თავის ქალის ტრავმა ან ინფექცია, მაგალითათ მენინგიტი.

მოძრაობის დარღვევები მრავალფეროვანია და ბავშვთა ცერებრალური დამბლის ფორმებს გამოვლინების მიხედვით ანსხვავებენ.

კუნთთა ტონუსის დარღვევების მიხედვით გამოყოფენ:

**სპასტიურ ფორმას** - კუნთთა ტონუსი ძალიან მაღალია, კუნთები დაჭიმული. ბავშვს უჭირს პოზის შეცვლა, ერთი პოზიციიდან მეორეში გადასვლა, ნებითი მოძრაობის შესრულება. მაღალი ტონუსი განაპირობებს კონტრაქტურების (კონტრაქტურა - რბილი ქსოვილების ან ნერვების დაზიანებით სახსრის შეკუმშვა) წარმოქმნას, ზოგ შემთხვევაში ფეხების გადაჯვარედინებას, ტერფის შიგნით შეტრიალებას.

**ატონურ-ასტატიური ფორმა.** ეს არის „რბილი" ფორმა, როდესაც გამოხატულია კუნთთა ტონუსის ძლირი დაქვეითება, კუნთების მოდუნება. ბავშვს უჭირს თავის დაჭერა, დიდხანს ჯდომა, დგომა, სიარული, მისი სხეული მოშვებულია.

**ათეტოიდური ფორმა.** ამ დროს კუნთთა ტონუსი მერყეობს სუსტსა და ძლიერს შორის, ადგილი აქვს სპაზმებს, დაქვეითებული ტონუსის ფონზე კუნთთა ტონუსის აწევით გამოწვეულ შეტევებს. ამის გამო ბავშვებს აღენიშნებათ კიდურების, სახის კუნთების, კისრის უნებლიე მოძრაობები - ჰიპერკინეზები, რომელთაც ვერ აკონტროლებენ. ბავშვის ნებითი მოტორული აქტივობა გართულებულია, უჭირს სხვადასხვა პოზის მიღება და შენარჩუნება, ელემენტარული მოქმედების შესულება.

**ნათხემის ფორმა.** ხასიათდება მოძრაობის კოორდინციის დარღვევით, კუნთთა დაძაბულობას, ან მოდუნებასთან ერთად წონასწორობის დრღვევებით.

მონაცემებით დასტურდება, რომ ყოველი 1 000 ახალშობილიდან 3-5 ბავშვი სხვადსახვა ხარისხის ცერებრალური დამბლით იბადება. ეს დაავადება მამაკაცებსა და ქალებში ერთნაირი სიხშირით გვხვდება.

**როგორ დავეხმაროთ ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვებს?** დახმარება იწყება დაბადების პირველივე თვეებიდან, როცა გამოვლინდება ბავშვის მოტორული ფუნქციების დეფიციტი. სამედიცინო დახმარება გულისხმობს მედიკამენტურ მკურნალობას და ფიზიკურ თერაპიას - სპეციალურ ფიზიკურ სავარჯიშოებს, ბავშვის მოტორული ფუნქციის დეფექტების გათვალისწინებით. ფიზიკური თერაპევტი დედას ასწავლის, როგორ პოზაში აჭამოს ბავშვს, რა გააკეთოს მისი წოვის რეფლექსის გასაძლიერებლად. ფიზიკური თერაპიის საშუალებით ცდილობენ, ბავშვს არ დაუფიქსირდეს სხეულის, თავის, კიდურების არასწორი პოზები. ასწავლიან ჯდომას, დგომას, სიარულს, კიბეზე ასვლა-ჩასვლას, მძიმე შემთხვევაში ეტლის გამოყენებას.

დიდი დახმარებაა ჩვევების (ოკუპაციური) თერაპია, რომლის მიზანია ბავშვის მიერ ყოველდღიური თვითმომსახურების, საგნების გამოყენების ჩვევების ათვისება. ადრეული ასაკიდანვე სპეციალური სავარჯიშოების სისტემით ასწავლიან საგნების გამოყენებას, ჩაცმას, ჭამას, ფანქრის, მაკრატლის ხმარებას, დაბანას, კბილების გახეხვას, საგნების, ფერების, ფორმების, ტექსტურის გარჩევას. ამ თერაპიის მიზანი ბავშვის მაქსიმალური სენსომოტორული სტიმულაციაა.

მეტყველების პრობლემების შემთხვევაში უნდა მივმართოთ მეტყველების თერაპევტს (ლოგოპედი). იგი ბავშვს ეხმარება სამეტყველო აპარატის სპეციალური მასაჟებით, სავარჯიშოებით, ასწავლის სუნთქვის რეგულაციას, ახალი სიტყვების წარმოთქმას, წინადადების აგებას, აუმჯობესებს მოსმენის უნარს.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებს მნიშვნელოვნად დაეხმარება აგრეთვე რეკრეაციული თერაპია. მისი მიზანია, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა უნარების განვითარება და ამით სიამოვნების მიღება. პატარებს, მათი მოტორული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ასწავლიან ცხენზე ჯდომას (რაიდ-თერაპია), ცურვას, ხატვას, ძერწვას, ხელსაქმეს, მცენარეების მოვლას და ა.შ. ასეთი თერაპია, პირველ რიგში, ემსახურება ბავშვის ფსიქიკური განვითარებისადმი ხელ-შეწყობას - როგორც შემეცნებით, ისე ემოციურ სფეროში, იზოლაციის და გარიყულ-ობის, უმაქნისობის გრძნობის შემცირებას. ბავშვი როდესაც ხედავს, რომ ისეთი რამის გაკეთება შეუძლია, რასაც ადრე ვერ ახერხებდა, რადიკალურად იცვლება.

დამოუკიდებელ აქტივობას გარემოს სპეციალური დიზაინიც აადვილებს. ეს არის ავეჯის, ჭურჭლის, ეტლის სპეციალური გაფორმება, ოთახების, კიბეების, ტუალეტის სპეციალური დიზაინი, რაც მძიმე მოტორული დარღვევების მქონე პირებს განსაკუთრებით უიოლებს მოქმედებას და აქტივობას.

გონებრივი განვითარების ან სწავლის პრობლემების მქონე ბავშვების პოტენციური უნარების განვითარებისთვის აუცილებელია მათი ფსიქიკური განვითარების ფსიქოლოგიური შეფასება, რასაც ხელს სპეციალური პროგრამები და სპეციალური განათლება შეუწყობს.

**პროგნოზი.** ადრეული პროგნოზირება რთულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე გვაქვს მძიმე დაზიანებასთან. პროგნოზი ძირითადად დაკავშირებულია ცერებრული დამბლის კლინიკურ ტიპთან, მოტორული განვითარების ტემპთან, ახალშობილთა რეფლექსების ევოლუციასთან, ინტელექტუალურ დეფიციტთან, სენსორულ დარღვევებთან, ემოციურ-სოციალური ადაპტაციის ხარისხთან.

ბავშვებს, რომლებიც სიარულს ორ წლამდე ასაკში იწყებენ, უფრო ხშირად აქვთ ნორმალური ან მოსაზღვრე ინტელექტი. რაც უფრო მძიმეა მოტორული დეფიციტი, მით მძიმეა ინტელექტუალური დარღვევა. შემთხვევათა დიდ ნაწილში, დამოუკიდებლად სიარულის ცუდი პროგნოზი იმ ბავშვებშია, რომელებიც ვერ იჭერენ თავს 20 თვის ასაკამდე, ვერ ცოცავენ 5 წლამდე. ბავშვები, რომლებიც დამოუკიდებლად ჯდებიან 2 წლამდე და 30 თვის ასაკამდე იწყებენ ცოცვას, მომავალში ჩვეულებრივ დამოუკიდებლად დადიან.

მდგომარეობა უმჯობესდება ადრეული ჩარევის შემთხვევაში. იგი განაპირობებს კონტრაქტურებისა და დეფორმაციების ნაწილობრივ პრევენციას, რაც პოზისა და ფუნქციის ოპტიმიზაციას უწყობს ხელს.

როგორია ასეთი ბავშვების მომავალი? ცერებრული დამბლის მქონე ადამიანები დამოუკიდებლობის გარკვეულ ხარისხს აღწევენ, ჩვეულებრივად დადიან ბაღებში, სწავლობენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი დამოკიდებულია მოტორული დარღვევების სიმძიმეზე. ბავშვებს შეიძლება არ ჰქონდეთ ათვისების პრობლემები, მაგრამ ბაღში სიარული, ჯგუფში ჯდომა დიდ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული. ცერებრული დამბლის საშუალო და ძლიერი ხარისხის მქონე ბავშვებს საზოგადოებრივ ადგილებში სიარულის შესაძლებლობას ურთულებს გადაადგილების პრობლემა.

სხვა თანატოლების მსგავსად ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებსაც ინდივიდუალური უნარები, ინტერესები და ნიჭები აქვთ. მოზარდობის ასაკში, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა პროფესიებს დაეუფლონ, განსაკუთრებით ისეთებს, რომელზეც მათი მოტორული შეზღუდულობა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს.

## §2.3. ყურადღების დეფიციტის, ჰიპერაქტიურობისა და დაუნის სინდრომებისა და აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები, მუშაობის სტრატეგიები

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი - ADHD, წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების შეზღუდვის, ანუ ნეირობიოლოგიური დარღვევით გამოწვეული სიმპტომების ერთობლიობას. იგი მოიცავს: ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს (უყურადღებობა, გონებაგაფანტულობა); იმპულსურობას (უნებლიე ქცევის შეჩერებისა და გაკონტროლების სირთულე); ჰიპერაქტივობას (მოტორული მოუსვენრობა, მოძრაობათა სიჭარბე), რასაც ხშირად ერთვის ემოციური მოუმწიფებლობა, აგრესიულობა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში წარუმატებლობა. თუ ბავშვს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, აქვს ათვისების, თანატოლებთან და აღმზრდელ-პედაგოგებთან ურთიერთობის პრობლემები, განმავითარებელ ოთახში ვერ ახერხებს კონცენტრაციას, არ ასრულებს და თავს არიდებს სამუშაოს, შესაძლოა, მას ჰქონდეს ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი ADHD.

ADHD-ს სინდრომში ერთიანდება 2 ჯგუფი: ყურადღების დეფიციტით ჰიპერ-აქტივობის გარეშე (აპათიური, მეოცნებე, ინერტული, მოდუნებული, ზანტი, მორცხვი ბავშვები) და ყურადღების დეფიციტით, ჰიპერაქტივობით და იმპულსურ-ობით (იმპულსურები, ზედმეტად აქტიურები, მოუსვენრები აგრესიული ქცევით).

ADHD-ის სიმპტომები ადრეულ ბავშვობაში ვლინდება. ჩვილობიდანვე პატარები ძალიან ჭირვეულები არიან და ადვილად გაღიზიანება, დაძაბულობა, უკმაყოფილება, მომთხოვნელობა და მოუსვენარი ძილი ახასიათებთ. ასეთი ბავშვი 3 წლიდან უკვე რთული სამართავია. ADHD, როგორც წესი, მთელი სიმძაფრით სკოლის პერიოდში (7 წლის ასაკში) ვლინდება.

ADHD-ის ძირითადი მახასიათებლებია: ბავშვი არ ამთავრებს დაწყებულს, ერთი დაუმთავრებელი ამოცანიდან მეორეზე ხტება; ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სხვებს არ უსმენს; ადვილად ეფანტება ყურადღება; მისთვის უინტერესო დავალებებზე უჭირს კონცენტრაცია, მაგ., რაიმე დავალების შესრულება, თუმცა შეუძლია საათობით უყუროს ტელევიზორს, ან ითამაშოს კომპიუტერზე; ვერ ახერხებს სამუშაოს ორგანიზებას; ხშირად იცვლის საქმიანობას; უჭირს მითითების შესრულება; საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობას; ხშირად კარგავს ნივთებს; არ შეუძლია ლოდინი; ვერ ემორჩილება განრიგს; უჭირს ერთ ადგილზე ჯდომა; ხელებსა და ფეხებს მოუსვენრად ამოძრავებს, ცქმუტავს სკამზე; ბევრს დარბის, მოუსვენრობს; უჭირს საკუთარი რიგის დალოდება; ყოველთვის მზადაა გასაქცევად; მოქმედებს დაუფიქრებლად; ერევა ლაპარაკში და იჭრება სხვა ბავშვების თამაშის პროცესში; ხშირად გადაჭარბებულად ბევრს ლაპარაკობს; ერთვება ფიზიკურად საშიშ ქმედებებში და არ ფიქრობს შედეგებზე; ზოგ შემთხვევაში აგრესიული და შემტევია.

ADHD-ის სიმპტომებს ახასიათებს სიტუაციურობა, რის გამოც მისი დიაგ-ნოსტირება საკმაოდ რთულია. ჰიპერაქტივობის გამოვლენის ნიშნებია: ინტელექტ-

უალური ჩამორჩენა; პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობაში; დაბალი თვითშეფასება და საკუთარი თავის მიმართ უპატივცემულობა; ქცევის პრობლემები; ნეგატიური დამოკიდებულება მშობლებთან და აღმზრდელ-პედაგოგებთან; აგრესიულობა. ამასთან, ვლინდება ყურადღების დეფიციტი და ეს გამოიხატება: თანატოლებთან შედარებით ყურადღების კონცენტრაციის უნარის ხანგრძლივობის სიმცირეში; ყურადღების შერჩევითობისა და ფოკუსირების დარღვევაში; სელექციური ყურადღების სიმწირეში, სტიმულების აღქმისა და გაგების შეზღუდულ უნარში; ხელისშემშლელი სტიმულისადმი ზედმეტად მგრძნობიარობაში; ყურადღების მიზანმიმართული გადატანის უნარის დაქვეითებაში. რაც შეეხება იმპულსურობას, იგი ვლინდება: დავალებაზე პასუხის გაცემისას - არ აქვს შეჩერებისა და დაფიქრების უნარი; უჭირს, დაელოდოს საკუთარ რიგს; თანმიმდევრული მოქმედების დაგეგმვისა და კონტროლის პრობლემებში; დაუფიქრებელ მოქმედებაში.

ჰიპერაქტიურობა ვლინდება ასაკისადმი შეუსაბამო უყურადღებობით, გონებადაფანტულობით, იმპულსურობით და ზედმეტი აქტიურობით. ჰიპერაქტიურობა პირველად ვლინდება 7 წლამდე, განსაკუთრებით მეტყველების ჩამოყალიბების პიკების პერიოდებში - 1-2 წლის (ყალიბდება მეტყველების პირველი ჩვევები), 3 წლის (მატულობს სიტყვიერი მასალა) და 6-7 წლის ასაკში (ყალიბდება კითხვის და წერის ჩვევები). მოზრდილობის ასაკში, როგორც წესი, ზედმეტი აქტივობა მცირდება, მაგრამ იმპულსურობა და ყურადღების დეფიციტი რჩება. სამწუხაროდ, დღემდე გამეფებულია შეხედულება, თითქოს ჰიპერაქტიურობა მხოლოდ ქცევითი პრობლემაა. არასპეციალისტები უმართებულოდ ხშირად მხოლოდ მომატებული აქტიურობის გამო მიაწერენ ხოლმე ბავშვს ჰიპერაქტიულობას. სინამდვილეში ეს ჯანმრთელობის პრობლემაა და დიაგნოზის დასმა მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია. ჰიპერაქტიურობის ძირითად მიზეზად მიიჩნევა ორსულობისა და მშობიარობის პათოლოგია, ბავშვის პირველი წლების ინფექციები და ინტოქსიკაცია.

სპეციალისტების მტკიცებით „ჰიპერაქტიურობის სინდრომის " მქონე ზოგიერთი ბავშვი გამოირჩევა მაღალი კომპენსაციის უნარით, თუმცა მათი განხორციელებისთვის საჭიროა გარკვეული პირობების არსებობა. პირველ რიგში, ბავშვი უნდა ვითარდებოდეს კეთილგანწყობილ გარემოში, ინტელექტუალური გადატვირთვების გარეშე, მშვიდ ემოციურ ატმოსფეროში. სასურველია, მისი აღზრდა-განვითარება მიმდინარეობდეს სპეციალური პროგრამით. თუ ეს პირობები სრულდება და ამასთანავე ბავშვს აქვს შესაბამისი მედიკამენტური მხარდაჭერა, 3-4 წელიწადში ის სრულად გაუთანაბრდება თანატოლებს.

ჰიპერაქტიური ბავშვის მკურნალობა კომპლექსური პროცესია - მასში მონაწილეობენ ნევროლოგი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და, რა თქმა უნდა, მშობლები. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია მშობლებს განემარტოს, რომ ბავშვი ასე იქცევა არა მათ ჯიბრზე, არამედ იმიტომ, რომ მას ფიზიოლოგიური პრობლემები აქვს და

თავს დამოუკიდებლად ვერ გაართმევს. ნევროლოგი და ფსიქოლოგი მშობლებს, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებსაც, განუმარტავენ ასეთი ბავშვის თავისებურებებს, რათა ბავშვის პრობლემები ერთობლივი ძალისხმევით დაძლიონ. როგორც წესი, ჰიპერაქტიური ბავშვის მშობლები შვილთან ურთიერთობისას განიცდიან დიდ სიძნელეებს. ზოგიერთები ცდილობენ, მკაცრი ზომებით ებრძოლონ ბავშვის „გაუგონრობას'', უზრდიან დატვირთვებს, პატარა სიცელქის გამოც კი მკაცრად სჯიან, შემოაქვთ გარკვეული აკრძალვები. მცდელობამ თუ შედეგი არ გამოიღო, ზოგიერთები ბავშვის საქციელს საერთოდ აღარ აქცევენ ყურადღებას, რითაც მას, მისთვის ასე საჭირო მხარდაჭერას ართმევენ. ზოგი მშობელი, შენიშვნის მიცემისა და დაგმობის შემდეგ, ყველაფერში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებს და დეპრესიაში ვარდება, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. ხშირად მშობელი იბნევა, აღარ იცის, ბავშვთან როგორ მოიქცეს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, აღმზრდელ-პედაგოგმა ბავშვის ახლობლებს მიაწოდოს საჭირო რეკომენდაციები. ბავშვის დედას, მამას, ბებიას და ბაბუას უნდა აუხსნას, რომ ბავშვი არ არის დამნაშავე თავის საქციელში, რომ ზედმეტი სიმკაცრე და დასჯა მხოლოდ დაამძიმებს მდგომარეობას. ჰიპერაქტიურ ბავშვს უნდა ესაუბროთ მშვიდად, ალერსიანად. ისინი ძალიან ემოციურები არიან და მალე იზიარებენ ჩვენს გუნება-განწყობას.

ჰიპერაქტიური ბავშვები ხშირად სწრაფად ითვისებენ ინფორმაციას, რაც მშობლებს საბაბს აძლევს, სხვადასხვა წრეებში ჩაბმით დამატებით დატვირთონ. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ სასწავლო-განმავითარებელი დატვირთვების გაძლიერება ხშირად იწვევს ბავშვის გადაღლას, ჭირვეულობას და დამატებით დატვირთვაზე საერთოდ უარის თქმას. ზოგი მშობელი არჩევს, შვილს ყველაფრის უფლება მისცეს და მიხვედრილი ბავშვი ძალიან მალე იწყებს მოზრდილებით მანიპულირებას. იმის გამო, რომ ასეთ ბავშვს განსაკუთრებით სჭირდება ნებადართულობის ზუსტ საზღვრებში მოქცევა და მოზრდილთან აუცილებელი „უკუკავშირი“, მისი საქციელი მხოლოდ მძიმდება. როგორც წესი, ჰიპერაქტიურ ბავშვს ყველგან აძლევენ შენიშვნებს - სახლში, საბავშვო ბაღში, რის გამოც ძალიან ზარალდება მისი თვითშეფასება. ასე რომ არ მოხდეს, თუნდაც მცირეოდენი წარმატების მოპოვებისთვის ხშირად უნდა შევაქოთ. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაუშვებელია დაუმსახურებელი შექება.

ზემო აღნიშნული ლიტერატურული კვლევების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ მოჭარბებული მოტორული აქტივობა საკმარისი ნიშანი არ არის საიმისოდ, რომ მის ჰიპერაქტიურობაში შევიტანოთ ეჭვი. ასეთი ბავშვები ზედმეტი და შემაწუხებელი მოძრაობის გარდა, უყურადღებობითა და იმპულსურობითაც გამოირჩევიან. მშობელი კარგად უნდა დაუკვირდეს შვილის ქცევას და ეჭვის გაჩენის შემთხვევაში დროულად მიმართოს სპეციალისტს. ვფიქრობ, საინტერესო იქნება იმის

აღნიშვნა, რომ ბავშვის ჰიპერაქტიურობის ნიშნები ჯერ კიდევ ჩვილობის პერიოდში ვლინდება:

როგორც წესი, ჰიპერაქტიური ბავშვები ფიზიკურად კარგად არიან განვითარებული. თანატოლებზე ადრე იწყებენ გადაბრუნებას, ცოცვას, ჯდომას და სიარულს, რაც მშობლების და ოჯახის წევრების აღფრთოვანებას იწვევს. არც თუ იშვიათად, განვითარებაში ასეთ ნახტომს საწოლიდან გადმოვარდნა და ბევრი სხვა უსიამოვნება მოსდევს, რისთვისაც ყველაზე ფრთხილი მშობლებიც კი მზად არ აღმოჩნდებიან. ბავშვის გაუთავებელი მოძრაობა მათ იმდენ თავსატეხს უჩენს, რომ არ იციან, უხაროდეთ, თუ არა, როცა მათი პატარა ყველგან დაცოცავს, მისი თანატოლები კი მშვიდად წვანან საწოლებში და არ აწუხებენ მშობლებს.

ჰიპერაქტიურ ბავშვებს, სიცოცხლის პირველ თვეებშიც კი, ძალიან ცოტა სძინავთ. ამასთან, მათ დიდი დრო სჭირდებათ ჩასაძინებლად და ძილიც ძალიან ფრთხილი აქვთ. ასეთი პატარა მცირე ხმაურის მიმართაც მგრძნობიარეა, შეიძლება უცებ გაიღვიძოს და კვლავ დაძინება ძალიან გაუჭირდეს.

ადრეულ ასაკში ჰიპერაქტიურობის ერთ-ერთი ნიშანია დედაზე ზედმეტი მიჯაჭვულობა და უცხო ადამიანების მიმართ შიში. ბავშვები ვერ ეწყობიან სტუმრებს და გაურბიან მათ. არ უყვართ, როცა უცხო ადამიანები ეფერებიან. ამასთან, დედაზეც იწყებენ ეჭვიანობას, თუ სხვა ბავშვისკენ წარმართავს ყურადღებას და ეფერება მას;

საბავშვო ბაღის ასაკიდან ჰიპერაქტიურობის გამოვლინებები კიდევ უფრო მწვავდება. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მისგან უკვე გარკვეული წესებისადმი მორჩილებას მოითხოვენ, რის გაკეთებაც მას იმ უბრალო მიზეზის გამო არ შეუძლია, რომ თვითკონტროლის მექანიზმი არ აქვს გამომუშავებული. ჰიპერაქტიურ ბავშვს არ შეუძლია დეტალებზე ყურადღების კონცენტრირება, რის გამოც, ნებისმიერი დავალების შესრულების დროს, ხშირად უშვებს შეცდომებს.

მოუსვენარია, არასოდეს ზის მშვიდად, არ შეუძლია ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა, შეიძლება ნებართვის გარეშე წამოხტეს და დაიწყოს კლასში სიარული. ის ყოველთვის მომართულია მოძრაობაზე და ამ მოძრაობით აქტივობას, როგორც წესი, არა აქვს რაიმე მიზანი. მას არ შეუძლია წყნარად, მშვიდად იჯდეს და რაიმეთი გაერთოს, წყნარ თამაშებში ჩაერთოს. ხშირად ბევრს ლაქლაქებს;

იმის მიუხედავად, რომ ჰიპერაქტიური ბავშვები ინტელექტუალურად საკმაოდ განვითარებული არიან, არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასებით ხასიათდებიან. ეს, ალბათ, ბუნებრივიცაა, რადგანაც ისინი, თავიანთი ქცევიდან გამომდინარე, გარშემომყოფთაგან მხოლოდ უარყოფით შეფასებებს იმსახურებენ. თვითშეფასება კი, როგორც ცნობილია, შეფასებითი ურთიერთობების საფუძველზე ყალიბდება.

**ჰიპერაქტიურობის გამომწვევი მიზეზები:**

- რთული ან ნაადრევი მშობიარობა;
- საკეისრო კვეთა;
- ახალშობილის მცირე წონა;

▪ დედის ავადმყოფობა ბავშვის მუცლადყოფნის პერიოდში;
▪ სხვადასხვა ინფექციური დაავადებები;
▪ სამშობიარო ტრავმები;
▪ საკვებ პროდუქტებში ქიმიური მინარევების სიჭარბე;
▪ მემკვიდრეობითობა, გენეტიკური მიდრეკილება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჰიპერაქტიურობა მნიშვნელოვნად მცირდება ან საერთოდ ქრება გარდამავალ ასაკში, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სწორად წარვმართავთ ბავშვთან მუშაობას.

როგორ შეიძლება დავეხმაროთ ADHD-იან ბავშვს? პირველ რიგში, უნდა მოხდეს ბავშვის შეფასება და მშობლის ინფორმირება, რათა მის მიმართ ჩამოუყალიბდეთ სწორი დამოკიდებულება. სპეციალისტები ჰიპერაქტიურ ბავშვებს ასწავლიან სოციალური უნარების ფლობას, საკუთარი თავის კონტროლს და მობილიზებას. ADHD-ის მქონე ბავშვების უმრავლესობა მიისწრაფვის სხვებისთვის მოსაწონი ქცევისაკენ, დავალების წარმატებით დასრულებისკენ, ამიტომ წინასწარ შეთანხმებული არავერბალური სიგნალი, შეიძლება, ძალიან სასარგებლო გახდეს დავალებასთან დასაბრუნებლად. დავალების დამთავრებისა და მითითების შესრულების შემთხვევაში, ამ მიღწევების განსამტკიცებლად სასარგებლოა წახალისება, რაც დროული და ხშირი უნდა იყოს. ADHD-ის მქონე ბავშვები არ რეაგირებენ გადავადებულ წახალისებაზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის წახალისება ყოველ 5-10 წუთშია საჭირო. ზემოაღნიშნულის გარდა, მათ დასახმარებლად არსებობს სხვა ხერხებიც, ბავშვისთვის მხოლოდ ერთ ან ორნაბიჯიანი დავალების მიცემა, დავალების მცირე დავალებებად დაყოფა (თითოეული პატარა დავალება მოწმდება ახალ დავალებაზე გადასვლამდე). აღმზრდელ-პედაგოგმა უნდა უჩვენოს ბავშვს, თუ რა რაოდენობის დავალებების დასრულება შეუძლია წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში. სასურველია აღსაზრდელი იჯდეს აღმზრდელ-პედაგოგთან ახლოს, კარ-ფანჯრებისგან მოშორებით. მინიმუმამდე უნდა შევამციროთ გარე ხმაური და მხედველობითი გამაღიზიანებელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხდება ახალი მასალის მიწოდება.

**რეკომენდაციები ჰიპერაქტიური ბავშვის ქცევის სამართავად:** მიიღეთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის. ჩვენი მცდელობა, ცელქი და მოუსვენარი ბავშვი მშვიდ არსებად გადავაქციოთ, შეიძლება სრული მარცხით დამთავრდეს. მოძრაობითი აქტივობა ჰიპერაქტიური ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და თუ ჩვენ მას ამას ავუკრძალავთ, შეიძლება მისი განვითარება შეფერხდეს;

არ შეეცადოთ ბავშვის მართვას ყვირილით და ძალის გამოყენებით. ჰიპერაქტიური ბავშვები ძალიან აღგზნებადები არიან, ამიტომ ჩვენს ხმაში ისტერიული ნოტები, შეიძლება, მათი აქტივობის გაძლიერების მიზეზად იქცეს. ესაუბრეთ ბავშვს რბილად, მშვიდად და თავშეკავებით. გახსოვდეთ, რომ თავისი

საქმით გატაცებული ბავშვი მაშინვე ვერ გაიგებს თქვენს სიტყვებს და ეს თქვენი უკმაყოფილების მიზეზი ნუ გახდება;

ყურადღებით მოეკიდეთ დღის რეჟიმს. ბავშვის ფსიქიკა საჭიროებს სრულფასოვან დასვენებას. შეადგინეთ დღის რეჟიმი და შეეცადეთ, დაცვევინოთ ის ბავშვს. პატარა ერთსა და იმავე დროს უნდა დგებოდეს, ჭამდეს, იძინებდეს და ა. შ. დღის რეჟიმი აუცილებელია ჰიპერაქტიური ბავშვებისთვის, რადგან მათ ძალიან უჭირთ დროის განაწილება. თანმიმდევრობის დაცვა დადებითად მოქმედებს ქცევაზე, აწესრიგებს ბავშვის ნერვულ სისტემას. დღის რეჟიმს ბავშვი სახლშიც უნდა იცავდეს, ამდენად აღმზრდელ-პედაგოგმა რეკომენდაცია უნდა მისცეს მშობლებს, სცადონ, ისე დაგეგმონ დღე, რომ ბავშვმა რაც შეიძლება ცოტა ხანს უყუროს ტელევიზორს და ნაკლებად იჯდეს კომპიუტერთან.

ბავშვთან ურთიერთობაში გამოიყენეთ „პოზიტიური მოდელი" – შეაქეთ და წაახალისეთ კარგი ქცევისთვის, შეამცირეთ შენიშვნები. შექების და წახალისების გარეშე ბავშვის ქცევა ვერ გაუმჯობესდება. შექება უნდა იყოს დამსახურებული, თუნდაც ძალიან უმნიშვნელო, მაგრამ მაინც კარგი და სწორი ქცევისთვის. რასაკვირველია, ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მის ზოგიერთ საქციელს არ მოიწონებენ და, შეიძლება, დაისაჯოს (მაგალითად, აგრესიული ქცევა და ოჯახსა და ბაღში მიღებული წესების დარღვევა, მაგრამ ყოველ წვრილმანზე შენიშვნა, ყოველ წამს ბავშვის გაკრიტიკება არ არის მართებული. ამას მხოლოდ უკურეაქცია ან აგრესიული ქცევა მოჰყვება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ბავშვის წარმატებები, რაც მას საკუთარი ძალების რწმენას შეჰმატებს. მოერიდეთ სიტყვების - „არა", „არ შეიძლება" და სხვა გამოყენებას.

დროის გარკვეულ მონაკვეთში მისი დასრულება რომ შეძლოს, ბავშვს მხოლოდ ერთი დავალება უნდა მიეცეს. წაახალისეთ ბავშვი ყველა იმ საქმიანობისათვის, რომელიც მისგან ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს;

სასურველია, თამაშის დროს ბავშვს ერთ პარტნიორთან ჰქონდეს ურთიერთობა. მოარიდეთ ხმაურიან და შფოთიან მეგობრებს.

ბავშვი დაცული იყოს გადაღლილობისაგან. იგი თვითკონტროლის დაქვეითებას და ჰიპერაქტიურობის მომატებას იწვევს.

უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის შესაძლებლობები და მისგან ზედმეტი არ მოვითხოვოთ. ეს ეხება ბავშვის როგორც გონებრივ, ისე ქცევით და სოციალურ სფეროებს.

არ დაელოდოთ ბავშვისგან სწრაფ ცვლილებებს; მოიკრიბეთ ნებისყოფა და აღიჭურვეთ მოთმინებით. გახსოვდეთ, რომ ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ჩვენგან დიდ მოთმინებას და ძალისხმევას მოითხოვს.

გახსოვდეთ, რომ ბავშვმა ხშირად იცის, ცუდად რომ იქცევა, მაგრამ ვერაფრით ერევა თავს. სინამდვილეში მის ცუდ ქცევას თავის ტვინში არსებული ბიოლოგიური დისბალანსი, ან ახლო ნათესავებისგან გადაცემული გენი განსაზღვრავს;

კორექტულად გააანალიზეთ ბავშვის ქცევა და შეეცადეთ, აუმაღლოთ თვითშეფასების უნარი, საკუთარი ძალების რწმენა.

სასურველია, ასეთი ბავშვები რაღაცით დავაკავოთ, ვატაროთ სპორტზე, ცურვაზე, ისეთ წრეზე, სადაც ენერგიას მიზნობრივად დახარჯავს. სეირნობა, სუფთა ჰაერი, ჯანსაღი ცხოვრების წესი და მშობლების და ექიმის კომპლექსური ჩართულობა აუცილებელია ჰიპერაქტიური ბავშვებისთვის.

ბოლოხანს სულ უფრო მეტი მკვლევარი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საკვები და მისი ხარისხი ჰიპერაქტიური ბავშვის ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რაციონის მართვა, რაციონიდან ემულგატორებით და საღებავებით გაჯერებული ტკბილეულის ამოღება და ბოსტნეულით ჩანაცვლება.

და ბოლოს, გაითვალისწინეთ, რომ მართალია ჰიპერაქტიურობა გარდაუვალია, მაგრამ, თუ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ, შეიძლება მისი გამოვლინებების შემცირება. ნუ დაივიწყებთ, რომ ასეთი ბავშვები სხვებზე მეტად საჭიროებენ სითბოს, ზრუნვას, ყურადღებას და სიყვარულს.

**როგორ მოვადუნოთ ჰიპერაქტიური ბავშვი.** არსებობს მეთოდები, რომლებიც ასეთი ბავშვების ოდნავ მაინც მოდუნებაში დაგეხმარებათ, რაც თქვენს ყოველდღი-ურობას უფრო მშვიდს გახდის.

- სთხოვეთ, 1-დან 20-მდე, შემდეგ კი პირუკუ დაითვალოს, გაჩვენოს საკუთარი ცხვირი, ყურები ან თვალები, განასახიეროს რომელიმე ცხოველი, ჩამოთვალოს ფერები. ეს მას ცოტა ხნით მაინც მოადუნებს.
- ითამაშეთ დღე და ღამე. როდესაც ეტყვით დღე, ბავშვი ვითომ იღვიძებს, თამაშობს, დარბის, ხოლო ღამის გაგონებისთანავე იძინებს. ეს თამაში შეგიძლიათ მთელი დღის განმავლობაში ითამაშოთ, მაგრამ არა ისეთი ინტენსივობით, რომ ბავშვი უმოძრაობისგან შეწუხდეს.
- უთხარით, რომ ცოტა ხნით რობოტის როლი უნდა შეასრულოს, ხოლო ცხვირი მისი ჩამრთველ-გამომრთველი ღილაკია. გამოიყენეთ ტელევიზორის გაუქმებული პულტი. ასე ბავშვის მართვას დისტანციურადაც შეძლებთ.
- ვითომ სანადიროდ გამოსული ვეფხვია და რამდენიმე წუთის განმავლობაში სავარძლის უკან უნდა ჩასაფრდეს. მსხვერპლად რომელიმე სათამაშო აარჩიეთ. შეგიძლიათ, ომობანაც ეთამაშოთ და ბავშვი სანგარში ჩასაფრებული სნაიპერი იყოს.
- თვალები აუხვიეთ და წინ კუბიკები დაულაგეთ. დაე, თვალახვეულმა ააწყოს პირამიდა ან სახლი, დახატოს კონკრეტული საგანი, ხელის შეხებით ამოიცნოს მაგიდაზე დალაგებული საგნები.
- ასწავლეთ ხმის კონტროლი. წარმოსთქვით რომელიმე სიტყვა და სთხოვეთ, ის თქვენზე ხმამაღლა გაიმეოროს, შემდეგ კი იგივე სიტყვა ხმადაბლა გითხრათ. კარგია, თუ ამ ვარჯიშს სისტემატურად მიმართავთ. ბავშვი დაიმახსოვრებს, რომ ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკიც გესმით.

- ჰაერში ააგდეთ საჰაერო ბუშტი, ბუმბული ან ქაღალდის ნაგლეჯი და ბავშვს უთხარით, ვიდრე ნივთი ქვემოთ ეშვება, ხმამაღლა გაიცინოს, მაგრამ იატაკზე დაცემისთანავე გაჩუმდეს და მანამდე იყოს ჩუმად, ვიდრე ქაღალდის ნაგლეჯს ან ბუმბულს ისევ არ ააგდებთ.
- სთხოვეთ, ადგილზე იხტუნოს ან ირბინოს, თანაც კონკრეტული დავალებაც მიეცით. მაგალითად, საჩვენებელი თითები შეერთებული ჰქონდეს, ან ჭიქაში პინგ პონგის ბურთი ჩაუგდეთ და უთხარით, რომ სირბილისას არ ამოუვარდეს.
- თუ ოთახში დარბის და ვერ აჩერებთ, წინ გადაუდექით და მანამდე არ გაუშვათ, ვიდრე 5 ცხოველს, ტრანსპორტს ან ქალაქს არ ჩამოთვლის. დაე, ეს მცირედი შესვენება მისთვის საშვივით იყოს, მიცემული დავალება კი კონ-ცენტრაციის აუცილებლობას უქმნის, რისთვისაც ცოტა ხნით მაინც დაწყნა-რდება.
- სთხოვეთ, გაიმეოროს თქვენი მოძრაობები. თავიდან ყველაფერი სწრაფად გააკეთეთ, დროდადრო კი ტემპი შეანელეთ და როგორც კი სასურველ მდგო-მარეობას მიაღწევთ, მის შენარჩუნებაზე იზრუნეთ.

ამ საკითხების ცოდნა აღმზრდელ-პედაგოგს ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვების განმავითარებელი სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობების სწორად დაგეგმვაში დაეხმარება.

**დაუნის სინდრომი.** დაუნის სინდრომი ქრომოსომული დაავადებაა, რომლის მიზეზსაც მშობლების სასქესო უჯრედების გაყოფის პროცესში წარმოშობილი დარღვევა წარმოადგენს. ამის შედეგად ნაყოფის უჯრედებში 46-ის ნაცვლად 47 ქრომოსომა ხვდება. სწორედ ეს ზედმეტი ქრომოსომა განაპირობებს დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ ფიზიკურ ნიშნებს (სახის ბრტყელი პროფილი, მოკლე კისერი, პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა და სხვა), ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯანმრთელობის პრობლემებს (გულის თანდაყოლილი მანკი, საჭმლის მომნელებელი სისტემის, მხედველობის, სმენის დარღვევები და სხვა).

საზოგადოებაში არსებული სტიგმა და მცდარი შეხედულებები ხელს უშლის დაუნის სინდრომის მქონე პირთა პოტენციალის რეალიზებასა და ნორმალურ ფუნქციონირებას. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სპეციალისტების ადრეული ჩარევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ წარიმართება ამ სინდრომის მქონე ბავშვისა თუ მოზრდილის ცხოვრება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ზუსტი ინფორმაცია გვქონდეს აღნიშნულ დიაგნოზთან დაკავშირ-ებით. ყოველი 800 – 1 000 ბავშვიდან ერთი დაუნის სინდრომით იბადება. არ არსებობს განსხვავება სქესის მიხედვით, იგი თანაბარი შესაძლებლობით შეიძლება აღმოაჩნდეს როგორც ბიჭს, ასევე გოგოს.

რა იწვევს დაუნის სინდრომს? დაუნის სინდრომის გამომწვევი მიზეზი ბოლომდე გარკვეული არ არის. როგორც წესი, განიხილავენ დედის ასაკს, გარემოს დაბინძურებას. დედის ასაკი მართლაც წარმოადგენს რისკფაქტორს, თუმცა, ისიცაა აღსანიშნავი, რომ ზოგადად 35 წლამდე ასაკის დედებსაც ჰყავთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები. აქედან გამომდინარე, დედებმა თავი დამნაშავედ არ უნდა იგრძნონ ან არ გახდნენ გაკიცხვის ობიექტები.

რა ახასიათებს დაუნის სინდრომს? დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს აღენიშნებათ: თვალის ირიბი ჭრილი; ცხვირის ფართო, ჩაღრმავებული ხიდი, პატარა ცხვირი; სახის ბრტყელი პროფილი; მოკლე, ფართო ხელები; პატარა პირი; პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა; თვალების შიდა კუთხეში კანის პატარა ნაოჭი; კუნთების დაბალი ტონუსი. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, თან სდევდეს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები, თუმცა ამ სირთულეების დაძლევა შესაძლებელია დროული ჩარევითა და მკურნალობით.

დაუნის სინდრომს ახასიათებს სხვადასხვა ხარისხის გონებრივი ჩამორჩენა. ბავშვებს შედარებით გვიან უვითარდებათ ახალი უნარები, მაგალითად, გვიან იწყებენ სიარულს, თამაშს, ძნელად ითვისებენ ყოველდღიურ ჩვევებს, აქვთ მეტყველების სირთულეები. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები ძალიან მგრძნობიარენი არიან. შესაძლოა, იოლად ეწყინოთ რაიმე, თუმცა, ძალიან ადვილია მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. იმის მიუხედავად, რომ ამ სინდრომს საერთო ნიშნები აქვს, თითოეული ბავშვი განსხვავდება ერთმანეთისაგან გარეგნობით, გონებრივი შესაძლებლობით, ინტერესებითა და ხასიათის თვისებებით. ყოველ მათგანი მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიჭით და უნარებით გამოირჩევა.

როგორ დავეხმაროთ განვითარებაში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს? მათთან მუშაობას ადრეული ასაკიდან იწყებენ. აუცილებელია აღსაზრდელთა ფსიქოლოგიური შეფასება, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გამოვლენა. მნიშვნელოვანია სწავლებისათვის შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება. ეფექტური შედეგი მოაქვს ბავშვთან სხვადასხვა სპეციალისტის - ფსიქოლოგის, მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის და ა.შ. მუშაობას. უმეტესობას შეუძლია, დაეუფლოს რაიმე პროფესიას, ხელობას, იმუშაოს, ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი, იყოს თვითაქტუალიზებული და, რაც მთავარია, თავს გრძნობდეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები დადიან საბავშვო ბაღში, სკოლაში, სწავლობენ, ჰყავთ მეგობრები. თავიანთი შესაძლებლობების შესაბამისად სწავლობენ წერას, კითხვას, მეტყველებას, იძენენ დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის საჭირო უნარებს.

რა უნდა გააკეთოს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის მშობელმა? დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებს ემოციებთან გამკლავებაში მხარდაჭერა სჭირდებათ. მნიშვნელოვანია სხვადასხვა სპეციალისტის - ექიმების, ფსიქოლოგების და

ა.შ. დახმარება. მშობლებს დაუნის სინდრომის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდებაში, ქვეყანაში არსებული სერვისების მოძიებაში უნდა დავეხმაროთ, დავარწმუნოთ ბავშვთან მუშაობის საჭიროებაში. მშობლები რაც უფრო ადრე გააცნობიერებენ ბავშვის მდგომარეობას და მის განვითარებაზე მუშაობის დაწყებას, შედეგი მით უფრო ეფექტური იქნება.

რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სწორ დამოკიდებულებას? დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები გულკეთილები, მეგობრულები, კეთილგანწყობილები არიან. მათ აქვთ განსხვავებული ემოციები, მოსწონთ მეგობრული დამოკიდებულება და სწყინთ, როცა უარყოფენ, აბრაზებენ ან ცუდად ექცევიან. ამის მიუხედავად დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს და მათ ოჯახის წევრებს სხვადასხვა გამოწვევასთან უწევთ გამკლავება. საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ აზრი არ აქვს ამ ბავშვებთან მუშაობას, სწავლებას, ამას ოჯახისთვის ზედმეტ ტვირთად განიხილავენ და ცდილობენ, გარშემომყოფებთან ურთიერთობა შეუზღუდონ. მეორე მხრივ, ადამიანების ნაწილი ზედმეტ ყურადღებას იჩენს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მიმართ, გამოხატავს შეცოდებას და ასეთი დამოკიდებულებით ხაზს ისევ მათ განსხვავებულობას უსვამს. ამ სირთულეების გადაჭრა შესაძლებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, იმის გააზრებით, რომ დაუნის სინდრომიანი ადამიანები საზოგადოების ჩვეულებრივი, სრულფასოვანი წევრები არიან და თავიანთი პოტენციალის განსავითარებლად მხარდაჭერა და სიყვარული სჭირდებათ.

*დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების დახმარება.* რა არის მთავარი, ასეთ ბავშვებს დახმარება რომ გაეწიოს? „მთავარია, სიყვარული არ მოაკლოთ და შემდეგ სხვა დანარჩენი“, - გვირჩევენ დაუნის სინდრომის ასოციაციის წევრები. პროგრესი, შესაძლოა, ნელა მიმდინარეობდეს. ზოგმა ბავშვმა, შეიძლება, პირველი სიტყვები ორი-სამი წლის ასაკამდე ვერ წარმოთქვას. ზოგჯერ იმის გამო, რომ ლაპარაკი უჭირთ, ბავშვები ტირილს იწყებენ ან ცუდ ხასიათზე დგებიან. ამის მიუხედავად, აღმზრდელ-პედაგოგებმა აზრის გამოხატვა უნდა ასწავლონ მარტივი ჟესტებით და თვალსაჩინო დამხმარე საშუალებებით. ამგვარად, ბავშვი შეძლებს - „დალევა“, „ჭამა“, „ძილი“, „დამთავრება“, „მეტი“ და სხვა აუცილებელი სიტყვების წარმოთქმას.

ყოველ წელს სულ უფრო ბევრი დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვი მიდის ბაღში და თავის და-ძმებთან და მეგობრებთან ერთად ერთობა. მართალია, სწავლა და განვითარება უჭირთ, მაგრამ თანატოლებთან ერთად სკოლამდელი განათლების მიღება, როგორც ჩანს, ზოგს ეხმარება, გახდეს უფრო დამოუკიდებელი, ურთიერთობა ჰქონდეს თანატოლებთან და ინტელექტუალურად განვითარდეს.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის აღზრდა ადვილი არ არის. ეს მოითხოვს დიდ დროს, ძალისხმევას, თავის მიძღვნას და მოთმინებას; მშობელს არ უნდა ჰქონდეს არარეალური მოლოდინი. ბევრი ოჯახი დარწმუნებულია, რომ ასეთი ბავშვის ყოლამ ოჯახის წევრები დააახლოვა ერთმანეთთან. და-ძმები ნაკლებად

ეგოისტები, უფრო თანამგრძნობნი არიან და უკეთ უგებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც მაღალია საზოგადოების ცნობიერების დონე და არსებობს დაუნის სინდრომის მქონე პირების განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობები, აღნიშნული დიაგნოზის მქონე ბავშვები და მოზრდილები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო, სოციალურ თუ რეკრეაციულ აქტივობებში, ჩართულები არიან სპორტის, მუსიკისა და ხელოვნების სფეროში. ისინი საკუთარი ოჯახებისა და თემის ღირებულ წევრებს წარმოადგენენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ.

**აუტიზმი.** აუტიზმი თავის ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. ბავშვს პრობლემები აქვს სოციალურ განვითარებაში, კომუნიკაციაში, მეტყველებაში, ქცევაში, განსაკუთრებით კი წარმოსახვით თამაშში. პირველად აუტიზმი 1943 წელს აღწერა ლეო კანერმა ადრეული ბავშვობის აუტიზმის სახელწოდებით. იგი გამოყოფდა აუტიზმისათვის დამახასიათებელ შემდეგ ნიშნებს: სოციალური ურთიერთობის დამყარების სირთულე; კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენების პრობლემა; ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტენტობა; საგნებით გატაცება; ამ მახასიათებლების გამომჟღავნება 30 თვის ასაკამდე. აუტიზმის სიმპტომები, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წლის განმავლობაში და თან სდევს მას მთელი ცხოვრების მანძილზე. საყურადღებოა, რომ შემთხვევათა 20%-ში მშობლები აღნიშნავენ ნორმალურ განვითარებას პირველი ორი წლის განმავლობაში.

გამოვლინების ხარისხის მიხედვით აუტიზმი მრავალფეროვანია. ყველაზე ძლიერ ფორმას ახასიათებს: უჭირს გარემოსთან კონტაქტი; არ შეუძლია თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის დამყარება; არ შეუძლია ინტერესების, ემოციის გაზიარება; ახასიათებს განმეორებადი, უჩვეულო, თვითდამაზიანებელი და აგრესიული ქცევა. ყველაზე სუსტი ფორმა გავს პიროვნულ აშლილობას, დასწავლის უნარის დარღვევას.

**რით ხასიათდება აუტიზმი?** სინდრომის სახელწოდებიდან გამომდინარე, აუტიზმის მქონე პირს ახასიათებს, პირველ რიგში, *გარემოსთან კონტაქტის დამყარების პრობლემა.* ასეთი ბავშვი არ აქცევს ყურადღებას ოჯახის წევრებს, თითქოს ვერც ამჩნევს მათ, არ თამაშობს სხვა ბავშვებთან, ვერ ახერხებს სხვა ადამიანისა და სიტუაციის ემოციური კონტექსტის აღქმას, უჭირს საკუთარი აზრის, ემოციის, ინტერესის სხვებისთვის გაზიარება. უჭირს წარმოსახვითი და როლური თამაში. შეიძლება შეგვხვდეს აუტიზმის გამოვლინების სხვადასხვა ხარისხი, მაგრამ

ყველას, მეტ-ნაკლებად, 3 წლამდე უკვე უმჟღავნდება პრობლემები კომუნიკაციაში, სოციალურ ურთიერთობაში, მეტყველებაში, ემოციურ განვითარებაში.

აუტიზმის მქონე ბავშვები განსხვავდებიან *მეტყველების განვითარების დონით.* ძირითადად, დამახასიათებელია აკვიატებული ფრაზების გამეორება (მაგ. ფილმებიდან, რეკლამებიდან) და კარგი ლექსიკური მარაგის შემთხვევაშიც კი მეტყველების გამოყენების სირთულე კომუნიკაციის დამყარების მიზნით. აუტიზმის მქონე ბავშვებს *სენსორული გამღიზიანებლებისადმი ძლიერი მგრძნობელობა* აქვთ: მხედველობითი, სმენითი, ტაქტილური, გემოს თუ სუნის სტიმულების მიმართ მგრძნობელობა ძლიერ აწეულია. მუდმივი სენსორული დისკომფორტის ფონზე ბავშვებს აღენიშნებათ თვითსტიმულაცია (მაგ. ტანის ქანაობა, ხტუნვა, ტრიალი), რომელიც კომპენსატორულ ხასიათს ატარებს და უცნაურ, არაადეკვატურ მოქმედებებად აღიქმება. აუტისტი ბავშვი თვითსტიმულაციით ცდილობს შფოთვის მომგვრელი და მისთვის უსიამოვნო გარემოს მიერ გამოწვეული უარყოფითი ემოციების დაძლევას და დადებითად შეფერილი ემოციური მდგომარეობის მიღწევას.

**ემოციური და ქცევითი სფერო** - ბავშვის ემოციური და ქცევითი დარღვევები კარგად ჩანს თამაშში. აუტიზმის მქონე ბავშვების თამაში სტერეოტიპულ ხასიათს ატარებს, მათ უჭირთ წარმოსახვითი და როლური თამაში. სათამაშოებზე უფრო მეტად ბავშვებისათვის მიმზიდველია საგნები, სხვადასხვა მასალა და მათი ფიზიკური ეფექტები (მაგ. ბოთლი, თავსახური, ღილები); ისინი სათამაშოებიდან უპირატესობას არასპეციალიზებულ სათამაშოებს ანიჭებენ (კუბიკები, მძივები) ხშირად ბავშვებს იზიდავს საგნის რომელიმე ნაწილი ან თვისება (მაგ. ნახვრეტი, ტრიალი, მოძრაობა, ბრჭყვიალი, ფერი, ფაქტურა). სპონტანური თამაში ინერტულ, სტერეოტიპულ ხასიათს ატარებს და იშვიათია სათამაშოთი საგნობრივი მოქმედებების განხორციელება; ხშირია სხვაობა მეტყველებაში გამოხატულ მოქმედებებსა და სათამაშოებით რეალურ მანიპულირებას შორის.

**რამდენად ხშირია აუტიზმი?** აუტიზმი გვხვდება მსოფლიო მოსახლეობის ყველა რასისა და სოციალური მდგომარეობის პირთა შორის. ეპიდემიოლოგიური მონაცემებით ყოველ 10000 ადამიანზე 5 შემთხვევა მოდის. თუმცა, იმის მიხედვით, თუ როგორი სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ სპეციალისტები, შემთხვევათა პრევალენსი 2- დან 10 შემთხვევამდე მერყეობს 10000 მოსახლეზე. ამასთან, აუტიზმი 4-5-ჯერ უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. (2007)

**ადრეული ინტერვენციის პროგრამები მიმართულია** აუტიზმის ძირითადი ნიშნების შემსუბუქებაზე, პირველ რიგში კომუნიკაციის, მეტყველების და სოციალური ინტერაქციის უნარებზე. აუტიზმის დასახმარებელი პროგრამების ანალიზმა ცხადყო, რომ საუკეთესო და ეფექტურია პროგრამები, რომლებიც რაც შეიძლება ადრეულ ასაკში იწყება, სადაც გამოიყენება ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალიზებული მომსახურება, სტრუქტურირებული და სისტემატური

სწავლება და ოჯახის წევრების აქტიური ჩართულობა (Dawson, Osterling, 1997; Smith, Lovaas, 1998; AAP, 2007).

**როგორ ვიმუშაოთ აუტიზმის მქონე ბავშვთან?** აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლებისა და განვითარებისათვის ადეკვატურად შერჩეულ ინდივიდუალურ პროგრამებს, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ურთიერთობის, სოციალური დასწავლის, ქცევისა და ყოველდღიური ცხოვრების ჩვევების გასაუმჯობესებელი მეთოდები. ეს უნდა მიმდინარეობდეს ძლიერ სტრუქტურირებულ და კარგად ორგანიზებულ სასწავლო-განმავითარებელ გარემოში.

ბავშვი უნდა სწავლობდეს და ვითარდებოდეს მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმით და ინდივიდუალიზებული სასწავლო-განმავითარებელი პროგრამით. ბაღის ოთახი ისე უნდა მოეწყოს, რომ ხელს უწყობდეს პროგრამის რეალიზებას. როდესაც აუტიზმის მქონე ბავშვებს ინფორმაცია მიეწოდებათ როგორც სიტყვიერად, ისე ვიზუალურად, ისინი მასალას უკეთ ითვისებენ და ნაკლებად იბნევიან. ასევე, მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი განვითარების მქონე თანატოლებთან ურთიერთობა, რადგან თანატოლები იძლევიან საუბრის, სოციალური და ქცევის ჩვევების მაგალითებს.

აუტისტი ბავშვის სწავლების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია მისი „სწავლის სტილის“ დადგენა. „სწავლის სტილი“ გულისხმობს იმ მეთოდებსა და ხერხებს, რომელთა საშუალებითაც აღმზრდელ-პედაგოგებს შეუძლიათ გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღება. ადამიანებმა, შეიძლება, ისწავლონ დანახვით (ვიზუალურად), მოსმენით (აუდიტორულად) და/ან შეხებით ან საგნების მანიპულირებით (კინესთეტიკურად, „ხელებით სწავლა“).

აუტისტი ბავშვები, ხშირად, სწავლის ერთ რომელიმე სტილს იყენებენ. ბავშვზე დაკვირვებით, შესაძლებელია, მისი სწავლის ძირითადი სტილის განსაზღვრა. მაგ. თუ აუტისტი ბავშვი ათვალიერებს სურათებიან წიგნს, უყურებს ტელევიზორს (აწეული ხმით ან ხმადაბლა), აკვირდება ხალხს და საგნებს - მისი სწავლის სტილი ვიზუალურია. თუ აუტისტი ბავშვი ბევრს ლაპარაკობს, მოსწონს, როცა მას ელაპარაკებიან, უსმენს რადიოს ან მუსიკას - მისი სწავლის სტილი აუდიტორულია. ხოლო, თუ აუტისტი ბავშვი საგნებს გამუდმებით შლის ნაწილებად, აღებს და ხურავს უჯრებს და ცდილობს, ყველაფერი ხელით მოსინჯოს, ეს ნიშნავს, რომ ასეთი ბავშვი კინესთეტიკურად, ანუ შეხებით სწავლობს.

ბავშვის სწავლის სტილის გარკვევა ზრდის ბავშვის სწავლის შესაძლებლობის ალბათობას. თუ აღმზრდელ-პედაგოგმა ზუსტად არ იცის სწავლის რომელი სტილია დამახასიათებელი ბავშვისთვის, ან მუშაობა უხდება სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე ბავშვების ჯგუფთან, საუკეთესო მეთოდია სწავლის სამივე სტილის გამოყენება.

აუტიზმის მქონე ბავშვების ეფექტური განათლებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ ოჯახმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სტრუქტურირებული სწავლებისა და ინტენსიური ქცევის ტრენინგის პროგრამებში.

## თავი III: განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობა

## § 3.1. ინდივიდუალური მიდგომისა და გარემოს მოწყობის მეთოდები

დღეისათვის ბაგა-ბაღებში თანდათან მატულობს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა რაოდენობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მათი მრავალფეროვნების აღმოჩენას და აღიარებას, დაცვას და ხელშეწყობას, რაც, თავისთავად, ყოველგვარი განსხვავებულობის ცნების აღმოფხვრას გულისხმობს.

აღზრდისა და განვითარების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია განვითარების ინდივიდუალური მიზნების დადგენა და ამ მიზნების თანდათანობით განხორციელება. თითოეულ ბავშვს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, ისწავლოს თანატოლებთან ერთად, მიუხედავად სქესის, წარმომავლობის, ასაკის, შესაძლებლობებისა თუ განსხვავებული სოციალური სტატუსისა. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ბავშვებს, უფრო ეფექტურად მიიღონ სკოლამდელი განათლება, ადვილად, ჯანსაღად იაზროვნონ და სასწავლო-განმავითარებელ სიტუაციებში მოახდინონ ადაპტირება.

პატარამ იმდენი რომ ისწავლოს, რამდენიც მას შეუძლია, აღმზრდელებმა ყველანაირად ხელი უნდა შეუწყონ როგორც პროგრამით, ასევე მასალით. მათ ბავშვს უნდა მისცენ შესაძლებლობა, ისწავლოს სასურველი სტილით. აქედან გამომდინარე, სწავლა ყველასთვის ინდივიდუალურია, ანუ ყოველი პატარა განსხვავებულად სწავლობს და ყოველ ახალ ინფორმაციასაც განსხვავებულად უდგება.

სასიხარულოა, რომ ბაგა-ბაღებში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობაში სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევენ. მნიშვნელოვანია, აღმზრდელმა, ბავშვის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მასთან მარტივი სიტყვებით, მოკლე წინადადებებითა და გასაგები ენით ისაუბროს. განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა სახალისო და საინტერესო აქტივობების დაგეგმვა. ეს ბავშვს შესაძლებლობას მისცემს, აქტიურად ჩაერთოს თამაშებისა და მეცადინეობის მსვლელობებში.

სკოლასა თუ სკოლამდელ დაწესებულებაში, პატარები თანატოლებთან ერთად სააღმზრდელო პროცესში აქტიურად რომ ჩაერთონ, ინკლუზიურ განათლებაში უკვე აქტიურად იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია **კოოპერატიული სწავლება**, რაც თავის თავში სოციალურ სწავლებას მოიცავს, ეს კი, თავისთავად, სოციალური მეთოდების გამოყენებასაც გულისხმობს. აქ დიდ ყურადღებას უთმობენ პატარების თანამშრომლობაში ჩართვას. ისინი სხვადასხვა დავალებას ასრულებენ, ერთმანეთს ეხმარებიან და ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსაკუთრებით საინტერესო მეთოდს **ერთობლივი პრობლემების გადაჭრა** და შემდგომ უკვე გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს. ეს პატარებს, პირველ რიგში, სხვადასხვა მოვლენის სწორად შეფასებასა

და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში ეხმარება, ასწავლის თანასწორუფლებიანობას და აჩვევს თანამონაწილეობას.

ეს მეთოდი შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

- პერსპექტივების განაწილება. აქ მთავარია ერთმანეთის საჭიროებების და სურვილების გაგება, სხვადასხვა აზრის პატივისცემა.
- თემის განსაზღვრა. ძალიან დიდ მნიშვნელობას თამაშობს თემის შერჩევა. ამ დროს, აუცილებელია, პატარებს ვასწავლოთ მისაღწევი მიზნის გათვალისწინება, ამოცანების გადაწყვეტა და დაგეგმვა. დიდი სიფრთხილეა საჭირო სადისკუსიო თემის შერჩევისას, რომლის დროსაც ბავშვები თავისუფლად შეძლებენ საკუთარი აზრების გადმოცემას.
- სტრატეგიების სწორად შერჩევა. აქ აუცილებელია ბავშვების ასაკის, სოციალური სტატუსის, ინტერესების, მოლოდინებისა თუ განწყობის გათვალისწინება.
- გაანალიზება. მნიშვნელოვანია, პატარებს ვასწავლოთ, გაიგონ თემის ძირითადი გზავნილი, გაარკვიონ, რა არის მნიშვნელოვანი და რა ნაკლებად მნიშვნელოვანი და არამთავარი, დააკვირდნენ, ესა თუ ის მსჯელობა მიზანს რამდენად შეესაბამება.

ეს მეთოდი ბავშვებს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი, შემოქმედებითად მიუდგნენ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას. და რაც მთავარია, დაეხმარონ ერთმანეთს, გამოავლინონ ახალ-ახალი იდეები, საინტერესო აზრები და განსხვავებული დამოკიდებულებები.

მნიშვნელოვანია, აღმზრდელები ბავშვებს ხშირად ესაუბრონ მრავალფეროვნებასა და ერთმანეთისაგან განსხვავებულობაზე, რომ ადამიანები ერთმანეთისგან სხვადასხვა შესაძლებლობებით, გარეგნული მახასიათებლებით განსხვავდებიან. მაგ., ეს შეიძლება იყოს კანის, თვალის ან თმის ფერი თუ ფორმა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს **ჰეტეროგენული ჯგუფების** შექმნა. სხვადასხვა ჯგუფის შედგენისას აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯგუფები დააკომპლექტოს ჰეტეროგენული სქესის, უნარებისა და წარმომავლობის მიხედვით. ეს პატარებს ტოლერანტობას, ურთიერთპატივისცემას და თანამშრომლობას ასწავლის, აუმაღლებს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, განუვითარებს პასუხისმგებლობის, თვითშეფასებისა და კომუნიკაციის უნარებს.

**სოციალური უნარების განვითარება.** იქედან გამომდინარე, რომ სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნულ განვითარებას და ჩამოყალიბებას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ სიტუაციას, რომელშიც სოციალური ინტერაქცია მიმდინარეობს. ურთიერთობის პროცესში სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქციის სირთულეები ნაკლებად რომ შეგვხვდეს, გვთავაზობენ შემდეგ სტრატეგიებს:

ა) თანატოლებისადმი სენსიტიური და კეთილი დამოკიდებულება. აქ იგულისხმება ის, რომ პატარებს ვასწავლოთ ღია დისკუსიები და თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა საკითხისადმი სენსიტიური და ჰუმანური მიდგომა.

ბ) სამაგიდო მანიპულაციური აქტივობები და თამაშები, რომლებიც ასევე ნატიფი მოტორიკის განვითარებას უწყობს ხელს.

მისი საგანმანათლებლო საჭიროების მიუხედავად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. აქედან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული, მიიღონ ცოდნა და აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

სკოლამდელ დაწესებულებაში შესვლისას სსსმ და შშმ ბავშვების მშობლებს ბევრი შეკითხვა უჩნდებათ. კერძოდ, როგორ მიიღებენ პატარას, რამდენად შეძლებს აღმზრდელი სასწავლო პროცესში ბავშვის აქტიურად ჩართვას, რამდენად შეძლებენ იმ ბარიერების გადალახვას, რომლებიც მათ სკოლამდელი განათლების ჩართულობაში უშლით ხელს და ა. შ.

სკოლამდელ დაწესებულებაში ინკლუზიური გარემოს შექმნაში დაგვეხმარება შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები:

**პირველი ნაბიჯი. კარგი დასაწყისი - პირველი შეხვედრა.** ახალი სოციალური ურთიერთობების დამყარების დროს ხშირია ადაპტაციის სიძნელეები, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე შშმ ან სსსმ ბავშვებს ეხება, რადგან ეს პატარები ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვენ.

იქედან გამომდინარე, რომ საბავშვო ბაღში შესვლისას პატარას ჩვეული ოჯახური პირობები ეცვლება და ახალ გარემოში უწევს შებიჯება, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელის, მშობლისა და ბავშვის პირველ შეხვედრას. ხშირ შემთხვევაში სწორედ ამაზეა დამოკიდებული, გაგრძელდება თუ არა მათ შორის თანამშრომლობა.

სსსმ და შშმ ბავშვები ხშირად განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევიან, ადვილად ვერ ეგუებიან ცვლილებებს. მათ სკოლამდელ დაწესებულებაში წასვლისთვის გარკვეული მოლოდინები ექმნებათ, ამიტომ ყოველთვის დიდი ინტერესით აკვირდებიან აღმზრდელთან პირველ შეხვედრას, თითოეულ მის სიტყვასა და ქცევას აანალიზებენ.

მშობლებიც ყოველთვის დიდი ინტერესით აკვირდებიან და აფასებენ აღმზრდელის პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რამდენად იჩენენ ყურადღებასა და სითბოს და რამდენად დადებითად არიან განწყობილნი აღსაზრდელთა მიმართ. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობს მშობლების მხარდაჭერა და სასწავლო პროცესში მათი აქტიური ჩართულობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი თანამშრომლობა აღმზრდელებთან, ფსიქოლოგებთან და სხვა სპეციალისტებთან.

მშობლები ყველაზე უკეთ იცნობენ ბავშვის მდგომარეობას და, ამდენად, მათთან კონსულტაციებისა და აქტიური ურთიერთობის შედეგად აღმზრდელები იღებენ იმ აუცილებელ ინფორმაციას, რაც პატარას განვითარებისთვის ძალიან დიდ როლს თამაშობს. ერთად მსჯელობენ, პოულობენ საერთო გამოსავალს, იზიარებენ შენიშვნებსა და მოსაზრებებს, ერთობლივი ძალისხმევით უმკლავდებიან გამოწვევებს.

**მეორე ნაბიჯი. განვითარების ინდივიდუალური გეგმა.** იქედან გამომდინარე, რომ პატარას სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა და განსაკუთრებულ მიდგომა სჭირდება, დიდი მნიშვნელობა განვითარების ინდივიდუალური გეგმის სწორად შედგენას და მის განხორციელებას ენიჭება. ამ გეგმაში უნდა აისახოს გუნდის მიერ თითოეული ბავშვისთვის საჭირო მხარდაჭერა და მუდმივად განხორციელებული პროგრესის ინფორმირება.

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული მთელი გუნდი: მშობელი, აღმზრდელი, სპეციალური მასწავლებელი, ლოგოპედი,ფსიქოლოგი და ა.შ. იგი დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ განახლებას და გადაფასებას საჭიროებს. ხშირად მას „მხარდაჭერის გეგმად“ („Förderplan“) ან „დახმარების გეგმად“ („Hilfeplan“) მოიხსენიებენ.

ინდივიდუალურ გეგმაში ბავშვის ფაქტობრივი მდგომარეობაა ასახული და სხვადასხვა სიტუაციაში პატარას ქცევის მუდმივად შეფასებას დიდი მნიშვნელობა ეკისრება. აქვეა ინფორმაცია მისი მოლოდინებისა და მიზნების შესახებ, რომლებიც პატარას განვითარებას უწყობს ხელს.

მიზნები ყოველთვის ბავშვის ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით გამომდინარეობს და ამიტომ პრობლემა მისი საყვარელი საქმიანობისა თუ სათამაშოების დახმარებით მისი საჭიროებების მხარდაჭერითა და განვითარებით უნდა დაიძლიოს.

<u>ინდივიდუალური უნარები და ინტერესები:</u>

- რა უყვარს ბავშვს?
- რის მიმართ იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს?
- რომელი ახალი აქტივობები აყენებს ბავშვს სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე?
- როგორია მისი მოტორული, კოგნიტური, შემეცნებითი უნარები.

<u>მოლოდინები:</u>

- რა სურვილები აქვს პატარას?
- რა მოლოდინები აქვს ოჯახს?
- მათ შორის რომელი წარმოადგენს უპირატესობას?

<u>ახალ გარემოსადმი ადაპტაცია</u>

- რამდენად აქტიურადაა ჩართული სწავლის პროცესში?
- რამდენად წარმატებულად იღებს მონაწილეობას ყოველდღიურ საქმიანობაში?
- რამდენად დაცულად გრძნობს თავს ახალ გარემოში?

- რამდენად კომფორტულად გრძნობს თავს თანატოლებთან?

(წყარო: Kieferle, 2013)

მინიმუმ 2-3 თვეში ერთხელ აუცილებელია გეგმის გადახედვა და არსებული მდგომარეობის მიხედვით მისი გადაფასება. მეტად მნიშვნელოვანია, განხილულ და შეფასებულ იქნეს პატარის ზრდა-განვითარება, გუნდის სხვა წევრებთან ერთად გააზრებულ იქნას, საჭიროებს თუ არა გეგმა ახალი კომპონენტების დამატებას.

**მესამე ნაბიჯი. საკუთარი შესაძლებლობების შეფასება და გუნდში საკუთარი საზღვრების დაცვა.** პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, პატარას საკუთარი შესაძლ-ებლობების რეალურად შეფასებაში დავეხმაროთ. ხშირად ვისაუბროთ მის შესა-ძლებლობებსა თუ პრობლემებზე, ერთად ვეძებოთ მათი გადაჭრის კრეატიული გზები, გავიზიაროთ გამოცდილება, გავუფანტოთ შიში და შფოთვა. მივაჩვიოთ საკუთარი აზრის გამოთქმას და შეფასებას.

მნიშვნელოვანია, პატარას, მისი ინტერესების და მოთხოვნების გათვალის-წინებით, საკუთარი სივრცის შექმნაში დავეხმაროთ, რათა თავი კომფორტულად და, რაც მთავარია, სხვებისგან დამოუკიდებლად იგრძნოს. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვი თანატოლებისაგან იზოლირებული იყოს.

**მეოთხე ნაბიჯი. პროგრესის კონტროლი და დოკუმენტირება.** იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვის განვითარების პროცესი ინდივიდუალურია, დიდი მნიშ-ვნელობა ენიჭება შესწავლის პროცესზე დაკვირვებას, დოკუმენტირებას და მშობლებთან და გუნდის სხვა წევრებთან ერთად მის გაანალიზებას. ამის დახმარებით გაადვილდება ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობების და ინტერესების აღმოჩენა.

აღმზრდელისა და სხვა სპეციალისტების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბავშვზე თამაშის დროს დაკვირვება. ბავშვები თამაშში მთლიანად არიან ჩართული, არიან კონცენტრირებული, აზროვნებენ, ცდილობენ სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას, გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს.

თამაშის დროს ავარჯიშებენ გონებას, უვითარდებათ მოტორული უნარები. თუკი დამატებით შეკითხვებს დავუსვამთ, გაგვიზიარებენ თავიანთ შეხედულებებს და ღიად მოგვითხრობენ საკუთარი გამოცდილების შესახებ.

ბავშვებზე დაკვირვების დროს სპეციალისტები ხშირად იყენებენ წინასწარ შემუშავებულ ე. წ. დაკვირვების სქემებს (Beobachtungsbögen), რაც მათ ინდივიდუალ-ური სასწავლო მიზნების მიღწევაში ეხმარება. ეს სქემები გაზომვადია და დამკვირ-ვებელს საშუალებას აძლევს, ნათლად დააფიქსიროს ბავშვის სუსტი და ძლიერი მხარეები.

მნიშვნელოვანია, დაკვირვების დროს წინასწარ ვიცოდეთ მიზნების და შეფასების კრიტერიუმები. მაგალითად

- რაზე კეთდება ძირითადი აქცენტი?
- რა არის კონკრეტული მიზანი?

- რამდენად მკაფიოდ არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები?
- რამდენი ხანი გრძელდება ეს პროცესი?
- ყოველივე ეს როგორ აისახება დაკვირვების სქემაში?

სასურველია, აღმზრდელი, ფსიქოლოგი, თუ სხვა სპეციალისტი თითოეულ შშმ და სსსმ ბავშვთან მიმართებაში მუდმივად განახლებულ ინფორმაციას ფლობდეს. ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები მათ დაეხმარება, ზუსტად განსაზღვრონ და შეადგინონ ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი გეგმები.

აუცილებელია, აღმზრდელ-პედაგოგმა თითოეულ აღსაზრდელთან დაამყაროს კარგი ურთიერთობა - მთვარია სსსმ ბავშვმა მისგან იგრძნოს მიმღებლობა და თანა-დგომა.

ამის მისაღწევად - უნდა **იცოდეს** ბავშვის განვითარების ასაკობრივი სტადიები; თითოეული ბავშვის განვითარების თავისებურებები; ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება; ინდივიდუალური გეგმის შემუშავება; მოიპოვოს ბავშვების სიყვარული და კეთილგანწყობა;

განვითარებული ჰქონდეს შემდეგი **უნარები:** თითოეულ ბავშვს მიუდგეს ინდივიდუალურად; იყოს მუდამ მზრუნველი და ყურადღებიანი; ოჯახიდან ფლობდეს უახლეს ინფორმაციას; ურთიერთობების დასამყარებლად წარმატებით იყენებდეს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს; რეალურად აფასებდეს თითოეული ბავშვის შესაძლებლობებს.

აუცილებელია, აგრეთვე, შემდეგი **სოციალური უნარ-ჩვევები:** ხვდებოდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს; ყოველთვის შეეძლოს გარკვეული დისტანციის შენარჩუნება; ზუსტად გათვალოს ქცევის შედეგი და კონტექსტი; იყოს მზრუნველი, კომპეტენტური და მშობლებთან მუდმივ კონტაქტში მყოფი.

აღმზრდელ-პედაგოგს უნდა შეეძლოს საკუთარი ქცევის **თვითშეფასება:** მუდმივი კონტაქტი თითოეული ბავშვის მშობლებთან; გაუზიაროს მათ საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება; სხვადასხვა სიტუაციებში ასახოს თითოეული ბავშვი; გაიაზროს საკუთარი საქციელი და ქმედებები.

ქვემოთ მოყვანილია აღმზრდელ-პედაგოგის სხვადასხვა ქმედება და თითოეულ შემთხვევაში მოცემულია მოთხოვნები (Zimmer, 2013).

## თითოეული ბავშვის განვითარების შეფასება:

**ცოდნა:**

- ცალკეული ბავშვის განვითარების დარღვევების მოდელები
- კლასიფიკაცია.
- კოგნიტური ნეიროფსიქოლოგია.
- სსსმ ბავშვის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

- ბოლომდე იაზრებს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურობასა და გამორჩეულობას.

**უნარები:**

- თითოეულ ბავშვს ახალი შესაძლებლობების ათვისების საშუალებას აძლევს.
- ფლობს ინფორმაციას თითოეული ბავშვის განვითარების ისტორიის შესახებ.
- აღიარებს ყოველი ბავშვის ინტერესებს, შეხედულებებს და საჭიროებებს.
- იცის თითოეული მათგანის სუსტი და ძლიერი მხარეები.
- თითოეულ ბავშვთან მიმართებაში შეუძლია გარემოს შეფასება და ანალიზი.

**სოციალური უნარ-ჩვევები:**

- აცნობიერებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს რისკის ფაქტორს.
- ნერგავს რისკის შემამცირებელ ღონისძიებებს.
- იზიარებს სპეციალისტების შეხედულებებს და გამოცდილებას.
- შეძენილ ცოდნას გადასცემს ბავშვებს, კოლეგებს და მშობლებს.

**თვითშეფასება:**

- მუდმივად იძენს ახალ ცოდნას და გამოცდილებას.
- იმაღლებს ცოდნას პროფესიაში.
- ავითარებს პროფესიულ კავშირებს და საკუთარ პროფესიულ უნარ-ჩვევებს.
- მუდმივად სრულყოფს სასწავლო რესურსებს.

## სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე დაკვირვება და ამ პროცესის დოკუმენტირება

**ცოდნა:**

- ბავშვის განვითარების საფეხურები ( განსაკუთრებით 0-6 წლამდე).
- ქცევაზე დაკვირვების ტექნიკები
- ქცევაზე დაკვირვების მეთოდები.
- მონაცემთა ანალიზი და მისი დოკუმენტირება.

**უნარები:**

- ყურადღებით აკვირდება საგანმანათლებლო პროცესს.
- ითვალისწინებს ცალკეული ბავშვის საჭიროებას.
- სთავაზობს შესაფერის სასწავლო მასალას.
- დაკვირვების შედეგების შესაბამისად მუდმივად აახლებს თავის პორთფოლიოს.

**სოციალური უნარ-ჩვევები:**

- იცის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა.
- ამ დოკუმენტაციას იყენებს მშობლებსა და სხვა სპეციალისტებს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად.
- აქვს გუნდური მუშაობის უნარი.

- გუნდში მუდმივად განიხილავს თავის დასკვებსა და შედეგებს.

თვითშეფასება:

- ასრულებს თავის როლს, როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებელი.
- აქვს საკუთარი აზრი, იდეა, აღქმა და ანალიზის უნარი.
- არის საკმარისად თვითკრიტიკული.

## ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ინდივიდუალური გეგმის შედგენა:

ცოდნა:

- ცალკეული ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებები.
- თითოეული ბავშვის განსხვავებული უნარები.
- გარემო - თითოეული ბავშვის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტი.
- ბავშვის ინდივიდუალური განათლების და განვითარების გეგმის ძირითადი კომპონენტები.
- ბავშვების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- სკრინინგის შეფასებითი ინსტრუმენტების გამოყენება თითოეული ბავშვის განმავითარებელი შეფასებისას.

უნარები:

- პატივს სცემს და აღიარებს თითოეულ ინდივიდს.
- უზრუნველყოფს ყველა ბავშვისათვის თანაბარ პირობებს.
- ინდივიდუალურად აფასებს თითოეული ბავშვის საჭიროებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს.
- ითვალისწინებს ცალკეული ბავშვის განვითარების განსხვავებულ ტემპს და კანონზომიერებას.
- ხელს უწყობს სწავლისა და კვლევებისთვის ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესს.
- ბავშვებს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად სტიმულს აძლევს.
- ხელს უწყობს ხელისშემშლელი ბარიერების აღმოფხვრას და ბავშვების ინტეგრირებას საზოგადოებაში.

სოციალური უნარ-ჩვევები:

- იყენებს მრავალფეროვან და გამჭირვალე შეფასების სისტემას.
- სასწავლო პროცესს და სასწავლო ხარისხს ეფექტურს ხდის.
- თანამშრომლობს მშობლებთან და სხვა სპეციალისტებთან.
- ადგენს რესურსებს.
- ახდენს ბავშვის ქცევის გამოყენებით ანალიზს ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- აქვს თანაგრძნობისა და თანადგომის კარგი უნარი.

თვითშეფასება:

- სიტუაციას ყოველთვის რეალურად აფასებს.

- ზუსტად ასახავს სუსტ და ძლიერ მხარეებს.
- მუდმივ განახლებაშია.
- არჩევს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზას.

სასწავლო-განმავითარებელი გარემო ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის სოციალურ და ემოციურ განვითარებაში. არსებობს მოსაზრება, რომ გარემო ბავშვისა და უფროსების შესაბამის ქცევას წარმართავს, ამიტომ იგი რაც შეიძლება დიდი ყურადღებით და მონდომებით უნდა დაიგეგმოს. ისიცაა აღსანიშნავი, რომ აღმზრდელებმა მუდმივად უნდა განაახლონ გარემო, იზრუნონ მის მრავალფეროვნებაზე, რეაგირება მოახდინონ აღსაზრდელის ინტერესებსა და მისი განვითარების ცვალებად საჭიროებებზე.

ასევე განსაკუთრებით დიდი ყურადღებაა საჭირო, როგორც ოთახში, ასევე გარეთ ბილიკების დაგეგმვაში, რათა პატარა ერთი სივრციდან მეორეში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადაადგილდეს, რომ რაიმე წინაღობა არ შეხვდეს და არც ყურადღება გაეფანტოს. ყოველივე ეს ბავშვებს დაეხმარება გარემო უფროსების მოლოდინის შესაბამისად გამოიყენონ.

სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლება ხელმისაწვდომი რომ გახდეს, დიდი მნიშვნელობა სასწავლო გარემოს მოწყობას ენიჭება. იგი აღსაზრდელების საჭიროებებზე უნდა იყოს ორიენტირებული - პანდუსით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ძველ შენობებს არ აქვთ; საკმარისი ფართით, რათა საჭიროების შემთხვევაში ადვილად იყოს შესაძლებელი ეტლით გადაადგილება; შესაბამისი აკუსტიკით, განსაკუთრებით ჯგუფში სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებიც თუ არიან. მეტად სასარგებლოა, ოთახი გარემოს სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებად დაიყოს,ეს იქნება შემეცნებითი, დასვენების და მოძრაობის თუ სათამაშო სივრცე;

<u>შემეცნებითი სივრცე</u> არის კუთხე, სადაც პატარები თავიანთ სურვილებს და მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებენ. აქ მნიშვნელოვანია თითოეულის ინტერესის სფერო იქნეს გათვალისწინებული - ზოგი მუსიკას მოუსმენს, ზოგი საკუთარი ფანტა-ზიით სხვადასხვა საგნებს შექმნის, ზოგიც იცეკვებს, ზოგი კიდევ სურათებიან წიგნებს დაათვალიერებს ან თავისი საყვარელი თამაშით გაერთობა. ასეთი პერსონალური ადგილები აღსაზრდელთა განვითარებაში განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობს.

მთავარია, რომ პატარები საყვარელ საქმიანობას დამოუკიდებლად, თავიანთი სურვილით ირჩევენ. ბავშვებს სწავლა-აღზრდის პროცესში რაც უფრო მრავალფეროვან მეთოდებს გამოვიყენებთ და შევთავაზებთ, არჩევანისა და ქმედების თავისუფლებას მივცემთ, მით უფრო მეტად აქტიურები და დამოუკიდებლები გახდებიან.

<u>დასვენების და მოძრაობის სივრცე.</u> დასვენება და მოძრაობა სულაც არ არის საპირისპირო მცნებები, ისინი ერთმანეთს ავსებენ და ბავშვის მოძრაობის

მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ (Zimmer, 2013, S. 1).

იქიდან გამომდინარე, რომ სიყრმის ასაკში  ბავშვისთვის მოძრაობა აუცილებელია, დიდი მნიშვნელობა  ღია და დიდ სივრცეს ენიჭება. პატარას სირბილსა თუ ნებისმიერ სხვა  მოძრაობაში ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს.

პატარები თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს სწორედ ამ სივრცეში ატარებენ, თითქმის ყველა ბავშვს უყვარს დიდი კუბურები, მოსწონთ ლაბირინთებში გაძრომა და სხვადასხვა სახეობის მოძრავი სათამაშოები, განსაკუთრებულად უყვართ ხოხვა, ცოცვა, სირბილი, ხტუნვა, დამოუკიდებლად წყვეტენ, როდის დაისვენონ და როდის გაერთონ.

დღის მანძილზე თუნდაც მცირე დრო დასვენებისათვის ყველა პატარას სჭირდება. ამისათვის კი მშვიდი, წყნარი გარემოა საჭირო - რბილი და კომფორტული ავეჯით, სქელი ფარდებით, თუნდაც, წყნარი და სასიამოვნო მელოდიებით.

<u>სათამაშო სივრცე</u>. ეს სივრცე განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას საჭიროებს, რადგან სწორედ თამაში განაპირობებს ბავშვის გონებრივ, სენსორულ თუ ფიზიკურ განვითარებას, აკმაყოფილებს მის ბევრ მოთხოვნილებას.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რამდენად უსაფრთხო და მეგობრულია ეს კუთხე ჩვენი პატარასთვის, იგი რამდენად შეძლებს თავისი შესაძლებლობების და ფანტაზიის მაქსიმალურად გამოვლენას, თავის საყვარელ საქმიანობაში მაქსიმუმის გაკეთებას.

იქიდან გამომდინარე, რომ თამაშში სათამაშოს  მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება, მისი შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რისგანაა დამზადებული, რამდენად უსაფრთხოა მისი ხელში დაჭერა თუ პირში ჩადება; არ უნდა იყოს ძალიან მცირე ზომის, ან წებოვანი, იტანდეს სხვადასხვა სახის ზემოქმედებას.

სათამაშოს არჩევისას გაითვალისწინეთ შემდეგი კრიტერიუმები:

- რამდენად შეესაბამება სათამაშო ინტერესს?
- თამაშობები და აქტივობები რამდენად მორგებულია ბავშვის საჭიროებებზე?
- თამაშის დროს უმეტესად კომუნიკაციის რა ფორმას ირჩევენ პატარები?
- თამაშის დროს უჭირს თუ არა დეტალებზე ყურადღების კონცენტრაცია.
- შეუძლიათ თუ არა, სხვადასხვა ზომის, ფორმის, ფერის საგნების დაჯგუფება.

ტვინის გასავარჯიშებლად აუცილებელია მრავალფეროვანი დავალებების შესრულება, თამაშების და სავარჯიშოების გამოყენება. მათი დახმარებით გაუვარჯიშდებათ მეხსიერება და  ლოგიკური აზროვნების უნარი განუვითარდებათ.

**თამაში სოციალური ურთიერთობის დამყარების სირთულის მქონე ბავშვებთან.** ოჯახში მუდმივი კამათი, კონფლიქტი და დაძაბული ურთიერთობები დროთა განმავლობაში ბავშვის პიროვნულობაზე აუცილებლად ისახება. ამ დროს მასაც უჩნდება აგრესია, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, ფარულია და საკუთარ თავს

თვლის დამნაშავედ, ხოლო ზოგჯერ აგრესია ნივთების სროლით და დამტვრევით გამოიხატება, უდიერად ეპყრობიან საყვარელ სათამაშოებს, რაც მათ აგრესიულ იმპულსებზე მოქმედებს.

ზოგი ბავშვი თანატოლებთან თამაშს არ ცდილობს, გაურბის მათთან ურთი-ერთობას. მუდმივად ურჩევნია მარტო, თავისთვის ყოფნა. უჭირს ჯგუფურ აქტივობებში ჩართვა და აპროტესტებს ჯგუფში შესვლას.

ამ შემთხვევაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა მისთვის სასურველი ჯგუფური აქტივობებით უნდა დაიგეგმოს, რომლის დროსაც ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიზრდება სხვა ბავშვებთან ერთად ჯგუფში ყოფნის დრო.

საჭიროა ისეთი აქტივობების დაგეგმვა და თამაშობების მოფიქრება, რომლის დროსაც ბავშვს სხვა თანატოლებთან ექნება კონტაქტი, დაასახელებს მათ სახელებს, დაელოდება თავის რიგს და ა. შ. მაგ., ეს შეიძლება იყოს ლექსების რიგის დაცვით თქმა, კუბურების ერთად აშენება, რაიმე დასახული მიზნის ერთად მიღწევა და სხვ.

მსგავსი აქტივობები პატარებს ეხმარებათ კომუნიკაციაში, ასწავლის იმპულსის შეკავებას და თანდათანობით ეჩვევა თამაშის წესების დაცვას. ყოველივე ეს ხელს უწყობს მეტყველების განვითარებას, რის შემდგომაც ბავშვები უფრო თავდაჯერებ-ულები და დამოუკიდებლები ხდებიან.

აუტიზმის მქონე პატარებთან, რთული სიტყვებისა და გრძელი წინადადებების ნაცვლად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მარტივი სასაუბრო ენის, ასევე, სხვადასხვა ვიზუალური მინიშნებების გამოყენება. ასეთია, მაგალითად, დიდი ზომის ნახატები, სიმბოლოები, ფოტოები, სხვა სახის მინიშნებები. თუმცა, აქ მთავარია შემდეგი პირობა - ეს მინიშნებები რაც შეიძლება სადა, მარტივი და გასაგები უნდა იყოს. ეს პატარებს დაეხმარება, დაიმახსოვრონ ტრაფარეტები, სიმბოლოები და ამით გაიადვილონ იმ გარემოსთან ადაპტირება და სივრცეში ორიენტირება, სადაც ისინი იმყოფებიან.

ვიზუალური მასალის დახმარებით პატარები ადვილად აღიქვამენ თემას, იცავენ ჯგუფის წესებს, სწავლობენ თანატოლებთან თამაშს, ნივთების და სათამაშოების გაცემასა და განაწილებას, ხშირ შემთხვევაში უფრო ადვილად ერთვებიან ცეკვისა და მუსიკის აქტივობებში.

ასევე შესაძლებელია თვალსაჩინო ცხრილის შექმნაც, რომელშიც ნათლად იქნება გამოსახული ის აქტივობები, რომლებშიც ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. მაგ., ვარჯიში, კითხვა, კუბიკებით თამაში, მუსიკა...

სწორედ კონფლიქტების მოგვარებას და სოციალურ-ემოციურ განვითარებას ემსახურება როლური თამაშები, რომლის დროსაც ბავშვები საკუთარი აგრესიული იმპულსების მართვას სწავლობენ და სხვების მიმართ უფრო და უფრო ნაკლებ აგრესიას გამოხატავენ.

პედაგოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილია აგრეთვე განუვითარებელი ბავშვების ჯგუფურ თამაშებში ჩართვა, რომლის დროსაც, გასაგები და მკაფიოდ

განსაზღვრული წესების მეშვეობით, პატარები საკუთარი პიროვნების იდენტიფიცირებას სწავლობენ.

სკოლამდელი დაწესებულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია, სადაც ბავშვი თავის პირველად ინტეგრირებას ახდენს, ხოლო ბაღის დასრულების შემდეგ, უკვე სკოლის ასაკიდან, აუტისტი ბავშვები ინკლუზიური სწავლების პროგრამაში ერთვებიან.

სხვადასხვა კვლევებმა (Inklusive Bildung von Kindern und Jugendlichen mit Behinderungen in Schulen (Beschluss der Kultusministerkonferenz vom 20.10.2011); Inklusion: Leitlinien für die Bildungspolitik, Deutsche UNESCO-Kommission, Bonn 2014) აჩვენა, რომ შედარებით ადრეულ ასაკში პრობლემებზე რეაგირებამ, შესაძლოა, ბავშვის დამოუკიდებლობის უნარი გაზარდოს და არსებული მდგომარეობა გააიოლოს. შესაძლებელია, მოიხსნას გონებრივი ჩამორჩენილობის პრობლემაც, რის შედეგადაც აღსაზრდელები შესაბამისი განათლების მიღებას და გარკვეული წარმატების მოპოვებასაც შესძლებენ. საამისოდ კი სხვადასხვა დარგის სპეციალისტის - ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლის, პედიატრის, მეტყველების თერაპევტის დაუღალავი შრომაა საჭირო.

**თამაში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებთან.** ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვები თამაშის დროსაც იგივე ქცევებს ამჟღავნებენ, რასაც თამაშის გარეთ, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი ასეთი ქცევა ჯგუფურ სიტუაციებში უფრო მძლავრადაა გამოხატული, ვიდრე მარტო თამაშის დროს.

ადვილი შესამჩნევია, თუ როგორ უჭირს ამ ტიპის ბავშვს სხვებთან თამაშის დროს, უძნელდება სხვადასხვა წესის დაცვა. ბავშვი ამ დროს მოუსვენარია, ბევრს საუბრობს, უჭირს ყურადღების კონცენტრირება, ისვრის და ამტვრევს ნივთებს, იმპულსურია. თამაშის დროს ბევრს მოძრაობს, ხშირად მიდის რისკზე, ამიტომ აუცილებელია მასზე თვალყურის მიდევნება.

აქედან გამომდინარე, ბავშვის „არაპროგნოზირებადი" რეაქცია გამოწვევად და წაქეზებად კი არ უნდა მივიღოთ, არამედ ყოველი თამაში ისე უნდა დავგეგმოთ, რომ მისი იმპულსურობა და აქტიურობა პოზიტიურად იქნეს გამოყენებული.

## §3. 2. მონაცემების შეგროვება და ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიკაცია სკოლამდელ დაწესებულებებში

ადრეული განათლების ხარისხიანი პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ბავშვების შესახებ მონაცემთა შეგროვება და მათზე დაყრდნობით აღსაზრდელთა საჭიროებებზე ორიენტირებული აქტივობების და პროგრამის დაგეგმვა- განხორციელებაა. ადრეული განათლების სფეროში დაკვირებას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა და, შესაბამისად, მონაცემების შეგროვება,

დაკვირვება და მონაცემთა შეფასება აღმზრდელის ერთ-ერთ წამყვან პროფესიულ უნარად მოიაზრება. მონაცემთა შეგროვება, დაკვირვება, დოკუმენტაციის შედგენა და მონაცემთა შეფასება მნიშნელოვანია არა მხოლოდ ბავშვების საჭიროებების გასაცნობად და ამ საჭიროებების გათვალისწინებით განვითარების მხარდასაჭერად, არამედ პროგრამის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაფასებლადაც.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე უწყვეტი დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება ადრეული განათლების პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება აღმზრდელს მდიდარ მასალას აძლევს თითოეული ბავშვის, ბავშვების ჯგუფის, მათი პროგრესის, აღმზრდელის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების, სტრატეგიების და, ზოგადად, პროგრამის შესახებ. ეს ინფორმაცია ასევე ღირებულია მშობლებთან კომუნიკაციის დროს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების აღმზრდელს მუდმივად ესაჭი-როება სხვადასხვა ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა თითოეული ბავშვის საჭიროებებს მოერგოს. მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი განვითარების შესაბამისი პროგრამის განხორციელება. მონაცემები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, ძლიერი მხარეების და ინტერესების შესახებ. აღმზრდელი ასევე უნდა სწავლობდეს ჯგუფის საჭიროებებს, მიდრეკილებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესთან მიმართებაში მისი სწორი და საუკეთესო გადაწყვეტილებები მეტწილად მის დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების უნარებზეა დამოკიდებული. რომელიმე სპეციფიურ ქცევაზე დაკვირვება, მონაცემთა შეგროვება და ჩაწერა უფრო ნათელს ხდის ქცევის მახასიათებლებს. შესაბამისად, აღმზრდელს უადვილებს პასუხს კითხვაზე - რატომ აღინიშნება ესა თუ ის ქცევა. იგივეა ჯგუფურ პრობლემებზეც, როდესაც ობიექტური დაკვირვებით ხდება პრობლემის აღმოჩენა, აღმზრდელს უფრო მეტად ხელეწიფება ამ პრობლემის პრევენციისათვის შესაბამისი სტრატეგიების დაგეგმვა და განხორციელება. მაგალითად, თუ თქვენ აკვირდებით დრამატულ ცენტრში ხელის კვრის ხშირ ინციდენტს, ამით შეიძლება დაასკვნათ, რომ დრამატული ცენტრისთვის სივრცე არასაკმარისია და არასასურველი ქცევის და კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად ან სივრცე უნდა გავზარდოთ, ან ბავშვების რაოდენობა შევამციროთ (ბეტი, 2006).

მონაცემების შეგროვება და დაკვირვება აღმზრდელს სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებაშიც ეხმარება. მაგალითად, აქვს თუ არა ბავშვს სმენის ან მხედველობის დეფიციტი, ქცევის ან ემოციური სირთულეები, რაც, თავის მხრივ, პროფესიონალის კონსულტაციას საჭიროებს. მხოლოდ ამ საჭიროებების აღმოჩენის შემდეგ არის შესაძლებელი, სათანადო მომსახურებას მივმართოთ. მონაცემების შეგროვება, დაკვირვება და რეგულარული ინტერვალებით ჩანაწერების წარმოება, საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ თითოეული ბავშვის განვითარება და

პროგრესი. ამ ინფორმაციის საფუძველზე შევადგინოთ განვითარების ინდივიდუალური გეგმა, გადავწყვიტოთ, როგორ მოვაწყოთ გარემო და თითოეული ბავშვის განვითარების პირობები უზრუნველვყოთ.

ობიექტური დაკვირვებით შეგროვებული მონაცემები და სისტემატიური ჩანაწერები აღმზრდელ-პედაგოგს დაეხმარება, კონკრეტული ფაქტებით და მტკიცებულებებით ისაუბროს თითოეული ბავშვის განვითარების მიმდინარეობაზე. ბავშვისადმი ასეთი დამოკიდებულება ხელს უწყობს მშობლებთან თანამშრომლობის გაძლიერებას, რომელთაც ყოველთვის სურთ იცოდნენ, როგორ პროგრესირებენ საბავშვო ბაღში მათი შვილები. აღმზრდელ-პედაგოგის ფაქტებზე დაყრდნობილი, არგუმენტირებული მსჯელობა, მშობლებს არწმუნებს, რომ პედაგოგს მისი შვილი კარგად ჰყავს შესწავლილი და აქტივობები საჭიროებებზე მორგებული ნამდვილად იქნება (ნილსენი, 2004).

დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის შეფასებასაც ემსახურება. თანამშრომლები ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით განსაზღ-ვრავენ, არის თუ არა შეთავაზებული პროგრამა ეფექტური და ემსახურება თუ არა დასახულ მიზნებს.

როდესაც სააღმზრდელო პრაქტიკაში დაკვირვებასა და მონაცემთა შეგროვებაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, განვასხვაოთ ორი პროცესი: ა) **მონაცემთა შეგროვება** და ბ) **მონაცემთა შეფასება**.

მონაცემთა **შეგროვება** არის ობიექტური დაკვირვების გზით მოპოვებული და დოკუმენტირებული ინფორმაცია ბავშვზე, ბავშვებზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე, რომელიც არის ფაქტობრივი, აღწერითი და არ შეიცავს ვარაუდს, დასკვნებს, სუბიექტურ შთაბეჭდილებებს.

მონაცემთა **შეფასების** პროცესი მოიცავს შეგროვებული მონაცემების სინთეზს, ინტერპრეტაციას, ანალიზს და შესაბამის დასკვნებს, რომლებიც შემდგომი დაკვირ-ვების ან პრაქტიკული საქმიანობის დასაგეგმად გამოიყენება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია - დაკვირვების და მონაცემთა შეგროვების **დაგეგმვა**, რომლის დროსაც აღმზრდელი განსაზღვრავს დასაკვირვებელ საკითხს და შესაბამისი მეთოდების არჩევას. თუმცა, ყოველდღიურ პრაქტიკაში აღმზრდელი დაუგეგმავადაც აწყდება მრავალ ფაქტს, რომელთა ჩაწერა და დაფიქსირება ასევე მეტად მნიშვნელოვანია.

ინფორმაციის შეგროვების და დაკვირვების ორი, *ფორმალური* და *არაფორმალური* მეთოდი არსებობს. ისინი ერთმანეთისგან იმით გასნხვავდება, მათი გამოყენებისას თუ რამდენად ხდება პირობების კონტროლი.

*ფორმალური* მეთოდია სტანდარტიზებული ტესტები და კვლევის ინსტრუ-მენტები. იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს, მაგრამ ამ მეთოდების გამოყენება საჭიროებს სპეციალიზებულ ტრენინგს და გაწაფვას, რათა მონაცემთა აღება წინასწარ შემუშავებული ფორმით ხდებოდეს. ასეთივე სპეციალიზება

სჭირდება ფორმალური მეთოდებით შეგროვებული მონაცემების ანალიზს და ინტერპრეტაციას.

დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების *არაფორმალური* მეთოდი შედარებით მარტივი გამოსაყენებელია და უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის დაგეგმვას. არაფორმალური მეთოდი მოიცავს კითხვარებს, ცხრილებს, ჯგუფში ბავშვებზე დაკვირვებას, ჩანაწერების წარმოებას, ბავშვების ნამუშევრების ნიმუშების შეგროვებას, მშობლებთან ინტერვიუს, ბავშვებთან საუბარს, აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს, ფოტოებს და სხვ.

არსებობს დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდის შერჩევის სამი მოსაზრება. პირველი დამოკიდებულია საკითხის ტიპზე - რა გაინტერესებს, რაზე დაკვირვება გსურს და რამდენად დეტალური ინფორმაცია გჭირდება. მეორე იმაზეა დამოკიდებული, ერთ ბავშვზე იღებ მონაცემებს თუ მთელ ჯგუფზე. მესამე მოითხოვს, რა ოდენობის ყურადღებას საჭიროებს დასაკვირვებელი საკითხი. მაგალითად, თუ გაინტერესებს განვითარების ერთ-ერთ სფეროზე დაკვირვება, მაშინ უფრო მისაღები უნდა იყოს კითხვარი, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული ამ სფეროს განვითარების ინდიკატორები და მისი შემადგენელი ქცევები. თუ ერთ კონკრეტულ ქცევაზე ან უნარზე გეგმავ დაკვირვებას, მაშინ მეტი თვისობრივი ინფორმაციის ჩაწერა იქნება პროდუქტიული. ინფორმაციის შეგროვებას ბავშვების ჯგუფზე თუ გეგმავ, ჟურნალი ან კითხვარი უფრო მოსახერხებელია. რესურსების საჭიროების თვალსაზრისით ზოგიერთი მეთოდი დამკვირვებლისაგან უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს. მაგალითად, იმის გამო, რომ დეტალურად ხდება ქცევის აღწერა, ჩანაწერების დროს ბავშვებთან ურთიერთობა ძნელდება. ბავშვებთან მუშაობის დროს კითხვარები, ვიდეოჩანაწერები და ცხრილები უფრო ადვილი გამოსაყენებელია.

რადგან ყველას დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, ბავშვების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად აღმზრდელი სხვადასხვა მეთოდს იყენებს. ეს მას უფრო ობიექტური და მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვებაში ეხმარება. ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გამოყენება, მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის და შეფასების დროს, ამცირებს შეცდომის ალბათობას.

წლის დასაწყისში მნიშვნელოვანია *პირველადი* მონაცემების შეგროვება. აღნიშნულ საბაზისო მონაცემებს აღმზრდელი თითოეულ ბავშვთან გამოიყენებს. ამ დროს მნიშვნელოვანია იმის გააზრება და დაშვება, რომ ყველა ბავშვი ერთნაირი და ერთი ასაკის არ არის, რომ არსებობს განსხვავებები განვითარებაში და განვითარების დინამიკაში. განსხვავებას ასევე განაპირობებს კულტურა, ეკონომიკური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, რაც ბავშვის განვითარებაზე აისახება. ამრიგად, პირველადი, საბაზისო მონაცემების შეგროვების და დაკვირვების მიზანი ჯგუფის თითოეული ბავშვის შესახებ ზოგადი სურათის შექმნაა. ბავშვებზე დაკვირვება და ოჯახთან ინტერვიუ ამ ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი გავრცელებული

მეთოდია (ეფშტეინი და სხვები, 2004). საბაზისო მონაცემების შეგროვებისას ბავშვების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა გაიგოთ. აღმზრდელი ზედმიწევნით შეისწავლის თითოეული ბავშვის პირად მონაცემებს, განიხილავს ოჯახური მდგომარეობის დოკუმენტს, წაიკითხავს წინა აღმზრდელის ჩანაწერებს მშობლებთან შეხვედრების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ შესაძლებელია, ბავშვს ესტუმროს სახლში. მშობლებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენენ, თავიანთი შვილის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ.

საბაზისო მონაცემების შეგროვების შემდეგ უნდა აწარმოოს ***მიმდინარე*** დაკ-ვირვება და მონაცემები შეაგროვოს თითოეულ ბავშვზეც და მთელ ჯგუფზეც. ერთი დაკვირვება და ინფორმაციის ერთჯერადად შეგროვება, თავისებურებების, უნარების თუ შესაძლებლობების შესახებ საკმარის და ზუსტ მონაცემებს არ ასახავს. ეს მხოლოდ ინდიკატორია. მიმდინარე დაკვირვებას და მონაცემების შეგროვებას დრო მეტი სჭირდება, მაგრამ სიღრმისეულ ინფორმაციას იძლევა. შესაბამისად, დოკუმენტირებული მიმდინარე მონაცემები თითოეული ბავშვის დროში ცვლილებასა და პროგრესს უნდა ასახავდეს. ეს მონაცემები წარმოადგენს მტკიცებულებას - ბავშვის სწავლისა და მომწიფების შესახებ. ეს ინფორმაცია აღმზრდელ-პედაგოგებს დაეხმარება, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები, მაშინ გაამდიდრონ ან მოდიფიცირება გაუკეთონ პროგრამას და გარემოს, როდესაც ეს საჭიროა.

მონაცემების შეგროვება შეუძლიათ სააღმზრდელო პროცესის ნებისმიერ დროს. ბავშვებს დააკვირდნენ თემის შესაბამის სხვადასხვა მინი პროექტზე მუშაობის, თამაშობის დროს, მოუსმინონ, როდესაც ჰყვებიან ამბებს. დააკვირდნენ, როდესაც აწყობენ ფაზლს, ან აშენებენ კუბებით, უსმინონ ბაშვების საუბარს, ყურადღებით იყვნენ თავისუფალი თამაშის დროს. ბავშვები თავიანთ პიროვნულ და განვითარების თავისებურებებს განსაკუთრებით თავისუფალი თამაშის დროს ავლენენ. თითოეულ ბავშვზე გააკეთონ ჩანაწერები.

ადრეული და სკოლამდელი განათლების პროგრამებში, მონაცემების შესაგროვ-ებლად და დასაკვირვებლად, სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოიყენება. ესენია: **ჩანაწერები** (შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერი, ჟურნალი, რეფლექსური დღიური), **კითხვარები** (ჩეკლისტები, რეიტინგული სკალები), **ცხრილები** (მონაწილეობის ცხრილი, სიხშირეების დათვლა, დროის გაზომვა), **ბავშვების ნამუშევრები** (მაგ., ნიმუშები, ნახატები), **ფოტოსურათები**, **აუდიო და ვიდეო** ჩანაწერები. მონაცემების შესაგროვებლად აღმზრდელებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ **მშობლებთან ინტერვიუ**.

განვიხილოთ თითოეული არაფორმალური მეთოდი - თავისი უპირატესობებით და ნაკლით:

**ჩანაწერები** პირდაპირი დაკვირვების მარტივი ფორმაა. არსებობს შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერები, ასევე ჟურნალი და აღმზრდელის რეფლექსური დღიური.

**შემთხვევის ჩანაწერი** კონკრეტული ინციდენტის მოკლე, ნარატიული აღწუსხვაა, რომელიც ხშირად ბავშვის ქცევის გასაგებად გამოიყენება. ეს ჩანაწერი არ საჭიროებს ცხრილებს ან სპეციფიურ ფორმას, ჩარჩოს. მისი გაკეთება შესაძლებელია ნებისმიერ გარემოში და არ საჭიროებს სპეციფიურ უნარებში გაწაფვას. საჭიროა მხოლოდ ქაღალდი, საწერი კალამი და ფაქტების ობიექტური ჩაწერა. ეს ჩანაწერი ჰგავს მოკლე მოთხრობას, რომელსაც აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. შემთხვევის ჩაწერა საჭიროებს დაკვირვებულ თვალს და სწრაფი წერის უნარს, რომ დეტალები სრულყოფილად დაფიქსირდეს. უნდა ჩაწეროს, თუ ვინ არის ჩართული, რა, როდის და სად ხდება. ჩანაწერი გაკეთდეს სწრაფად და აკურატულად.

მაგალითად, აღმზრდელ-პედაგოგი აკვირდება ლუკას კომუნიკაციას, ბავშვებთან თამაშს და მეტყველებას. შესაბამისად, მის ქცევებზე აკეთებს ჩანაწერებს. განვიხილოთ ერთ-ერთი: „ლუკა ბაღში მოსვლისას მშვიდად არის. ძირთადად მიდის კუბების ცენტრისკენ. ყუთიდან იღებს და იწყებს ერთის მეორეზე დაწყობას. გ. მოვიდა და აიღო კუბი. ლუკამ გამოართვა, ხელი კრა. გააგრძელა თამაში. კუბებს ამწკრივებს და აკვირდება. დგება. ხელში უჭირავს ერთი კუბი და იწყებს ოთახში უმიზნოდ სიარულს“ (ჩანაწერის თარიღი: 20. 04. 2017 წ.).

დაკვირვების ნარატიული ფორმის გამოყენებისას აღმზრდელის თვალები და ყურები ვიდეო კამერის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. ჩანაწერები აღწერდეს იმ სურათს, რასაც ხედავს თამაშის, მუშაობის და ინტერაქციის დროს. უნდა ჩაიწეროს, თუ როგორ კომუნიკაციას ამყარებენ ბავშვები - ვერბალურს თუ არავერბალურს, როგორ გამოიყურებიან, რას აკეთებენ, როგორია მათი ჟესტები და მოძრაობები. ასევე იწერება მათი ურთიერთობა სხვა ბავშვებთან, უფროსებთან, მასალებთან. უნდა ჩაიწეროს რაც შეიძლება მეტი დეტალი. დაკვირვების პროცესში მნიშვნელოვანია ჩაიწეროს მხოლოდ ობიექტური მტკიცებულებები. საამისოდ მტკიცებულებამ ორი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს: 1) აღწეროს დაკვირვებადი მოქმედება, ანუ, არ განაზოგადოს ბავშვების მოტივები, დამოკიდებულებები და განცდები, მაგალითად, მოწყენილი იყოს ნაცვლად, ჩაწეროს - მარტო იჯდა და სევდიანი გამომეტყველებით იყურებოდა; გაბრაზდას ნაცვლად, კოპები შეკრა და გვერდზე გაიხედა. 2) ჩაწერილი ინფორმაცია არ იყოს შეფასებითი და განსჯადი; არ მოიცავდეს ინტერპრეტაციას, თუ რატომ მოხდა ესა თუ ის მოვლენა და არც იმას ასკვნიდეს, რომ რაც მოხდა არასწორი, ან ცუდი იყო; მსჯელობა და დასკვნები არ უნდა იყოს მოცემული.

იხილეთ ნარატიული დაკვირვების მაგალითი:

„ნინი მოვიდა ბაღში დედაზე ხელჩაჭიდებული. იგი ნელა მიუახლოვდა თავის კარადას, გაიხადა ქურთუკი და ჩამოკიდა. მიუბრუნდა დედას და უთხრა - წადი სამსახურში. დედა ჩაეხუტა და უპასუხა - სამსახურის მერე კბილის ექიმთან წაგიყვან.

ნინიმ შეხედა დედას და ტირილი დაიწყო. უპასუხა - არ წავალ ექიმთან, დავრჩები ბაღში. დედა ჩაეხუტა. ნინიმ გააგრძელა ტირილი და ჩამოეკიდა დედას. აღმზრდელმა გამოიარა და ყურში უჩურჩულა ნინის. შემდეგ ხელი გაუწოდა და უთხრა - წამო, ნინი, ჩვენ ახალი ბავშვი გვყავს დღეს ბაღში. გიორგიმ ზაზუნა მოიყვანა. ნინიმ ტირილი შეწყვიტა და აღმზრდელს ხელი ჩასჭიდა. ერთად წავიდნენ ზაზუნას სანახავად. დედა ცოტა ხანს უყურებდა და შემდეგ დატოვა ოთახი". ამ მაგალითში დასაკვირვებელი ქცევის მხოლოდ ობიექტური აღწერაა მოცემული. მტკიცებულებები არ მოიცავს: მიზეზს, ემოციას, ახსნას, განცდას, მიზანს, მოტივს, საჭიროებას, სურვილს.

ცხრილი 2 წარმოადგენს შემთხვევის ჩანაწერის ფორმას. აღმზრდელების უმეტესობა საამისოდ ჩვეულებრივ თაბახის ფურცელს იყენებს. თუ იგი, მთელი წლის განმავლობაში, ცალკეულ შემთხვევებს პერიოდულად იწერს, მაშინ პროგრესის შესაფასებლად სხვადასხვა საშუალება დაუგროვდებათ. ჩანაწერების სერია ძალიან მდიდარ დეტალებს იძლევა და პროგრესის, ძლიერი მხარეების, საჭიროებების და ინტერესების სანახავად შეიძლება მეტად ღირებულიც იყოს.

ცხრილი 2. შემთხვევის ჩანაწერის ფორმა

| |
|---|
| ბაგა- ბაღი:<br>ბავშვის სახელი: ალექსანდრე რიცხვი: 28.10.2016<br>ბავშვის ასაკი: 4 წლის და 2 თვის დამკვირვებელი: ნინო<br>სფერო(ები): ნატიფი მოტორიკა<br>სასწავლო მიზანი: პლასტილინით ექსპერიმენტირება, საწერი მასალის გამოყენ-ება<br>**შემთხვევის ჩანაწერი:** აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევარი)<br>ინტერპრეტაცია:<br>• ბავშვები აფერადებენ მელიას. ალექსანდრემ რამდენიმე ხაზი გაუსვა, ამობრუნა ფურცელი და მეორე მხარეს გაავლო ხაზები<br>• ძერწვისას ალექსანდრე შემოგვიერთდა. ბურთებს ვაკეთებთ. ალექსანდრე ცდილობს, პლასტელინს მრგვალი ფორმა მისცეს |

შემთხვევის ჩანაწერების **უპირატესობა და ნაკლი.** ამ მეთოდის გამოყენებას უპირატესობაც აქვს და ნაკლიც. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ იგი სპეციფიურ გარემოცვას ან დროის მონაკვეთს არ საჭიროებს და ადვილი გამოსაყენებელია. შემთხვევის ჩანაწერებში შეიძლება აისახოს გარკვეული პერიოდის განავლობაში მიმდინარე დაკვირვება, რაც ბავშვის ზრდისა და განვითარების პროგრესის საჩვენებლად კარგი მტკიცებულებაა. აღმზრდელს, რომელიც წლის განმავლობაში აწარმოებს

შემთხვევის ჩანაწერებს, ბავშვის პროგრესის შესაფასებლად მდიდარი მასალა უგროვდება.

ამ მეთოდს გარკვეული ნაკლიც აქვს. დასაკვირვებელი შემთხვევა დამოკიდებულია დამკვირვებლის ინტერესზე და სრული სურათი შეიძლება არ იყოს მოცემული, ანუ აღმზრდელმა ის ჩაწეროს, რასაც ღირებულად ჩათვლის. ჩანაწერები, შეიძლება, ყოველთვის ზუსტი და აკურატული არ იყოს. თუ დამკვირვებელი შემთხვევას დღის ბოლოს ჩაიწერს, დიდია ალბათობა იმისა, რომ ყველა დეტალი არც გაახსენდეს და მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაიკარგოს.

**მიმდინარე ჩანაწერის** დროს გამოიყენება იგივე ტექნიკა, რაც შემთხვევის, ინციდენტის ჩაწერისას. ეს არის ფაქტობრივი, დეტალური, წერილობითი ანგარიში რაღაც დროის მონაკვეთზე. მოქმედებები აღწერილია, ფრაზები ციტირებული და აღნიშნულია რაც შეიძლება მეტი დეტალი. ჩაწერილის შესახებ კომენტარები და ინტერპრეტაცია ცალკეა მოცემულია და არ არის ანგარიშში შერეული. მიმდინარე ჩანაწერის დროს დამკვირვებელი აკვირდება და იწერს რომელიმე ერთი დროის მონაკვეთს და ფოკუსირებას ერთ ბავშვზე, ან ერთ სათამაშო არეალზე ახდენს. მიმდინარე ჩანაწერი ჩვეულებრივ მოვლენის პარალელურად კეთდება, შემთხვევისა კი ინციდენტის მოხდენისთანავე. შემთხვევის ჩანაწერი პატარა მოთხრობის მსგავსია - დასაწყისით, შუა ნაწილით და დასასრულით, მიმდინარე ჩანაწერი კი შერეულია და გარკვეული დროის სეგმენტზე ობიექტურ, წუთიერ შთაბეჭდილებას გვიქმნის. იწერება ყველაფერი, რაც დროის ამ მონაკვეთში ხდება. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩანაწერი წყდება. არ არის აუცილებელი ეს მოვლენის დასრულების დროს მოხდეს. აღნიშნული პროცესი დროის რაღაც მონაკვეთში ვიდეო კამერის ჩართვა-გამორთვას ჰგავს (ნილსენი, 2004).

მიმდინარე ჩანაწერის გასაკეთებლად საჭიროა ძლიერი კონცენტრაცია და ყურადღების ფოკუსირება, განსაკუთრებით უფროსი ბავშვების მეთვალყურეობისთვის. მიმდინარე ჩანაწერი გამოიყენება დროის ერთ მონაკვეთში, ერთ ბავშვზე დასაკვირვებლად, ქცევის ან ქცევების დეტალურად ასაღწერად. მიმდინარე ჩანაწერების გამოყენება შეიძლება განვითარების ყველა სფეროს გასაანალიზებლად. მაგ., ფიზიკური, სოციალური, ემოციური, მეტყველება, საკუთარ თავზე წარმოდგენა, ყურადღების კონცენტრაცია, პრობლემის გადაჭრის უნარები, მეხსიერება, სწავლების სტილი. მიმდინარე ჩანაწერები ოთახის რომელიმე სივრცის შესწავლაში დაგეხმარებათ - თუ რა ხდება ჩვეულებრივ რომელიმე სათამაშო სივრცეში ან არეალში.

მიმდინარე ჩანაწერის **უპირატესობა და ნაკლი.** მიმდინარე ჩანაწერი აღმზრდელს ეხმარება, დროის ერთ მოცემულ პერიოდზე დეტალური ინფორმაცია შეინახოს. ერთ ჩანაწერში ჩანს განვითარების ბევრი სფერო. შეუძლია ამ მონაცემებით შეაფასოს ცენტრების ეფექტურობა.

ნაკლი კი ისაა, რომ დაკვირვების ობიექტი გრძნობს ამ დაკვირვებას და, შეიძლება, შეცვალოს მოვლენის ბუნებრივი მიმდინარეობა, ანუ არ მოხდეს ის, რაც ჩვეულებრივ ხდება. დამკვირვებელი ვერ ხედავს, რა მდგომარეობაა ოთახის სხვა ნაწილში. პროცესი, ინტენსიურობის გამო, დამკვირვებლისთვის დამღლელია (ნილსენი, 2004).

**ჟურნალი.** ჟურნალში ხდება დღის განმავლობაში სპეციფიური, მოკლე ინფორმაციის ჩაწერა თითოეულ ბავშვზე. გამოიყენება ერთი ქცევის ან უნარის დასაკვირვებლად ყველა ბავშვთან (იხილეთ ცხრილი 3)

ცხრილი 3. ჟურნალი

| | |
|---|---|
| | თარიღი: 19.09.2016 დამკვირვებელი: ნატო<br>რას აკვირდები: პირველი კვირა ბაღში |
| მარი | უყურებდა მამას ფანჯრიდან. ჩუმადაა, იტირა შუადღეს |
| ელენე | მოიყვანა ბებიამ, გაუშვა ოთახიდან ბებო. ეძინა |
| ნინი | არ იყო. უნდა დავურეკო |
| ლუკა | დაემშვიდობა დედას, მარტო თამაშობდა. კვება და ძილი არ მახსოვს. |

ადაპტირებულია წიგნიდან: Week by Week: Documenting the Development of Young Children, B.A. Nilsen, 2004.

ჩვეულებრივ, აღმზრდელს ყოველდღიური პრაქტიკიდან ახსოვს ძლიერი შთაბეჭდილებები. ჟურნალი მას ეხმარება, ყველა ბავშვზე გააკეთოს მოკლე ჩანაწერი ერთი კატეგორიის ინფორმაციაზე. ეს მეთოდი შეიძლება გამოიყენონ მთელი ჯგუფის კონკრეტულ უნარზე დასაკვირვებლად. მაგ., მაკრატლის გამოყენება ან რომელიმე მსხვილი მოტორული უნარი, მათემატიკური წარმოდგენა, წიგნიერება, ხატვა.

**უპირატესობა და ნაკლი.** ჟურნალი ჩანაწერების წარმოების ეფექტური მეთოდია. იგი სწრაფი და ადვილი გამოსაყენებელია. შესაძლებელია სპეციფიური ინფორმაციის ჩაწერა თითოეულ ბავშვზე. იძლევა მოკლე, ფაქტობრივ ინფორმაციას. შეიძლება ამ ინფორმაციის ადვილად გადატანა სხვა ფორმაში, მისი მოგვიანებით გამოყენება შედარებისთვის. რაც შეეხება ნაკლს, ინფორმაცია შეზღუდულია და აზრს კარგავს, როგორც კი ბავშვები იზრდებიან, ან ეუფლებიან ახალ უნარებს.

**კითხვარები.** მონაცემების შეგროვების მეორე ფორმაა კითხვარები. მასში მოცემულია ქცევების და უნარების ნუსხა, რომელიც გაერთიანებულია ან განვითარების ზოგადი სფეროების (მოტორიკა, მეტყველება, სოციალური და ა.შ.), ქვესფეროების (პროსოციალური, სოციალური თამაში), და/ან შინაარსობრივი თემატიკის (წერა, წარმოსახვა, წიგნიერება, შემოქმედება) მიხედვით. დამხმარე კითხვარებია ჩეკლისტები და რეიტინგული სკალები.

**ჩეკლისტები** გამოიყენება სპეციფიური ქცევის, თვისების არსებობის ან არარსებობის ჩასაწერად. ჩეკლისტები ადვილი შესავსებია და განსაკუთრებით კარგი გამოსაყენებელია, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ქცევაზე, უნარსა და სფეროზე დაკვირვება. ჩვეულებრივ ჩეკლისტი მოიცავს სპეციფიური ქცევების ნუსხას,

რომელსაც უყურებ დაკვირვების დროს და აღნიშნავ მხოლოდ დასაკვირვებელი ქცევის თუ თვისების არსებობა/არ არსებობას. იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს, ჩეკლისტები შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის და სირთულის. მისი მოფიქრება და შედგენა შესაძლებელია განვითარების ნებისმიერ სფეროზე, ეს იქნება ფიზიკური, სოციალური, ემოციური თუ კოგნიტური. კარგად მოფიქრებული ჩეკლისტი ბავშვისა და ჯგუფის შესახებ ბევრ ინფორმაციას იძლევა.

ჩეკლისტების მოფიქრება და შედგენა ხდება ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის გამოსაკვლევად. სამიზნე ქცევები ლოგიკური თანმიმდევრობით არის ჩამოწერილი და ერთნაირი საკითხები დაჯგუფებულია. შესაბამისად, აღმზრდელებს სწრაფად შეუძლიათ აღნუსხონ ქცევების/ინდიკატორების არსებობა ან არ არსებობა.

შესაძლებელია ჩეკლისტების ყიდვა, თუმცა აღმზრდელები მას თავადაც აკეთებენ. ჩეკლისტის ნიმუში მოცემულია ცხრილში 4. ბავშვის განვითარების საფეხურები შეიძლება გადაკეთეს, როგორც ჩეკლისტი და გამოყენებულ იქნას ინდივიდუალური ბავშვის ან ჯგუფის შესაფასებლად.

ცხრილი 4. ჩეკლისტი

| ბავშვის უნარების ჩეკლისტი<br>სახელი ---------------------------------------- დამკვირვებელი ---------------------------<br>V ნიშნით აღნიშნეთ ის უნარი, რომელსაც რეგულარულად ამჩნევთ. დასვით N ნიშანი, თუ ამ უნარზე დაკვირვების შესაძლებლობა არ მოგეცათ.<br>**უნარის აღწერა, რიცხვი** | | |
|---|---|---|
| 1. **თვითშეფასება** | აღწერა | რიცხვი |
| -- ბავშვებთან კონტაქტს თვალებით ამყარებს | | |
| -- აღმზდელის მიმართ გამოხატავს ემოციურ მიჯაჭვულობას | აღმზრდელზე ხელი აქვს ჩაჭიდებული | 20.09.2016 |
| ... | | |
| 2. **ემოციური განვითარება** | | |
| -- ბრაზს სიტყვებით უფრო მეტად გამოხატავს, ვიდრე ნეგატიური მოქმედებებით | თოჯინა რომ წაართვა სხვა ბავშვმა, უყვირა | 12.11.2016 |
| -- რთულ და სახიფათო სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს | | |
| -- მოწყენილობას შესაბამისად უმკლავდება | | |
| -- სხვების მიმართ გამოხატავს სიყვარულს | | |
| ... | | |
| 3. **სოციალური თამაში** | | |
| -- პარალელურად თამაშობს | სახლიდან მოტა-ნილ სათამაშოს დამოუკიდებლად თამაშობს | 24.09.2016 |
| -- თამაშობს ჯგუფურ თამაშებში | სცადა ბავშვებთან თამაში | 13.12.2016 |
| -- თამაშში ერთვება პოზიტიურად | | |
| ... | | |
| 4. **პროსოციალური ქცევა** | | |
| -- კონფლიქტის დროს შეუძლია თქვას, რას განიცდის სხვა | | |
| -- უზიარებს სხვას | თოჯინა ათხოვა მეგობარს | 26.02.2017 |
| -- აღელვების გარეშე იცავს ჯერს | დაელოდა რიგს | 14.04.2017 |
| ... | | |

| | | |
|---|---|---|
| 5. მსხვილი მოტორიკა | | |
| -- სირბილის დროს აკონტროლებს სიჩქარის და მიმართულების ცვლას | - | |
| -- ორივე ფეხით ხტება | ხტება მოკლე მანძილზე | 15.11.2016 |
| -- შეუძლია აძრომა, ჩამოძრომა, ეზოს სათამაშოებზე გაძრომა | ჩამოსრიალდა ეზოს სასრიალოზე | 15.05.2017 |
| -- ისვრის, იჭერს და ფეხს ურტყამს ბურთს | სცადა ბურთზე ფეხის დარტყმა | 11.02.2017 |
| ... | | |
| 6. ნატიფი მოტორიკა | | |
| -- ადვილად ხსნის სხვადასხვა გასახსნელებს (ხუფიანი ..) | ხსნის ხუფიან ბოთლებს | 10.10.2016 |
| -- სითხეს ასხამს ჭიქაში ისე, რომ არ ეღვრება | - | |
| -- ხსნის და კრავს (ელვა, ღილები, ფხრიწი) | ხშირად იკრავს ელვას, ღილებს, ფხრიწს, თასმებს, შეკვრაში ითხოვს დახმარებას | |
| -- თავისუფლად იღებს და სვამს საგნებს (მაგ. ფაზლი) | კარგად სვამს სამკუთხედსა და წრეს | 14.03.2017 |
| ... | | |
| 7. კოგნიტური განვითარება | | |
| -- ფორმის, ფერის მიხედვით აჯგუფებს/ ახარისხებს საგნებს | შეუძლია სამკუთხ-ედებისა და წრეებ-ის დაჯგუფება | 23.04.2017 |
| -- კლასიფიცირებას ახდენს ზომის მიხედვით | ზომაში მკვეთრი განსხვავებისას აჯგუფებს | 18.05.2017 |
| -- აჯგუფებს, თანმიმდევრულად ალაგებს საგნებს | ცდილობს, დაიცვ-ას თანმიმდევრობა | 17.09.2016 |
| ... | | |
| 8. სასაუბრო ენა | | |
| -- მოკლე წინადადებებით მეტყველებს | ამბობს 2 და 3 სიტყვიან წინადადებებს | 23.11.2016 |
| -- დიალოგის /საუბრისას იცავს ჯერს | - | |
| -- საუბრობს გრძელი წინადადებებით | - | |
| -- სვამს კითხვებს | იშვიათად | |
| ... | | |

| | | |
|---|---|---|
| 9. **წიგნიერება** | | |
| -- ჯღაბნის ჰორიზონტალურად | ცდილობს | |
| -- გამოჰყავს ასოების მსგავსი ფორმები | სურს მიამსგავსოს | |
| -- ვითომ კითხულობს და ყვება მოთხრობას სურათების მიხედვით | საუბრობს თავის ენაზე, ჩვენთვის გაუგებრად | პერიოდუ-ლად |
| -- წიგნიდან დეტალურად ყვება მოთხრობას | - | |
| ... | | |
| 10. **შემოქმედება** | | |
| -- ჯღაბნა კონტროლს ექვემდებარება | + | |
| -- ხატავს ძირითად ფორმებს | | |
| -- კომბინირებულად იყენებს ძირითად ფორმებს (წრე, სამკუთხედი, კვადრატი) | წრე, სამკუთხედი | 25.04.2017 |
| -- ხატავს ცხოველს, ხეს, ყვავილს | - | |
| ... | | |
| 11. **წარმოსახვა** | | |
| -- ანაწილებს როლებს ან ასრულებს სხვის მიერ განა-წილებულ როლს | - | |
| -- მოქმედებს როლის შესაბამისად | - | |
| -- "ვითომ" წარმოსახვითი საგნებით შეუძლია თამაში | - | |
| ... | | |

ბავშვის უნარების ჩეკლისტის არასრული ნიმუში წიგნიდან Observing evelopment of the Young Child. J. Beaty, 2006.

ჩეკლისტების **უპირატესობა და ნაკლი.** ჩეკლისტის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ მონაცემთა შეგროვება არ არის დროში შეზღუდული. ინფორმაცია სწრაფად იწერება და შესაძლებელია პროგრამის ნებისმიერ დროს და ბევრ სიტუაციაში გამოყენება, ჩეკლისტის მონაცემების ინტერპრეტაცია კი ადვილია.

*ნაკლი* არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას. არ არის ისეთი მდიდარი, როგორც ნარატიული ჩანაწერი. ფორმატის გამო კონკრეტულ ქცევებზე ხდება დაკვირვება და შეიძლება ქცევის მნიშნელოვანი ასპექტები გამოგვრჩეს. მაგალითად, როგორ ხორციელდება ქცევა, რამდენ ხანს გრძელდება. აქ მოცემულია მხოლოდ ქცევის არსებობა ან არ არსებობა.

**რეიტინგული სკალები** ჩეკლისტების მსგავსია და მისი მიზანი სპეციფიური ქცევის აღნუსხვაა. რეიტინგული სკალები გამოიყენება დასაკვირვებელი ქცევის გამოვლენის ხარისხის ჩასაწერად. ამ დროს, დამკვირვებლის შეხედულებისამებრ, შეიძლება ობიექტურობა დაირღვეს.

*უპირატესობა* ადვილი გამოსაყენებელია და ცოტა დროს მოითხოვს. ზოგიერთი სკალა მოიცავს რიცხობრივ მონაცემებს, ზოგიერთი კი ქცევას უფრო სპეციფიურად განსაზღვრავს.

*ნაკლი* ქცევის ფრაგმენტებს მოიცავს. რეიტინგული სკალის არჩევისას დამკვირვებელი კარგად უნდა იცნობდეს დასაკვირვებელ ქცევას, რომლის ხარისხობრივ შეფასებასაც აკეთებს. ტიპიური რეიტინგული სკალა მოცემულია ცხრილში N5 - რეიტინგული სკალა (შეფასების ფორმები იხილეთ დანართში N2)

**4-5 წლის აღსაზრდელთა შეფასების ფორმა**

**ინფორმაცია ბავშვის შესახებ**

1. ბავშვის სახელი, გვარი **გიორგი**
2. მშობლიური ენა: **ქართული**
3. აქვს თუ არა ბავშვს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა ან ოჯახის მომსახურების ინდივიდუალური გეგმა:
   დიახ + არა არ ვიცი

მშობელი/მეურვე: **ნინო**
აღმზრდელები: **დონარი და თეონა**

შეფასების თარიღი: 15/10/2016

**ფიზიკური განვითარება** **ივსება ფანქრით!**

| | აქტივობა | ყოველთვის სწორად ასრულებს | ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს | საერთოდ ვერ ასრულებს |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიმართულების ცვლილებით დარბის | + | | |
| 2 | შეუძლია ცალ ფეხზე 5 წამის განმავლობაში დგომა | + | | |
| 3 | ფეხების მონაცვლეობით ადის და ჩამოდის კიბეზე | + | | |
| 4 | ადის შვედურ კედელზე (კედელზე მიმაგრებულ კიბეზე) | + | | |
| 5 | შეუძლია ცალ ფეხზე ხტუნვა | + | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 | ხტება 25 სმ-ის სიგრძეზე | + | | |
| 7 | იატაკიდან 5 სმ-ით აწეულ თოკს ახტება | | | |
| 8 | დადის მარშით მუსიკის თანხლებით | + | | |
| 9 | 10-ჯერ ხტის წინ, დაცემის გარეშე | | + | |
| 10 | 5-ჯერ უკან-უკან ხტის | + | | |
| 11 | ატარებს სამთვლიან ველოსიპედს | | + | |
| 12 | პლასტილინისგან 2-3 ნაწილისგან შემდგარ ფორმებს ძერწავს | | + | |
| 13 | ჭრის ფურცელს სწორ ხაზზე ისე, რომ 5მმ-ზე მეტად არ სცილდება ხაზს | | | + |
| 14 | ოთხად კეცავს და თითებით ასწორებს ქაღალდს - ჰორი-ზონტალურად, ვერტიკალურად და დიაგონალურად | | | + |
| 15 | შლის თითებს და ცერით თითოეული თითის წვერს რიგ-რიგობით ეხება | | + | |
| 16 | აწყობს მარტივ სურათს, ან 8-10 ნაწილისაგან შემდგარ ,,ფაზლსა" და მოზაიკას | | | + |
| 17 | იყენებს ფანქრის სათლელს | | | + |

**თვითმომსახურება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18 | ჭამს დამოუკიდებლად | + | | |
| 19 | უფროსებს ეხმარება მაგიდის გაშლაში, სიტყვიერი შეხ-სენებით სწორად ალაგებს თეფშებს, კოვზებს, ხელსახ-ოცებს | + | | |
| 20 | შეუძლია ჰიგიენური ნივთების (საპონი, კბილის პასტა, შამპუნი) ფუნქციურად/დანიშნულებისამებრ გამოყენება | + | | |
| 21 | დამოუკიდებლად სარგებლობს ტუალეტით | | | + |
| 22 | ტანსაცმელზე თავისით იხსნის და იკრავს დიდ ღილებს | | + | |
| 23 | იკრავს ,,ელვა" შესაკრავს (,,ელვის" ბოლოს შესაკრავში ათავსებს) | + | | |
| 24 | იხდის და იცვამს ქურთუკს | + | | |
| 25 | ფეხსაცმელებს (ფხრიწი ან ,,ელვა" შესაკრავით) იცვამს | | + | |

| |
|---|
| კომენტარი: დედის თქმით ატარებს სამთვლიან ველოსიპედს |

## შემეცნების სფერო

| | აქტივობა | ყოველთვის სწორად ას-რულებს | ცდილობს/ ნა-წილობრივ ას-რულებს | საერთოდ ვერ ასრულებს |
|---|---|---|---|---|
| 1 | ასახელებს 8 ფერს | | | + |
| 2 | ცნობს გეომეტრიულ ფიგურებს (წრე, სამკუთხედი, ოთხ-კუთხედი) | | + | |
| 3 | იმეორებს რიტმს კაკუნით | | + | |
| 4 | მონაწილეობს ჯგუფურ მუსიკალურ აქტივობებში (მაგ., სიმღერა, სიმღერისთვის სხეულის მოძრაობის აყოლება, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა) | | + | |
| 5 | უფროსის თხოვნით საგნებს თავის წინ, უკან ან რაიმე საგნის გვერდით ალაგებს | | | + |
| 6 | მიუთითებს უფრო მეტ/უფრო ნაკლებ რაოდენობაზე | + | | |
| 7 | უფროსის თხოვნით პირველ, ბოლო და შუა პოზიციას ასახელებს | | | + |
| 8 | უფროსის თხოვნით ითვლის 15-მდე | | + | |
| 9 | თხოვნის შედეგად საგნების განსაზღვრულ რაოდენობას (1-დან 5-მდე) იღებს | | | + |
| 10 | დაუსრულებელ ნახატს (ადამიანს) უხატავს ფეხს ან ხელს | | | + |
| 11 | 4 საგნისგან შემდგარი ჯგუფიდან ერთის ამოღებისას ასახელებს, რა ნივთი დააკლდა | | + | |
| 12 | დღის მონაკვეთებს (დილა, საღამო, ღამე) აკავშირებს შესაბამის მოვლენასთან | | | + |
| 13 | შესაბამისი სიტყვების გამოყენებით შეუძლია ისაუბროს წელიწადის დროებზე და აღწეროს მათთვის დამახასი-ათებელი ამინდი (წვიმიანი, თოვლიანი) | | + | |
| 14 | შეუძლია კატეგორიებად დაჯგუფება (შინაური და გარე-ული ცხოველების, ხილის, ბოსტნეულის) | | | + |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15 | თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად (მაგ., აპლი-კაციის გასაკეთებლად ეძებს ფერად ფურცლებს) მოი-პოვებს მასალას | | | + |
| 16 | შეუძლია განასხვაოს ე.წ. ცოცხალი და არაცოცხალი ბუ-ნება მათ თავისებურებებზე დაყრდნობით (მაგ., სუნთ-ქავს, იზრდება, მოძრაობს) | | + | |
| 17 | 3-ჯერ მოსმენილი ზღაპრის 5 ძირითად ფაქტს იმეორებს | | | + |
| 18 | ცნობს/ასახელებს 1, 5, 10-თეთრიანს | | + | |
| 19 | განასხვავებს ციფრებს ასოებისგან | | | + |

კომენტარი: ბაღში ცნობს და იყენებს 8 ფერს, დედის თქმით მხოლოდ 4 ფერი იცის; დედის თქმით შეუძლია 15-მდე დათვლა, ბაღში დახმარებით ითვლის 10-მდე.

## მეტყველების განვითარება

| | აქტივობა | ყოველთვის სწორად ას-რულებს | ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს | საერთოდ ვერ ასრუ-ლებს |
|---|---|---|---|---|
| 1 | ასრულებს მარტივ ორსაფეხურიან ინსტრუქციას (მაგ., ,,მოი-ტანე ფერადი ფანქრების ყუთი და სახატავი რვეული") | + | | |
| 2 | განასხვავებს მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვებს (მაგ., სკამი და სამი) | + | | |
| 3 | ჰყვება დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების შესახებ | | + | |
| 4 | ხმარობს კომპლექსურ წინადადებებს (მაგ., ,,მე ბებიასთან დამტოვეს იმიტომ, რომ ...") | | | |
| 5 | იმისათვის, რომ პასუხი მიიღოს, სვამს კითხვებს: რატომ? როდის? როგორ? | + | | |
| 6 | ზღაპრიდან, მოთხრობიდან გამოჰყოფს და იმეორებს მისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე ფრაგმენტს | | + | |
| 7 | შეუძლია გამოიგონოს, შეცვალოს ზღაპრის დაბოლოება | | | + |
| 8 | ამბობს, რა დანიშნულება აქვს შეგრძნების ორგანოებს | | | + |
| 9 | ამბობს, რისგანაა გაკეთებული ჩვეულებრივი ყოველდღიური საგნები (ხე, რკინა, ქსოვილი/ნაჭერი, შუშა/მინა, ქაღალდი) | | | + |
| 10 | შეუძლია უფროსის დახმარებით სიტყვის პირველი მარცვლის დასახელება (მაგ., სიტყვა ,,დათვი" იწყება ,,და"-თი და ა.შ.) | | | + |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | ასახელებს სიტყვას, რომელიც იწყება უფროსის მიერ შეთავაზებული ასო-ბგერით | | | + |

## წერისათვის მზაობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | ფუნჯი უჭირავს ცერა, შუა და საჩვენებელი თითებით | | | + |
| 13 | აფერადებს ნახატს კონტურის დაცვით | | + | |
| 14 | იხატავს ჯვარს | | | + |
| 15 | ხატავს ადამიანს 6-7 ნაწილით | | | + |
| 16 | იხატავს კვადრატს | | + | |
| 17 | იხატავს სამკუთხედს | + | | |
| 18 | შეუძლია წერტილებით მარტივი კონტურის გამოსახვა | | + | |
| 19 | მარტივ ამოსაცნობ სურათებს ხატავს (ყვავილი, სახლი, ხე) | | + | |
| 20 | იწერს მარტივ სიტყვას (მაგ., ,,ია", ,,ხე") | | | + |

| |
|---|
| კომენტარი: |

## სოციალურ-ემოციური სფერო

| | აქტივობა | ყოველთვის სწორად ასრულებს | ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს | საერთოდ ვერ ასრულებს |
|---|---|---|---|---|
| 1 | იცავს ელემენტარულ ეტიკეტს (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მილოცვა) | + | | |
| 2 | საჭიროების შემთხვევაში ითხოვს უფროსის დახმარებას (კონსტრუქტორის აწყობისას, საპირფარეშოში და ა. შ.) | + | | |
| 3 | სამაგიდო თამაშებს (ლოტო, დომინო) 2-3 ბავშვთან ერთად 15 წუთის განმავლობაში თამაშობს | | | + |
| 4 | თამაშობს როლურ თამაშებს (,,სახლობანას", ,,მძღოლობანას", განასახიერებს ოჯახის წევრების როლებს) | | | + |
| 5 | უფროსის მიერ ორგანიზებულ თამაშში წესებს იცავს (რიგის დაცვისას იჩენს მოთმინებას) | + | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 | უფროსის ხელმძღვანელობით თავისუფლად გადადის ერთი მოქმედებიდან მეორეზე, იქცევა გარემოებების შესაბამისად | | | + |
| 7 | უფროსის დახმარებით შეუძლია თანატოლებისთვის სათამა-შოებისა და სხვა საგნების განაწილება, გაყოფა | + | | |
| 8 | პრობლემის გადასაჭრელად იყენებს მარტივ და განსხვავებულ სტრატეგიებს (მაგ., ითხოვს უფროსის დახმარებას, როდესაც მას არ რთავენ ნებას, ითამაშოს, ან ხელს უშლიან თამაშში) | | + | |
| 9 | საკუთარი მიღწევის გამო გამოხატავს აღფრთოვანებას და ცდი-ლობს სხვების დასანახად მის დემონსტრირებას მაგ., ამბობს: ,,მე უკვე შემიძლია ველოსიპედის ტარება, ნახე!" | + | | |
| 10 | ხვდება, რა საპასუხო რეაქციას გამოიწვევს მისი ან სხვისი ქცევა | | + | |
| 11 | ასახელებს და საუბრობს საკუთარი გრძნობებისა და განცდების შესახებ (შიში, სიხარული, წყენა) | | + | |
| 12 | ძლიერი განცდების შემდეგ ცდილობს, დაწყნარდეს და იღ-ებს უფროსის დახმარებას (მაგ., როდესაც გაბრაზებულია, მიდის წყნარ ადგილას, ან წასაკითხად მოაქვს საყვარელი წიგნი) | | + | |
| 13 | ახალი ინფორმაციის და გამოცდილების შესაბამისად შეუძლია ქცევის შეცვლა (მაგ., კუბიკებით კოშკის აგებისას ცვლის სტრუქ-ტურას, როდესაც ხედავს, რომ ენგრევა) | | | + |
| 14 | შეუძლია იმ საგნის ან პიროვნების დაწვრილებით აღწერა, რო-მელსაც იმ მომენტში ვერ ხედავს (მაგ., ბავშვი აღწერს, რომ ძაღ-ლი, რომელსაც ჰქვია ჯერი, არის შავი და ყეფს. აქვე იგი ხელებით აჩვენებს, თუ რა ზომისაა ჯერი) | | + | |

| |
|---|
| კომენტარი: აქ დედისა და აღმზრდელ-პედაგოგის შეფასებები დაემთხვა |

ნიმუშად გამოყენებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011).

ფორმას აღმზრდელ-პედაგოგი და მშობელი ავსებენ ცალ-ცალკე და შემდეგ შეადარებენ. შეიძლება აღმოჩნდეს პუნქტი, რომელსაც ბავშვი აკეთებს მხოლოდ სახლში, ან პირიქით, მხოლოდ ბაღში. ეს აუცილებლად იწერება კომენტარებში და ვითვალისწინებთ ინდივიდუალური განმავითარებელი პროგრამის შედგენის დროს. ანალოგიურად ივსება მონაცემები შემდეგ მახასიათებლებზე: თვითმომსახურება, შემეცნების სფერო, მეტყველების განვითარება, წერისთვის მზაობა, სოციალურ-ემოციური სფერო.

**ცხრილები.** ცხრილების საშუალებით შესაძლებელია როგორც ერთი ბავშვის ასევე ჯგუფის კონკრეტული ქცევების სიხშირის დათვლა, მონაწილეობის ნახვა, დროის გაზომვა.

**მონაწილეობის ცხრილი** დგება სპეციფიურ ქცევაზე დასაკვირვებლად და ინფორმაციის მისაღებად. იგი ჯგუფში სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენება. მაგალითად, თავისუფალი თამაშის დროს ბავშვების უპირატესი არჩევანის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად (ცხრილი 6). ზოგჯერ აღმზრდელები ნახულობენ, რომ ბავშვის არჩევანი არ შეესაბამება მის საჭიროებას. მაგალითად, ელენეს თვალის და ხელის სუსტი კოორდინაცია აქვს, არადა, იგი უმეტეს დროს ზღაპრების, მუსიკის მოსმენასა და სხვა ბავშვების თამაშის ყურებაში ატარებს. აღმზრდელმა ელენეს საჭიროება რომ დააკმაყოფილოს, უნდა მოიფიქროს საინტერესო აქტივობები ხელოვნების ცენტრში, ან სამაგიდო (ფაზლის აწყობა) და სხვა მანიპულაციური აქტივობები. ასეთი ტიპის აქტივობები და მასალები ელენეს თვალის და ხელის კოორდინაციაში დაეხმარება, რაც შემდგომში წერას და კითხვას გაუადვილებს.

ცხრილი 6. მონაწილეობის ცხრილი

| აქტივობის არჩევა თავისუფალი არჩევანის დროს | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გიო | ელენე | ეკა | გუგა | ლუკა | ნინო | საბა | ნიკა |
| 10:30–10:45 | კ | დ | მც | ხ | მ | ხ | ხ | მ |
| 11:00–11:15 | კ | დ | მც | ხ | კ | ხ | ხ | მ |
| 11:15-11:30 | კ | მ | მ | მ | კ | დ | ხ | წ |
| 11:30 –11:45 | კ | მ | მ | მ | კ | დ | მც | წ |
| ხ - ხელოვნება; კ -კონსტრუქციული, დ - დრამატული, მ - მანიპულაციური, მც - მეცნიერება, წ - წიგნიერება | | | | | | | | |

**სიხშირეების ცხრილის** გამოყენება შეუძლიათ დასაკვირვებელი ქცევის გამოვლენის სიხშირის სანახავად. ცხრილში 7 მოცემულია, როგორ შეიძლება გამოიყენოთ სიხშირეების ცხრილი მცირე ჯგუფში - პროსოციალური და ანტისოციალური ქცევების დასათვლელად.

ცხრილი 7. სიხშირეების დათვლა

| **სიხშირეების დათვლა**<br>დღე - სამშაბათი დამკვირვებელი: თეონა<br>(ბავშვის სახელის გასწვრივ აღნიშნეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც შეამჩნევთ პროსოციალურ ან ანტისოციალურ ქცევას) | | |
|---|---|---|
| ბავშვის სახელი | პროსოციალური (დახმარება, გაზიარება, ჩახუტება, თავაზიანი მიმართვა) | ანტისოციალური (ტკივილის მიყენება, ცუდი სახელის დაძახება, უგულებელყოფა) |
| ნინო | VV | |
| გიო | VVV | VVVV |
| ანი | VVVVVV | VVVVVV |
| საბა | V | VV |
| გიგა | | VVVVVVV |
| ელენე | V | |
| დათო | VVV | |
| ნიკა | | |
| გუგა | VV | V |
| მანანა | VV | VV |
| თიკა | VVVV | |
| ჯამი | 24 | 22 |

ქვემოთ მოცემულია ქცევების ნუსხა, რომელთა დასაკვირვებლად სიხშირეების ცხრილის გამოყენება შეუძლიათ. მათი ზრდისა და შემცირების ნახვა შეიძლება შესაბამისი სტრატეგიების განხორციელების შემდეგ.

მაგალითად:

- აგრესიული მოქმედებების შემცირება
- აღმზრდელის მხრიდან პოზიტიური წახალისების გაზრდა
- აღმზრდელის ჩარევის/დახმარების შემცირება
- მასალის არასასურველად ხარჯვის შემცირება
- დასჯითი ღონისძიებების შემცირება
- ჯგუფში უფროსის დომინანტური ხმის შემცირება
- კოოპერაციული თამაშის გაზრდა
- ბავშვის დონეზე საუბრის გაზრდა
- სასწავლო ცენტრის გამოყენების გაზრდა
- თვითმოვლის გაზრდა (ნილსენი, 2004).

ცხრილების უპირატესობა არის მონაცემთა რაოდენობრივი საზომი იმის სანახავად, თუ რისი შეცვლის სტრატეგიაა განსახორციელებელი. ამგვარი ცხრილი სწრაფად ივსება და ქცევის სიხშირე სუბიექტურად ზომავს.

ცხრილების ნაკლი ისაა, რომ მხოლოდ სიხშირის დათვლა გვიკარგავს დეტალებს, ზომავს მხოლოდ ერთი ტიპის ქცევას, რის გამოც შედეგი შეიძლება ძალიან სელექციური იყოს.

სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე აღმზრდელ-პედაგოგებმა იციან ბავშვის განვითარების თავისებურებები, აქვთ ბავშვებთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება და, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში აღმზრდელი პირველი ამჩნევს ბავშვის განსაკუთრებულ/დამატებით საჭიროებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახების კვლევამ აჩვენა, რომ შემთხვევების 40%-ში ბავშვის სპეციალური საჭიროებები პირველად სწორედ აღმზრდელმა შენიშნა (ჯონსონი და დუფეტი, 2002).

იმისათვის, რომ საბავშვო ბაღში სწორად განისაზღვროს, თუ რა ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო გარემო იქნება კონკრეტული ბავშვისთვის ყველაზე ადეკვატური და მისაღები, თითოეული აღსაზრდელის საჭიროებების იდენტიფიკაციაა საჭირო. იგი ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებისა და სწავლის სირთულეების აღმოჩენას და დადგენას გულისხმობს.

აღმზრდელი ადვილად ხვდება ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებებს, თუ მას გამოხატული (თვალსაჩინო) ფიზიკური ან გონებრივი პრობლემები აქვს. მაგალითად, ბავშვს, რომელსაც სირთულეები განვითარების ერთ ან რამდენიმე სფეროში აქვს და უჭირს ახალი მასალის ათვისება, ვერბალური მითითებების აღქმა/გაგება, ან მოტორული აქტივობების (სათამაშო/სასწავლო, თვითმოვლის)

დამოუკიდებლად შესრულება, მეტყველება, აღენიშნება ქცევის დარღვევა, ეს მასწავლებლისთვის ადვილად შესამჩნევია.

ამ შემთხვევაში აღმზრდელი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის მშობელთან, ბაღის ინკლუზიური განათლების კოორდინატორთან და ბაღის დამხმარე სპეციალისტებთან (ლოგოპედი, ფსიქოლოგი, ექთანი და ა. შ.) ერთად დეტალურად განსაზღვრავს აღსაზრდელის საჭიროებებს, რის საფუძველზეც თანხმდებიან მისთვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენაზე. ეს პროგრამა ბავშვის უნარებზე უნდა იყოს მორგებული და სწავლების განსხვავებულ სტრატეგიებს მოითხოვს.

ხშირად ამ პროცესს აიოლებს ის, რომ საშუალო და მძიმე ხარისხის განსაკუთ-რებული საჭიროების მქონე ბავშვები, რომელთა პრობლემებიც უფრო თვალსაჩინოა, შეფასებულნი არიან ბაღში მიღებამდე (ფორმალური ტესტის საფუძველზე). სპეცი-ალისტის, ან სპეციალისტთა გუნდის მიერ წინასწარაა განსაზღვრული მათი ძლიერი მხარეები და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საჭიროებები. ამ შემთხვევაში ბაღის მომსახურე პერსონალს უადვილდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელი, მისი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისი მომსახურების ფორმებით მაქსიმალურად უზრუნველყოს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღმზრდელები, რომლებიც ბავშვის ნორმალური განვითარების კანონზომიერებებში ვერ ერკვევიან, მეტად უჭირთ მსუბუქი ხარისხის განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელის საჭიროებების იდენტიფიკაცია. სწავლა-აღზრდის პროცესში წარმოშობილ მცირე პრობლემებს (მაგალითად, როცა 4-5 წლის ბავშვს უჭირს ცალ ფეხზე ხტუნვა, მაკრატლით ჭრა, ან ფერების ცნობა, 3-4 წლიანებს კი თავსატეხის აწყობა, მცირე ამბის გასაგებად გადმოცემა და ა. შ.) ხშირად ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამენ და, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას საჭიროდ არ თვლიან. მასწავლებლის მხრიდან აღსაზრდელების განვითარების სხვადასხვა სფეროში სირთულეების გაუთვალისწინებლობა და სასწავლო-სააღმზდელო პროცესებში საჭირო სპეციალისტის (ფსიქოლოგის, ნეიროფსიქოლოგის, სპეციალური განათლების პედაგოგის, ოკუპაციური თერაპევტის, ექიმის და სხვ.) დროული ჩაურევლობა სკოლაში სწავლისას პრობლემების რისკს ზრდის - ბავშვი ვერ დააკმაყოფილებს სკოლისთვის მზაობის მოთხოვნებს და აკადემიური დონით თანატოლებს ჩამორჩება.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი წარმმართველი აღმზრდელია და, შესაბამისად, დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვზე დაკვირვებით უნდა შესძლოს სწავლა-აღზრდის პროცესში აღსაზრდელის სირთულეების განსაზღვრა და დახმარებისთვის საჭირო გზების მოძიება. ბავშვის განვითარება გარკვეულ ასაკში შესაბამისი ასაკობრივი საფეხურებისთვის დამახასიათებელი უნარების და ჩვევების განვითარებით ფასდება. აქედან გამომდინარე, აღსაზრდელის განსაკუთრებული

საჭიროებების განსაზღვრა არც ისე ადვილია. იგი დამოკიდებულია აღმზრდელის მიერ ბავშვზე დაკვირვების უნარ-ჩვევებზე (სასწავლო/სათამაშო, რუტინული აქტივობები), ბავშვის განვითარების ზოგადი კანონზომიერებების და განვითარების ინდიკატორების (ჩვევების, უნარების) ცოდნაზე. ვინაიდან ბავშვები ერთმანეთისგან ინტერესებით, სწავლის სტილით, ტემპით, მიდრეკილებებით და ა. შ. განსხვავდებიან, აღმზრდელმა შეფასებისას, ბავშვის ასაკთან ერთად, მისი ინდივიდუალური თავისებურებაც უნდა გაითვალისწინოს. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ჩვევას თუ უნარს ერთი და იმავე ასაკის ყველა ბავშვი ერთსა და იმავე დროს ვერ ითვისებს. ზოგიერთი ორი წლის ასაკში უკვე წინადადებებით ლაპარაკობს, ზოგი კი მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ამბობს, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ განვითარების ნორმას არ შეესაბამება. უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული ინდიკატორისთვის არსებობს დროითი საზღვრები, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია მოცემული უნარის განვითარება (გაგოშიძე, 2006). მაგალითად, ბავშვი, რომელიც 2 წლის ასაკშიც ურთიერთობისთვის ცალკეულ სიტყვებს ვერ იყენებს, ბადებს სერიოზულ ეჭვს, რომ განვითარებაში პრობლემები აქვს და სპეციალური მიდგომა ესაჭიროება.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები ერთ ან რამდენიმე ინდიკატორს განსხვავებულ დროში აღწევენ, ანუ უფრო მოგვიანებით, ვიდრე მათი თანატოლები. სწორედ საბავშვო ბაღის აღმზრდელს შეუძლია ბავშვის განვითარებაში არსებული პრობლემების გამოვლენა, რადგანაც ბავშვი თავისი დროის დიდ ნაწილს საბავშვო ბაღში ატარებს. დაკვირვებულ მასწავლებელს დეტალურად შეუძლია ბავშვის ქცევების აღწერა და მისი სუსტი თუ ძლიერი მხარეების აღმოჩენა.

აღმზრდელი ბავშვის განვითარებაში არსებულ გარკვეულ სიძნელეებზე უნდა დაეჭვდეს, თუკი **მსხვილი მოტორული** აქტივობების შესრულებისას

**2-3 წლის ასაკში**:

- ვერ ინარჩუნებს წონასწორობას დახრის, დამოუკიდებლად ჯდომის და სირბილის დროს; ადვილად ეცემა, ვარდება სკამიდან;
- მისკენ გაგორებულ ბურთს ვერ ურტყამს ფეხს;
- ვერ ხტება ორი ფეხით ადგილზე.

**4 წლის საკში:**

- ბურთს ვერ იჭერს და ვერ ისვრის;
- უჭირს კიბეებზე ფეხის მონაცვლეობით ასვლა-ჩასვლა;
- ვერ ხტუნავს ცალ ფეხზე.

**5 წლის ასაკში:**

- ვერ დახტის ასკინკილას;
- უჭირს ბურთით თამაში.

ასევე შეიძლება ითქვას ნატიფი მოტორული აქტივობების შესრულებაზე ან ექსპრესიულ (აზრის სიტყვებში ჩამოყალიბება) მეტყველებაზე და სხვა.

რა თქმა უნდა, ინდიკატორების ეს მოკლე ჩამონათვალი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ აღმზრდელმა ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებების იდენტიფიკაცია შესძლოს. ეს მხოლოდ იმის სამაგალითოდ მოვიტანეთ, ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში აღმზრდელმა თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება.

ბავშვის სირთულეების აღმოჩენის შემდეგ აღმზრდელ-პედაგოგმა, აღსაზრდელზე სიღრმისეული და სისტემატიური დაკვირვების საფუძველზე, უნდა დაადგინოს, განვითარების რომელ სფეროში აღენიშნება ბავშვს სიძნელეები. საჭიროების ობიექტურად და ზუსტად განსაზღვრის მიზნით აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს ბავშვის მშობელთან, ბაღის ინკლუზიური განათლების კოორდინატორთან და დამხმარე სპეციალისტებთან. ისინი აღმზრდელს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმარებიან აღსაზრდელის ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭიროებების დადგენაში.

ბავშვის განვითარების პირველ წლებში უმთავრესი როლი მშობლებს ენიჭებათ, ამიტომ ინკლუზიური სწავლების განხორციელების ყველა ეტაპზე მათ თანამონა-წილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბავშვის შეფასებისას მათ შეუძლიათ, საკუთარი შვილის ინტერესების, შესაძლებლობების, ქცევითი მახასი-ათებლებისა და განვითარების თავისებურებების შესახებ, დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ სპეციალისტებს. აღნიშნული ინფორმაცია აღმზრდელებს დაეხმარება, დროულად დაადგინონ ბავშვის განვითარებაში არსებული პრობლემები და გასცენ მისთვის დამატებითი მომსახურების გაწევის რეკომენდაციები.

შვილის საჭიროებებზე მშობელთან საუბრისას აღმზრდელმა უნდა გაარკვიოს, ამჟღავნებს თუ არა ბავშვი სირთულეებს სახლის გარემოში და როგორია აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში უფროსების დამოკიდებულება და მათი ურთიერთობის სტილი.

ზოგჯერ მშობელი სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებაში მსუბუქ შეფერხებას პრობლემად არ მიიჩნევს და ამას სხვადასხვა გარემოებით ხსნის. ყველაზე გავრცელებულია დაგვიანებულ მეტყველებასთან დაკავშირებული მითები. მაგალითად, ზოგი გენეტიკური ფაქტორით ხსნის და ამტკიცებს, რომ თვითონაც გვიან დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ მისთვის ამას ხელი არ შეუშლია; ან, რადგანაც ბავშვს ყველაფერი ესმის და არ ლაპარაკობს, ის უბრალოდ ზარმაცია და ამიტომ აგვიანებს მეტყველებას და ა.შ. მართლაც, ზოგიერთმა შეიძლება დამოუკიდებლადაც დაძლიოს განვითარებაში არსებული პრობლემები, მაგრამ რთულია იმის წინასწარი განსაზღვრა, რომ ყველა ბავშვი შესძლებს შეზღუდული უნარების კომპენსირებას და ეს მის შემდგომ განვითარებაზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს (ვოლოზინი, 1999). ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ მშობელთან თანამშრომლობის საწყის ეტაპზე, ბავშვის შეფასების შედეგებზე მსჯელობისას, აღმზრდელ-პედაგოგმა თავდაპირველად ყურადღება გაამახვილოს აღსაზრდელის ძლიერ მხარეებზე, ანუ იმ უნარებზე, რომლებშიც ბავშვს გარკვეული წარმატება აღენიშნება. ამის შემდეგ

ისაუბროს იმ სირთულეებზე, რომლებსაც ბავშვი სწავლა-აღზრდის პროცესში აწყდება. ამგვარი პოზიტიური მიდგომა ზრდის მშობლის სურვილს, ითანამშრომლოს ბაღის პერსონალთან. ეს მათ ბავშვთან დაკავშირებული პრობლემების ერთობლივად გადაჭრაში დაეხმარება. სპეციალისტებმა მშობელთან ერთად უნდა დაგეგმონ და განახორციელონ ყველა აქტივობა, განსაკუთრებული მიდგომა და სტრატეგია, რაც, როგორც ბაღის, ისე სახლის გარემოში, აღსაზრდელს განვითარებაში არსებული პრობლემის დაძლევაში დაეხმარება.

მშობელთან ერთად ბავშვის საჭიროებების იდენტიფიკაციის შემდეგ აღმზრდელ-პედაგოგმა და ინკლუზიური განათლების კოორდინატორმა შეიძლება აღსაზრდელისთვის საჭიროდ მიიჩნიონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებში გარკვეული ცვლილებების შეტანა. მაგ., კონკრეტული ბავშვისთვის დახმარების ფორმების (ფიზიკური, დამატებითი ვერბალური ინსტრუქციები, ვიზუალური მანიშნებლები) და მათი ინტენსივობის განსაზღვრა, პროცესში მშობლის აქტიური ჩართვა, ჯგუფის ორგანიზებაში, დღის რეჟიმში ცვლილებები და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ ბაღს არ ჰყავს კვალიფიციური პერსონალი (ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების პედაგოგი, ლოგოპედი და სხვა), რომელიც დაეხმარება აღმზრდელს ბავშვის საჭიროებების დადგენაში, ბაღის დირექციამ კონსულტაციისთვის უნდა მოიწვიოს საჭირო სპეციალისტი, ან ურჩიოს მშობელს, ისარგებლოს ამა თუ იმ სადიაგნოსტიკო ცენტრის მომსახურებით, სადაც ფსიქოლოგი, სამედიცინო პერსონალი, ან მათი გაერთიანებული ჯგუფები ფორმალური შეფასების (ტესტირების/გამოკვლევის) საფუძველზე დეტალურად დაადგენენ ბავშვის ძლიერ მხარეებს, ფსიქო-ფიზიკური განვითარების თავისებურებებს და განვითარებაში გამოვლენილი შეფერხების ხარისხს და მის განმაპირობებელ ფაქტორებს განსაზღვრავენ.

ადრეული განათლების პროგრამები ბავშვების განვითარების საჭიროების იდენტიფიცირების ბევრ შესაძლებლობას იძლევა - იმ შემთხვევაშიც, თუ სირთულე და პრობლემა თვალსაჩინოა და მაშინაც, თუ ბავშვი რისკის ქვეშ იმყოფება. ყველა ასეთ შემთხვევაში ბავშვები ძლიერი ადრეული განათლების პროგრამებიდან ღირებულ სარგებელს ნახულობენ როგორც პრობლემის იდენტიფიცირების მხრივ, ასევე ოპტიმალური განვითარების ხელშეწყობის და წარმატებული გამოცდილების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

სასწავლო წლის დასაწყისში საწყისი შეფასება და სკრინინგი აღმზრდელს არა მხოლოდ ბავშვის განვითარების, ძლიერი მხარეების და საჭიროებების იდენტიფიცირებაში ეხმარება, დამატებითი სპეციალისტების განსაზღვრასა და ბავშვის საჭიროების შესაბამისად პროგრამის ინდივიდუალიზებაშიც უწყობს ხელს.

მშობლების ჩართულობა და ინფორმაციის გაზიარება შეფასების და სკრინინგის ნაწილი უნდა იყოს. ბავშვის ქცევის, ყოველდღიური ფუნქციონირების, და

ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ მშობლები ბევრად მეტ ინფორმაციას ფლობენ. ამდენად ისინი ბავშვის შესახებ ინფორმაციის ღირებულ და სანდო წყაროს წარმოადგენენ. ეს აღმზრდელ-პედაგოგებს აღსაზრდელთა უნარების და შესაძლებლობების სრული სურათის დახატვაში დაეხმარება. მშობელი ასევე დაეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად ავთენტიკური და ზუსტია მათი შეფასება, არის თუ არა ეს ბავშვის დამახასიათებელი ქცევა ყოველდღიურობაში და ბუნებრივ, ოჯახურ გარემოში.

მიმდინარე შეფასება ასევე მნიშვნელოვანია საჭიროებების იდენტიფიცირებაში. იგი აღმზრდელს ეხმარება  პროგრამის, სტრატეგიების და შედეგების გადახედვაში. მიმდინარე შეფასება არის მშობელთან პარტნიორობის საფუძველიც, რომელიც ბავშვის ოპტიმალური განვითრების შესაძლებლობებსაც უზრუნველყოფს.

შეფასების საუკეთესო პრაქტიკა ითვალისწინებს სტანდარტის შესაბამის შეფასებას, სანდო ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც კონკრეტული ბავშვის შედეგების თანატოლების შედეგებთან შედარების საშუალებას იძლევა. არცერთი ბავშვი არ უნდა შეფასდეს აღმზრდელის, მასწავლებლის ან საზოგადოების განცდების და სუბიექტური დასკვნების საფუძველზე კონკრეტული ბავშვთან, ოჯახთან ან ქცევასთან მიმართებაში.

შესაძლებელია, დაკვირვებამდე განსაზღვროთ, თუ რას უნდა დააკვირდეთ. კრიტერიუმები შეიძლება აიღოთ  ერთი რომელიმე ან რამდენიმე სფეროდან. მაგ., გაინტერესებთ ბავშვის მოტორული განვითარება. ამისთვის უნდა იხელმძღვანელოთ ბავშვის განვითარების სტანდარტის ქვესფეროში (მოტორული განვითარება) მოცემული ინდიკატორებით, შემდეგ  ბავშვს შესაბამის ვითარებაში დააკვირდეთ.

ბავშვის ადრეული სწავლისა და განვითარების სტანდარტიდან აღებული ინდიკატორებია:

| მსხვილი მოტორიკა | აღწერა |
|---|---|
| სირბილი | დარბის და დაუხმარებლად ჩერდება, თავს არიდებს დაბრკოლებებს |
| კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა | კიბეზე ადის მარჯვენა ფეხით, იყენებს მოაჯირს |
| ველოსიპედი | დაკვირვების საშუალება არ მომეცა |
| ხტომა | ხტება მოკლე მანძილზე |
| ძრომიალი | სასრიალოზე ასაძრომად დახმარებას ითხოვს |
| სროლა-დაჭერა | ბურთს აგორებს |

შეფასებით და დაკვირვებით მიღებული მონაცემები ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის საფუძველს ქმნის. კონკრეტული ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ აღმზრდელი, მშობელი, ბაღის დამხმარე (მაგ., სპეც. პედაგოგი, ფსიქოლოგი) და გარე

სპეციალისტები (მაგ., ბავშვის ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი) - ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ინდივიდუალური განვითარების გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს ბავშვის განვითარების ხანგრძლივ და ხანმოკლე მიზნებს, ამ მიზნების მისაღწევ კონ-კრეტულ აქტივობებს და აქტივობების განხორციელების სტრატეგიებს. განვითარების ინდივიდუალური გეგმა დაწესებულების ზოგად პროგრამაში უნდა იყოს ინტეგრირებული. პროგრამის შედგენისას, გათვალისწინებული უნდა იყოს გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი სასწავლო-სააღმზრდელო მიზნები, რომელსაც ბავშვი ამა თუ იმ სპეციალისტის მომსახურების ფარგლებში იღებს (მელაძე 2011:7).

როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულია ყველა ის სპეციალისტი, რომელიც ბავშვთან მუშაობს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ყოველთვის მშობლის წახალისებაა საჭირო, რადგან მან ყველაზე კარგად იცის ბავშვის რეალური საჭიროებები, ამასთან, მისი აქტიური ჩართვა მშობლის მიერ პასუხისმგებლობის აღებას და გაძლიერებას ნიშნავს.

კარგ ინდივიდუალურ გეგმაში დეტალურად არის აღწერილი ბავშვის განვითარების ძლიერი მხარეები და საჭიროებები, ასევე იდენტიფიცირებულია ის გზები, თუ როგორ შეიძლება ბავშვის ოპტიმალური განვითარების ხელშესაწყობად და დასახული მიზნების მისაღწევად მისი ძლიერი მხარეების გამოყენება.

## §3. 3. ბაღში არსებული პროგრამის მოდიფიცირება, ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის შედგენა და განხორციელება

ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის ამოცანაა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი სასწავლო გეგმის შესაბამისად ისე წარმართოს, რომ იმავდროულად მოარგოს აღსაზრდელის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ინტერესებს. სწავლა-აღზრდის პროცესში ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება კიდევ უფრო აქტუალური ხდება, თუ აღმზრდელს ჯგუფში განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელი ჰყავს. ხშირად იმის გამო, რომ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელის შესაძლებლობებს და განვითარებაში არსებულ პრობლემებს არ ითვალისწინებს, ხშირად საჭირო ხდება მასში ცვლილებების შეტანა, ანუ აღსაზრდელის საჭიროებების გათვალისწინებით, მისი მოდიფიკაცია.

ჯგუფის პროგრამის მოდიფიკაცია გულისხმობს აღსაზრდელის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით პროგრამის შინაარსის, სასწავლო-სააღმზრდელო მიზნების, მეთოდების და სტრატეგიების ისეთ ცვლილებას, რომ აღსაზრდელს საშუალება მიეცეს, სწავლა-აღზრდის პროცესში გამოიყენოს და განიმტკიცოს უკვე არსებული ჩვევები და განივითაროს სხვა, მისთვის საჭირო უნარები.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აღსაზრდელს შეიძლება სხვადასხვა სახის სასწავლო-სააღმზრდელო საჭიროება ჰქონდეს, მაგრამ პროგრამით გათვალისწინებული მიზნებიდან და ამოცანებიდან მხოლოდ ნაწილი მოითხოვდეს ინტენსიურ ცვლილებას და მის საჭიროებაზე მორგებას.

პროგრამით გათვალისწინებულ რომელ სფეროში თუ რა მიზნის, შესაბამისად, რა აქტივობების მოდიფიცირებაა გასათვალისწინებელი, განისაზღვრება ბავშვის საჭიროებების დადგენის საფუძველზე, ანუ მაშინ, როცა აღმზრდელს შეუძლია ბავშვზე მოპოვებული ინფორმაციით სწორად განსაზღვროს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ანუ საჭიროებები.

აღმზრდელი ვალდებულია, კონკრეტული ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა, რომელშიც დასახული მიზნები და ამოცანები სხვა აღსაზრდელების საპროგრამო მიზნებისგან განსხვავებული იქნება. მთავარია, ინდივიდუალურ გეგმაში წარმოდგენილი მიზნები ჯგუფის პროგრამით გათვალისწინებულ საერთო აქტივობებს და რუტინას შეესაბამებოდეს.

მაგალითად, ზოგადი პროგრამით აღმზრდელს დაგეგმილი აქვს, ბავშვებს ასწავლოს მოზაიკით თამაში. ისინი სურათზე მოცემული ნიმუშის მიხედვით ააწყობენ მარტივ ფიგურებს (ყვავილს, სოკოს, ხეს და ა. შ.). განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელის ინდივიდუალური მიზანია, ისწავლოს სხვადასხვა

საგნის ფერების (მაგ., წითელი და მწვანე) მიხედვით დაჯგუფება. ამ შემთხვევაში ბავშვს, რომელსაც განსაკუთრებით უჭირს ჯგუფის საერთო დავალების შესრულება, აღმზრდელმა შეიძლება სთხოვოს მოზაიკის 4 ფერის ღილებიდან აარჩიოს და ერთად დაალაგოს ჯერ წითელი, ხოლო შემდეგ მწვანე ღილები. იმისათვის, რომ ინდივიდუალური მიზანი მაქსიმალურად მიუახლოვოს ჯგუფის საერთო აქტივობას, მასწავლებელი აღსაზრდელს მოგროვებული ღილების მოზაიკის დაფაზე ერთ მწკრივად განლაგებაში ფიზიკურად ეხმარება.

ამდენად, ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებს და ამოცანებს კონკრეტული აქტივობების შესრულების პროცესში უნდა მივაღწიოთ. საამისოდ, მათი დაგეგმვისას, აღმზრდელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რომელ აქტივობაში რა სახით ჩაერთვება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელი, რას გააკეთებს და ინდივიდუალური მიზნით გათვალისწინებული ამოცანის შესრულებისთვის რა დახმარების გაწევა დასჭირდება.

მაგალითი: სადილის შემდეგ დაგეგმილია ზღაპრის მოსმენა და თხრობა. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვმა, რომელსაც მეტყველების პრობლემა აქვს, ინდივიდუალური გეგმის მიხედვით უნდა მიაღწიოს, ვთქვათ, დაასახელოს სურათი ან მარტივ კითხვაზე გასცეს ერთსიტყვიანი პასუხი. შესაბამისად, მასწავლებელმა წინასწარ უნდა იცოდეს, სად და როდის ჩაერთვება აღსაზრდელი აქტივობაში და რა შეკითხვას დაუსვამს ერთსიტყვიანი პასუხის მისაღებად. ვთქვათ, მასწავლებელი ზღაპარს დიდი ილუსტრირებული წიგნიდან კითხულობს, რასაც ბავშვებიც უყურებენ. რადგან ჭარბი ზეპირმეტყველებითი აქტივობა არათუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, სხვა ბავშვებისთვისაც უინტერესო და მოსაბეზრებელია, აღმზრდელი თან სურათზე აჩვენებს იმას, რასაც უკითხავს, შემდეგ კი შეკითხვებს უსვამს. ამ მომენტში მას შეუძლია სთხოვოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელს, დაასახელოს სურათზე მის მიერ მითითებული საგანი, ან დაუსვას მარტივი შეკითხვა, რაზეც ერთი სიტყვით უპასუხებს.

პროგრამის მოდიფიკაციის მიზნით დასაშვებია:

- **სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის გამარტივება:** ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით აღმზრდელს შეუძლია გაამარტივოს ნაწარმოებების (ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი და ა. შ.) შინაარსი; შეამციროს მისი მოცულობა, რთული და უცხო სიტყვები ჩაანაცვლოს მარტივი, ბავშვისთვის ადვილად გასაგები სიტყვებით.
- **აქტივობისთვის განკუთვნილი დროის ცვლილება:** იმის გათვალისწინებით, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბევრ ბავშვს უჭირს დიდი ხნის განმავლობაში (10-15 წთ) ერთ დავალებაზე ფოკუსირება (მაგ., ხატვა, კუბიკების აწყობა, ზღაპრის მოსმენა და ა. შ.), აღმზრდელმა მისი ყურადღება უნდა გადაიტანოს რომელიმე სხვა საგანზე, რაც მას მცირე ხნით შესვენების საშუალებას მისცემს. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ რუტინული

აქტივობების შესრულების, ჭამის, ჩაცმის დროს ან ტუალეტის გამოყენებისას, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვს, ჯგუფის სხვა აღსაზრდელებთან შედარებით, უფრო მეტი დრო სჭირდება.

- **აღსაზრდელის მიერ შესასრულებელი აქტივობები დაიყოს ეტაპებად.** განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვანია ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებული კონკრეტული მითითებების მიცემა. აღმზრდელმა დაწვრილებით უნდა აღწეროს მოქმედების შესრულების თანმიმდევრობა და საჭიროების შემთხვევაში ბავშვს მის შესრულებაში დაეხმაროს. მაგალითად, მასწავლებელს დაგეგმილი აქვს, ბავშვებს პლასტილინისაგან გამოაძერწინოს 3-4 ნაწილისგან შემდგარი ფიგურა, ვთქვათ, ვაშლი. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს შესასრულებელი ეტაპების თანმიმდევრობის დაცვა – პლასტილინის დამრგვალება, ყუნწის, ფოთლის გამოძერწვა, მათი ერთმანეთთან მიერთება და ა.შ. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი სიტყვიერად უხსნის ყოველ მომდევნო ეტაპზე შესასრულებელ აქტივობას და, თუ დასჭირდა, ეხმარება კიდეც.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში აღმზრდელს შეუძლია მიმართოს ვერბალურ, ანუ სიტყვიერ მითითებას, მოდელირებას, ანუ ქცევის დემონსტრირებას და ფიზიკურ დახმარებას.

**ვერბალური, ანუ სიტყვიერი მითითება** გულისხმობს ბავშვის მიერ დავალების შესრულებისთვის დამატებითი სიტყვიერი მითითებების მიწოდებას, შეკითხვის დასმას. ვერბალური მითითება უნდა იყოს მარტივი, ორ-სამ სიტყვიანი, რომელთა მნიშვნელობას ბავშვი კარგად უნდა იგებდეს. ამასთან, მითითებები ნელი ტემპით და მკაფიო გამოთქმით უნდა მიეწოდოს, თანაც მაშინ, როცა ბავშვის ყურადღება უფროსისკენაა მიპყრობილი.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელი შეკითხვასა და მოთხოვნაზე რეაქციას ხშირად აგვიანებს, ამიტომ აღმზრდელმა სიტყვიერი მითითების შემდეგ მოქმედების დასაწყებად ან პასუხის გასაცემად დამატებითი დრო უნდა მისცეს და ბავშვის რეაქციას მოთმინებით დაელოდოს.

**მოდელირება ანუ ქცევის დემონსტრირება.** ბავშვს სიტყვიერი მითითებების შესრულება თუ უჭირს, აღმზრდელი საჭირო აქტივობას თავად ასრულებს, აჩვენებს, როგორ სრულდება კონკრეტული მოქმედება და ბავშვს სთხოვს, გაიმეოროს. მოდელირება უფრო ეფექტურია, თუ ქცევას სიტყვიერი მითითებებიც ახლავს.

**ფიზიკური დახმარება** გულისხმობს ქცევის შესრულებისთვის ბავშვთან ერთად აქტივობაში თანამონაწილეობას - ფიზიკურად ხელზე ხელის მოკიდებით (მაგალითად, გაფერადების, ჭამის დროს), ან სტიმულირებისთვის პერიოდულად ბავშვის ხელზე შეხებას. მასწავლებელმა ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისას

აღსაზრდელის დამოუკიდებლობის ხარისხი რომ გაზარდოს, სასურველია, დამხმარე საშუალებების გამოყენებით შეამციროს ფიზიკური დახმარების გაწევის საჭიროება.

სკოლამდელ დაწესებულებაში, დღეს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვა გარკვეული ცვლილებების გატარებას მოითხოვს. ეს ეხება შენობის ინფრასტრუქტურას, მენეჯმენტს, მომსახურე პერსონალის კომპეტენციას, პროგრამებს, ჯგუფების ორგანიზებას და ა. შ. ამ ცვლილებების გატარებამ საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს გარემოს/სივრცისა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის იმგვარად გარდაქმნა, რომ თითოეული აღსაზრდელი, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მთლიანად ჩაერთოს საბავშვო ბაღის აქტივობებში.

აღმზრდელმა, ბაღის პერსონალის დახმარებით, ყველა აღსაზრდელისთვის ეფექტური სასწავლო-სააღმზრდელო გარემო რომ შექმნას, აუცილებელად უნდა ფლობდეს შესაბამის ინფორმაციას, რომელიც მას ჯგუფის ფიზიკურ მოწყობაში დაეხმარება. ფიზიკური გარემოს სწორად ორგანიზება ხელს შეუწყობს აღსაზრდელთა სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობებში ჩართვას.

ფიზიკური შეზღუდულობის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების მქონე ბავშვები ხშირად არ საჭიროებენ დიფერენცირებულ სასწავლო პროგრამას, ვინაიდან ფსიქიკური განვითარებით არ ჩამორჩებიან თავიანთ თანატოლებს. ამის მიუხედავად, მათი ოპტიმალური დამოუკიდებლობის ხელშესაწყობად სათანადო გარემოს შექმნაა საჭირო.

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე ბავშვებისთვის ძირითადი აქცენტი კეთდება შესასვლელებზე, კიბეებზე (მოაჯირებზე) და ადაპტურ საპირფარეშოებზე. ბავშვი, რომელიც ეტლით, ან სასიარულო ჩარჩოთი გადაადგილდება, საჭიროებს ფართო გასასვლელებს, პოზის შეცვლის შესაძლებლობებს (ეტლში, ხალიჩაზე, მაგიდასთან ჯდომისას) ისე, რომ თავისუფლად ისუნთქოს და იმოძრაოს. ბაღის გარემოში, მოტორული უნარების განვითარებასთან ერთად, მათ შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, აქტიურად შეისწავლონ ირგვლივ არსებული ნივთები – მიცოცდეს, ხელი მოჰკიდოს, პირში ჩაიდოს, მოსინჯოს და ა. შ (სმიტი,1998). ბაღის სივრცეში კედლებზე სხვადასხვა შინაარსის სიმბოლური ნიშნების განთავსება ყველა აღსაზრდელისთვის მნიშვნელოვანი საორიენტაციო საშუალებაა. ამ მიზნით აღმზრდელს შეუძლია გამოიყენოს მარტივი, ბავშვების ასაკის შესაფერისი ნახატ-სიმბოლოები. დასურათებული, თვალსაჩინო ცხრილი, რომელიც თანმიმდევრულად ასახავს ყოველ მომდევნო აქტივობას ბაღის გარემოში, განსაკუთრებით აიოლებს აღსაზრდელების საბავშვო ბაღთან ადაპტაციის პროცესს და ზრდის ჯგუფში ორგანიზებულობის და დისციპლინის დაცვის შესაძლებლობებს (კრაიერი, ჰარმსი და რაილი, 2000).

სასურველია, მასალების ყუთებიც შესაფერისი ნახატ-სიმბოლოებით აღინიშნოს, რომ ბავშვი ადვილად მიხვდეს, რა არის მასში და სასურველ ნივთს სწრაფად მიაგნოს.

გარკვეული მინიშნება-სიმბოლოები (ნახატი შესაბამისი წარწერით) უნდა გაკეთდეს კარადებზეც, სადაც სათამაშო/სასწავლო, ან სამუშაო მასალებია შენახული. ეს გაცილებით აადვილებს ბავშვის გარემოში ორიენტაციას, ზოგავს დროს და, რაც მთა-ვარია, ბავშვებს მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს, მასწავლებელს კი თავისუფალ დროს უზოგავს.

ბაღის ოთახის გარემო ბავშვებს უნდა სთავაზობდეს ისეთ ნივთებს და მასალებს, რომლებიც გაამდიდრებენ და სტიმულაციას გაუკეთებენ მათ ფსიქო-ფიზიკურ განვითარებას. სასურველია, საამისოდ გამოვიყენოთ წინასწარ შეგროვებული ბუნებრივი მასალა: ხე, ქვა, ბარდა, გირჩები და ა. შ. ასეთი მასალები ბევრად უფრო მდიდარ და, რაც მთავარია, ბუნებრივ შეგრძნებებს მატებენ ბავშვებს, ვიდრე მხოლოდ პლასტმასის ან რბილი სათამაშოები (ქავთარაძე, 2010:7).

განსხვავებულობის მიმღებლობისა და მულტი-კულტურული ჯგუფებისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად, სასურველია, ჯგუფში არსებობდეს სპეციალური მასალა – სხვადასხვა ეთნიკურ/რასობრივი წარმომავლობის, გარეგნობის მქონე თოჯინები, დასურათებული წიგნები, პოსტერები, თოჯინები ეტლით, ყავარჯნით, ყურსასმენი აპარატით, სათვალით. ჯგუფში განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელის დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხელშესაწყობად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს იოლი და, იმავდროულად, იაფი დამხმარე საშუალებები, რაც სათამაშო/სასწავლო აქტივობებში ბავშვის თანამონაწილეობას გააადვილებს. მაგალითად, გასქელებული ფანქრის ტარი, ზამბარიანი მაკრატელი, ანტისლიპი - ფურცლის მაგიდაზე მოძრაობის შესაფერხებლად. ასევე კვებისას პლასტიკური ღეროები (საწრუპავები), ჭიქის დამჭერი, რაც შესაძლოა უზრუნველყოფდეს ბავშვის დეფიციტური უნარის კომპენსაციას ან მის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ მათი გამოყენებისას სასწავლო მასალის შინაარსი და სირთულე იგივეა, იცვლება მხოლოდ მისი მიწოდების ფორმა და სტრატეგია (კინგ სერსი, 2001). ბავშვისთვის დამხმარე საშუალება მშობლის და შესაბამისი პროფესიონალის მონაწილეობით უნდა შეირჩეს. მაგალითად, განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელის ჯდომის სწორი პოზის უზრუნველსაყოფად ადაპტური სკამი, მაგიდა, გადასაადგილებლად ეტლი, ან სასიარულო ჩარჩო (ჭოჭინა), რომელსაც კონკრეტულ ბავშვს ფიზიოთერაპევტი, ან ოკუპაციური თერაპევტი ურჩევს.

დღის განმავლობაში ჩასატარებელ სასწავლო-სააღმზრდელო და რუტინულ აქტივობათა თანმიმდევრობას ჯგუფის ცხრილი განსაზღვრავს. მას ბავშვების ინტერესების და მოთხოვნილებების შესაბამისად ცვლის მასწავლებელი. თუ ჯგუფში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია, შესაძლოა, დღის განრიგში გასათვალისწინებელი გახდეს შემდეგი ცვლილებები:

- ზოგიერთი ჯგუფური აქტივობის ხანგრძლივობის შემცირება;

- დასვენების (რელაქსაციის) დროის ხანგრძლივობის ან მისი სიხშირის გაზრდა მათთვის, ვინც მალე იღლება;
- ბავშვის ინდივიდუალური კვების რეჟიმით უზრუნველყოფა;
- აღსაზრდელისთვის დასწრების ინდივიდუალური გრაფიკის შემუშავება; (ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე, მთელი დღის ნაცვლად, მან შეიძლება ბაღში იაროს 2-3 საათით დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, ან ნახევარი დღე (კრაიერი, ჰარმსი და რაილი, 2004).

თითოეული აღსაზრდელის საჭიროების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებებს და საშუალებას იძლევა, ზოგადი პროგრამა ადაპტირდეს და შეიცვალოს ისე, რომ ბავშვი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად ჩაერთოს დღის განმავლობაში დაგეგმილ სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობებში.

**რა არის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა?**

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა უმთავრესი წერილობითი დოკუმენტია, რომელიც იქმნება იმ აღსაზრდელებისათვის, რომლებიც ვერ სწავლობენ ჯგუფის ზოგადი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით და განსაკუთრებულ მიდგომებს და სწავლების განსხვავებულ სტრატეგიებს რეგულარულად საჭიროებენ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება ყოველი სასწავლო წლისთვის და უნდა მოიცავდეს:

- ბავშვის განვითარების მახასიათებლებს დაწესებულებაში მისი მიღების მომენტისთვის;
- სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებს, რომლის მიღწევაც რეალურად არის შესაძლებელი ბავშვის განვითარების დონისა და უნარების გათვალისწინებით;
- თარიღს, როცა უნდა მოხდეს წინსვლის შეფასება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მშობლებიც უნდა იყვნენ ჩართული და უნდა ეთანხმებოდნენ მის მიზნებსა და შეფასების მეთოდებს, რასაც ისინი წერილობით ადასტურებენ.

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და შინაარსი.** გეგმის უნივერსალური ფორმა არ არსებობს. საგანმანათლებლო თუ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს მისთვის მოსახერხებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. მთავარია, აღნიშნული დოკუმენტი შინაარსობრივად აუცილებლად მოიცავდეს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- ინფორმაცია აღსაზრდელის შესახებ (დემოგრაფიული მონაცემები და ისტორია);
- აღსაზრდელის ფუნქციონირების არსებული დონე, რაც აისახება განვითარების სფეროების მიხედვით ბავშვის უნარების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერაში;
- მისაღწევი შედეგები: გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო-სააღმზრდელო მიზნები;
- სწავლების მეთოდები, სტრატეგიები და მასალები;
- გუნდის წევრების ვინაობა და სპეციალობა (ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო მიზნის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები);
- შეფასების გეგმა და განრიგი.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ინკლუზიური განათლების კოორდინატორისა და მშობლის აქტიური მონაწილეობით, ადგენს ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგი. იგი იქმნება ბავშვზე წინასწარი დაკვირვების და შეფასების საფუძველზე და აღსაზრდელის ქცევის, კომუნიკაციური ჩვევების, სოციალური თუ კოგნიტური უნარების, შესაძლებლობებისა და მისთვის საჭირო მომსახურების შესახებ სრულ ინფორმაციას მოიცავს.

აღნიშნული დოკუმენტის შექმნისა და განხორციელების პროცესი შედგება შემდეგი ძირითადი საფეხურებისგან:

1. მიმართულების განსაზღვრა;
2. ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება;
3. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავება;
4. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის განხორციელება, შეფასება და მასში ცვლილებების შეტანა.

**1. მიმართულების განსაზღვრა.** როცა დადგინდება, რომ აღსაზრდელი ინდი-ვიდუალური სასწავლო პროგრამით სწავლებას საჭიროებს, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი ქმნის გუნდს, რომელშიც შედიან ბაღის ძირითადი (დილის და საღამოს ცვლის მასწავლებლები, მათი თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი და ა.შ), დამხმარე სპეციალისტები და ბავშვის მშობელი.

გეგმის შედგენის და განხორციელების პროცესში უნდა განისაზღვროს გუნდის თითოეული წევრის როლი და პასუხისმგებლობა. გუნდის წევრების შემადგენლობა შეიძლება აღსაზრდელის მიზნებისა და საჭიროებების შესაბამისად იცვლებოდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მათი როლებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე ხდებოდეს.

**2. ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება.** ეს საფეხური ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია, ვინაიდან აღსაზრდელის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა განისაზღვროს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ბაღის ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ხელმძღვანელობით გუნდის წევრები - აღმზრდელი, მისი თანაშემწე, მშობელი და, ბაღს თუ ჰყავს, დამხმარე სპეციალისტები (ლოგოპედი, ფსიქოლოგი, ექთანი და ა. შ.), თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კითხვარების, დაკვირვებისა და ჩანაწერების საფუძველზე აფასებენ ბავშვს და მასზე ყველა საჭირო ინფორმაციას აგროვებენ.

ინფორმაციის წყაროები არიან:

- მშობლები და ოჯახის წევრები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ცნობები მოგვაწოდონ ბავშვის განვითარების ისტორიისა და თავისებურებების შესახებ;
- მედიცინის წარმომადგენლები, რომელთაც, შესაძლოა, ჰქონდეთ ბავშვის სამედიცინო ისტორია, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მიმდინარე, ან უკვე ჩატარებული მკურნალობის (მათ შორის მედიკამენტური) შესახებ და შეუძლიათ განსაზღვრონ მისი გავლენა სწავლა-აღზრდის პროცესებზე.
- ნებისმიერი სპეციალისტი (ლოგოპედი, ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი და ა.შ), რომელმაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს ჯგუფში ჩართვისა და თანამონაწილეობის ხელშესაწყობად ინდივიდუალური მომსახურება გაუწია,

ან კვლავაც უწევს, და შეუძლია, ბაღში მომუშავე სპეციალისტებს გაუწიოს კონსულტაცია;

- თავად ბავშვი გვაწვდის ინფორმაციას საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების თუ სხვა ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ.

გუნდის შეხვედრაზე შეჯერდება ბაღის პერსონალის მიერ მოპოვებული ინფორმაცია და აღსაზრდელის შესაძლებლობების და სასწავლო-სააღმზრდელო საჭიროებების შესახებ ჩამოყალიბდება ერთიანი ხედვა. ამისთვის გუნდის წევრები ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტის სპეციალურ გრაფაში აღსაზრდელის ძლიერი და სუსტი მხარეების დიფერენცირებას ახდენენ (იხ. ნიმუში 1). ამით იმის ნათელი სურათი იქმნება, თუ რა სფეროში სჭირდება ბავშვს განვითარება და რა რესურსები შეიძლება საამისოდ გამოიყენონ.

ძლიერ მხარეებში არსებული მდგომარეობის აღწერა უნდა პასუხობდეს შეკითხ-ვებს - თანმიმდევრულად და დამოუკიდებლად რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს, რა აინტერესებს და მოსწონს. ძლიერი მხარეების გარდა ცალკე უნდა გამოიყოს ის უნარ-ჩვევები, რომელთა შესრულებისას აღსაზრდელი გარკვეულ სირთულეებს აწყდება.

მიღებული მონაცემები საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ სხვადასხვა სფეროს მიხედვით ბავშვის განვითარების ძლიერი მხარეები და საჭიროებები. ამის საფუძველზე ივსება ცხრილი, რომელშიც მოცემულია ყველა ძირითადი სფერო და საკითხი, რომლებიც ბავშვის შეფასებისა და შემდგომში ინდივიდუალური განმავითარებელი პროგრამის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ.

მოვიყვან ერთ მაგალითს:

| განვითარების სფერო/ქვესფერო | ძლიერი მხარეები | საჭიროება |
|---|---|---|
| **მსხვილი მოტორიკა** | მიმართულების ცვლილებით დარბის, შეუძლია ცალ ფეხზე 5 წამის განმავლობაში დგომა, ფეხების მონაცვლეობით ადის და ჩამოდის კიბეზე, ადის შვედურ კედელზე, შეუძლია ცალ ფეხზე ხტუნვა, ხტება 25 სმ-ის სიგრძეზე, დადის მარშით მუსიკის თანხლებით, ხუთჯერ უკან ხტის | უჭირს სათლელის გამოყენება, ჰორიზო-ნტალურად/ვერტიკალურად/დიაგონალ-ურად ოთხად ვერ კეცავს ფურცელს; |
| **წვრილი მოტორიკა** | ფუნჯი უჭირავს ცერა, შუა და საჩვენებელი თითებით | უჭირს ფურცლის სწორ ხაზზე ისე გაჭრა, რომ 5 მმ-ზე მეტად არ სცილდება ხაზს, |

| | | |
|---|---|---|
| | | ვერ აფერადებს ნახატს კონტურების დაცვით, ვერ იხატავს ჯვარს, ვერ ხატავს ადამიანს 6-7 ნაწილით, ვერ იხატავს კვადრატს, სამკუთხედს, ვერ გამოსახავს კონტურს წერტილებით, ვერ იწერს მარტივ სიტყვებს (მაგ., "ია", "ხე") |
| **თვითმოვლის უნარ-ჩვევები** | ჭამს დამოუკიდებლად, მაგიდის გაშლაში ეხმარება უფროსებს, სიტყვიერი შეხსენებით სწორად ალაგებს თეფშებს, შეუძლია ჰიგიენური ნივთების და-ნიშნულებისამებრ გამოყენ-ება, დამოუკიდებლად სარგებლობს ტუალეტით, იხდის და იცვამს ქურთუკს, ფეხსაცმელებს (ფხრიწიანი ან ელვა შესაკრავით) | |
| **შემეცნებითი განვითარება** | მიუთითებს უფრო მეტ, უფრო ნაკლებ რაოდენობაზე, ასახელებს პირველ/შუა/ბოლო პო-ზიციას, ათამდე ითვლის მექანიკურად | უჭირს რვა ფერის დასახელება, საგნებ-ის თავის წინ/უკან ან რაიმე საგნის გვე-რდით დალაგება, ხუთამდე ვერ ასახელ-ებს საგნების განსაზღვრულ რაოდენობ-ას, დაუსრულებელ ნახატს ვერ ასრულ-ებს,შესაბამისი სიტყვების გამოყენებით ვერ ასახელებს დღის მონაკვეთებს (დი-ლა/შუადღე/საღამო); კატეგორიების მიხ-ედვით ვერ აჯგუფებს საგნებს, ვერ მოიპოვებს მასალას თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ვერ განასხვავებს ციფრებს ასოებისგან. |
| **მეტყველება** | ასრულებს მარტივ ორსაფეხუ-რიან ინსტრუქციას, განსაზღვ-რავს მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვებს, პასუხის მისაღებად სვამს კითხვებს | ვერ ასახელებს, რა დანიშნულება აქვს შეგრძნების ორგანოებს, ვერ ამბობს რის-გან არის დამზადებული ჩვეულებრივი ყოველდღიური მოხმარების საგნები, ვერ ასახელებს სიტყვის პირველ და ბოლო მარცვალს, ვერ ამბობს სიტყვას, რომელ-იც იწყება უფროსის მიერ შეთავაზებულ ასობგერაზე. |
| **წიგნიერება** | | ვერ იმახსოვრებს სამჯერ მოსმენილი ზღაპრის ხუთ ძირითად ფაქტს, ვერ იგონებს ან ცვლის ზღაპრის/ამბის დაბო-ლოებას. |
| **სოციალურ-ემოციური განვითარება** | იცავს ელემენტარულ ეტიკეტს (მისალმება, დამშვიდობება, ბო-დიშის მოხდა), საჭიროების შემ-თხვევაში ითხოვს უფროსის | უჭირს ყურადღების კონცენტრაცია |

| | | |
|---|---|---|
| | დახმარებას, პრობლემის გადასაჭრელად იყენებს მარტივ და განსხვავებულ სტრატეგიებს, საკუთარ მიღწევაზე გამოხატავს აღფრთოვანებას, ასახელებს და საუბრობს საკუთარ ემოციებზე /განცდებზე, ხვდება, რა საპასუხო რეაქციას გამოიწვევს მისი ან სხვისი ქცევა | |
| **თამაში** | მონაწილეობს ჯგუფურ მუსიკალურ აქტივობებში, უფროსის მიერ ორგანიზებულ თამაშში იცავს წესებს, უფროსის დახმა-რებით შეუძლია სათამაშოების და საგნების სხვა ბავშვებისთვის გაზიარება | უჭირს სამაგიდო თამაშების (ლოტო, დომინო) 2-3 ბავშვთან ერთად 15 წუთის განმავლობაში თამაში, უჭირს ერთი აქტივობიდან მეორეზე თავისუფლად გადასვლა |

ის უნდა პასუხობდეს კითხვებს, რის გაკეთება უჭირს ბავშვს, ყველაზე ხშირად რომელი ქცევის, აქტივობის შესრულებისას აწყდება სირთულეებს და რა დახმარება სჭირდება. ამის შემდეგ, როცა სრულფასოვანი შეფასება მოხდება და ბავშვის ძლიერი მხარეები და საჭიროებები გამოიყოფა, სამუშაო მიზნები მშობელთან შეთანხმებით საჭიროებების მიხედვით უნდა განისაზღვროს.

**3. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავება.** აღსაზრდელის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით სპეციალისტთა გუნდი, მშო-ბელთან ერთად, აკეთებს ბავშვის საჭიროებების კლასიფიკაციას და გამოჰყოფს პრიორიტეტულ სფეროებს და მისაღწევ შედეგებს, ანუ გრძელვადიან და მოკლევადიან ინდივიდუალურ სასწავლო სააღმზრდელო მიზნებს.

პრიორიტეტული სფეროების გამოსაყოფად სპეციალისტთა გუნდმა უნდა გაი-თვალისწინოს:

- აღსაზრდელის ინტერესები და მიდრეკილებები;
- შვილთან დაკავშირებით მშობლების მოლოდინები და მიზნები;
- სოციალური განვითარების მნიშვნელობა;
- საჭიროების განსაკუთრებული მნიშვნელობა;
- ბაღში არსებული რესურსები.

**მისაღწევი შედეგები: გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო-სააღმზრდელო მიზნები.** გრძელვადიანი მიზნები განისაზღვრება, როგორც აღსაზრდელთან მისაღწევი საბოლოო შედეგი. ის ირჩევა იმ პრიორიტეტული სფეროებიდან, რომლებიც სპეციალისტთა გუნდმა მშობელთან ერთად, ბავშვის

საჭიროებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიიჩნია. ამასთან, გუნდი უნდა შეთანხმდეს მიზნების ისეთ რაოდენობაზე, რომლებიც, ბაღის რესურსების გათვალისწინებით, რეალური და დროში მიღწევადია (საშუალოდ 4 წლიური მიზანი).

**გრძელვადიანი მიზანი** მოკლევადიანისგან განსხვავებით უფრო ზოგადია, მაგრამ მკაფიოდ განსაზღვრული. მაგალითად, გრძელვადიან მიზნად პროგრამაში შეიძლება შევიტანოთ: დასურათებული წიგნიდან ზღაპრის მოყოლა, ლოტოს თამაშის სწავლება, ხელების დაბანის სწავლება და ა.შ.

**მოკლევადიანი მიზნები** გრძელვადიანიდან გამომდინარე სპეციფიკური მიზნებია, ანუ ამოცანები, რომლებიც წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნისკენ მიმავალ საფეხურებს. მაგალითად, ხელების დაბანის სწავლების საფეხურები შეიძლება იყოს: ონკანის მოშვება, საპნით ჩამობანა, ხელების გამშრალება და ა.შ. თავის მხრივ, ეს მიზნებიც შეიძლება საფეხურებად დაიყოს. მთავარია, მოკლევადიანი მიზნის ყოველი შემდგომი საფეხური ეფუძნებოდეს წინა საფეხურზე მიღწეულ შედეგს, ან უკვე არსებულ უნარებს და მისი შესრულება უფრო მცირე დროში გახდეს შესაძლებელი (საშუალოდ 2 კვირაში). მნიშვნელოვანია, რომ მოკლევადიანი მიზნები, ანუ საფეხურები სპეციფიური და ნათლად ფორმულირებული იყოს. სწორედ მათზე დაკვირვებით და მისი აღწერით უნდა გაიზომოს, ანუ შეფასდეს, თუ რამდენად წარმატებულად ან წარუმატებლად ასრულებს ბავშვი ყოველ მომდევნო საფეხურს, რომელსაც საბოლოოდ გრძელვადიან მიზნამდე მივყავართ.

გრძელვადიანი მიზნების ფორმულირების რამდენიმე წესი, სპეციფიური და ნათლად ფორმულირებული მიზანი, ყოველთვის აღწერს თვალსაჩინო და დაკვირვებად ქცევას და აქტივობებს. მოქმედების ბუნდოვან აღწერას სხვადასხვა ადამიანი განსხვავებული ინტერპრეტაციით აღიქვამს და მიზნის ობიექტურად გაზომვის საშუალებას არ იძლევა.

მაგალითისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

| თვალსაჩინო და მკაფიოა | ბუნდოვანია |
|---|---|
| - ამბობს „კიდევ მინდა“, „მოდი“.<br>- შლის წიგნს და ათვალიერებს.<br>- იცავს თამაშის დროს. | - შეუძლია კომუნიკაცია.<br>- უყვარს წიგნი.<br>- თამაშის დროს ადეკვატურია |

გარდა ამისა, მოკლევადიანი მიზნის ფორმულირებისას გაზომვადობისთვის მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს: აქტივობის განხორციელების პირობა (თუ საჭიროა), ანუ რა საშუალებებით შეასრულებს აღსაზრდელი მიზანს, აქტივობა – რა უნდა იქნას მიღწეული, და მიზნის მიღწევის დონის შესაფასებელი კრიტერიუმი, ანუ რა შემთხვევაში ჩაითვლება მიზანი შესრულებულად. მაგალითად: ნიკა მსხვილტარიანი ფანქრის გამოყენებით კონტურის დაცვით გააფერადებს ბურთებს. აქ

მსხვილტარიანი ფანქარი არის დამხმარე საშუალება ანუ პირობა, ბურთების გაფერადება – აქტივობა, ხოლო კონტურების დაცვა მიუთითებს აქტივობის სიზუსტეზე, რაც შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს.

**შესრულების კრიტერიუმი გულისხმობს, თუ რამდენად კარგად ასრულებს აღსაზრდელი ამოცანას და აღწერს დასახულ მიზანს.**

**მასში შეიძლება იგულისხმებოდეს:**

- **შესრულების ხარისხი; მაგ., როგორ შეასრულებს ბავშვი, დამოუკიდებლად თუ დახმარებით;**
- **სისწრაფე: გააკეთებს 30 წამში, 2 წუთის განმვალობაში და ა. შ.**
- **სიზუსტე: მაკრატლით სწორად გაჭრის ხაზს ან გადასცდება ხაზს დაახლოებით 1 სმ-ით;**
- **სიხშირე: 5/3 – 5 მცდელობიდან 3-ჯერ შეასრულებს სწორად და ა. შ.**

ამგვარად, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო-სააღმზრდელო მიზნები სწორადაა შედგენილი, თუ ისინი:

- განისაზღვრება აღსაზრდელის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე;
- აღსაზრდელის აქტუალური საჭიროებების შესატყვისია;
- მიღწევადია და ითვალისწინებს აღსაზრდელის შესაძლებლობებს, სასწავლო-სააღმზრდელო მიღწევებსა და პროგრესს;
- ნათლად (თვალსაჩინოდ) განსაზღვრავს, თუ რისი გაკეთება უნდა შეეძლოს ბავშვს;
- რეალურია განსაზღვრული დროისა და რესურსების გათვალისწინებით.

მოვიყვან ერთ მაგალითს:

## ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა

| |
|---|
| 1. **გრძელვადიანი მიზანი:** ცნობს და ასახელებს რვა ფერს |
| **მიზნის შესრულების საწყისი დონე:** ასახელებს სამ ფერს დახმარებით, პირველი მარცვლის დასახელებით |
| **მოკლევადიანი მიზნები:** |
| 1. ასახელებს ხუთ ფერს უფროსის დახმარებით, პირველი მარცვლის დასახელებით |
| 2. ასახელებს ხუთ ფერს დამოუკიდებლად |
| 3. ასახელებს რვა ფერს უფროსის დახმარებით, პირველი მარცვლის დასახელებით |
| 4. ასახელებს რვა ფერს დამოუკიდებლად |

<table>
<tr><th>მიზნის შესასრულებლად საჭირო აქტივობა, სწავლების მეთოდები</th><th>მატერიალური რესურსი</th><th>აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები<br>(თანამდებობა/სტატუსი, სახელი, გვარი)</th></tr>
<tr><td>ვთხოვოთ ბავშვს, ჯგუფში (ან სახლში) დაგვისახელოს ყველა საგნის ფერი, ჯილდოს ნიშნად ეტიკეტიდან სურათის გაკეთების ნება დავრთოთ.</td><td></td><td>აღმზრდელ-პედაგოგი; აღმზრდელი; დედა; ინკლუზიური განათლების კოორ-დინატორი.</td></tr>
<tr><td>ოთახში დავმალოთ სხვადასხვა ფერის ქაღალდები და ვთხოვოთ ბავშვს, იპოვნოს, პოვნის დროს, ბავშვთან ერთად ხმამაღლა ვასახელებთ ნაპოვნ ფერს, დავიწყოთ იმ ფერით, რომელსაც ბავშვი უკეთესად ცნობს.</td><td>ფერადი ქაღალდები</td><td>„----------“</td></tr>
<tr><td>გამოვიყენოთ შედარებითი წინადა-დებები (მაგ., წითელი, როგორც სახანძრო და ა.შ.) და დავეხმაროთ ბავშვს, ფერების დასახელებისას მათი სახელწოდების გახსენებაში (პაუზის შემთხვევაში ვამბობთ პირველ მარცვალს)</td><td></td><td>„----------“</td></tr>
<tr><td>ყოველდღიურ საქმიანობაში გამო-ვიყენოთ ფერების დასახელება, ვთხოვოთ ბავშვს, საგანი ფერის მიხედვით მოძებნოს. მაგ., ყვითელი ფანქარი, მწვანე ჭიქა;</td><td>ფერადი ქაღალდები; ფერადი ნივთები</td><td>„----------“</td></tr>
<tr><td colspan="3">2. გრძელვადიანი მიზანი: რიგობითი თამაშისას 2-3 ბავშვთან ერთად 20 წუთის განმავლობაში თამაშობს</td></tr>
<tr><td colspan="3">მიზნის შესრულების საწყისი დონე: თამაშობს თავის საყვარელ თამაშებს 5-7 წუთის განმავლობაში.</td></tr>
<tr><td colspan="3">მოკლევადიანი მიზნები:</td></tr>
<tr><td colspan="3">1. რიგობითი თამაშისას 2-3 ბავშვთნ ერთად 5 წუთის განმავლობაში თამაშობს უფროსის ფიზიკური დახმარებით და ვერბალური მითითებით</td></tr>
<tr><td colspan="3">2. რიგობითი თამაშისას 2-3 ბავშვთნ ერთად 10 წუთის განმავლობაში თამაშობს უფროსის ფიზიკური დახმარებით და ვერბალური მითითებით</td></tr>
<tr><td colspan="3">3. რიგობითი თამაშისას 2-3 ბავშვთნ ერთად 15 წუთის განმავლობაში თამაშობს</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| უფროსის დახმარებით ვერბალური მითითებით | | |
| 4. რიგობითი თამაშისას 2-3 ბავშვთან ერთად 20 წუთის განმავლობაში თამაშობს დამოუკიდებლად | | |
| **მიზნის შესასრულებლად საჭირო აქტივობა, სწავლების მეთოდები** | **მატერიალური რესურსი** | **აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები** (თანამდებობა/სტატუსი, სახელი, გვარი) |
| გავმართოთ თამაშები, პატარა წვეულებები, ქვიშაში თამაში, სრიალი, ბავშვები ჩამოვასრიალოთ სასრიალოზე და ვთხოვოთ რიგითობის დაცვა | | აღმზრდელ-პედაგოგი; აღმზრდელი; დედა; ინკლუზიური განათლების კოორ-დინატორი. |
| უფროსები ბავშვების თამაშში არ უნდა ჩაერიონ, უმჯობესია, თვალყურის დევნება, რათა ბავშვებმა თავად შეძლონ თამაშის ორგანიზება | | „----------“ |
| ბავშვები დავსვათ წრიულად და ვთხოვოთ, რიგრიგობით მოგვიყვნენ რაიმე ამბები, დაიწყოს პირველმა და ყოველმა მომდევნომ ახალი წინადადება დაუმატოს | | „----------“ |
| ასევე გავაკეთოთ მცირე ჯგუფი. ბავშვები დასხდებიან და რომელიმე მათგანი აირჩევს კატეგორიას. ბავშვები სიტყვებს რიგრიგობით დაასახელებენ (მაგ., სახელები - მარი, კატო და ა.შ.) | | „----------“ |

**4. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის განხორციელება და მასში ცვლილებების შეტანა.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ამ ნაწილში უნდა დაიწეროს სწავლების ის მეთოდები, სტრატეგიები და მასალები, რომლებიც აღსაზრდელის ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო მიზნების მისაღწევად არის საჭირო. ასევე, იწერება იმ პირების სახელები, გვარები და თანამდებობა/სტატუსი, რომლებიც აღნიშნული მიზნების განხორციელებაზე იქნებიან პასუხისმგებელნი. სპეციალისტთა გუნდი უნდა შეთანხმდეს შემდეგ საკითხებზე:

- სად ხორციელდება დასახულ მიზანზე მუშაობა: სახლში, ბაღის ეზოში, დარბაზში, ჯგუფში და ა.შ;

- სწავლების რა მეთოდები და საშუალებები იქნება გამოყენებული;
- რა სახეობის მატერიალური რესურსია საჭირო, მათ შორის, დამხმარე საშუალებები და მათ მოძიებაზე, უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები;
- რანაირი დახმარება და დახმარების რა ხარისხი იქნება აღსაზრდელისთვის გამართლებული, რათა მისი მაქსიმალური ჩართულობა წახალისდეს და დაბრკოლებებმა მისი ფრუსტრაცია (მოტყუება, ამაო ცდა - ლათ.) არ მოახდინოს;
- აღსაზრდელის ინდივიდუალური დასწრების გრაფიკი (თუ აქვს);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვის/გადაფასების თარიღი.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, მნიშვნელოვანია, აღსაზრდელის საჭიროებების და პროგრესის პერიოდული შეფასების მიზნით, გუნდის წევრები შეთანხმდნენ, თუ რა ფორმით და რა სიხშირით მოხდება აღსაზრდელის მიღწევების მონიტორინგი.

გარკვეული პერიოდულობით (მინიმუმ კვირაში ერთხელ) მონიტორინგის განმახორციელებელი პირი (ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ან გუნდის სხვა წევრი) ბავშვის ქცევაზე დაკვირვებით წერილობით უნდა აღწერდეს და აფასებდეს აღსაზრდელის მიერ მოკლევადიანი მიზნის/მიზნების მიღწევის დონეს.

მიღებული მონაცემების საფუძველზე სპეციალისტთა გუნდი განსაზღვრავს, რამდენად უახლოვდება აღსაზრდელი განსაზღვრულ შედეგს, გრძელვადიან მიზანს, უფრო ზუსტი მიზნების შერჩევის ან მისი ფორმულირებისთვის გარკვეული ცვლილებების განხორციელება ხომ არ არის საჭირო, რამდენად ეფექტურია გუნდის მიერ მიზნის მისაღწევად დასახული მეთოდები და სტრატეგიები და ა. შ. აუცილებელია, ყოველი განსაზღვრული ცვლილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტში აღინიშნოს.

სასწავლო წლის ბოლოს, შემაჯამებელ შეხვედრაზე, გუნდის წევრები განიხილავენ აღსაზრდელის პროგრესის შესახებ ყველა ჩანაწერს, გამოჰყოფენ ბავშვის მიერ მიღწეულ შედეგებს, შენიშვნებს და ბავშვთან შემდგომი მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის ბაღის აღმზრდელის ან სკოლის პედაგოგისთვის განსაზღვრავენ რეკომენდაციებს.

## § 3.4. კვლევა და ანალიზი

კვლევის დაგეგმვაში ორი ფაზაა: დივერგენციის და კონვერგენციის. დივერგენციის ფაზა მკვლევარს არსებულ შესაძლო ვარიანტებს სთავაზობს, კონვერგენციისა კი გაფილტრავს ამ შესაძლებლობებს, შეარჩევს, მათ შორის რომელი ვარიანტია სასურველი, რა რას შეესატყვისება მოცემულ სიტუაციაში რომელი მეთოდი უკეთ იმუშავებს და გადაინაცვლებს მოქმედების გეგმაზე. დივერგენცია ჩვენ გამოვიყენეთ პირველ თავში, სადაც შერჩეული გვქონდა ერთი კითხვარი და მოვიცავით მთელი აჭარა. კვლევის დროისათვის აჭარის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში 10 884 აღსაზრდელი (2-დან 6-წლამდე) აღირიცხებოდა. აქედან ბათუმში - 7 111; ქობულეთში - 1 934; ხელვაჩაურში - 819; ქედაში - 512; ხულოში - 305; შუახევში - 203. მათგან 126 შეზღუდული შესაძლებლობისაა. აქედან 69 ბათუმშია, 26 ხელვაჩაურში, 15 ქობულეთში, 9 ქედაში, 5 შუახევში და 2 ხულოში. კვლევით დადგინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) ბავშვებში ძირითადად სჭარბობს გონებრივი ჩამორჩენა, ცერებრული დამბლა, დაუნისა და აუტიზმის სინდრომები, მცირე რაოდენობით მხედველობისა და სმენის პრობლემები. სკოლამდელი დაწესებულების უმეტესობა ნაწილობრივ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე, მცირე ნაწილს ადაპტაცია საერთოდ არ აქვს, სრულად ადაპტირებული კი მხოლოდ რამდენიმე ბაღია.

აჭარაში ბაღების რაოდენობა ასეთია: ბათუმში - 30, ქობულეთში - 19, ქედაში - 12, ხულოში - 8, ხელვაჩაურში - 7, შუახევში - 5. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა კი ასეა განაწილებული: ბათუმში - 18, ქობულეთში - 16, ქედაში - 9, ხელვაჩაურში - 6, შუახევში - 4. ხულოში - 0. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ბაღების თითქმის 60%-ში არ ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო-სააღმზრდელო გეგმას, შემოიფარგლებიან დამხმარე სპეციალისტების (ლოგოპედი და ფსიქოლოგი) დამატებითი მუშაობით, რასაც, რა თქმა უნდა, სათანადო შედეგი არ მოაქვს.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ბავშვების გამოსაკვლევად ამჯერად გამოვიყენეთ კონვერგენციის ფაზა, რადგანაც ძნელი იყო რომელიმე ერთი მეთოდის მეშვეობით მივსულიყავით შედეგამდე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი კვლევა საქართველოს სინამდვილეში ჯერ არ ჩატარებულა და, ამდენად, ლიტერატურა ან კვლევის რაიმე მეთოდიკა ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა და ყველაფრის მოძიება ჩვენ მოგვიხდა.

როგორც შესავალში ავღნიშნეთ, ჩვენი კვლევის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებაში არსებული შეფერხებების გამოვლენა და მათი დაძლევის მეთოდური გზების შემუშავება. ამ მიზნით შევისწავლეთ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვების უნარ-ჩვევები. დადგინდა საჭიროებები, რომელთა

შესაბამისად გამოვლინდა პედაგოგიური ხერხები და მეთოდური გზები, რომლებიც აღმზრდელ-პედაგოგებს ბავშვის რესურსების გამოვლენასა და იმ უნარების განვითარებაში დაეხმარება, რომლებიც აღსაზრდელის სოციალურ ადაპტაციას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, კვლევის სამიზნე ჯგუფებად შეირჩა ქ. ბათუმის საჯარო ბაღების ინკლუზიურ განათლებაში ჩართული აღსაზრდელები, საკონტროლო ჯგუფებად კი იმ საჯარო ბაღების აღსაზრდელები, რომლებიც ინკლუზიურ განათლებაში არ არიან ჩართული.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა საბავშვო ბაგა-ბაღში ამჟამად არსებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის ანალიზი, რათა დაგვედგინა, რამდენად იყო შესაძლებელი ბავშვის საჭიროებებზე მისი მორგება; სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესაფასებლად გამოვიყენეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის მიერ ერთობლივად შედგენილი დღეს მოქმედი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის აქტივობაში ჩართვის მიზნით სისტემატურად ვაკვირდებოდით აქტივობებს. ჩვენმა გუნდმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვებს შეუდგინა ინდივიდუალურ სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა (ი.ს.გ.). ამდენად, კვლევა იყო არა რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი, ანუ მიმდინარეობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ინდივიდუალური ქეისების შესწავლა.

საჭიროებების შესწავლის საფუძველზე განისაზღვრა მიდგომები, რომლებიც სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს. შემუშავდა და განხორციელდა ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები.

კვლევის განხორციელებისას წავაწყდით შემდეგ სირთულეებს:

1. მონაცემთა შეგროვება. შერჩეული ბაღების თანამშრომლებში დაფიქსირდა კვლევაში მონაწილეობის დაბალი მოტივაცია.

2. მშობელთა უნდობლობა, რაც ინკლუზიურ განათლებასა და მის საჭიროებაზე მცირე ინფორმირებულობით იყო გამოწვეული.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ბავშვების კვლევა ჩატარდა ქ. ბათუმის №7, №8 და №31 ბაღებში. ჩვენთან ერთად კვლევაში მონაწილეობდნენ აღნიშნული ბაღების შესაბამისი ჯგუფების აღმზრდელ-პედაგოგები, აღმზრდელები (თანაშემწე) და ბავშვთა მშობლები. ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგებმა, პირველ ეტაპზე, სასწავლო წლის დასაწყისში ბავშვების განვითარება შეაფასეს შემდეგი სფეროების მიხედვით: ფიზიკური განვითარება, თვითმომსახურება, შემეცნების სფერო, მეტყველების განვითარება, წერისთვის მზაობა, სოციალურ-ემოციური მდგომარეობა.

მეორე ეტაპზე აღმზრდელ-პედაგოგებთან, აღმზრდელებთან და ბავშვების მშობლებთან ერთად გაანალიზდა მიღებული მონაცემები და დაიგეგმა

ინდივიდუალურ სასწავლო-სააღმზრდელო გეგმაზე (ი.ს.გ.) მუშაობა - განისაზღვრა გრძელვადიანი და მისი შესაბამისი მოკლევადიანი მიზნები, დაიგეგმა მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობები, შემუშავდა სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყვნენ აღმზრდელ-პედაგოგები.

მესამე ეტაპზე მიმდინარეობდა გეგმის მონიტორინგი, გადაფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების შეტანა. წლის ბოლოს (2016 და 2017 წ.), ზემო აღნიშნული სფეროების მიხედვით, ბავშვები ისევ შეფასდნენ, რამაც ბავშვთა მიღწევების დინამიკაში მეთვალყურეობის საშუალება მოგვცა.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ბავშვები შეფასდნენ სასწავლო წლის დასაწყისში და ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის განხორციელების შემდეგ (2016; 2017). კვლევის შედეგები მონაცემების შედარების, გაანალიზების და დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს.

ცხრილი 1. ფიზიკური განვითარება

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2016 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 6 – 35% | 8 – 47% | 11 – 65% | 5 - 30% |
| 2 | 8 - 47% | 11 –65% | 14 – 82% | 6 - 35% |
| 3 | 2 – 12% | 3 –18% | 5 – 30% | 3 - 18% |
| 4 | 9 – 53% | 12 - 70% | 15– 88% | 6 - 35% |
| 5 | 6 - 35% | 8 - 47% | 11 - 65% | 5 - 30% |
| 6 | 1 – 6% | 2 - 12% | 4 - 24% | 3 - 18% |
| 7 | 7 - 41% | 10 – 59% | 13 – 76% | 6 - 35% |
| 8 | 6 - 35% | 9 - 53% | 12– 70% | 6 - 35% |

დიაგრამა 1. ფიზიკური განვითარება




ფიზიკური განვითარება (ცხრ. 1). ცხრილში დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. მაგ., ცდის პირი 1 (ზავშვების ასეთი აღნიშვნა მოხდა კონფედენციალობიდან გამომდინარე) - მისი საწყისი მონაცემი იყო 39%, ანუ ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობების 29%-ს, 2016 წელს ი. ს. გ.-ს განხორციელების შემდეგ სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობა გაიზარდა 38%-მდე, 2017 წელს კი 63%-მდე, ანუ სწორად შესრულებული აქტივობების საერთო რაოდენობა გაიზარდა 38%-ით (ასე დეტალურად არ განიხილება ყველა შემთხვევა, ეს კარგად ჩანს ამ და სხვა ცხრილებში). ასეთივე შედეგი გვაქვს მე-5 ცდის პირთან. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების ხარისხის 35%-იანი ზრდა არის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 ცდის პირებთან. შედარებით ნაკლები წარმატების ხარისხი - 18%, არის მე-3 და მე-6 ცდის პირებთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მათ აქვთ ფიზიკური პრობლემა - კუნთები ტონუსურ მდგომარეობაში, შესაბამისად, განვითარებაც ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 30%.

ცხრილი 2. თვითმომსახურება

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |

| | 2015 წ. | 2016 წ. | 2017 წ. | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 - 25% | 3 - 38% | 5 - 63% | 3 - 38% |
| 2 | 3 - 38% | 5 - 63% | 7 - 88% | 4 - 50% |
| 3 | 1 - 13% | 2 - 25% | 3 - 38% | 2 - 25% |
| 4 | 3 - 38% | 5 - 63% | 7 - 88% | 4 - 50% |
| 5 | 2 - 25% | 3 - 38% | 5 - 63% | 3 - 38% |
| 6 | 1 - 13% | 2 - 25% | 3 - 38% | 2 - 25% |
| 7 | 3 - 38% | 5 - 63% | 7 - 88% | 4 - 50% |
| 8 | 2 - 25% | 4 - 50% | 6 - 75% | 4 - 50% |

დიაგრამა 2. თვითმომსახურება




თვითმომსახურება (ცხრ. 2). როგორც წინა შემთხვევაში, ამ ცხრილშიც დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 50%-იანი ზრდა არის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 ცდის პირებთან. შედარებით ნაკლებია წარმატების ხარისხი - 38%,

პირველ  და მე-5 ცდის პირებთან, ხოლო 25%-იანი ზრდა აღინიშნება მე-3 და მე-6 ცდის პირებთან.  როგორც ზემოთ ითქვა, მათ კუნთები აქვთ ტონუსურ მდგომარეობაში, შესაბამისად განვითარებაც ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 38%.

ცხრილი 3. შემეცნებითი სფერო

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2016 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 2 – 11% | 4 – 22% | 7 – 39% | 5 – 28% |
| 2 | 3 – 17% | 6 – 33% | 9– 49% | 6 - 33% |
| 3 | 4 - 22% | 6 - 33% | 8 – 44% | 4 - 22% |
| 4 | 5 - 28% | 8 - 44% | 11– 61% | 6 - 33% |
| 5 | 3 - 17% | 5 - 28% | 8 - 44% | 5 - 27% |
| 6 | 4 - 22% | 7 - 39% | 11 – 60% | 5 - 27% |
| 7 | 8 - 44% | 11 - 60% | 15 – 83% | 7 - 39% |
| 8 | 4 - 22% | 7 - 39% | 10 - 55% | 6 - 33% |

დიაგრამა 3. შემეცნებითი სფერო




შემეცნებითი სფერო (ცხრ. 3). ამ ცხრილშიც დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 39%-იანი ზრდა არის მხოლოდ მე-7 ცდის პირთან. მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ცდის პირებთან ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობა 33%-ით გაიზარდა. წარმატების ხარისხი შედარებით ნაკლებია - 28%, პირველ და მე-5 ცდის პირებთან, ხოლო 22%-იანი ზრდა არის მხოლოდ მე-3 ცდის პირთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი გონებრივად ჩამორჩება. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 33%.

ცხრილი 4. მეტყველების განვითარება

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2016 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 1 – 9% | 2 – 18% | 3 – 27% | 2 - 18% |
| 2 | 2 - 18% | 4 – 36% | 7 – 63% | 5 – 45% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | 1 - 9% | 2 - 18% | 4 - 36% | 3 - 27% |
| 4 | 3 - 27% | 5 - 45% | 8 – 72% | 5 - 45% |
| 5 | 2 - 18% | 5 - 45% | 8 – 72% | 6 - 54% |
| 6 | 3 - 27% | 5 - 45% | 8 – 72% | 5 - 45% |
| 7 | 4 - 36% | 7 - 64% | 10 – 90% | 6 - 54% |
| 8 | 2 - 18% | 4 - 36% | 7 - 63% | 5 - 45% |

დიაგრამა 4. მეტყველების განვითარება




მეტყველების განვითარება (ცხრ. 4). ამ ცხრილშიც დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 54%-იანი ზრდა არის მე-5 და მე-7 ცდის პირებთან. მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ცდის პირებთან ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობა 45%-ით გაიზარდა. წარმატების მაჩვენებელი შედარებით ნაკლები - 27%, არის მე-5 ცდის პირთან, ხოლო 18%-იანი ზრდა მხოლოდ პირველ ცდის პირთან აღინიშნება. ბოლო ორს აქვს მეტყველების პრობლემა. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 45%.

ცხრილი 5. წერისათვის მზაობა

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2016 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 0 | 1 – 11% | 2 – 22% | 2 – 22% |
| 2 | 1 - 11% | 2 - 22% | 3 – 33% | 2 - 22% |
| 3 | 2 - 22% | 4 – 44% | 6 – 67% | 4 - 44% |
| 4 | 2 - 22% | 4 - 44% | 6 – 67% | 4 - 44% |
| 5 | 1 - 11% | 2 - 22% | 4 - 44% | 3 - 33% |
| 6 | 1 - 11% | 3 - 33% | 5 - 56% | 4 - 44% |
| 7 | 0 | 1 - 11% | 2 - 22% | 2 – 22% |
| 8 | 1 - 11% | 2 - 22% | 3 - 33% | 2 - 22% |

დიაგრამა 5. წერისათვის მზაობა



წერისათვის მზაობა (ცხრ. 5). ყველაზე ნაკლები შედეგი დაფიქსირდა წერის უნარის განვითარებაში, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია წვრილი მოტორიკის პრობლემებით, რომლის განვითარებას გაცილებით დიდი დრო სჭირდება. ამის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს თვალის და ხელის კოორდინირებულ მოქმედებას, რომელიც სსსმ ბავშვებს სუსტად აქვთ განვითარებული და ამასაც ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება. ყველაზე ნაკლები შედეგი - 22%-იანი ზრდა, არის პირველ, მე-2, მე-7 და მე-8 ცდის პირებთან. შესაბამისად, მათთან საჭიროა ინდივიდუალური გეგმის გადაფასება, მიზნების დახვეწა და აქტივობების კიდევ უფრო გამარტივება. ისინი მომავალშიც, ვიდრე სკოლაში არ შევლენ, ჩვენი აქტიური დაკვირვების ობიექტები იქნებიან. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 44%-იანი ზრდა არის მე-3, მე-4 და მე-6 ცდის პირებთან, 33%-იანი ზრდა კი მხოლოდ მე-5 ცდის პირთან აღინიშნა. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების ზრდის საშუალო მაჩვენებელია 33%.

ცხრილი 6. სოციალურ-ემოციური განვითარება

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2016 წ. | ი.ს.გ. განხორციელების შემდეგ 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 2 – 14% | 3 – 21% | 5 – 35% | 3 - 21% |
| 2 | 5 - 35% | 8 – 56% | 11 – 77% | 6 – 42% |
| 3 | 2 - 14% | 4 - 28% | 7 - 49% | 5 - 35% |
| 4 | 4 – 28% | 7 - 49% | 10 – 70% | 6 – 42% |
| 5 | 2 - 14% | 4 - 28% | 6 - 42% | 4 - 28% |
| 6 | 3 - 21% | 5 - 35% | 8 - 56% | 5 - 35% |
| 7 | 4 - 28% | 7 - 49% | 10 – 70% | 6 - 42% |
| 8 | 3 - 21% | 5 - 35% | 7 - 49% | 4 - 28% |

დიაგრამა 6. სოციალურ-ემოციური განვითარება




სოციალურ-ემოციური განვითარება (ცხრ. 6). ამ ცხრილშიც დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 42%-იანი ზრდა არის მე-2 მე-4 და მე-7 ცდის პირებთან. მე-3 და მე-6 ცდის პირებთან ეს მაჩვენებელი 35%-ით გაიზარდა. წარმატება შედარებით ნაკლებია - 28%, მე-5 და მე-8 ცდის პირებთან, 21%-იანი ზრდა კი მხოლოდ პირველ ცდის პირს აღენიშნა. ნაკლები შედეგის მიზეზი ის არის, რომ უჭირთ თანატოლებთან ღია ურთიერთობა, შესაბამისად, აღმზრდელ-პედაგოგებმა ამ კუთხით მათთან მუშაობა უნდა გააააქტიურონ. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 35%.

წლის დასაწყისსა და ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის განხორციელების შემდეგ ჩატარებული კვლევის მონაცემებით ნათელი გახდა, რომ ჩვენმა ჩარევამ სსსმ ბავშვების წინსვლა განაპირობა. ნაკლები წარმატება ლოგიკურ პროცესად მიგვაჩნია, რადგან, სადღეისოდ, ადრეულ და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში ინკლუზიურ განათლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ეფექტურობის გაზრდის საჭიროება გამოავლინა.

კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში დადგინდება ბავშვის განვითარებაში შეფერხება და განისაზღვრება საჭიროებები, მით მეტია მათი უნარების გამომუშავების და სოციალური ადაპტაციის

შესაძლებლობა. დროულად შედგენილი და განხორციელებული ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა ხელს შეუწყობს აღსაზრდელის განვითარებას.

ახლა განვიხილოთ, რა შედეგები გვაქვს საკონტროლო ბაღებში. ქ. ბათუმში საკვლევად შევარჩიეთ საკონტროლო საბავშვო ბაღები (მე-9, მე-11 და მე-17). შეფასება ჩატარდა იმავე მეთოდით, ოღონდ ამ ბავშვებისათვის არ შედგენილა ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა და არ მომხდარა მათ საჭიროებებზე აქტივობების მორგება. შესაბამისად, აქ ინკლუზიური განათლება არ განხორციელდა. კვლევა ჩატარდა 2015 წელს, სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო წლების ბოლოს - 2016 და 2017 წლებში:

ცხრილი 7. ფიზიკური განვითარება

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2016 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 4 - 24% | 5 – 30% | 7 – 42% | 3 - 18% |
| 2 | 2 - 12% | 3 – 18% | 4 – 24% | 2 – 12% |
| 3 | 4 - 24% | 6 - 36% | 8 - 48% | 4 - 24% |
| 4 | 2 - 12% | 3 - 18% | 5 - 30% | 3 - 18% |
| 5 | 5 - 30% | 7 - 42% | 10 - 60% | 5 - 30% |
| 6 | 3 - 18% | 5 - 30% | 7 - 42% | 4 - 24% |
| 7 | 6 - 36% | 8 - 48% | 11 – 66% | 5 - 30% |

დიაგრამა 7. ფიზიკური განვითარება




ფიზიკური განვითარება (ცხრ. 7). ცხრილში დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. აქაც დეტალურად განიხილება ერთ ცდის პირი. მაგ., პირველი ცდის პირი. მისი საწყისი მონაცემი იყო 24%, ანუ ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობების 24%-ს. 2016 წლის ბოლოს სწორად შესრულებული აქტივობ-ების რაოდენობა გაიზარდა 30%-მდე, ხოლო 2017 წელს 42%-მდე, ანუ სწორად შესრულებული აქტივობების საერთო რაოდენობამ 18%-ით იმატა (ასე დეტალურად არ განიხილება ყველა შემთხვევა, რაც კარგად ჩანს როგორც ამ, ისე სხვა ცხრილებში). ასეთივე შედეგი გვაქვს მე-4 ცდის პირთან. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების ხარისხის 30%-იანი ზრდა არის მე-5 და მე-7 ცდის პირებთან. წარმატების ხარისხი შედარებით ნაკლებია - 24%, მე-3 და მე-6 ცდის პირებთან, ხოლო მე-2 ცდის პირთან იგი 12% - ს შეადგენს. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 20%.

ცხრილი 8. თვითმომსახურება

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2016 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 3 - 39% | 4 – 52% | 6 – 78% | 3 - 39% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | 1 – 13% | 2 - 26% | 3 - 39% | 2 - 26% |
| 3 | 1 – 13% | 2 - 26% | 3 - 39% | 2 - 26% |
| 4 | 1 – 13% | 1 – 13% | 2 - 26% | 1 – 13% |
| 5 | 3 - 39% | 4 – 52% | 6 – 78% | 3 - 39% |
| 6 | 1 - 13% | 2 - 26% | 3 - 39% | 2 - 26% |
| 7 | 3 - 39% | 4 – 52% | 6 – 78% | 3 - 39% |

დიაგრამა 8. თვითმომსახურება




თვითმომსახურება (ცხრ. 8). როგორც წინა შემთხვევაში, ამ ცხრილშიც დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 39%-იანი ზრდა არის პირველ, მე-5 და მე-7 ცდის პირებთან. შედარებით ნაკლებია წარმატების ხარისხი - 26%, მე-2, მე-3 და მე-6 ცდის პირებთან, ხოლო 13%-იანი ზრდა არის მე-4 ცდის პირთან. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 30%.

ცხრილი 9. შემეცნებითი სფერო

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2016 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 3 – 17% | 4 – 22% | 6 – 34% | 3 – 17% |
| 2 | 2– 11% | 3 – 17% | 4 - 22% | 2– 11% |
| 3 | 3 – 17% | 5 - 28% | 7 - 39% | 4 - 22% |
| 4 | 1 - 5% | 2– 11% | 4 – 22% | 3 – 17% |
| 5 | 3 - 17% | 5 - 28% | 7 - 39% | 4 - 22% |
| 6 | 1 - 5% | 2– 11% | 4 – 22% | 3 – 17% |
| 7 | 2– 11% | 3 – 17% | 5 - 28% | 3 – 17% |

დიაგრამა 9. შემეცნებითი სფერო



შემეცნებითი სფერო (ცხრ. 9). ამ ცხრილშიც დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 22%-იანი ზრდა არის მე-2 და მე-5 ცდის პირებთან. პირველ, მე-4, მე-6 და მე-7 ცდის პირებთან ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობა 17% - ით გაიზარდა. შედარებით ნაკლებია წარმატების ხარისხი - 11%, მე-2 ცდის პირთან. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 18%.

ცხრილი 10. მეტყველების განვითარება

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2016 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 3 - 27% | 4 – 36% | 5 – 45% | 2- 18% |
| 2 | 1 - 9% | 2 – 18% | 3 – 27% | 2 – 18% |
| 3 | 2 - 18% | 3 - 27% | 4 - 36% | 2 - 18% |
| 4 | 1- 9% | 1 - 9% | 2 - 18% | 1 - 9% |
| 5 | 2 - 18% | 3 - 27% | 5 – 45% | 3 - 27% |
| 6 | 2 - 18% | 3 - 27% | 4 - 36% | 2 - 18% |
| 7 | 3 - 27% | 4 – 36% | 6 – 54% | 3 - 27% |

დიაგრამა 10. მეტყველების განვითარება




მეტყველების განვითარება (ცხრ. 10). ამ ცხრილშიც დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 27%-იანი ზრდა არის მე-5 და მე-6 ცდის პირებთან. პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 ცდის პირებთან ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობა 18%-ით გაიზარდა, ხოლო 9%-იანი ზრდა არის მხოლოდ მე-4 ცდის პირთან. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 19%.

ცხრილი 11. წერისათვის მზაობა

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი 2015 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2016 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |
| 1 | 2 - 22% | 3 - 33% | 4 - 44% | 2 – 22% |
| 2 | 1 - 11% | 1 - 11% | 2 – 22% | 1 - 11% |
| 3 | 2 - 22% | 3 - 33% | 4 - 44% | 2 – 22% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | 0% | 1 - 11% | 1 - 11% | 1 - 11% |
| 5 | 2 - 22% | 2 - 22% | 3 - 33% | 1 - 11% |
| 6 | 0% | 0% | 1 - 11% | 1 - 11% |
| 7 | 1 - 11% | 2 - 22% | 3 - 33% | 2 – 22% |

დიაგრამა 11. წერისთვის მზაობა




წერისათვის მზაობა (ცხრ. 11). აქაც ყველაზე ნაკლები შედეგი წერის უნარის განვითარებაშია. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 22%-იანი ზრდა არის პირველ, მე-3 და მე-7 ცდის პირებთან, ხოლო 11%-იანი ზრდა აღინიშნება მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 ცდის პირებთან. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა 16% - ია.

ცხრილი 12. სოციალურ-ემოციური განვითარება

| ცდის პირი | ყოველთვის სწორად ასრულებს აქტივობას | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისი | სასწავლო წლის ბოლო 2016 წ. | სასწავლო წლის ბოლო 2017 წ. | სწორად შესრულების ხარისხის ზრდა |

| | 2015 წ. | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 3 – 21% | 4 - 28% | 6 – 42% | 3 - 21% |
| 2 | 2 - 14% | 3 – 21% | 5 - 35% | 3 - 21% |
| 3 | 4 - 28% | 6 – 42% | 8 - 56% | 4 - 28% |
| 4 | 1 – 7% | 2 - 14% | 4 - 28% | 3 - 21% |
| 5 | 3 - 21% | 5 - 35% | 7 - 49% | 4 - 28% |
| 6 | 1 – 7% | 2 - 14% | 3 – 21% | 2 - 14% |
| 7 | 2 - 14% | 4 - 28% | 6 – 42% | 4 - 28% |

დიაგრამა 12. სოციალურ-ემოციური განვითარება




სოციალურ-ემოციური განვითარება (ცხრ. 12). ამ ცხრილშიც დეტალურად არის მოცემული თითოეული ცდის პირის წინსვლა. ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობის 28%-იანი ზრდა არის მე-3, მე-5 და მე-7 ცდის პირებთან. პირველ, მე-2 და მე-4 ცდის პირებთან ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების რაოდენობა 21%-ით გაიზარდა, ხოლო 14%-იანი ზრდა არის მხოლოდ მე-6 ცდის პირთან. ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა არის 23%.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია, ადრეულ ასაკში მოხდეს სსსმ ბავშვების ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა. მათთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების დროულად მიწოდება, პრობლემის სწრაფად გამოსწორების საწინდარი გახდება.

ჩვენი კვლევა მიმდინარეობდა 2015-2017 წლებში და შედეგები კარგად იკვეთება სფეროების მიხედვით:

*ფიზიკური განვითარება.* ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ბავშვებთან არის 30%, ხოლო საკონტროლო ბაღებში კი - 20%.

თვითმომსახურება - ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ბავშვებთან არის 38%, საკონტროლო ბაღების ბავშვებთან კი 30%.

შემეცნებითი სფერო - ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ბავშვებთან წარმატების საშუალო ზრდა არის 33%, ხოლო საკონტროლო ბაღების ბავშვებთან 18%.

მეტყველების განვითარება - ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ბავშვებთან არის 45%, საკონტროლო ბაღების ბავშვებთან კი 19%-ს შეადგენს.

წერისათვის მზაობა - ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ბავშვებთან, არის 33%. ეს მაჩვენებელი საკონტროლო ბაღების ბავშვებთან საშუალოდ 16%-ია.

სოციალურ-ემოციური განვითარება - ამ სფეროში ყოველთვის სწორად შესრულებული აქტივობების საშუალო ზრდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ბავშვებთან არის 35%, საკონტროლო ბაღების ბავშვებთან კი 23%-ით გაიზარდა.

ჩვენს მიერ თეორიულად და ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა დაწესებულებებში აუცილებელია, დროულად დადგინდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის საჭიროებები და მოხდეს მათი ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა. ბავშვის განვითარებას ხელს უწყობს ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის დროული შედგენა და განხორციელება.

კვლევის შედეგად შემუშავდა პედაგოგიური მიდგომები, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სათანადოდ განვითარებას და სწავლის შედგომ საფეხურზე პრობლემების შემცირებას შეუწყობს ხელს.

კვლევამ დაგვანახა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების განვითარებაში შეფერხების დროულ გამოვლენას და მათზე ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის შედგენას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს მშობელთა ცნობიერების გაზრდას, რასაც ინ-კლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებაში გადამწყვეტი როლი აკისრია.

## დასკვნები და რეკომენდაციები

- ამდენად, ინკლუზიური განათლების ძირითადი ღირებულებებია: ბავშვების სოციალური ინტეგრაცია; თანადგომისა და ურთიერთდახმარების გარემოს შექმნა; განსხვავებულობის აღიარება და პატივისცემა; ყურადღების გამახვილება არა შეზღუდვასა და სისუსტეებზე, არამედ ძლიერ მხარეებზე; ყველა ბავშვისთვის ეფექტიანი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო პირობების შექმნა; ბავშვებში თანასწორობის სოციალური ღირებულების დანერგვა.
- ინკლუზიური განათლების მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვი ჯგუფის სრულუფლებიანი წევრია. ინკლუზიური განათლება მოითხოვს აღმზრდელების, ბაღის ადმინისტრაციის და ინკლუზიური განათლების კოორდინატორის დაუღალავ შრომას, რათა გაძლიერდეს და განვითარდეს სსსმ ბავშვის შესაძლებლობები, გაუმჯობესდეს მისი განვითარების მდგომარეობა, ხელი შეეწყოს აღსაზრდელის სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, მოამზადოს აღსაზრდელი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად წარიმართოს მისი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.
- კვლევებით დადგინდა, რომ ინკლუზიური განათლების პრინციპებია - ყველა ბავშვს ჰქონდეს სწავლის შესაძლებლობა. ისინი ყველაზე კარგად მაშინ სწავლობენ, როცა ერთად მეცადინეობენ. პროგრესი დამოკიდებულია ბავშვის ინდივიდუალური, ძლიერი მხარეების გამოყენებაზე და არა აღქმული დეფიციტების ხაზგასმაზე. ბავშვებს აქვთ უფლება, ჩაერთონ საზოგადოების და ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- სკოლამდელ დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების გადამწყვეტი ფაქტორებია: უნივერსალური დიზაინის კონცეფცია, როგორც ინკლუზიური განათლების საფუძველი; ბაგა-ბაღის დიზაინი; მასალების მრავალფეროვნება. ინკლუზიური გარემოსთვის ასევე არსებითია, აღმზრდელ-პედაგოგები და ადმინისტრაცია რამდენად ღია, მიმღებლურ და კეთილმოსურნე გარემოს ქმნიან ყველა ბავშვის, მათი ოჯახებისა და, ზოგადად, საზოგადოებისთვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგს, დამატებითი პერსონალის არსებობას და იმას, თუ როგორ გამოიყენება მათი რესურსები, აგრეთვე ინდივიდუალიზაციას, ყველასთან ინდივიდუალურ მიდგომას, გარემოს, მასალას, აღჭურვილობას, პრაქტიკის ადაპტაციის ზუსტ განსაზღვრას და თანმიმდევრულად მიყოლას, ადაპტაციის რეგულარულ შეფასებას.
- ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროების მქონე ბავშვების ყოველდღიური სწავლება და

თანატოლებთან ერთად განვითარება. აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური განათლება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და იგი სსსმ ბავშვების განვითარებისა და განათლების სხვადასხვა ფორმას აერთიანებს. ესენია: სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.

- ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვა. კერძოდ, ბავშვებისადმი კეთილგან-წყობილი გარემოს შექმნა, ბავშვების ინდივიდუალური განსხვავებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება, ყველა ბავშვისთვის განვითარებისა და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და მთლიან სააღმზრდელო საქმიანობაში თანამონაწილეობა. კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სკოლამდელი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების უმთავრესი ამოცანაა.
- ინკლუზიური განათლების კეთილგანწყობილ გარემოში ბავშვები ხდებიან მეტად თავდაჯერებულები, უვითარდებათ მაღალი თვითშეფასება, სწავლობენ დამოუკიდებლობას და ა. შ. ასევე კეთილგანწყობილი გარემო ბავშვებს ყოველდღიურ უნარ-ჩვევებსა და ცხოვრების ჯანსაღ წესს ასწავლის, გამორიცხავს მათზე ძალადობას, ფიზიკურ დასჯას.
- ბავშვის საჭიროებებზე მორგებული ადრეული აღზრდა-განათლება ხელს უწყობს აღსაზრდელების განვითარების სტიმულირებას და პრობლემების სკოლაში შესვლამდე დაძლევას. ამგვარად, ადრეული ინკლუზია უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე აღსაზრდელის მეტ-ნაკლებად მზაობას სკოლისათვის.
- აღმზრდელ-პედაგოგი, მშობელთან და სპეციალისტებთან შეთანხმებით, აღსაზრდელისთვის პრიორიტეტების მიხედვით არჩევს გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებს, ქმნის და ნერგავს სათამაშო/სასწავლო და ყოველდღიურ აქტივობებს, პროგრამების განსახორ-ციელებლად, გუნდის სხვა სპეციალისტებთან ერთად, მოიძიებს რესურსებს და აფასებს მათ მუშაობას.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში ადრეული ჩართვა მას გარემოსთან ადაპტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში შეუწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ადრეული ინკლუზია ასეთი ბავშვის ოჯახს საზოგადოების მიერ უარყოფის და იზოლაციის შიშით გამოწვეული სტრესის დაძლევაში დაეხმარება.
- ინკლუზიური განათლების პრინციპის დაცვა მას კარგად ორგანიზებულს ხდის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები მონაწილეობენ სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას. მათი

მშობლები, აღმზრდელებთან ერთად, ჩართული არიან ბავშვთა სწავლების პროცესში და საბავშვო ბაღში ურთიერთპატივისცემის და კეთილგანწყობის ატმოსფერო სუფევს.

- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სადღეისოდ აჭარის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში აღსაზრდელთა რაოდენობა არის - ბათუმში - 7 111, ქობულეთში - 1 934, ხელვაჩაურში - 819, ქედაში - 512, ხულოში - 305, შუახევში - 203. მათგან შეზღუდული შესაძლებლობისაა - ბათუმში - 69, ხელვაჩაურში - 26, ქობულეთში - 15, ქედაში - 9, შუახევში - 5 და ხულოში - 2 ბავშვი.
- კვლევით დადგინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) ბავშვებში ძირითადად ჭარბობს გონებრივი ჩამორჩენა, ცერებრული დამბლა, მცირე რაოდენობით დაუნის, ჰიპერაქტიურობისა და აუტიზმის სინდრომები. სკოლამდელ დაწესებულებათა უმეტესობა ნაწილობრივ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე, მცირე ნაწილს ადაპტაცია საერთოდ არ აქვს. ამ მხრივ მხოლოდ ერთეული ბაღებია სრულყოფილი.
- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აჭარაში 81 ბაღი მოქმედებს. აქედან 30 ბათუმშია, 19 ქობულეთში, 12 ქედაში, 8 ხულოში, 7 ხელვაჩაურში და 5 შუახევში. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა კი ასე გადანაწილდა: ბათუმი - 18, ქობულეთი - 16, ქედა - 9, ხელვაჩაური - 6, შუახევი - 4, ხულო - 0. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვის მხრივ აჭარაში სახარბიელო მდგომარეობა არ არის. ბაღების სამოცამდე პროცენტს მათთვის ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა ჯერ კიდევ არ შეუდგენია, სსმ ბავშვები ნაკლებად ჰყავთ ჩართული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, მხოლოდ დამხმარე სპეციალისტების - ლოგოპედის და ფსიქოლოგის დამატებითი მუშაობით შემოიფარგლებიან, რასაც, რა თქმა უნდა, სათანადო შედეგი არ მოაქვს.
- ინკლუზიურ განათლებაში განსაკუთრებულ შედეგს მივაღწევთ, როდესაც ჯგუფის აღმზრდელი, მშობელთან და ბაღის პერსონალთან თანამშრომლობის (ადმინისტრაცია, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, აღმზრდელის თანაშემწე და ა.შ) საფუძველზე, სწავლა-აღზრდის პროცესში თითოეული ბავშვის მოთხოვნილებებს და საჭიროებებს გაითვალისწინებს.
- ბავშვისადმი მიცემული ნებისმიერი დავალება მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს. ბავშვებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს ყველასათვის ერთნაირად მნიშვნელოვანი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის აღსაზრდელის თვითშეფასების

ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

- კვლევებმა გვიჩვენა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ ბავშვის განვითარების თავისებურებები, რათა სწორად განსაზღვრონ მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოქმედი ფაქტორები. ამასთან ეს აღმზრდელ-პედაგოგს დაეხმარება, სწორად დაგეგმოს და განახორციელოს აქტივობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან, აღსაზრდელის საჭიროებებს მოარგოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.
- როცა აღმზრდელ-მასწავლებლები დამოუკიდებელ მოქმედებას უქებენ, ბავშვს უვითარდება ავტონომიის განცდა, იმის შეგრძნება, რომ მას შეუძლია, ბევრ ამოცანას და პრობლემას თავად გაუმკლავდეს. და თუ აღმზრდელები ბავშვს ისეთი ამოცანების შესრულების უფლებას არ აძლევენ, რაც მას უკვე შეუძლია და დასცინიან მის მცდელობებს, იყოს დამოუკიდებელი, ბავშვს საკუთარი შესაძლებლობების მიმართ სირცხვილის და ეჭვის გრძნობა უყალიბდება.
- მშობლებმა და ბაღის აღმზრდელებმა უნდა წაახალისონ ბავშვების მცდელობები და, ამავე დროს, დაეხმარონ რეალისტური და შესაფერისი არჩევანის გაკეთებაში. ამ დროს პატარებს უვითარდებათ ინიციატივის გრძნობა, საქმიანობების დამოუკიდებლად დაგეგმვის და შესრულების უნარი. თუ მოზრდილები ბავშვებს იმის უფლებას არ აძლევენ, რომ ამოცანებს თვითონვე გაუმკლავდნენ, ამასთან თვლიან, რომ მათი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა სასაცილო და მომაბეზრებელია, მაშინ ბავშვებს საკუთარი მოთხოვნილებების და სურვილების მიმართ უნდობლობის გრძნობა უჩნდებათ.
- განვითარების უახლოესი ზონა არის მანძილი ბავშვის რეალური (ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარს - „მე თვითონ“) და პოტენციური განვითარების დონეებს (ამოცანების სხვების დახმარებით გადაჭრის უნარი) შორის. ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა მოიცავს სწავლის და პრობლემების გადაჭრის უნარებს, რომლებიც მხოლოდ ახლა იწყებს აღმოცენებას და განვითარებას.
- ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები ყალიბდება მემკვიდრეობისა და გარეგანი ზემოქმედებით შეძენილი მონაცემების საფუძველზე. გენეტიკურ ფაქტორებს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტის, ტემპერამენტის, ვერბალური შესაძლებლობის, კომუნიკაბელურობის, ხოლო გარემო ფაქტორებს - ღირებულების, იდეალებისა თუ მრწამსის ფორმირებისთვის.
- სამუშაო ოთახში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემო რომ შეიქმნას, აღმზრდელ-მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

კარგად გაიაზროს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მახასიათებლები; აღიაროს, რომ აუცილებელია გარკვეული მოდიფიკაციები; შექმნას თავისუფალი გადაადგილების პირობები; აქტივობების დროს მაქსიმალურად გამოიყენოს თვალსაჩინოება; აქტივობები დაყოს მცირე ინტერვალებად; გააკეთოს ჩანაწერები.

- გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვათა მათ მიმართ დამოკიდებულება. ისინი ძალიან მწვავედ რეაგირებენ, თუ ვერ გრძნობენ საკუთარი თავის მიმართ სითბოს, სიყვარულს და კეთილგანწყობას. მათთან მუშაობისას აი, რა უნდა გაითვალისწინოს აღმზრდელ-პედაგოგმა: პრაქტიკულად, მოქმედებაში აჩვენოს, რას ითხოვს მისგან; მოქმედება დაჰყოს პატარ-პატარა, თანმიმდევრულ ნაბიჯებად; ეცადოს ბავშვის ინტერესისა და მოტივაციის ამაღლება; გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვს, ათვისებული ჩვევების და გარკვეული ცოდნის შემთხვევაშიც, ესაჭიროება შეხსენება და მიმართულების მიცემა; გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვის სწავლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამეორებას.
- დაუნის სინდრომი ქრომოსომული დაავადებაა, რომლის მიზეზსაც მშობლების სასქესო უჯრედების გაყოფის პროცესში წარმოშობილი დარღვევა წარმოადგენს. ამის შედეგად ნაყოფის უჯრედებში 46 - ის ნაცვლად 47 ქრომოსომა ხვდება.
- დამტკიცებულია, რომ დაუნის სინდრომის დადგენისას, ადრეული ჩარევა და რეაბილიტაცია ძალიან კარგ შედეგებს იძლევა როგორც ინტელექტუალური, ასევე ემოციური თვალსაზრისით. ამდენად, მათთან მუშაობისას აღმზრდელ-პედაგოგებს ვურჩევთ: გამოიყენონ მულტი-მოდალური მიდგომა და რაც შეიძლება მეტი კონკრეტული მაგალითი და ყოფითი სიტუაცია სწავლებისათვის; დავალებები ყოველთვის დაჰყონ პატარა ეტაპებად და ყოველი ეტაპის წინ ბავშვი უზრუნველყონ ახალი ინსტრუქციით; აქტივობის განმავლობაში, ყურადღების კონცენტრაციის გაზრდის მიზნით, ბავშვს ხშირად გაუმეორონ ინსტრუქციები; ახალი მასალის მიწოდებისას ეცადონ, მეტყველების ტემპი იყოს შენელებული, მასალა კარგად სტრუქტურირებული (მარტივიდან - რთულისკენ), მოვლენები ერთმანეთთან ლოგიკურად იყოს დაკავშირებული და ა.შ.
- უმჯობესია, აღმზრდელ-პედაგოგმა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი იმ ჯგუფურ აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად წაახალისოს, რომელიც ორივე ხელის გამოყენებას მოითხოვს და მარტო დაზიანებული ხელის გავარჯიშებაზე არ იყოს ფოკუსირებული. ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია კი ბავშვებს თვითშეფასების ამაღლებასა და ემოციური სტაბილურობის მოპოვებაში ეხმარება.

- აუტისტ ბავშვებს ინფორმაციის ვიზუალური სახით მიწოდება კომუნიკაციის დამყარებასა და კომუნიკაციის ენის განვითარებაში ეხმარება. ასევე, შესაძლებელია ბავშვისთვის სურათების მეშვეობით ურთიერთობის სწავლება, რაც მას თვითშეფასების ამაღლებაში, გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საკუთარი თავისადმი რწმენაში დაეხმარება.
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე უწყვეტი დაკვირვება და ბავშვებზე მონაცემების შეგროვება ადრეული განათლების პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის აღმზრდელს მუდმივად ესაჭიროება სხვადასხვა ინფორმაცია, რომ მისი პრაქტიკა თითოეული ბავშვის საჭიროებებზე იყოს მორგებული.
- ობიექტური დაკვირვებით შეგროვებული მონაცემები და პერიოდული ჩანაწერები აღმზრდელს ეხმარება, მოახდინოს სპეციალური საჭიროებების იდენტიფიკაცია, ჩამოიყალიბოს მშობლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობა.
- დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვებისას უნდა განვასხვავოთ ორი პროცესი: 1. **მონაცემთა შეგროვება** და 2. **მონაცემთა შეფასება.** მონაცემთა შეგროვება დაკვირვებით მიღებული დოკუმენტირებული ინფორმაციაა, რომელიც არის ფაქტობრივი, აღწერითი და არ შეიცავს ვარაუდს. შეფასების პროცესის დროს შეგროვებულ მონაცემებს უკეთდება სინთეზი, ანალიზი და კეთდება შესაბამისი დასკვნები, რომლებიც შემდგომ საქმიანობაში გამოიყენება.
- ინფორმაციის შეგროვება და დაკვირვება ხდება ორი - **ფორმალური** და **არაფორმალური** მეთოდით. ფორმალური მეთოდებია სტანდარტიზებული ტესტები და კვლევის ინსტრუმენტები. არაფორმალური მოიცავს კითხვარებს, ცხრილებს, ჯგუფში ბავშვებზე დაკვირვებას, ჩანაწერების წარმოებას, მშობლებთან ინტერვიუებს, ბავშვებთან საუბარს და ა. შ.
- დაკვირვების მეთოდების შესარჩევად არსებობს სამი მოსაზრება: პირველი - მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ქცევის, საკითხის ტიპზე - რა გაინტერესებს, რაზე დაკვირვება გსურს და რამდენად დეტალური ინფორმაცია გჭირდება; მეორე - ერთ ბავშვზე იღებ მონაცემებს თუ მთელ ჯგუფზე; მესამე - რა ოდენობის ყურადღებას საჭიროებს დასაკვირვებელი საკითხი.
- ადრეული განათლების პროგრამებში მონაცემების შესაგროვებლად და დასაკვირვებლად სხვადასხვა საშუალება გამოიყენება. ესენია: **ჩანაწერები** (შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერი, ჟურნალი, რეფლექსური დღიური), **კითხვარები** (ჩეკლისტები, რეიტინგული სკალები), **ცხრილები** (მონაწილეობის ცხრილი, სიხშირეების დათვლა, დროის გაზომვა), **ბავშვების ნამუშევრები** (მაგ., ნიმუშები, ნახატები), **ფოტოსურათები, აუდიო და ვიდეო**

**ჩანაწერები.** აღმზრდელებს მონაცემების შესაგროვებლად ასევე შეუძლიათ გამოიყენონ **მშობლებთან ინტერვიუ**.

- ვფიქრობთ, ბავშვებზე დაკვირვებით მონაცემების შეგროვება არის მთავარი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც აღმზრდელს შეუძლია შეადგინოს განვითარების ინდივიდუალური გეგმა, დაგეგმოს ბავშვის საჭიროებებზე მორგებული აქტივობები, მოაწყოს გარემო და უზრუნველყოს თითოეული ბავშვის განვითარების პირობები.
- ვფიქრობთ, სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების შესახებ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი აღმზრდელ-პედაგოგებს დაეხმარება, უკეთესად დაგეგმონ სააღმზრდელო პროცესი, გაითვალისწინონ აღსაზრდელთა საჭიროებები და ინტერესები. ეს გაცილებით ეფექტურს გახდის ბავშვების განვითარებას და მათი სკოლისათვის მზაობას.
- კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია, ადრეულ ასაკში მოხდეს სსსმ ბავშვების ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა. რაც უფრო ადრე მოხდება მათთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება, პრობლემაც მით სწრაფად გამოსწორდება.
- კვლევის შედეგები საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში დადგინდება ბავშვის განვითარებაში არსებული შეფერხება და განისაზღვრება საჭიროებები, მით მეტია მათი უნარებისა და სოციალური ადაპტაციის შესაძლებლობა. დროულად შედგენილი და გახორციელებული ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა აღსაზრდელის განვითარებას შეუწყობს ხელს.
- კვლევის შედეგად შემუშავდა პედაგოგიური მიდგომები, რომლებმაც ხელი შეუწყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარებასა და სწავლის შედგომ საფეხურზე პრობლემების შემცირებას.
- კვლევამ დაგვანახა, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლამდელი ასაკის ბავშვების განვითარებაში შეფერხების დროულ გამოვლენას და შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის შედგენას.
- ხელი უნდა შევუწყოთ მშობელთა ცნობიერების გაზრდას, რასაც ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებაში გადამწყვეტი როლი აკისრია.

# გამოყენებული ლიტერატურა:


1.აბაკელია . . . 2011: აბაკელია ნუგზარი, ანჯაფარიძე მაია, ბაქრაძე თამარ, ღვინერია ეთერ, ცინცაძე ნინო, ქირია ირინა, კეპულაძე ნელი, ცინცაძე ნინო, მაისურაძე იაგო - „ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია“, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა, თბილისი.

2.აბაშიძე, 2007: აბაშიძე ირაკლი - „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, გამომცემლობა მწიგნობარი, თბილისი.

3.აბდუშელიშვილი, 1971: აბდუშელიშვილი გ. - „სკოლამდელი აღზრდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში“, ჟურნ. ,,დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა”, №1.

4.აბულაძე . . . 2007: აბულაძე თამარ, კანჯარაძე ანა, ლორთქიფანიძე ნინო - „მინიმალური ცოდნა ბავშვებს“, თბილისი.

5. აფთარაშვილი . . . 2011: აფთარაშვილი ია, ლაბარტყავა ნინო, დალაქიშვილი ნანა, თაყაიშვილი რუსუდან, ნიაური ნათია, ოჩიაური ბუბა, ქობალია ქეთევან, ხაჟალია თამარ - „ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“ , თბილისი.

6. ბაგრატიონ-გრუზინსკი . . . 2014: ბაგრატიონ-გრუზინსკი მაია, ზაქარეტაშვილი მარიკა, ფილაური ქეთევან, კვაჭაძე ჟანა - „ინდივიდუაური სასწავლო გეგმა“ გზამკვლელი მასწავლებლებისათვის, თბილისი.

7.ბაბილოძე 1979: ბაბილოძე გრ. - „განათლების აღმავლობა აჭარაში“, ბათუმი.

8.ბაბილოძე 1958: ბაბილოძე, გრ. - „სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში 1921-1937 წწ“, ბათუმი.

9. ბასილაძე 2016: ბასილაძე იმერი, ჭოხონელიძე ნინო, კოსტავა ნინო, ქობულაძე ნატო - „სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები“, აწსუ გამომცემლობა, ქუთაისი.

10. ბასილაძე 1982: ბასილაძე ნ. - „სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში“, ბათუმი.

11. ბერიშვილი 1995: ბერიშვილი ჯონდო (რედაქტორი) - „პედაგოგიკა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი.

12. ბერკი 2010: ბერკი ლორა - ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

13. ბერძენიშვილი . . . 2010: ბერძენიშვილი თ, ხერხეულიძე მ, მელაძე ნ, კანდელაკი ე, ლაბარტყავა ნ, აფთარაშვილი ი - „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“, თბილსი.

14. გაგოშიძე . . . 2008: გაგოშიძე თამარ, ჭინჭარაული თინათინ, ფილაური ქეთევან, ბაგრატიონი მაია - „ინკლუზიური განათლების პრინციპები,“ გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
15. გაგოშიძე, 2007: გაგოშიძე თამარ - „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
16. გაგოშიძე, 2007: გაგოშიძე თმარ - „პრაქტიკული მუშაობა ბავშვებთან“, ბავშვის მასტიმულირებელი სავარჯიშოები, გამომცემლობა „ნეკერი“,თბილისი.
17. გაგუა, 1996: გაგუა ვლადიმერ - ,,პედაგოგიკა“, თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
18. გერინგი . . . 2009: გერინგი რ, ზიმბარდო ფ - ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
19. გოგიჩაიშვილი, 2005: გოგიჩაიშვილი თამაზ - „განვითარების ფსიქოლოგია“, გამომცელობა „სპექტრი“, თბილისი.
20. დოლიძე . . . 2015: ხათუნა დოლიძე, ნინო ცინცაძე, თამთა კუხალეიშვილი, ნინო ჯიჯავაძე, იაგორ ბალანჩივაძე, ირმა გრიგოლია, ნუგზარ აბაკელია - „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო“, თბილისი.
21. დოლიძე . . . 2015: დოლიძე ხათუნა. კეკელია ეკა, ბაქრაძე თამარ, ბექიშვილი თეონა, კუხალაშვილი თამთა, რუხაძე ნინო, უჩანეიშვილი თამარ, ჯიჯავაძე ნინო, ქაჯაია ნინო, ცინცაძე ნინო, იაშვილი ქეთევან - „სასწავლო-სააღზმრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის“, აქტივობების წიგნი. ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა, თბილისი.
22. დოლიძე . . . 2015: დოლიძე ხათუნა, კეკელია ეკა, ბაქრაძე თამარ, ბექიშვილი თეონა, კუხალაშვილი თამთა, რიხაძე ნინო, უჩანეიშვილი თამარ, ჯიჯავაძე ნინო, ქაჯაია ნინო, ცინცაძე ნინო, იაშვილი ქეთევან - „სასწავლო-სააღზმრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის“, დანართი. ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა, თბილისი.
23. ვაისი, 2001: ვაისი თომას - „ბავშვები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ. გამომცემლობა „აწმყო“, თბილისი.
24. ვასაძე, 2000: ვასაძე ნათელა - „პედაგოგიკა“. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
25. ვულფოლკი, 2011: ვულფოლკი ა. – „განათლების ფსიქოლოგია“, თბილისი.
26. ინკლუზიური . . . 2011: ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები. თბილისი.
27. ინკლუზიური . . . 2016: „ინკლუზიური სკოლამდელი განათლება“ - სამაგალითო შემთხვევები, საქართველოს პორტიჯის ასოციაცია, თბილისი.

28. ინკლუზიური . . . 2005: „ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო", ბიბლიოთეკა-კულტურული ცენტრი უნარშეზღუდულთათვის, „თანადგომა", თბილისი.
29. ინდივიდუალური . . . 2015: „ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა" - გზამკვლევი მასწავლებლებისა და სასკოლო ადმინისტრაციისათვის, თბილისი.
30. იონსენი, 2007: იონსენი ბ. ბერტენი მ. - „ინკლუზიური განათლება. განსხვავებული საჭიროების მქონე პირთა განათლება", გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", თბილისი.
31. კაიზერი, 2007: კაიზერი ბარბარა - „რთული ქცევა პატარა ბავშვებში - გაგება პრევენცია, ეფექტური მართვა", XI, XII თავები. ("Challenging Behavior in young children –understanding, preven8ng and responding effectvely", by Barbara Kaiser, 2007)
32. კაპანაძე . . . 2008: კაპანაძე მარიკა, პაჭკორია თათია, ბაგრატიონი მაია - „ვისწავლოთ ერთად - ინკლუზიური განათლება", თბილისი.
33. კლაიპედი, 2016: კლაიპედი ედუარდ - „ბავშვის ფსიქოლოგია და ექსპერი-მენტული პედაგოგიკა," გამომცემლობა „გეო", თბილისი.
34. ენგი . . . 2014: კნუტ როარ ენგი და რიჩარდ როუზი - შეფასება სწავლისათვის ინკლუზიურ სკოლებში, თბილისი.
35. ლაცაბიძე, 2008: ლაცაბიძე გ. – „ განვითარების თეორიები მასწავლებლებისა-თვის", დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი.
36. ლაღიძე . . . 2009: ლაღიძე ანა, ბაგრატიონი მაია, პაჭკორია თათია - „ინკლზიური განათლება" (გზამკვლელი მასწავლებელისათვის), თბილისი.
37. მაკლეინის . . . 2014: „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის - ინკლუზიური განათლება". თბილისი.
38. მალაზონია, 2001: მალაზონია შოთა - „პედაგოგიკა", თბილსის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცელობა. თბილისი.
39. მელაძე, 2001. მელაძე ნინო - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი, თბილისი.
40. მუხინა, 1989: მუხინა ვ. - „ბავშვის ფსიქოლოგია," გამოცმემლობა „განათლება", თბილისი.
41. ნადირაშვილი, 1983: ნადირაშვილი შ. – „განწყობის ფსიქოლოგია", ტ. I, თბილისი.
42. ნადირაშვილი, 1985: ნადირაშვილი შ. – „განწყობის ფსიქოლოგია", ტ. II, თბილისი.
43. ნათაძე, 1986: ნათაძე რევაზ - „ზოგადი ფსიქოლოგია", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
44. ნათაძე, 1989: ნათაძე რევაზ - „ფსიქოლოგიის მოკლე კურსი", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
45. ნანაძე, 2016: ნანაძე მარიამ - „სკოლისთვის მზაობა"

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/64685-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/93/ - თბილისი.

46. ნიაური, 2011: ნიაური ნათია - „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა“, თბილისი.
47. ნორაკიძე . . . 2004: ნორაკიძე თინათინ, იარადანგულიევა როზა, თვაური თალიკო, კილანავა ნინო, ოდილავაძე დარეჯან, შონია ხათუნა - „პრაქტიკული მუშაობა ბავშვებთან“, თბილისი.
48. ობოლაძე, 1961: ობოლაძე უშანგი - „სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში“, გამომცელობა „განათლება“, თბილისი.
49. პაჭკორია . . . 2011: პაჭკორია თათია, თინათინ ჭინჭარაული, ლაღიძე ანა, ბაგრატიონი მაია - „გზამკვლელი მასწავლებლეხისათვის - ინკლუზიური განათლება“. თბილისი.
50. პაჭკორია . . . 2011: პაჭკორია თ, ჭინჭარაული თ, ლაღიძე ა. - „ინკლუზიური განათლება“, თბილისი.
51. საიფერი . . . 2015: საიფერი სტეფენ, იაგორ ბალანჩივაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ გაბისონია, ნინო ლაბარტყავა, ნინო ფრუიძე, თამარ ლორია - „სასკოლო მზაობის პროგრამა „თ-ა-მ-ა-შ-ი“ სწავლისა და გნავითარებისათვის“, აღმზრდელის სახელმძღვანელო. თბილისი.
52. სასწავლო . . . 2015: „სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, თბილისი.
53. საქართველოს . . . 2015: „საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ,“ ქუთაისი.
54. საინფორმაციო . . . 2010: „საინფორმაციო ბიულეტენი, იუნისეფი საქართველოში - განათლება ყველასათვის“ . თბილისი.
55. სასკოლო . . . 2015: სასკოლო მზაობის პროგრამა - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი.
56. სწავლებისა . . . 2008: სწავლებისა და შეფასების მეთოდები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
57. საყვარელიძე 2004: საყვარელიძე რამაზ - „ინტერაქტიული სწავლება და მისი ფსიქლოგიური საფუძვლები“, თბილისი.
58. სკოლადელი . . . 2013: სკოლამდელი განათლება საქართველოში - რეალობა და პერსპექტივები. თბილისი.
59. სკოლამდელი განათლება - http:/www.Unicef. ge

60. უზნაძე, 2003: უზნაძე დიმიტრი - ,,ბავშვის ფსიქოლოგია“. გამოცემემლობა „განათლება“, თბილისი.

61. უზნაძე, 2003: უზნაძე დ. - ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი.
62. უზნაძე, 1947: უზნაძე დ. - ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი.
63. უზნაძე, 1967: უზნაძე დ. - შრომები, ტ.5, თბილისი.
64. შეზღუდული . . . 2006: შეზღული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, თბილისი.
65. ქავთარაძე, 2010: ქავთარაძე თინათინ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემო (პრინციპები და პრაქტიკა) . თბილისი.
66. ჩხარტიშვილი, 1974: ჩხარტიშვილი შ. - აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი.
